

მარინა სიორიძე

**თარგმანის თეორიის საფუძვლები
და პრაქტიკა**

ბათუმი - 2013

შესავალი თარგმანის თეორიაში



დომენიკო გირლანდაიო

“წმინდა იერონიმე, მთარგმნელთა მმართველი“

თარგმანს დიდი ხნის ისტორია აქვს. მთარგმნელობით საქმიანობას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ეწეოდნენ. (უძველესი თარგმანი თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლით). ჩინეთში ბუდიზმის დამკვიდრებას სწორედ თარგმანმა შეუწყო ხელი. უძველეს დროში, თარგმანის განვითარებას ხელს უწყობდნენ დიდგვაროვნებიც. მათ სურდათ ინფორმაცია მიეღოთ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ის მნიშვნელობა, რაც თარგმანს ჰქონდა ბაღდადში IX საუკუნეში და XII–XIII საუკუნეებში ტოლედოს სკოლაში, შეიძლება ჩაითვალოს ყველა საუკუნეში მისაბამ მაგალითად.

თარგმანმცოდნეობა მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად. თარგმანის პირველი თეორეტიკოსები იყვნენ თავად მთარგმნელები, რომლებიც ცდილობდნენ მეცნიერულად გაეაზრებინათ თავისი პრაქტიკული გამოცდილება და თეორიულად ჩამოეყალიბებინათ. ტერმინს თარგმანი ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი არის თავად პროცესი, რაც ნიშნავს ერთ ენაზე გამოხატული მნიშვნელობების სხვა ენობრივი საშუალებებით გადმოცემას. ხოლო მეორე არის ამ პროცესის შედეგი, ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი. ტერმინის დეფინიცია კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ თეორიულ სკოლას მიეკუთვნება განსაზღვრების ავტორი და რა არის მისი კვლევის მიზანი. ერთ-ერთი გავრცელებული განმარტების მიხედვით, თარგმანი არის ერთი წერილობითი თუ ზეპირი ტექსტის ინფორმაციის (შინაარსის) სხვა ენაზე გამოხატვა, ეკვივალენტური ტექსტის შექმნის საშუალებით. ინფორმაციაში იგულისხმება სრული შინაარსი (როგორც აზრობრივი, ისე სტილისტური, ემოციურ-ექსპრესიული, ფუნქციონალური, ჟანრული, თუ ესთეტიკური ხასიათის შინაარსი). ეკვივალენტობა კი გულისხმობს დედნის ჟანრული თავისებურებებისა და მისი მრავალფეროვანი ინფორმაციის სრულ შენარჩუნებას თარგმანში. თუმცა თარგმანის ეკვივალენტობა ფარდოვითი ცნებაა. მისი ადეკვატურობის დონე სათარგმნი ტექსტის ჟანრსა და სპეციფიკაზეა დამოკიდებული.

თარგმანისა და მთარგმნელის თანამედროვე სახელწოდება (მაგალითად, რომანულ ენებში *traduction - traducteur* (ფრ.), *traduzione - traduttore* (იტ.) მხოლოდ XVI საუკუნეში გაჩნდა. უფრო ადრე ეს მნიშვნელობა სხვა სიტყვებით აღინიშნებოდა. ციცერონმა, ჰორაციუსმა გამოიყენეს სიტყვა *interpretes*. იგივე სიტყვა გამოიყენა ბიბლიის მთარგმნელმა წმინდა იერონიმემ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნე). მსგავს ტერმინებს შუა საუკუნეებშიც იყენებდნენ, თუმცა მოგვიანებით ისინი ხმარებიდან გამოვიდნენ. თანდათან ფრანგულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები *translation* და *translateur* (მნიშვნელობით “თარგმანი” და მთარგმნელი”), რომლებიც

წარმოიშვა ლათინური სიტყვებისგან *translatio* და *translator*. შემდეგ ეს ტერმინი სხვა ევროპულ ენებშიც გავრცელდა. წიგნების ბეჭდვის დაწყება მთარგმნელობითი საქმის განვითარების დამატებით სტიმულად იქცა, რამაც თავის მხრივ დააჩქარა ტერმინების ჩამოყალიბება, რომელთა თანამედროვე ვარიანტები სწორედ ამ პერიოდში ეკუთვნის.

თარგმანის თეორიაში გამოირჩევა თარგმანის ზოგადი თეორია, თარგმანის სპეციალური თეორია და თარგმანის კრიტიკა. განვიხილოთ თუ რას შეისწავლის თითოეული დარგი:

თარგმანის ზოგადი თეორია შეისწავლის თარგმანის პროცესსა და მის ზოგად კანონზომიერებებს, ამ პროცესის განხორციელების საშუალებებს. ზოგადი თეორია მოიცავს თარგმანის ნებისმიერ სახეობას (წერილობითს თუ ზეპირს), ხსნის იმ ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების თარგმნისას წარმოიშვება. თარგმანის ზოგადი თეორია ქმნის თეორიულ საფუძველს და განსაზღვრავს თარგმანის თეორიის კერძო და სპეციალური თეორიების ცნებებს. კერძო და სპეციალური თეორიები აკონკრეტებენ ზოგადი თეორიის მდგომარეობას თარგმანის ცალკეულ ტიპებთან მიმართებაში.

თარგმანის სპეციალური თეორია შეისწავლის თარგმანის თავისებურებებს ერთი კონკრეტული ენიდან მეორეზე, განსაზღვრული ენობრივი ერთეულების შესაბამისობის საკითხს, მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილისტურ ხერხებს და სხვა. თარგმანის სპეციალური თეორია იკვლევს სხვადასხვა სახის თარგმანის (ზეპირი, წერილობითი, სინქრონული, თანმიმდევრული და ა.შ.) სპეციფიკას. გარდა ამისა, იგი შეისწავლის განსხვავებული ჟანრის ტექსტების თარგმნის თავისებურებებს.

თარგმანის კრიტიკა აფასებს ორიგინალისა და თარგმანის ადეკვატურობას და ძირითადად მხატვრულ თარგმანს ეხება. დამოუკიდებელ ჟანრად თარგმანის კრიტიკა შედარებით მცირე ხნის წინ ჩამოყალიბდა.

XX-XXI საუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მანქანური თარგმანის თეორიამ, რომლის მიზანია მთარგმნელი მანქანის შექმნა. ამ დარგის თეორეტიკოსები ფართოდ იყენებენ ინფორმატიკის, კიბერნეტიკის, მათემატიკის, სემიოტიკისა და სხვა მეცნიერებათა მიღწევებს.

თარგმანმცოდნეობასთან მჭიდრო კავშირშია თარგმანის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ცდილობს შეიმუშავოს წერილობითი და ზეპირი თარგმანის სწავლების მეთოდები. ზოგი მეცნიერი გამოყოფს “თარგმანის დიდაქტიკას,” რომელიც თარგმანის სწავლების მეთოდოლოგიის განხრას უკავშირდება.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის კვლევის საგანია თარგმნის პროცესი და მისი დეტალური ანალიზი. ამ თეორიის მთავარი ამოცანაა თარგმანის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ასახავდა თარგმანის ტექსტის შექმნის პროცესსა და გადაწყვეტდა დედნისა და თარგმანის ეკვივალენტობის საკითხს. ზედმეტია საუბარი სრულყოფილი და ყოველმხრივ გამართული მოდელის შექმნაზე. ისევე, როგორც ნებისმიერი თეორიული მოდელი, თარგმანის თეორია აღწერს არა ყველა ასპექტს, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს.

სხვა თეორიული დისციპლინების მსგავსად, თარგმანის თეორიაშიც შესაძლებელია არაერთი მოდელის არსებობა, რომელიც განსხვავებული

პოზიციიდან ასახავს ამ პროცესს. განსხვავების მიუხედავად ეს თეორიები არ გამორიცხავენ ერთმანეთს, ზოგი ბევრ საკითხში ემთხვევა კიდეც. მოდელები თავისებურად ავსებენ ერთმანეთს. მოდელებს შორის გამოიყოფა სემანტიკური, სიტუაციური, ტრანსფორმაციული, კომუნიკაციური და სხვა. შესწავლის ობიექტის სირთულე და მრავალმხრივობა ფაქტიურად გამორიცხავს ერთი უნივერსალური მოდელის შემუშავების შესაძლებლობას.

თარგმანის თეორიები

ყოველგვარ თეორიას თარგმანში მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც დახმარებას გაუწევს მთარგმნელს პრაქტიკულ საქმიანობაში. თეორია არკვევს, როგორი თარგმანია დღეს მისაღები. ეს თეორიული გზაა და არა პრაქტიკული მუშაობისთვის უშუალოდ ხელშემწყობი. თარგმნა შეიძლება თეორიის გარეშეც, მაგრამ თეორია, რამდენადაც ის ეყრდნობა ისტორიულად მრავალთა პრაქტიკულ გამოცდილებას, ამდენად იცნობს თარგმანის მრავალ ნიმუშს, გამოყოფს მათ შორის პოზიტიურსა და ნეგატიურს და უჩვენებს გზას, რომელსაც თარგმნის პროცესში პოზიტიური შედეგის მოცემა შეუძლია.

თეორიას არ შეუძლია ყველა ეპოქისთვის შეიმუშაოს რაღაც ზოგადი, საერთო, ყველა დროს რომ მოერგება, რადგან თვით ლიტერატურული ეპოქა და საზოგადოებრივი გემოვნება განსაზღვრავს თარგმანის რაგვარობას.

თარგმანის ისტორიაში ორი სახის თარგმანის გარშემო მიმდინარეობს ძირითადი კამათი. თეორიულად რომელი თარგმანია მისაღები – ზუსტი თარგმანი, რომელიც მხატვრული სიზუსტის მეტ ალბათობას შეიცავს, თუ არაზუსტი, მაგრამ მხატვრულად ძლიერი? ჩვენ შეგვიძლია იდეალურად გამოვაცხადოთ მხატვრულად ძლიერი და, ამავე დროს, ზუსტი თარგმანი, მაგრამ ამ იდეალის პრაქტიკულად გამხორციელება მეტად ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია. თეორიულად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს მიღწევადია, მაგრამ თეორიული გადაწყვეტა გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენს პრაქტიკაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი თეორიაზე მალლა დგას. მზამზარეულ თეორიას, თუნდაც მასში ორივე მხარის სინთეზი მოვახდინოთ, დოგმად მაინც ვერ ვაქცევთ, რადგან მთარგმნელის ინდივიდუალური უნარის შეთანხმება თეორიასთან შეუძლებელია.

თარგმანის თეორიამ, პირველ რიგში, უნდა გაარკვიოს, სად წყდება თარგმანის საკითხი: ენათმეცნიერებაში თუ ლიტერატურათმცოდნეობაში. მრავალი მეცნიერის აზრით, მით უმეტეს, დღეს თარგმანის თეორია საენათმეცნიერო დისციპლინაა, რამდენადაც ყოველგვარი მასალის თარგმანი (საქმიანი, საინფორმაციო, სამეცნიერო, პოლიტიკური, ისტორიული, მხატვრული) ემყარება ორი ენის ურთიერობას. ფეოდოროვის შრომის „Основы общей теории перевода“ მიხედვით თარგმანი ეფუძნება ენობრივ მასალას და სიტყვის თარგმნის გარეშე თარგმანი ვერ იარსებებს. თარგმნის პროცესი მოითხოვს ორივე ენის კანონების ცოდნას და მათ ურთიერთშეფარდებით გაგებას. ენის გარეშე, ცხადია, თარგმანი შეუძლებელია, მაგრამ მისთვის არსებითი ფუნქციის მინიჭება მხატვრულ თარგმანში არაა მიზანშეწონილი. ენაა ისეთივე მასალაა მთარგმნელისთვის, როგორც „ქვა მოქანდაკისათვის“.

თარგმნის პროცესში სიტყვები იდეის გამოთქმის საშუალებაა, თუმცა ისინი ყოველთვის არაა დედნის ზუსტი შესატყვისი არც თავისი ადგილით ტექსტში და არც კერძო მნიშვნელობით. თუ თარგმანი სრულფასოვანია და ამავე დროს დედნის სრული შესატყვისია, ეს ბედნიერი გამონაკლისია. საერთოდ მხატვრული თარგმანი უნდა წარმოადგენდეს დედნის შესატყვისს, მის ადეკვატურ გამეორებას არა ლინგვისტურ-ენობრივი, არამედ ესთეტიკურ-ლიტერატურული ფუნქციით. ფეოდოროვის აზრით, რაკი თარგმანის პრობლემა წყდება ენის სფეროში, ლინგვისტური კონცეფცია თარგმანის შესწავლაში დიდი უპირატესობის მქონეა სხვა ფუნქციებთან შედარებით. მისთვის თარგმანის თეორიაც ლინგვისტური დისციპლინაა.

მართალია, ფეოდოროვი არ უარყოფს თარგმანის თეორიის კავშირს ლიტმცოდნეობასთან, ლიტერატურის ისტორიასთან, ლიტერატურის თეორიასთან და ხალხთა ისტორიასთან, მაგრამ ეს არ ცვლის მის კატეგორიულ მხარდაჭერას ლინგვისტური თეორიისადმი. მას შეუძლებლად მიაჩნია თარგმანის კერძო თეორიის არსებობა. ამ კერძო თეორიაში მან შეიტანა მხატვრული ლიტერატურაც. თარგმანი, ცხადია, ენობრივ მასალას ემყარება, სიტყვის თარგმნის გარეშე თარგმანი ვერ იარსებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ენას უპირატესი უფლება აქვს თარგმანის პროცესში. ფეოდოროვის შრომას სერიოზული შემეცნებითი ღირებულება აქვს, მაგრამ ენისა და ლიტერატურის მჭიდრო ურთიერთკავშირის მიუხედავად, თარგმანის თეორია უნდა არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა და მისი კვლევა უნდა დაიწყოს იქ, სადაც მთავრდება ლინგვისტური მსჯელობა თარგმანზე. თარგმნის პროცესში ენობრივი საკითხები, რა საკვირველია, დაისმის, მაგრამ მათი შეფარდება ესთეკურ საკითხებთან არ უნდა აღემატებოდეს ანალოგიურ შეფარდებას ორიგინალური ნაწარმოების განხილვის დროს (რა მნიშვნელობაც აქვს ენას ორიგინალური ნაწარმოებისთვის, იმაზე მეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს თარგმანში). რაკი ფეოდოროვს მხატვრული თარგმანი ენობრივ მოვლენად მიაჩნია, ამავე მიზეზით ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შეიძლება ჩავთვალოთ ენობრივ მოვლენად, ლიტერატურის თეორია კი ენათმეცნიერების დარგად. გასაგებია, რომე ენობრივი შეფარდების დადგენა ენათმეცნიერების საქმეა, მაგრამ მხატვრული შემოქმედების ანალიზი მისი საგანი არაა. ენობრივ შეფასებათა მაქსიმალურმა შესწავლამ თანამედროვე ტექნიკა მიიყვანა მანქანური თარგმანის შექმნამდე. ენობრივ შეფასებათა კანონის საფუძველზე აწყობილი მანქანა პოულობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების შესატყვისებს, არამედ ენობრივი შენაერთისა და იდიომების შესატყვისებსაც. ტექნიკის პროგრესთან ერთად მანქანას შეუძლია უფრო რთულ შეფარდებათა პოვნაც, მაგრამ მანქანური თარგმანი ენობრივ შეფარდებათა შესრულებას ვერ ცდება. აქ მთავარი ისაა, რომ მანქანურ თარგმანში არ არის შემოქმედებითი მომენტი, ის უძლურია სტილისტურ სფეროშიც (შეიძლება დღეს ეს სირთულე მას გადალახული აქვს), ამდენად მას რჩება მხოლოდ ენობრივ შეფარდებათა სფერო, ანუ ლინგვისტური სფერო. კარგი თარგმანი სიტყვა-სიტყვითი შესაბამისობა კი არა დედნის ფუნქციონალური ეკვივალენტია. „სწოდეს სტილისტიკაა ის საზღვარი, სადაც მხატვრული თარგმანი ეთიშება თარგმანის, როგორც ენობრივი მოვლენის, გაგებას“ (გაჩეჩილაძე). სტილისტიკა ავტორის აზრის გამოსათქმელად რაც შეიძლება უკეთეს ენობრივ საშუალებებს ეძებს. თარგმანის

თეორია ენათმეცნიერების გზაზე ამაზე შორსა რ უნდა წავიდეს. მხატვრული თარგმანი დედანთან მისი ესთეტიკური შესატყვისობა უნდა იყოს, რადგან მხატვრული თარგმანის სფერო იწყება იქ, სადაც თავდება ენობრივ შეფარდებათა დადგენის სფერო. ენა მხატვრული ნაწარმოების მასალაა. მხატვრული ნაწარმოების (თარგმანის) დაყვანა ენობრივ საშუალებათა შეფარდებამდე, ნიშნავს მისი ესთეტიკური მხარის უგულვებელყოფას. მხატვრული თარგმანი სიტყვის ხელოვნების ნაირსახეობაა და ამდენად ლიტმცოდნეობის სფეროა და არა ლინგვისტიკისა.

თარგმანის პროცესში დედნისადმი ზედმეტ მიმდევრობას (ერთგულებას) შინაარსის ზუსტად გადმოცემის მიზნით შესაძლებელია მოყვეს სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რაც თავისთავად ფორმალიზმის ერთი ნაირსახეობა იქნება. როდესაც სიტყვები და შესიტყვებები ზუსტად ითარგმნება, მაშინ ხდება ტექსტის თარგმნა უცხო ენის კანონების მიხედვით. ეს ფორმალურად ემსახურება უცხო ნაწარმოების შინაარსის გადმოტანას და მხედველობის გარეშე რჩება მხატვრული თარგმანის ძირითადი ამოცანა, შეიქმნას სრულფასოვანი მხატვრული მტელი ახალ ენაზე. მეორე მხრივ, მხატვრული ფორმის გადმოცემისადმი განსაკუთრებულმა ყურადღებამ შესაძლია გამოიწვიოს თხზულების იდეურ-ესთეტიკური დამახინჯება, რაც ფორმალიზმის მეორე ნაირსახეობაა. საჭიროა ფორმა და შინაარსი ერთიანობაში იქნას გააზრებული, რაც სწორედ ფორმისა და შინაარსის ერთიანობას ნიშნავს და გვიჩვენებს, რა საერთოა დედანსა და თარგმანს შორის. თარგმნის პროცესში დედანი ასრულებს ცოცხალი ნატურის ფუნქციას, ხოლო თარგმანი ამ ნატურის მხატვრული ასახვაა. გასაგებია, რომ მხატვრის მიერ შესრულებული სურათი არ არის ცოცხალი ადამიანის უბრალო ასლი. მასში გარკვეული პირობითობაა. ასეთივე პირობით ცვლილებას გულისხმობს თარგმანი. ეს ცვლილება აუცილებელია, თუ გვინდა ხელახლა შევქმნათ დედნის ანალოგიური ერთიანობა ახალი ენობრივი მასალისაგან.

ამდენად, კარგი თარგმანი გარკვეული პირობით ცვლილებას გულისხმობს დედანთან მიმართებაში. ამ ცვლილების სიდიდეზეა დამოკიდებული თარგმანის სიზუსტე. ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში ცვლილების მინიმუმი იძლევა ადეკვატურ თარგმანს, მაქსიმუმი – მიბაძვას. აქედან გამომდინარე, თარგმნა შემოქმედებითი პროცესია, ხოლო თარგმანი ამ შემოქმედების ნაყოფი. სმირნოვმა ობიექტურად მისაღწევად ჩათვალა ადეკვატური თარგმანი, რასაც ის ასე განმარტავს: ადეკვატური თარგმანის ამოცანაა აზრობრივი შინაარსის, ემოციური გამომსახველობის, სიტყვიერ-სტრუქტურული გაფორმების გადმოცემა. ის ციტირებს უკეთეს ლაიბნიცის ცნობის მოსაზრებას: „არ არსებობს მსოფლიოში ენა, რომელსაც შეეძლოს სხვა ენის სიტყვების გადმოცემა არა მხოლოდ თანაბარი ძალით, არამედ თუნდაც ადეკვატური გამოხატულებით“. სმირნოვი თვითონაც აღიარებს, რომ ლიტერატურული თხზულება აბსოლიტურად დამთავრებული, თავისთავში ჩაკეტილი და განუმეორებელი მთელია. ასეთი თხზულების ზუსტი თარგმანი შეუძლებელია, მაგრამ ადეკვატურის – შესაძლებელი. რა არის ადეკვატური სმირნოვთან? ადეკვატურ თარგმანში გადმოცემული უნდა იყოს ორიგინალის ავტორის ყველა განზრახვა (როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი). ესენია: სახეობრიობა, კოლორიტი, რიტმი, ინტონაცია და ყველა სხვა რესურსი, რომელთა ზუსტი მხატვრული ეკვივალენტები უნდა მოიძებნოს მთარგმნელის ენაში.

სმირნოვის აზრით, თარგმნის პროცესი ობიექტურად მოითხოვს რაღაცის მსხვერპლად შეწირვას, ოღონდ, ცხადია, თარგმანში არსებითის უცოლობელი შენარჩუნებით; ფეოდოროვის განმარტებით, ციტატის ბოლო ფრაზა „საჭიროა რაღაცის შეწირვა“ კომპრომატია და ეწინააღმდეგება აზრს თარგმანში ყველა აქსესუარის დაცვის შესახებ. ადექვატურის გაგებაში მსხვერპლთშეწირვა თავისთავად გათვალისწინებულია, რადგან თარგმანი არ არის დედნის ელემენტთა ერთიანობის მექანიკური წარმოსახვა. ის რთული, ცნობიერი შერჩევია ამ ელემენტების გადმოცემის ნაირნაირი შესაძლებლობისა, ამიტომ მსხვერპლი გამოწვევის კი არაა, არამედ წესია თარგმნის პროცესში. მას უცილობლად ქმნის ენობრივი პირობები. მაგალითად, მთარგმნელის ენაში სიტყვის ან ფრაზის ოქონლობა, რომელიც უნდა შეეფარდოს დედნის სიტყვას ან ფრაზას. სმირნოვის აზრით, მთარგმნელს უხდება ტექსტში „ნაკლებად არსებითი“ ელემენტების შერჩევა და მათზე უარის თქმა, ხოლო მისივე ხაზგასმული არაცნობიერი განზრახვის გადმოცემა ფართოდ უღებს კარს მთარგმნელის სუბიექტივიზმს. თარგმანის თეორიაში ეს აზრი მართებულადაა გაკრიტიკებული, რადგან არაცნობიერი განზრახვა შესაძლოა ყველა მთარგმნელმა სხვადასხვაგვარად განმარტოს მხატვრულად, რასაც თარგმანში შეიძლება სერიოზული დამახინჯება მოყვეს დედნისა. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მხატვრული ადექვატური თარგმანი შეიძლება არ იყოს ენობრივად ადექვატური. ადექვატურ-მხატვრული სახეები ისევე იქმნებიან განსხვავებული ენობრივი ელემენტებისაგან, როგორც ორი ენის ანდაზებისა და იდიომების შესიტყვებები.

მცდარია სმირნოვის შეხედულება, თითქოს „ჩვეულებრივ თარგმანის მიმღებ მხარედ გვევლინება მეტად განვითარებული ქვეყანა, ხოლო გამცემად – ნაკლებ განვითარებული“. ეს თუ ასეა, მაშინ როგორ ავხსნათ, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები თავის კულტურას ამდიდრებენ განვითარებული ქვეყნების ლიტერატურული თარგმანებით? რევოლუციური პერიოდის რუსეთში ევროპული ენებიდან თარგმნიდნენ ყველაფერს, რაც მნიშვნელოვანი იყო. განა ეს ნიშნავს, რომ რუსეთი განვითარებული იყო და ევროპა ჩამორჩენილი? განა მაჩაბლის თარგმანები შექსპირის დრამებისა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო სოციალურად და ეკონომიურად ინგლისზე მაღლა იდგა?

მთარგმნელი თავისი მშობლური ენის არსენალში ეძებს საუკეთესო მასალას დედნის აზრის გადმოსაცემად. მხატვრული თვალსაზრისით საუკეთესო ენობრივ საშუალებათა ძიება სტილისტიკის სფეროა. მხატვრული ლიტერატურის თარგმნის დროს მთარგმნელის შემოქმედებითი ძიების სფერო სტილისტიკას არ ცილდება. მაგრამ როგორც ორიგინალის შემქმნელისთვის არის აუცილებელი საკუთარი ენის ღრმა ცოდნა, ასევეა საჭირო ის მთარგმნელისთვის. ენობრივი შესიტყვებები თარგმანში ემსახურება ტექსტის მხატვრულ გადმოცემას.

ვთქვათ, ჩვენ უნდა ვთარგმნოთ რომელიმე ენაზე რუსთაველის სტრიქონი: „ტაიჭი მიუქს მურანსა, მიეფინების მზე ველად“. რა უნდა ქნას მთარგმნელმა? აქ მოცემული გრანდიოზული მხატვრული ხატის შექმნაზე იფიქროს თავის ენაზე, თუ პირდაპირი ენობრივი შეფარდება წარმოქმნას? ზოგჯერ პირდაპირი ენობრივი შესატყვისი არათუ სრულად გადმოსცემს დედანს, არამედ შესაძლოა დაამახინჯოს კიდევ იგი. ამდენად, პოეზიის თარგმნისას უნდა იმუშაოს მხატვრული აზრის ექვივალენტზე ფიქრმა და არა სიტყვიერი სიახლოვის მოთხოვნამ. მთარგმნელმა

პოეტური ხატის მხატვრული ფარდი უნდა შექმნას თუ, რა თქმა უნდა, წარმატებაზე ფიქრობს. ესაა შემოქმედებითი მისვლა სათარგმნ ტექსტთან, რასაც უცილობელი წარმატება უნდა მოჰყვეს.

როგორია დღეს ლინგვისტთა მოსაზრებები თარგმანის შესახებ? თარგმანის ზოგიერთი სახეობის, კერძოდ, მხატვრული თარგმანის კვლევისას ლინგვისტური თეორიას დაქვემდებარებულ როლს აკისრებენ, რომელსაც შეუძლია აღწეროს თარგმანის პროცესის მექანიზმი, ლინგვისტური პოზიციიდან ახსნას მხატვრული თარგმანის სტილისტური დანაკარგის არსი, იკვლიოს თარგმანის ენის თავისებურებები და სტილთან შეხებისას აღიაროს ლიტმცოდნეობითი ანალიზის წამყვანი როლი.

თარგმანში არის საუცხოო მასალა, რომლის შეპირისპირებითაა ანალიზმა შეიძლება მკაფიოდ წარმოაჩინოს ორი ენის სისტემის ფუნქციონირების მრავალი ასპექტი, კომუნიკაციურად ტოლფასოვანი ერთეულების პარალელური გამოყენების ფაქტები. ამდენად, თარგმანი შეიძლება განვიხილოთ ლინგვისტურ პლანში და განვსაზღვროთ როგორც ენათა შეფარდების სპეციფიკური სახეობა. დედნის ექვივალენტური თარგმანის გარჩევა არაექვივალენტურისგან, დასაბუთება იმისა, რომ თარგმანი კომუნიკაციურად დედნის ტოლფასია თუ არა, მხოლოდ ლინგვისტური ანალიზითაა შესაძლებელი, თუმცა ეს მხოლოდ ერთი ასპექტია თარგმანის არსის სრული გააზრებისა.

კომისაროვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შეპირისპირებით სტილისტიკას თარგმანის კვლევის საქმეში. შეპირისპირებითი სტილისტიკა ითვლება თარგმანის სტილისტიკის სამირკვლად, რომელიც იკვლევს თარგმანის ენას როგორც სტილისტურ ფენომენს და აზუსტებს მის მსგავსება-განსხვავებას. შვეიცერის აზრით, თარგმანი სამეტყველო საქმიანობის ერთერთი სახეა, ამიტომ ის შეიძლება გახდეს როგორც ლიტმცოდნეობითი ასევე ლინგვისტური კვლევის საგანი. იგი ასევე აღიარებს თარგმანში შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი საწყისების არსებობას. შემოქმედებითობა მხატვრულ თარგმანში, ცხადია, ყველაზე მაღალია. ბარხულსოვიც თვლის, რომ თარგმანში ესა თუ ის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მხატვრული ტექსტის სპეციფიკურ ხასიათთან, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ესტეტიკური ფაქტორები, შეიძლება გავანალიზოთ სწორედ ლიტმცოდნეობის და არა ლინგვისტური პოზიციიდან. ლილოვა ერთმანეთს არ უპირისპირებს ლიტმცოდნეობითსა და ლინგვისტურ პოზიციებს, პირიქით, ის ცდილობს მათ სინთეზირებას. მისთვის თარგმანის თეორია არ თავსდება არც ლიტმცოდნეობისა და არც ლინგვისტიკის ფარგლებში. ის დამოუკიდებელი დისციპლინაა და იყენებს ფსიქოლოგიას, რელიგიას, კიბერნეტიკას და სხვა. მისი აზრით, თარგმანში ყველაზე ძნელი და მნიშვნელოვანია არა ლინგვისტური, არამედ მხატვრული მხარე, ასევე მთარგმნელის უნარი, გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული სამყარო.

შემდეგ შვეიცერი გამოყოფს ნაწარმოებში ორ პლანს: შინაარსსა და ფორმას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მათ თანაზომიერ ერთიანობას.

ცნობილი გრამატიკოსი ბარხულსოვი ერთმანეთისგან განასხვავებს “თარგმანსა” და „თარგმანს“, ანუ თარგმანის პროცესსა და შედეგს. თარგმანს ის მოიაზრებს ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის გარდაქმნად და ტრანსფორმაციად სხვა

ენაზე. გარდაქმნა აქ პირობითია, რადგან თარგმნის პროცესში დედნის გარდაქმნა კი არ ხდება, დედანი დედნადვე რჩება, ხოლო მის საფუძველზე იქმნება სხვა ტექსტი სხვა ენაზე, რომელსაც თარგმანს ვუწოდებთ. ამდენად, თარგმანი ენათშორისი ტრანსფორმაციის სახეობაა. აქედან გამომდინარე, თარგმანის ლინგვისტური თეორიის საგანია თარგმანის პროცესის მეცნიერული აღწერა, როგორც ენათშორისი ტრანსფორმაციისა. ის განსაკუთრებულ ხასიათს თარგმანში შემოქმედებითობას ანიჭებს, თუმცა არ იკვლევს მას. ექვივალენტობის საფუძველად ის მიიჩნევს დედნის ტექსტის თარგმანის ენაზე შესრულებული ტექსტით შეცლისას გარკვეული ინფორმაციის შენარჩუნებას და მისი ზომის შესაბამისად დედნის ტექსტთან თარგმნილი ექვივალენტობის დადგენას. მისთვის სათარგმნი ერთეული არის არა ცალკეული სიტყვები ან წინადადებები, არამედ მთელი ტექსტი. ის გამოკვეთილ ლინგვისტურ პოზიციაზე დგას. მისი აზრით, თარგმანის თეორიას ევალეზა დაადგინოს თანხედომები და განსხვავებები დედნის ენასა და თარგმანის ენის იდენტური მნიშვნელობის ხერხებში. ეს ამოცანა კი თავისი არსით ენათმეცნიერებაში უნდა გადაწყდეს. მისი აზრით, ლინგვისტურ თეორიას საფუძველად უდევს ენობრივი მნიშვნელობის სამი ტიპი: რეფერენტული, პრაგმატული და შინაარსობრივი.

საგნები, პროცესები და რეალური სინამდვილის მოვლენები, რომლებსაც ნიშნებით აღვნიშნავთ, იწოდებიან ნიშანთა რეფერენტებად, ხოლო ნიშანსა და რეფერენტს შორის დამოკიდებულებას ნიშნის რეფერენტული მნიშვნელობა ეწოდება. ადამიანს ყოველთვის აქვს გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულება ნიშანთან, მათი მეშვეობით კი რეფერენტებთან. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს ემოციური, ექსპრესიული, სტილისტური. ამგვარ დამოკიდებულებას პრაგმატულს ვუწოდებთ, ხოლო მნიშვნელობათა ტიპს – პრაგმატულ მნიშვნელობას.

ყოველი ნიშანი ნიშანთა სისტემის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მრავალფეროვან დამოკიდებულებაშია ამავე სისტემის სხვა ნიშნებთან. ასეთ დამოკიდებულებას უწოდებენ შინაარსობრივს.

ენობრივ მნიშვნელობათა შენარჩუნება თარგმანის წინაპირობაა. ამიტომ ისმის კითხვა: ზემოთხამოთვლილი ტიპებიდან რომელი უფრო ემორჩილება თარგმანის პროცესს? რეფერენტულ მნიშვნელობათა სისტემაში ჩაბეჭდილია ენობრივი კოლექტივის მთელი პრაქტიკული გამოცდილება. ამდენად, ეს მნიშვნელობები სხვადასხვა ენაში უფრო მეტია საერთო, ვიდრე განსხვავებული. აქედან გამომდინარე, თარგმანში უფრო მეტად შეიძლება რეფერენტულ მნიშვნელობათა შენარჩუნება. ფაქტობრივად მათ შენარჩუნებაზეა დამოკიდებული შინაარსის პლანის ინვარიანტობა.

ყველაზე დაუმორჩილებელი შინაარსობრივი მნიშვნელობებია, რადგან ყოველი ენა წარმოადგენს თავისებურ სისტემას. შინაარსობრივი მნიშვნელობები თარგმანში ანქრება ან მხოლოდ მინიმალურად შეიძლება შევინარჩუნოთ. თარგმანს ნაკლებად ემორჩილება პრაგმატული მნიშვნელობები, რადგან ერთსა და იმავე საგანთან სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულება სხვადასხვაა.

თარგმნის პროცესში ხშირია შემთხვევა, როცა წყარო-ენის ერთ სიტყვას შეესაბამება ერთი კი არა თარგმანის ენის რამდენიმე სემანტიკური ექვივალენტი. ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით (ვილაპარაკებთ) ნაწილობრივ

ექვივალენტობაზე. იშვიათი არც ენატა შორი შესაბამისობის უქონლობაა (საკუთარი სახელები, რეალიები და სხვა). დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბარხუდასოვის მიზანია დაასაბუთოს თარგმანის ონგვისტური თეორიის მისეული მოდელის უნივერსალურობა.

თარგმანის ონგვისტურ ჩარჩოებში, პირველ რიგში კი, მხატვრული თარგმანის მკაცრად ჩასმა ბევრ პრობლემას უპასუხოდ ტოვებს, ამიტომ არის ცდა გაფართოვდეს ონგვისტური კვლევის ჩარჩოები და ამ ჩარჩოებში მოთავსდეს წმინდა ლიტერატურული დამაკავშირებელი ფაქტორები. ამ მიზნით თარგმანის თეორია თავსდება არა მიკროლინგვისტიკაში, რომელიც შეისწავლის ენას “თავის თავში და თავისთვის”, არამედ მაკროლინგვისტიკაში, რომელსაც მიეკუთვნება ენათმეცნიერების ის მიმართულებები, რომლებიც შეისწავლიან ენას ენის მიღმა მდებარე ფაქტორებთან კავშირში. ეს ვლინდება ბარხუდასოვის სქემაშიც, რომელიც აღწერს თარგმანის თეორიის საკვლევი ობიექტის-ტექსტის არსებობისათვის აუცილებელ სამ მომენტს: 1. საგანი (თემა), შეტყობინება; 2. ურთიერთობის სიტუაცია, სადაც ხორციელდება ენობრივი კომუნიკაცია; 3. სამეტყველო შტოს მონაწილენი, ე.ი. “გამგზავნი” (მოლაპარაკე ან დამწერი) და “მიმღები” (მსმენელი, მკითხველი, ან ადრესატი, სადაც ორივე მხარეს აქვს როგორც არალინგვისტური, ისე ონგვისტური გამოცდილება).

თარგმანში, რომელსაც კომისაროვი უწოდებს “გიგანტურ ბუნებრივ ონგვისტურ ექსპერიმენტს” ხდება ენების ელემენტების შეპირისპირება. ამას საფუძვლად უდევს თარგმანსა და ორიგინალს შორის ნაწილობრივი საერთოობის ან მსგავსების ონგვისტური პრინციპი.

შვეიცერის მოსაზრების თანახმად თარგმანი შეიძლება იყოს ლიტმცოდნეობის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ონგვისტიკის საკვლევი ობიექტი, მაგრამ თარგმანის თეორიას აქვს საკუთარი კვლევის ობიექტიც. შვეიცერთან ერთ-ერთი მწვავე საკითხია თარგმანის თეორიის დამოკიდებულება ლიტმცოდნეობასა და ენათმეცნიერებასთან. რაკი მასთან თარგმანი წარმოადგენს სამეტყველო საქმიანობის ნაირსახეობას, იგი შეიძლება გახდეს როგორც ლიტმცოდნეობითი, ასევე ონგვისტური განზოგადების ობიექტი. შვეიცერი აღიარებს თარგმანში შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი საწყისების არსებობას, რომელთა შეფარდება თარგმანის ჟანრის მიხედვით იცვლება. შემოქმედებითობა ყველაზე მეტია მხატვრულ თარგმანში. ონგვისტური თეორიის უპირატესობად მას მიაჩნია ის, რომ იგი შეიცავს ყველა ჟანრს. რაც შეეხება თარგმანის ონგვისტური თეორიის დამოკიდებულებას ენათმეცნიერებასთან (გრამატიკა, სტილისტიკა) მკვლევარი მნიშვნელობას ანიჭებს ხსენებული დისციპლინების შესწავლას შეპირისპირებით პლანში. გერმანელ მეცნიერს, კოინიგს მიაჩნია, რომ შეპირისპირებითი ონგვისტიკის მიზნები და ინტერესები ემთხვევა თარგმანის თეორიის მიზნებს. შვეიცერის მსჯელობის ერთი ნაწილი უკავშირდება ინვარიანტის ცნებას. ინვარიანტი არის ის, რაც თარგმანის პროცესში ტექსტში უცვლელი რჩება. მისი აზრით, ტექსტში უცვლელი რჩება საწყისი შეტყობინების ფუნქციური შინაარსი, ე.ი. მისი აზრობრივი მხარე.

თარგმანისას გამოიყენება როგორც გრამატიკული ტრანსფორმაციები, ასევე ონგვისტურ-სინტაქსური პერიფრაზირება. შვეიცერს კვლევის ყველა შედეგი

მიაჩნია თარგმანის ისეთი ლინგვისტური თეორიის შემუშავების მონახაზად, რომელიც ორიენტირებული იქნება თარგმანის, როგორც კომუნიკაციური პროცესის გაგებაზე.

თარგმანის სახეები ანტიკურ ხანაში

ტექსტის თავისუფალი წაკითხვა, რასაც ინტერპრეტაციას ვუწოდებთ, სათავეს იღებს ანტიკურ ხანაში, კერძოდ, საბერძნეთსა და რომში. დიდი ბერძნული კულტურა (ფილოსოფია, პოეზია, დრამა) რომაელთა განსაკუთრებულ ყურადღებას (ინტერესს) იწვევდა, ამიტომ ერთგვარი შეჯიბრიც მიმდინარეობს ბერძნულსა და რომაულ სამყაროთა შორის. ამის დასტურია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“. რაც შეეხება თარგმანს, ბერძნული კულტურის დიდ მონაპოვარს შეეძლო დიდი სიკეთე მოეტანა რომაელებისთვის. ამიტომ დაიწყო ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურის თარგმნა ლათინურ ენაზე. იმ დროს არსებობდა თარგმანის ორი ტიპი: სიტყვა-სიტყვითი და თავისუფალი (ან როგორც მაშინ მიიჩნევდნენ აზრობრივი თარგმანი). თარგმანის ამოცანების თეორიული ფორმულირება უკვე გვხვდება ციცერონთან, რომელსაც ის კონკრეტულად გამოხატავს ბერძენი ორატორების – ესქინესა და დემოსთენეს სიტყვების თარგმნასთან დაკავშირებით: თარგმანში „მე შევინარჩუნე აზრი და წყობა სიტყვისა, მათი ფიზიონომია; სიტყვების შერჩევის დროს ვხელმძღვანელობსი ლათინური ენის ნორმებით. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების დროს არ მიცდია, სიტყვა გადმომეცა სიტყვით, მე ვცდილობდი აზრის ერთიანობაში გადმოცემას ცალკეული სიტყვის, აზრისა და ძალის შენარჩუნებით. მე ვთვლი, რომ მკითხველი სიზუსტეს მომთხოვს არა ანგარიშით, თვლით, არამედ წონით. ესქინესა და დემოსთენეს სიტყვები ისე ვთარგმნე, რომ ყველა მათი ღირსება გამოჩენილიყო თარგმანში, უფრო სწორად, მათი სიტყვების აზრი, როგორც ფორმით, ისე შინაარსითა და მონაცვლეობით, ხოლო სიტყვები იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მამლევდა ლათინური ენა“.

ეს პირველი პრინციპია ისტორიულად თარგმანის შესახებ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ბიბლიური ტექსტების თარგმანში, კერძოდ, „ძველი აღთქმის“ ბერძნულ თარგმანში, რომელიც შეასრულა სიმეაქემ (II საუკუნე ჩვ.წ-ად-მდე). ბიბლიის გვიანდელი თარგმანი ლათინურ ენაზე ებრაული ენიდან, რომელსაც „ვულგატას“ უწოდებენ, შესრულებულია იერონიმეს მიერ ჩვ. წ-ად. 4 საუკუნეში. იერონიმემ თავის ერთ მიმართვაში თავისი ამოცანა ასე განსაზღვრა: თარგმნა არა სიტყვისა სიტყვით, არამედ მნიშვნელობისა მნიშვნელობით. მთარგმნელის მიზანია წარმოქმნას ტექსტის აზრობრივი შინაარსი ისე, რომ სულაც არ გაუსვას ხაზი ენობრივ საშუალებათა გამომსახველობით როლს.

როგორია იერონიმეს აზრი თარგმანზე? ის ფორმულირებას აძლევს ცნობილ დილემას: სიტყვა-სიტყვით თარგმანს მივყავართ აბსურდამდე. როგორია თვით იერონიმეს მეთოდი? „მე არამარტო ვაცნობიერებ, არამედ ვაცხადებ ყველას გასაგონად, რომ “წმინდა წერილის” თარგმნის პროცესში, სადაც თვით სიტყვების რიგიც კი საიდუმლოა (ღვთის ნაკარნახევი), მე გადმოვცემ არა სიტყვას სიტყვით, არამედ აზრს აზრით. ამ საქმეში დამრიგებლად მყავს ტულპია, რომელმაც თარგმნა

პლატონის „პითაგორა“ და ქსენოფონტე, ასევე ესქინესა და დემოსთენეს ორი შესანიშნავი სიტყვა (სიტყვა ჰქვია ორატორთა თხზულებას). ახლა არ არის დრო გამოვიკვლიოთ, რამდენი მიუმატა მან, ან რამდენი გამოაკლო, ან რამდენი შეცვალა, რომ სხვა ენის თავისებურებები გამოეხატა თავისი ენის თავისებურებებით. იმ ჟანრს, რასაც თქვენ უწოდებთ თარგმანში ზუსტს, განათლებული ხალხი ბუკვალიზმს უწოდებს. იერონიმესთვის განსაკუთრებით მიუღებელი აკვილის თარგმანები იყო, რომელიც სიტყვა-სიტყვით იყო თარგმნილი და ფაქტობრივად „დედნის სიკვდილს“ წარმოადგენდა. იერონიმე არც მთარგმნელის ზედმეტ თავისუფლებას უშვებს, მით უმეტეს, თუ ეს ეხება „წმინდა წერილს“. მისი კრიტიკული შენიშვნები მიმართულია არა მხოლოდ ბუკვალისტ აკვილისადმი, არამედ აზრის გადმოცემაზე ორიენტირებულ სიმაქესაკენ, რომელიც იერონიმეს სიტყვით დაჯილდოებულია ციცირონის რიტორიკული სულით. „ვულგატას“ შემქმნელ იერონიმესთვის მიუღებელია ორი მეთოდის (ბუკვალიზმი, თავისუფალი) მექანიკური შეერთება. ეს კარგად გამოჩნდა იობის წიგნის პროლოგიდან, სადაც ხაზს უსვამს თავის წინამორბედთა სწრაფვას სიტყვის ან აზრის გამოხატვისკენ. იერონიმე ეყრდნობა არა ძველ თარგმანებს, არამედ ორიგინალის წყაროებს, რის შედეგადაც ჭეშმარიტ ჟღერადობას შეიძენს სიტყვაც და მისი აზრიც, ან მათი მთლიანობა. თუმცა მას კარგად ესმოდა, რომ მის თარგმანშიც არის მომენტები, როცა ის ცილდება ტექტს, რის გამოც ხვდება მეცნიერისა და არამეცნიერის კრიტიკის ცეცხლში; მის თარგმანს გამოაცხადებენ ყალბად, რადგან ის შეიცავს ცვლილებებს, დამატებებს. ამდენად, როგორც იერონიმეს, ისე მის პირმშოს „ვულგატას“ ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა, მისი თარგმანი მაშინ აღიარებული ტექსტისაგან დაშორების გამო რამდენამდე ერეტიკულად ითვლებოდა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს იერონიმეს თარგმანი იქცა კათოლიკური ეკლესიის ორთოდოქსალურ ტექსტად. 1546 წელს ტრიდენტის სობორზე (საეკლესიო კრება) იერონიმისეული თარგმანი აღიარეს ღვთისგანშთაგონებულად და დედნის თანატოლად.

თითქმის პარალელურად ლათინურიდან ითარგმნა ბიბლია გოთურ ენაზე. მისი ავტორია ეპისკოპოსი ულფილი. გოთურ თარგმანზეც ისევე სერიოზულად კამათობენ, როგორც ბიბლიის ლათინურ ვერსიაზე, რასაც ცხადყოფს შუა საუკუნეების ერთი ძეგლი, რომელიც ეძღვნება თარგმანის ტექნიკურ ანალიზს ბერძნულ, ლათინურსა და გოთურ ენებზე. ძეგლის შესავალში პოლემიკურ ტონში საუბარია იმათ შესახებ, ვინც აძლევს თავს უფლებას ზედმეტად თავისუფლად თარგმნოს ბიბლიის ტექსტი. ცოტა მოგვიანებით, ევროპულ ენებზე „ახალი აღთქმის“ წიგნების თარგმანებიც გამოჩნდა. ამ დროიდან კათოლიკური ეკლესია ცდილობს, შეინარჩუნოს მონოპოლია „წმინდა წერილების“ განმარტებისა; ერეტიკული აზრის გაჩენის შიში მას აიძულებდა საეკლესიო ენად ეცნო მხოლოდ ლათინური (XI-XIII სს.)

მე-13 ს-ში ერთი სინოდის გადაწყვეტილებით ყველა, ვისაც ჰქონდა ბიბლიის თარგმანი, თუ არ მიუტანდა ეპისკოპოსს დასაწვავად, ცხადდებოდა ერეტიკოსად. რომაელ პაპებს არ ჩამორჩებოდნენ ადგილობრივი ხელისუფალნიც (საეკლესიო). მე-15 ს-ში მაინცკის ეპისკოპოსმა ბერტოლდმა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსცა ედიქტი, სადაც ამტკიცებდა, რომ „გერმანულ ენას არ შეუძლია საკმარისი სინათლით გადმოსცეს ღრმა შინაარსი ლათინური ორიგინალისა“. ცოტა ადრე, მისმა

ინგლისელმა კოლეგამ განაცხადა, რომ ღვთის სიტყვა უაზრობაა იმ ენაზე, რომელიც „ჟღერს როგორც ღორის ჭყვილი და ლომის ღნავილი“. ხოლო ერთ ინგლისელ ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს ჯონ უიკლიფს (XIV ს.), რომელმაც ინგლისში კათოლიკური რეფორმები გაატარა, მოწინააღმდეგეებმა (ორთოდოქსალური ეკლესიის მომხრეებმა) ბრალდებად წაუყენეს: „ამ უვარგისმა, არამზადა კაცმა, წყეულმა ჯონ უიკლიფმა, გველის ნაშიერმა, ნამდვილმა ანტიქრისტემ, გადაწყვიტა ბოროტების ჩადენა და გაიაზრა „წმინდა წერილის“ ახალი თარგმანის შექმნა მშობლიურ ენაზე“. მე-16 ს-ში ხალხს მისცეს ბიბლიის წაკითხვის უფლება. ამასთან დაკავშირებით, კარდინალი გოზი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის იერარქიის პოზიციას გამოხატავდა, ამბობდა, რომ ეს ნიშნავს ხელში ჩაუგდო სიწმინდე ძაღლებს.

IX საუკუნეში ანასტასია ბიბლიოთეკარი რომიდან აკრიტიკებდა ფსევდო დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური შრომების ბუკვალისტურ თარგმანებს და მოითხოვდა, თარგმანში ასახულიყო დედნის სული და აზრი და არა სიტყვა. ის საყვედურობდა იერონიმეს, რომ მან შიშის გამო ვერ შექმნა სწორი თარგმანი და ბერძნულ ფილოსოფიურ აზრს დაუკარგა სიღრმე და სიმაღლე. იერონიმეს თარგმანს მან დაუპირისპირა საკუთარი ვერსია, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ანასტასიას მთარგმნელობითი პრაქტიკა არც თუ ყოველთვის შეესაბამებოდა მის მიერ ფორმულირებულ პრინციპს. მის ლათინურ თარგმანში საკმაოადაა ბუკვალიზმის კვალი, კალკირებაც არა იშვიათია, თავისუფლად თარგმნილი ადგილებიც და უთარგმნელი ფრაზებიც ბევრია.

აღორძინების ხანა გამოირჩევა იმით, რომ ამ დროს ითარგმნა მრავალი ანტიკური პერიოდის ავტორი. ანტიკური ლიტერატურა იყო წყარო იდეისა და წყარო კულტურის აღორძინებისა. მართლია განათლებულ ხალხში ინტერნაციონალური ურთიერთობისთვის მთავარი ლათინური ენაა და თარგმანის ძირითად ენადაც ლათინური რჩება, მაგრამ თარგმანები სრულდება სხვა ენებზეც. იტალიელმა ჰუმანისტმა ბრუნო მე-15 ს-ში ბერძნულიდან ლათინურად თარგმნა არისტოტელე, პლატონი, პლუტარქე, დემოსთენე, ესქილე. ლამბორჯინმა თარგმნა „ილიადა“ და ბერძენი პროზაიკოსები, ერამ როტერდამელმა – ლუკიანეს დიალოგები და ევრიპიდეს ტრაგედიები და სხვა. მაგრამ აღორძინების ხანა მეტად საინტერესოა იმით, რომ ამ დროს ჩამოყალიბდა და განვითარდა ახალი ევროპული ენები. ამიტომ თარგმანს უყურებდნენ როგორც მნიშვნელოვან საშუალებას, რომელსაც შეეძლო სრულყოფა და გაემდიდრებინა ახალი ენები. ბერძნული და ლათინური ენები მაინც რჩებოდნენ ამოსავალ ენებად. სკეპტიკოსი სერვანტესიც კი არ ავრცელებს თავის სკეპტიციზმს ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმანზე, რადგან ეს ენები მისი აზრით „არიან ენათა მეფენი“. ამის საუკეთესო მაგალითია ფრანგი მთარგმნელის ჟაკ ამიოს თარგმანი პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიებისა“, რომელიც მაშინ დიდ მოვლენად იქცა და ათეული წლების განმავლობაში განიხილავდნენ მის ღირსებებს. მონტენი ამტკიცებდა, რომ „ამიო ფლობს ლათინურ ენას ყველა მწერალზე უფრო ღრმად“. ისტორიაში პირველად მოხდა, რომ მთარგმნელის შრომას დაედო უფრო მეტი ფასი, ვიდრე ორიგინალის შემქმნელისას. მონტენმა ბერძნული ენა არ იცოდა და ამიოს თარგმანს აფასებდა როგორც ფრანგული ენის უმნიშვნელოვანეს ფაქტს. სხვათაშორის, ამავე საუკუნეში

გაისმა უცნაური მტკიცება, რომ ენის გამდიდრებისათვის არ კმარა მხოლოდ თარგმანი, საჭიროა ორიგინალური მწერლობის განვითარება. თარგმანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბელე. მან ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის ტრაქტატში „დაცვა და განდიდება ფრანგული ენისა“. ევროპაში ლათინურენოვანი ლიტერატურის პარალელურად იქმნება ნაწარმოებები ევროპელ ხალხთა ენებზეც (პეტრარკას სონეტები იტალიურ ენაზე, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ ფრანგულ ენაზე, ბრანტეს „ბრიყვების ხომალდი“ და სხვა). ითარგმნება არა მარტო ლათინური ენიდან, არამედ ლათინურ ენაზეც. პეტრარკამ თარგმნა ლათინურად ბოკაჩოს ნოველა, რამდენიმე ნაწარმოები ითარგმნა გერმანულიდან ლათინურ ენაზე. მაგრამ კლასიკური ენების ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ზოგი გერმანელი ნიჰილისტურად უყურებდა თავისი მშობლიური ენის შესაძლებლობას, რომელიც თითქოს „მოკლებული იყო ხელოვნებას და სიმართლეს“. ამიტომ მიმართავდნენ თარგმანის აბსოლიტურ ლათინიზირებას. ფონ ვალე ლათინურიდან თარგმნიდა სიტყვა-სიტყვით, რასაც შემდეგი მიზეზით ამართლებდა: „მე მინდა ვიყო სწორად გასაგები, ამიტომ ეს თარგმანები ლათინური ენიდან შევასრულე ბრმად და ყურადღება არ მივაქციე იმას, იქნება თუ არა ის მისაწვდომი უბრალო ადამიანისთვის“. ეს იმიტომ, რომ გერმანული ენა მოკლებულია ლათინურის მომხიბლაობასა და კეთილჟღერადობას. გერმანული თარგმანი ასევე უნდა იყოს კარგი, მომხიბლავი, გერმანული ენით შექმნილი და არა მხოლოდ სურვილით უკეთესი“.

ფონ ვალეს მოღვაწეობა სრულიადაც არ კმაყოფილდებოდა უბრალო ადამიანისთვის გასაგები თარგმანის უგულვებელყოფით. ვალეს მიმდევრების, იოჰან გოტფრიდისა (რომელმაც თარგმნა ციცერონი, არისტოტელე და ლუკიანე) და იოან ზედერესისა (რომელმაც ასევე თარგმნა ციცერონი) თარგმანებში ბუკვალიზმი იმდენად ზედმიწევნითია, რომ გერმანული ტექსტი გაუგებარი ხდება. ასეთივე გაუგებარი იყო ტექსტთან ძალიან ახლოს მდგომი ციცერონისა და დემოსთენეს თხზულებების თარგმანი, რომელიც შეასრულა ბრწყინვალე სტილისტმა რეიხლინმა. თუმცა რეიხლინის თეორიულ შრომაში შავით თეთრზე წერია, რომ ლათინიზმების ბოროტად გამოყენებას მივყავართ გერმანული ენის შერყვნამდე. ცხადია, ასეთ თარგმანებს გერმანიაშიც ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა, რომელებიც ბუკვალისტებს საყვედურობდნენ იმას, რომ ასე თარგმნა იწვევს გერმანული ენის დეფორმირებას, ქმნის გაუგებარს; ეს ყველაფერი კი ხდება ლათინური ენის ხელოვნურად თავსმოხვევით. მათ შორის გამოირჩეოდა ჰენრი შტეინხოველი, ბოკაჩოს ნოველებისა და მისივე ტრაქტატის „ცნობილ ქალთა შესახებ“ მთარგმნელი. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ეზოპეს იგავების თარგმანით. ის კატეგორიულად მოითხოვდა, რომ სიტყვა უნდა ითარგმნოს არა სიტყვით, არამედ აზრით. ამ გზით წავიდა მე-16 ს-ში ფიშარტი, რომელმაც თარგმნა „გარგანტუა და პანტაგრუელი“, შეინარჩუნა რაბლეს ტექსტი, მაგრამ თავისუფალი მანერით გადაამუშავა სიუჟეტი, აავსო ის ჩანართებით, დამატებებით და თარგმანს მისცა გერმანული კოლორიტი. შედეგად მივიღეთ სრული ინტერპრეტაცია, რომელიც ფრანსუა რაბლეს თხზულებასთან მოტივებით იყო მხოლოდ დაკავშირებული.

როცა საკითხი ეხება აღორძინების ხანაში თარგმანზე თეორიულ შეხედულებებს პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ა. ბრუნის ტრაქტატი „სწორი

თარგმანის შესახებ“. ავტორს თარგმანში წარმატების საწინდრად მიაჩნია დედნისა და თარგმანის ენათა კარგი ცოდნა, თუმცა ყოველთვის ეს საკმარისი არ არის, მან იმდენად კარგად უნდა იცოდეს ორივე ენა, რომ ბატონობდეს მასზე. თარგმანი უნდა იყოს ორიგინალის სტილისტური ფარდი. ამისათვის საჭიროა ბეჯითად გადმოსცე თარგმანში დედნის ფორმის თავისებურებანი, მისი წყობა და სტრუქტურა, შეფერილობა. საუკეთესო თარგმანი ისაა, რომელშიც შენახულია ორიგინალის იერი და დედნის შინაარსი. ამ მხრივ დიდად საინტერესოა როგორც თეორეტიკოს ეტიენ დილეს – ფრანგი ფილოსოფოსის, მთარგმნელისა და პოეტის შეხედულებები. მან თავის წიგნში „ფრანგი ორატორი“ რამდენიმე თავი დაუთმო თარგმანის საკითხებს. მისი პრინციპები რამდენიმე მუხლად შეიძლება ჩამოვაცალიბოთ: 1. მთარგმნელი უნდა ფლობდეს ორივე ენას კარგად; 2. მთარგმნელმა სრულად უნდა გაიგოს ის ტექსტი, რომელსაც თარგმნის; 3. თუ ის თარგმნის უფრო განვითარებული ენიდან ნაკლებ განვითარებულ ენაზე, სულ უნდა ცდილობდეს განავითაროს და გაამდიდროს თავისი მშობლიური ენა; 4. მთარგმნელმა არ უნდა დაივიწყოს სათარგმნი ტექსტის სინარჩარე და ჰარმონიულობა, რადგან თარგმანმა მკითხველს უნდა განაცდევინოს სიხარული როგორც სულიერად, ასევე სმენითაც. აქ საინტერესოა ის, რომ სერიოზიულად გაჟღერდა აზრი იმის შესახებ, რომ მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ორივე ენა. ასევე საინტერესოა ის აზრი, რომ მთარგმნელი უნდა ეცადოს გაამდიდროს და განავითაროს თავისი მშობლიური ენა ორიგინალის შეწევნით. ამით დილემ ფართოდ გაუხსნა გზა მთარგმნელს „გაასწორონ და გააუკეთესონ“ ორიგინალის ტექსტი თარგმანში. დილესა და ამიოს აზრების გვიანდელ კომენტარებში იპოვით ორივე მთარგმნელთან ე.წ. ექსპლიკაციური თარგმანის ტექსტს ყოველნაირი განმარტებით, უარის თქმით „არასაჭირო წვრილმანებზე“, ჩანართებს, შესწორებებსა და დამატებებს. ყველაფერი ეს გაიგება არა მთარგმნელის სუბიექტივიზმად, არამედ მიეწერება დედნის შემქმნელს.

რეფორმაციის პერიოდში ბიბლიის მთარგმნელთა შორის ყველაზე გამოჩენილი ფიგურა მარტინ ლუთერი იყო, გერმანელი რეფორმაციის მამამთავარი, რომელმაც თითქმის საუკუნის მეოთხედი მიუძღვნა ამ საქმეს. ლუთერის მთავარი ამოცანა იყო შეექმნა „წმინდა წერილის“ ისეთი ვერსია მშობლიურ ენაზე, რომელიც ერთი მხრივ თავისუფალი იქნებოდა შეცდომებისა და დამახინჯებებისაგან, მეორე მხრივ – გასაგები იქნებოდა მასისათვის. მაგრამ, პირველ რიგში, აუცილებელი იყო განსაზღვრა, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა მას ყველაზე უფრო ავტორიტეტული თარგმანის, იერონიმეს ლათინური „ვულგატას“ მიმართ. ლუთერის აზრი ასეთი იყო. იერონიმემ იმდენი გააკეთა. რამდენიც არ შეეძლო გაეკეთებინა არცერთ სხვა პიროვნებას. ლუთერი თავის თავს ამსგავსებდა იერონიმეს, რომლის უფროსი (ზედამხედველი) თარგმანის პროცესში მთელი სამყარო იყო, თუმცა კრიტიკოსები, რომლებიც ცინიკურად უგულვებელყოფდნენ მის შრომას, მისი ტუფლის გაწმენდის ღირსიც არ იყვნენ. მეორე მხრივ, ლუთერის მწვავე კრიტიკული შენიშვნები „ვულგატას“ ავტორის მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ იერონიმემ, მიუხედავად მისი კოლოსალური შრომისა, ვერ შექმნა ბიბლიის თარგმანი, რომელიც წაიკითხებოდა სირთულისა და ჩავარდნების გარეშე, როგორც იკითხებოდა თვით ლუთერის ბიბლიის თარგმანი, გამოქვეყნებული ვიტენბერგში.

ამან მისცა საბაზი ცნობილ რუს მეცნიერს – გოლენისჩევ-კუტუზოვს ეთქვა: „ლუთერს სძულდა იერონიმე, თუმცა ფართოდ სარგებლობდა „ვულგატას“ მამის თარგმანიდან“. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ეს კრიტიკა მიმართული იყო იერონიმეს ორიენტაციის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა განათლებული „მაღალი ფენის“ შეხედულებებს, რასაც საუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა. გერმანელი რეფორმატორი ღრმად ვერ აცნობიერებდა, რაოდენ განსხვავებული იყო იერონიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის წინაპირობები, ლუთერის მოღვაწეობის წინაპირობებთან შედარებით. იერონიმესგან განსხვავებით, ლუთერს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაყრდნობოდა წინამორბედთა მიერ შემუშავებულ ენობრივ კულტურას თარგმანის დროს. ლუთერმა თვით შექმნა სათარგმნელად ლიტერატურული ენა, რომლის ძირი იყო მისი თანამედროვე გერმანული სასაუბრო ენა. თავისი თეორიული შეხედულებები თარგმანზე ლუთერმა სრულად გამოხატა სპეციალურ „მიმართვაში თარგმანის შესახებ“, სადაც აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტების მტრები ცდილობენ ის დაადანაშაულონ ტექსტის შეცვლასა და დამახინჯებაში იმ მიზეზით, რომ ზოს ადგილას მისი თარგმანი შორდება ორიგინალისა და „ვულგატას“ ტექსტს. ლუთერი მათ წინააღმდეგ წამოაყენებს თავის ცნობილ თეზისს, რომლის მიხედვითაც ლათინური ასოები (Буквы) ხელს უშლიან სწორად ითქვას გერმანულადო. ეს ვირები (ასე უწოდებს კრიტიკოსებს) ვერ ხვდებიან, რომ ეს თარგმანი არის ხალხის ფართო მასისათვის შექმნილი, გასაგებად და მისაღებად. ლუთერის მიმართვაში დიდი ადგილი ეთმობა თარგმნის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს. ზოგჯერ სამი-ოთხი კვირა გრძელდებოდა საჭირო სიტყვების ძებნა და ამას ყოველთვის არ ჰქონდა დამაკმაყოფილებელი რეზულტატი. მისი აზრით, თარგმანის ხელოვნებას ჰირდება „პატიოსანი, ღვთისმოსავი, ერთგული, ბეჯითი, ღვთისმოშიში გული“. ლუთერის თარგმანის პოპულარობა ჭეშმარიტად სახალხო იყო. მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგეების, კათოლიკე ღვთისმეტყველების აღიარებით, მეწაღეები, ქალები და სხვა გაუნათლებელი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ცოტა ხნის წინ ისწავლეს წერა-კითხვა, ამ წიგნს დიდი ხალხისთა კითხულობდნენ, თითქოს ეს იყო უმაღლესი სიბრძნის წყარო“. ლუთერის მომხრეები თან დაატარებდნენ წიგნს, მას ზეპირად სწავლობდნენ და რამდენიმე თვეში ისე ითვისებდნენ დოგმებს, რომ ბედავდნენ კამათს რწმენის საკითხებზე არა მხოლოდ კათოლიკებთან, არამედ ბერებთან, მღვდლებთან და წარმოიდგინეთ მაგისტრებთან და დოქტორებთან“.

ლუთერმა, ერთი ჭკვიანი მოაზროვნის თქმით, ბიბლიის თარგმანით პლემურ მოძრაობას ხელში მისცა მძლავრი იარაღი. სხვათა აზრით, ლუთერმა გაასუფთავა ავგიას თავლა (საჯინბო) არა მარტო ეკლესიაში, არამედ გერმანულ ენაშიც. ლუთერი მოწინააღმდეგეებთან პოლემიკის დროს არც თუ სარკაზმის გარეშე აღნიშნავდა, რომ ისინი სწავლობენ და წერენ გერმანულად მისი თარგმანის მიხედვით, თუმცა მადლობას არავენ ეუბნება ამისათვის მის შემქმნელს. რეფორმაციის პერიოდის ბიბლიის თარგმანებიდან აღსანიშნავია ინგლისური თარგმანი, რომელზეც მეცნიერთა რამდენიმე თაობა მუშაობდა. თარგმამა საბოლოო სახე 1611 წელს მიიღო და ისტორიაში შევიდა როგორც „ბიბლია მეფე იოხისა“. მის შექმნაში დიდი ღვაწლი ჰქონდა უილიამ ტინდეილს, რომელმაც მისი შექმნისათვის ბრძოლას შეაღია სიცოცხლე. ერთხანს იგი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო, მაგრამ

ბოლოს შეიპყრეს და 1636 წელს ანტფერბენთან ახლოს სიკვდილით დასაჯეს. ჯონ უიკლიფის თარგმანისაგან განსხვავებით ტინდეილმა თავისი თარგმანი განახორციელა ლუთერის მსგავსად არა ლათინური „ვულგატადან“, არამედ უშუალოდ ებრაულ-ბერძნული წყაროებიდან.

როგორც ვხედავთ, რეფორმაციის პერიოდში ჭეშმარიტად დიდი ღვაწლი იქნა შეტანილი თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. სწორედ ამ პერიოდში წამოაყენეს პრინციპული აზრი იმის თაობაზე, რომ უცხო ენაზე შექმნილი ნაწარმოების თარგმნა შეუძლებელია.

ცოტა მოგვიანებით, მაგრამ საშუალო საუკუნეთა ფარგლებში, როჯერ ბეკონი (XIII ს.) წამოაყენებს მოთხოვნას უცხოენოვან დედნებთან სერიოზული დამოკიდებულებისა, რაც უნდა დაფუძნებოდა ენების ცოდნასა და მეცნიერებას. მისი აზრით, ასეთი დამოკიდებულება საშუალებას მოგვცემს სწორად გადმოვცეთ სათარგმნი ტექსტის შინაარსი. ბეკონი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა დამახინჯებას, რასაც ადგილი ჰქონდა არისტოტელეს ნაწარმოებთა თარგმნისას. აქ ცხადია, საუბარია არისტოტელეს ფილოსოფიური შრომების არასწორ ინტერპრეტაციაზე, რაც თავისთავად ძალიან დიდი ცოდვაა, თავი რომ დავანებოთ ასეთი დიდი ფილოსოფოსისადმი უპატივცემულობას.

აღორძინების ხანაში პირველად ჩნდება ეჭვი, არის თუ არა პოეზიის თარგმნა შესაძლებელი. დანტე ალიგიერი ტრაქტატ „ნადიმში“ ამტკიცებს რომ ლექსის ჰარმონიული და მუსიკალური თავისებურებების გადატანა ერთი ენიდან მეორეზე შეუძლებელია ჰარმონიისა და პოეტური მშვენიერების დარღვევის გარეშე. სკეპტიციზმი თარგმანის შესაძლებლობის თაობაზე მომდევნო ეტაპზე უფრო გამწვავდა. დიდმა ესპანელმა დონ კიხოტს ათქმევინა: „მე მგონია, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა (ოღონდ არა ბერძნული და ლათინური ენიდან – ამ ყველა ენათა მეფეთაგან) იმას გავს, კაცმა უცქიროს გადმოზრუნებულ ფლამანდრიულ ხალიჩას, რომელზეც, მართალია, ჩანს სურათები და ფიგურები, მაგრამ ისინი გაბუნდოვანებულები არიან და დაბლანდული ძაფებით დაფარული აქვთ ნაპირის მთელი ფერადოვნება და სისალუქე“. აღორძინების ხანაში თარგმანის მნიშვნელობა საზოგადოდ ძალიან გაიზარდა. ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებამ გამოიწვია ანტიკური ძეგლების თარგმნა და მრავალი პრობლემის თეორიული თვალსაზრისით დაყენება. ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის შესწავლა ხელს უწყობდა ასკეტურ-სქოლასტიკური მსოფლმხედველობის დაძლევას. ამან გააფართოვა ძველი ბერძნული და ლათინური ენებისადმი ფართო ინტერესი. შემუშავდა კრიტიკული დამოკიდებულება ძველ თარგმანებზე, გამწვავდა აზრთა ჭიდილი სიტყვა-სიტყვითი და აზრობრივი ერთგულების გამომხატველთა შორის. XV ს-ში შტეინხოვლი (გერმანია) თარგმნის ეზოპესა და ბოკაჩოს გერმანული სალიტერატუო ნორმების მიხედვით. XVI ს-ში იოახიმ ბელემ, ცნობილმა პოეტმა, ოვიდიუსის მთარგმნელმა ტრაქტატში „დაცვა და განდიდება ფრანგული ენისა“ აღნიშნა, რომ ფრანგულ ენას შეუძლია გადმოსცეს ყველაფერი, რაც კი სხვა ენაზე შექმნილა. თარგმანმა ინგლისურ პოეზიაშიც შეუწყო ხელი ახალი ფორმების შექმნას. მე-16 ს-ში პოეტმა უაიეტმა გადმოიტანა ინგლისურად პეტრარკას სონეტის ფორმა. მისმა უმცროსმა თანამედროვე სარეიმ შექმნა ინგლისური სონეტის ფორმა, რომელიც შემდგომ შექსპირმა გამოიყენა თავის

სახელგანთქმულ სონეტებში. სარეიმ თეთრი ლექსით თარგმნა ვერგილიუსის „ენეიდას“ ნაწყვეტი. ეს ფორმა იქცა აღორძინების ხანის ინგლისური დრამის ძირითად იარაღად. თეთრი ლექსის ფორმა გამოიყენეს და განავითარეს თავის დრამებში მარლომ და შექსპირმა. ინგლისური დრამის აღორძინებას საფუძველი დაუდო ლათინური დრამის თარგმანებმა, კერძოდ, რომაელი ავტორების: პლავტუსის, ტერენციუსისა და სენეკას თხზულებათა თარგმანებმა. მაგრამ თარგმნა მალე შეცვალა მიზანძვამ და გადმოკეთებამ, რისი ნაკვალევიც ჩანს შექსპირის გენიალურ დრამებში („შეცდომათა კომედია“). აქ თარგმანის განსაკუთრებულ როლს ცხადყოფს მისი ზემოქმედება ორიგინალური დრამის აღორძინებაზე. ასე რომ, ინტერპრეტაციას ზოგჯერ შეუძლია ფერმენტის როლი შეასრულოს ლიტერატურულ პროცესში.

სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გააფთრებული წინააღმდეგი იყო მარტინ ლუთერი. მან მიმართვაში ხელოვნების შესახებ მოითხოვა ხალხური ენის რესურსების გამოყენება თარგმანში; ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა ორიგინალის სწორად თარგმნა. ეს პრინციპი ლუთერმა პრაქტიკულად განახორციელა თავის ცნობილ თარგმანში „ბიბლიისა“ გერმანულ ენაზე. გასაოცარი იყო ლუთერის სიმამაცე. მან ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან ფართოდ გამოიყენა ნაირნაირი ელემენტები, რაც შემდგომ გერმანული ენის განვითარების საფუძველად იქცა. მე-18 საუკუნე განსაკუთრებულ ეპოქას ქმნის მხატვრულ თარგმანში. ესაა ფრანგული კლასიციზმის ეპოქა. თარგმანი გაბატონებულ პოზიციას იჭერს ლიტერატურაში. თარგმანი კლასიციზმის ეპოქაში უპასუხებდა კლასიციზმის ნორმებს, ფრანგი მწერალი-მთარგმნელები ესწრაფოდნენ დაემორჩილებინათ სხვათა ლიტერატურა თავისი კანონებისა და ენისათვის „კარგ გემოვნებაზე“, მხატვრულ იდეებზე. „კარგი გემოვნების“ მოთხოვნას ესთეტიკურ იდეალზე კლასიციზტების წარმოდგენისათვის უნდა ეპასუხა. აქ ერთიანდებოდა როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ისე თარგმანი, რომელიც დიდ ცვლილებას განიცდიდა, რაც საეროდ დამახასიათებელი ჩანს კლასიციზმისათვის. ამან ფართო გავრცელება ჰპოვა ევროპულ ქვეყნებში და გრძელდებოდა XIX ს-ის დასაწყისამდე. ამასთან დაკავშირებით პუშკინი წერს: „დიდი ხნის მანძილზე ფრანგები უგულვებელყოფდნენ თავიანთი მეზობლების სიტყვიერებას, დარწმუნებულნი თავიანთ უპირატესობაში მთელ მსოფლიოზე. ისინი აფასებდნენ არაფრანგ მწერლებს ფრანგი კრიტიკოსების მიერ დადგენილი წესებისა და საზომების მიხედვით. ვერ ნახავდით მაშინ ვერცერთ თარგმნილი წიგნის წინასიტყვაობას, სადაც არ იქნებოდა აუცილებელი ფრაზა: „ჩვენ ვფიქრობთ დავარწმუნოთ საზოგადოება და ამასთან ერთად სამსახური გავუწიოთ ჩვენს ავტორს იმით, რომ ვიღებთ მისი ნაწარმოებიდან ადგილებს, რომელთაც შეუძლიათ შეურაცხყონ განათლებული გემოვნება ფრანგი მკითხველისა“.

ორიგინალისადმი ასეთი დამოკიდებულების დროს დედნიდან ბეჯითად შლიდნენ ეროვნულ-ისტორიულსა და ინდივიდუალურ შტრიხებს. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით ბევრს კარგავდნენ ის ნაწარმოებები, სადაც ეს შტრიხები ძალიან მკვეთრად იყო გამოხატული. იმ ავტორთა შორის, რომელთაც ფრანგები უღმერთოდ ამახინჯებდნენ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ შექსპირი, რომლის ხელოვნება ისე აშინებდა ფრანგებს, რომ ისეთი მოაზროვნე, როგორცაა ვოლტერი, შიშით ლაპარაკობდა შექსპირის „ველურ, ბარბაროსულ

გენიაზე“. ფრანგულ თარგმანებში ამახინჯებდნენ შექსპირის ტრაგედიების სტრუქტურას, კომპოზიციას, ზოგჯერ კი სიუჟეტებსაც სავსებით ცვლიდნენ.

სერვანტესის „დონ კიხოტის“ ფრანგმა მთარგმნელმა პირდაპირ განაცხადა დედნისადმი მონური ერთგულება მანკიერებააო, ამიტომ ცუდი გემოვნების გამომხატველი ადგილები გამეფებული უნდა იქნას თარგმანიდანო. მისი აზრით, ყველაზე სასიამოვნო თარგმანი ყველაზე ზუსტიც არისო. ამ აზრს ჩაჭიდებული შეუბრალებლად იღებდა თარგმანიდან „ცუდი გემოვნების შტრიხებს“. თავისი დროის თარგმანის პროგრესული თეორეტიკოსი ტაიტლერი არ იყო წინააღმდეგი დედანთან თავისუფალი დამოკიდებულებისა, გაკობტავებისა, თუმცა ითხოვდა ორიგინალისადმი ერთგულებასაც. ის დიდად აფასებდა ჰოუპისეულ თარგმანს ჰომეროსის პოემისა (ილიადა), რომელზეც ჩვენ წინა ლექციებზე გვქონდა საუბარი როგორც თარგმანზე, რომელშიც დედანი მთარგმნელის მანერის გამოხატულებად იქცა. ამ დროს თარგმანი შეცვალა მიბაძვამ და გადაკეთებამ, რაც ზოგის აზრით, წარმოადგენდა გაუკეთესებას „არასრულყოფილი დედნისა“ და მის მიახლოებას ესთეტიკურ იდეალთან.

XIX საუკუნის საფრანგეთში მივიღეთ წინასაუკუნეებისაგან სრულიად განსხვავებული თარგმანი. გ. ლეტურნერი არც თუ ჭკვიანად მოიქცა, როცა თავის მანერაზე გადააწყო ჰამლეტი, რომეო, ლირი. მთარგმნელისაგან ამ დროს მოითხოვდნენ მეტ ერთგულებას. საზოგადოებამ უნდა დაინახოს „დანტეც, შექსპირიც და სერვანტესიც ეროვნულ ხალხურ სამოსში, საკუთარი ლაბადით“. ახლა კი ფრანგი ავტორი თარგმნის მილტონს სიყვა-სიტყვით, რაც წინა პერიოდთან შედარებით გაუგონარი ამბავია და აღიარებს, რომ ბწკარედული თარგმანი იქნებოდა მისი ხელოვნების უმაღლესი გამოხატულება, ეს რომ შესაძლებელი იყოს.

თარგმანმცოდნეობის ისტორიიდან

XX საუკუნის მეორე ნახევრამდე დასავლური თარგმანის თეორია ჩაკეტილი იყო სისტემაში, რომელსაც გეორგ შტაინერი უწოდებდა "სტერილურ დებატს ტრიადის შესახებ: სალიტერატურო, თავისუფალი და ზუსტი თარგმანი". განსხვავება სიტყვასიტყვით (სალიტერატურო) და მნიშვნელობის (ანუ თავისუფალ) თარგმანს შორის ციცერონისა და წმინდა იერონიმეს ნაწერებიდან იღებს სათავეს.

ნაშრომში De optimo genere oratorum, ციცერონი ატიკელი ორატორების - ესქინესა და დემოსთენეს საკუთარ თარგმანებზე დაყრდნობით, წერდა:

"მე მათ ვთარგმნიდი არა როგორც თარჯიმანი, არამედ როგორც ორატორი, ვინარჩუნებდი აზრსა და ფორმას, ან, როგორც იტყვიან, აზროვნების "ფიგურებს", მაგრამ გადმოვცემდი მათ ჩვენთვის მისაღები ენით. ამგვარი მოქმედებით მე არ მქონდა სიტყვასიტყვით გადმოტანის საჭიროება, თუმცა შევინარჩუნე საერთო სტილი და ენის მნიშვნელობა".

"თარგმანში" ციცერონი გულისხმობდა სალიტერატურო (სიტყვასიტყვით) თარგმანს, ხოლო "ორატორი" კი ცდილობდა წარმოედგინა ტექსტი ისე, რომ მსმენელნი დაეინტერესებინა. რომაელების ხანაში სიტყვასიტყვით თარგმნა გულისხმობდა დედნის ტექსტის თითოეული სიტყვის (ძირითადად ბერძნულის) უახლოესი ლათინური გრამატიკული ეკვივალენტით ჩანაცვლებას. ეს იმით

აიხსნებოდა, რომ რომაელები ორიგინალ ტექსტს, ბერძნულ ტექსტებთან ერთად, მათ გვერდიგვერდ კითხულობდნენ.

ციცერონისა და ჰორაციუსის მიერ სიტყვასიტყვითი თარგმანისადმი ზერეულე დამოკიდებულება, ხაზს უსვამს თარგმნის შედეგად ესთეტიკური და კრეატიული ტექსტის მიღების მიზნობრიობას; ამ მიდგომამ მომდევნო საუკუნეების მთარგმნელებზე დიდი ზეგავლენა იქონია. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მთარგმნელი წმინდა იერონიმე იმოწმებს ციცერონის ავტორიტეტს ქრისტიანული ბიბლიის საკუთარი ლათინური თარგმანის შესაფასებლად, რომელიც რომის ეპისკოპოსის, დამასის მიერ იყო დავალებული. მან მოახდინა უკვე არსებული ლათინური ტექსტის რევიზია და შეასწორა ახალი აღთქმის ადრეული თარგმანები. სამუშაო პროცესში მთარგმნელმა გადაწყვიტა დაბრუნებოდა ებრაულ ენას, რაც საპირისპირო საქციელი იყო იმისგან, რომელსაც სხვა მთარგმნელები მიმართავდნენ. მისი მთარგმნელობითი სტრატეგია ჩამოყალიბებულია წერილში *De optimo genere interpretandi*, რომელიც მან მისწერა მეგობარს, სენატორ პამაქიუსს, 395 წელს:

"ახლა მე არა მხოლოდ ვაღიარებ, არამედ სრული თავისუფლებით ვაცხადებ, რომ ბერძნული ენიდან თარგმნის პროცესში - გარდა, ცხადია, წმინდა წერილის შემთხვევისა, რომლის სინტაქსიც კი საიდუმლოებას ატარებს - მე ვემხრობი არა სიტყვასიტყვით, არამედ მნიშვნელობის თარგმნის ხერხს".

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს სიტყვები არასწორად არის გაგებული, წმინდა იერონიმეს სიტყვებმა დასაბამი მისცა სალიტერატურო (სიტყვასიტყვითი) და თავისუფალი (მნიშვნელობის) თარგმანის ცნებებს. სიტყვასიტყვით მიდგომას წმინდა იერონიმე უარყოფდა, რადგან ორიგინალი ტექსტის ფორმის ზუსტი გადმოცემა აბსურდულ თარგმანს იძლეოდა და მის შინაარსს კარგავდა. თავის მხრივ, თავისუფალი მიდგომა საშუალებას იძლეოდა ორიგინალი ტექსტის შინაარსი ყოფილიყო გადმოცემული. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ჩვენს დრომდე მოღწეული დებატები სალიტერატურო და თავისუფალ, ან ფორმისა და შინაარსის თარგმანს შორის.

მართალია, წმინდა იერონიმეს ეს დებულება სალიტერატურო და თავისუფალი თარგმანის პირველ განმასხვავებლად ითვლება, მაგრამ იგივე იდეები შეინიშნება არაბული და ჩინური სამყაროს მდიდარ მთარგმნელობით ტრადიციებში. მაგალითად, ჰანგი და პოლარდი იყენებენ მსგავს ტერმინებს, როდესაც საუბრობენ სანსკრიტული ენიდან ბუდისტური სუტრების ჩინური თარგმანების შესახებ.

სუტრას თარგმანები ნოყიერი ნიადაგია მთარგმნელობითი მიდგომების განხილვისთვის. კერძოდ, თარგმანები, რომლებიც შესრულებულია პირველ ფაზაში [აღმოსავლეთ (Han) დინასტია და სამი სამეფოს პერიოდი], იყო სიტყვასიტყვითი და ორიგინალი ენის სინტაქსის შესაბამისი. ეს, სავარაუდოდ, განპირობებული იყო არა მხოლოდ მთარგმნელთა ორენოვანი უნარების არარსებობით, არამედ უფრო რწმენით, რომ წმინდა საგანმანათლებლო სიტყვები არ უნდა შეცვლილიყო. თარგმნის დროს მეტად თავისუფლად გამოიყენებოდა ტრანსლიტერაცია, რის შედეგადაც თეოლოგიური განათლების არმქონე პირთათვის თარგმანი ძნელი გასაგები იყო. მეორე ფაზა (Tang დინასტია და ჩრდილოეთისა და სამხრეთის დინასტიები) ავლენს იმისკენ მიდრეკილებას, რასაც მრავალი თანამედროვე ჩინელი მეცნიერი უწოდებს *yiyi* (თავისუფალი თარგმანი). სინტაქსური ინვერსიები

შესწორდა სამიზნე ენასთან შესაბამისობაში და თარგმნილი ტექსტი დაიხვეწა სალიტერატურო ესთეტიკის მინიჭების მიზნით. ფუმარაჯივა ითვლება ამ მიდგომის პიონერად. ზოგიერთ შემთხვევაში თარგმნილი ტექსტების დახვეწის პროცესი შორს წავიდა, რამაც დებატები გამოიწვია ორიგინალის გზავნილის შინაარსის ცვლილების თაობაზე. მესამე ფაზაში (Sui დინასტია, Tang დინასტია, და ჩრდილოეთის Song დინასტია) გამოიკვეთა Xuan Zang ფიგურა, რომელიც ჩინებულად ფლობდა სანსკრიტსა...და ჩინურ ენებს, და, რომლის თანახმად, ყურადღება უნდა მიქცეოდა ორიგინალი ტექსტის სტილს: სალიტერატურო დამუშავება არ უნდა შეხებოდა მარტივ და უბრალო ორიგინალურ ტექსტებს. მან ასევე ჩამოაყალიბა თარგმნის წესები, რამაც დიდი გავრცელება პოვა.

ტრადიციულად, თარგმნილი ტექსტებს წინ უძღოდა ხერხები, რომლის მიხედვითაც ისინი იყო შესრულებული. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეთოდი იყო რელიგიური ლიდერის Dao'an- ის მიერ შემუშავებული "სუტრათა თარგმნის პროგრამა", მე-4 საუკუნეში ეს წინასიტყვაობები განიხილავდა იმ სირთულეებს, რომლებიც ბუდისტ-თარგმნებს ხვდებოდათ: თუ რა იყო აუცილებელი მათ დასაძლევად - თავისუფალი, შესწორებული და შემოკლებული ვერსიების შექმნა, რომლებიც ჩინელ მკითხველზე იქნებოდა მორგებული, თუ ზუსტი, სალიტერატურო, გამეორებადი და, მაშასადამე, მწიგნობრულად წასაკითხი თარგმანი. Dao'an- ის მიერ განხორციელებულ იქნა ახალ ტექსტთა თარგმნის რეგულაციის მცდელობა. Prajñaparamita თარგმანის შესავალში ჩამოთვლის ხუთ ელემენტს, სადაც დევიაცია იყო მისაღები (სანსკრიტის სინტაქსის მოქნილობა, დედნის ლიტერატურულობის გაძლიერება, არგუმენტაციის დროს გამეორებების გამოტოვება, ასევე შესავლებსა და შეჯამებებში), და სამ ფაქტორს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ: გზავნილის მიმართვა ახალი აუდიტორიისკენ, ორიგინალის ტექსტის სიტყვების სიწმინდე და ორიგინალი ტექსტების, როგორც უამრავი მიმდევრის კუმულაციური ნაშრომის განსაკუთრებული სტატუსი). ამ პუნქტებმა გავლენა იქონიეს ცნობილი ირანელი მთარგმნელისა და კომენტატორის კუმარაჯივას ნაშრომებზე და ასევე მის მიმდევრებზე მე-6 საუკუნემდე.

უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა დასავლეთის აუდიტორიის ინტერესი ჩინური კულტურის ნიმუშების თარგმნის მიმართ, რამაც გარკვეული თეორიული ნიმუშები გამოკვეთა. მაგალითად, სუტრას გადმოტანის შესახებ I-VIII საუკუნეებში, ევა ჰანგი მიუთითებს ისეთი ცნებების სირთულეზეც კი, როგორცაა "ორიგინალი ტექსტი" და "დედნის ენა", რადგან ეს სწავლებები თავდაპირველად ზეპირსიტყვიერად გადაიცემოდა, რაც ორიგინალი ტექსტების სხვადასხვა ვარიანტებს ეყრდნობოდა; გარდა ამისა, არსებობდა "ნახევარი დიუჟინი ან მეტი" ცენტრალურაზიური დედნის ენები, რომლებსაც იყენებდნენ მანამ, სანამ სანსკრიტი დაიშვიდრებდა დომინანტურ პოზიციას. მრავალ შემთხვევაში სანსკრიტული ვერსია დაკარგულია, მაგრამ შემონახულია ჩინური, რის გამოც ეს უკანასკნელი "გახდა" ორიგინალი ენა. გარდა ამისა, თარგმნილი ტექსტები ხშირად კოლაბორაციის შედეგი იყო, შავი ვარიანტი ზეპირად იქმნებოდა ორენოვანი მთარგმნელის მიერ და შემდეგ მას ასისტენტი იწერდა. ამის შედეგად, თარგმანში ჩნდებოდა მთარგმნელის მიერ გაკეთებული ახსნებიც. Chan Leo Tak-hung საუბრობს

ჩინური ტერმინების ინგლისური შესატყვისების შესახებ, როგორცაა yiyi, რომელიც უნდა ითარგმნოს როგორც მნიშვნელობის, ან სემანტიკური შესატყვისობის თარგმანი; ამ სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვაა zhiyi, რომელიც ითარგმნება როგორც პირდაპირი თარგმანი.

"სალიტერატურო" და "თავისუფალი" თარგმანის ტერმინები თავს იჩენს მდიდარ არაბულ მთარგმნელობით ტრადიციაშიც. ბაღდადში არსებობდა ცნობილი მთარგმნელობითი ცენტრი. მთარგმნელობითი აქტივობა მეტად მაღალი იყო აბასიდურ პერიოდში (750-1250), როდესაც არაბულ ენაზე ბერძნულიდან ითარგმნებოდა სამეცნიერო და ფილოსოფიური ტექსტები, რომელთა შუალედური ენაც ხშირად სირიული იყო. ბეიკერი აღწერს იმ პერიოდში გავრცელებულ ორ მთარგმნელობით ხერხს:

პირველი მეთოდი დაკავშირებულია იბნ ალ-ბატრიკისა (Ibn al-Batriq) და იბნ ნაჰიმა ალ-ჰიმიის (Ibn Nahima al-Himsi) სახელებთან და მაღალლიტერატურულია. თითოეული ბერძნული სიტყვა ჩანაცვლებულია შესატყვისი არაბულით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, არაბულ ენაში ბერძნული სიტყვაა ნასესხები.

ბეიკერის თანახმად, სალიტერატურო თარგმანის მეთოდმა არ გაამართლა და საჭირო გახდა მისი რევიზია მეორე, მნიშვნელობითი თარგმანის ხერხის გამოყენებით.

მეორე მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია იბნ ისჰაკის (Ibn Ishaq) და ალ-ჯავაჰარის (Al-Jawahari) სახელებთან, გულისხმობს მნიშვნელობის თარგმნას, როდესაც იქმნება შინაარსის შემნახველი ახალი ტექსტები სამიზნე ენის გაუკუღმართების გარეშე.

მართინ ლუთერი. წმინდა იერონიმეს მოღვაწეობიდან მრავალი საუკუნის შემდეგ დასავლურ საზოგადოებაში თავისუფალი და სალიტერატურო თარგმანის ცნებები კვლავ აქტუალური გახდა ბიბლიისა და სხვა რელიგიური თუ ფილოსოფიური თარგმანების შესრულების დროს. ცხადია, ყველა შემთხვევა ამგვარად მკაცრად ორად არ გაიყოფოდა. მაგალითად, იტალიელი ჰუმანისტი ლეონარდო ბრუნი, რომელიც კლასიკოსი ავტორების ფილოსოფიურ ტექსტებს თარგმნიდა, სავალდებულოდ თვლიდა დედნის ავტორის სტილის დაცვას, რომელსაც სიტყვების თანმიმდევრობისა და რითმის ამაღლამად მიიჩნევდა, და, ამავე დროს, ორიგინალს "ხვეწდა". ლ. ბრუნის აზრით, ეს იყო თარგმანის შესრულების ერთადერთი სწორი გზა. მსგავსი სტილისტური მოთხოვნები შეიძლება ყოფილიყო მიღწეული მთარგმნელის ცოდნისა და ლიტერატურულობის საფუძველზე, რომელსაც ჩინებულად უნდა სცოდნოდა ორიგინალის ენა და ჰქონოდა მშობლიურ ენაზე გარკვეული სალიტერატურო ჩვევები.

რადგან ბიბლიაზე ზრუნვა რომაული კათოლიკური ეკლესიის ფუნქციად იყო მიჩნეული, ამიტომ მასში არსებული ინფორმაცია დაცული უნდა ყოფილიყო. ნებისმიერი თარგმანი, რომელიც ეკლესიის მიერ აღიარებულ ინტერპრეტაციას ცდებოდა, ცხადდებოდა ერეტიკულად და ექვემდებარებოდა ცენზურას ან აკრძალვას. ამის ნათელი მაგალითებია ინგლისური თეოლოგი მთარგმნელის უილიამ ტინდალისა და ფრანგი ჰუმანისტის ეტიენ დოლეს თარგმანები. უ. ტინდალი, მნიშვნელოვანი ლინგვისტი, რომელიც გადმოცემით ათ ენას ფლობდა (მათ შორის, ებრაულს), და რომლის ინგლისური ბიბლიაც მოგვიანებით

საფუძვლად დაედო მეფე ჯონის ვერსიას, 1536 წელს ჰოლანდიაში გაიტაცეს, ერეტიკოსობის ბრალდებით აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. მ. დოლე გაკრიტიკებულ იქნა სორბონის თეოლოგიური ფაკულტეტის მიერ 1546 წელს, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ თარგმანის დროს პლატონის ერთ-ერთ დიალოგში მან დაამატა ფრაზა rien du tout, სადაც საუბარი იყო სიკვდილის შემდეგ რაიმეს არსებობაზე. ისიც ასევე სიკვდილით დასაჯეს.

წინსვლა ბიბლიური ენების შესწავლის კუთხით აღინიშნა ერაზმის მიერ 1516 წელს გამოცემული ბერძნული ახალი აღთქმით, ასევე რეფორმაციისა და ბეჭდვით საქმეში არსებული ცვლილებებით, რის საფუძველზეც ბიბლიის თარგმნა მე-16 საუკუნის ევროპის წიგნის პროდუქციაში დომინანტურ პრაქტიკად იქცა. არალიტერატურული და არამიღებული თარგმანი იქცა იარაღად ეკლესიის წინააღმდეგ. ამის ყველაზე მეტყველი მაგალითია მარტინ ლუთერის ახალი აღთქმისა და ძველი აღთქმის თარგმანი აღმოსავლურ გერმანულის დიალექტზე. ლუთერმა რეფორმაციის პროცესში ძირითადი როლი ითამაშა, მაშინ როცა, ლინგვისტური თვალსაზრისით, მის მიერ გამოყენებული რეგიონული დიალექტი დიდ გზას გაივლიდა, ვიდრე სტანდარტულ გერმანულ ენად ჩამოყალიბდებოდა. საპასუხოდ ბრალდებაზე, რომ მან თარგმანებში შეცვალა წმინდა წერილები, თავი დაიცვა ცნობილ ტექსტში Sendbrief vom Dolmetschen, 1530 წ. ლუთერი იყო წმინდა იერონიმეს მიმდევარი სიტყვასიტყვითი თარგმანის უარყოფის თვალსაზრისით.

თარგმანმცოდნეობა ძველ მსოფლიოში

თარგმანის უძველესი ძეგლები ეგვიპტეშია ნაპოვნი. აღმოჩენილ დოკუმენტთაგან აღსანიშნავია აქადის ენაზე შესრულებულ ხელშეკრულებათა ეგვიპტური თარგმანები, რომლებიც ჩვ. წ. აღ. XIV საუკუნით თარიღდება. ეგვიპტეში მთარგმნელობითი საქმის განვითარებაზე მოწმობს ბაბილონის მეფეების წერილებში ნახსენები ეგვიპტელი მთარგმნელები, რომლებიც დიპლომატიური მისიით ჩადიოდნენ ბაბილონში. მოგვიანებით შესრულებულ თარგმანებს შორის აღსანიშნავია ეგვიპტელი ქურუმის მანეთონის მიერ დაწერილი და ბერძნულად თარგმნილი ეგვიპტის ისტორია. სამწუხაროდ ნაპოვნი მწირი მასალა არ არის საკმარისი მათი მთარგმნელობითი მეთოდებისა და პრინციპების ჩამოყალიბებისთვის. როგორც ჩანს, ისინი უმთავრესად ტექსტის ძირითადი აზრის გადმოცემას ისახავდნენ მიზნად.

ისეთ უძველეს ცივილიზაციებში, როგორცაა შუმერთა და ბაბილონის სამეფოები, ლიტერატურული თარგმანის ნიმუშებსაც ვხვდებით. ცნობილია შუმერული სკოლის დიდი როლი მთარგმნელების მომზადების საქმეში. შუმერთა და ბაბილონის სამეფოებს შორის არსებულმა მჭიდრო კულტურულმა ურთიერთობებმა მთარგმნელობის განვითარებას შეუწყო ხელი. ეპიკური პოემა გილგამეშის შესახებ ბაბილონის ლიტერატურულ ძეგლად შეიძლება მივიჩნიოთ ან კიდევ შუმერთა მიერ დაწყებული ნაშრომის გაგრძელებად. შუმერული და ბაბილონის ლიტერატურის თარგმანები სხვა ენებზეც სრულდებოდა.

საკუთრივ ირანულ წყაროებში არ მოიპოვება მონაცემები მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ, თუმცა ქსენოფონტეს, ჰეროდოტეს, პლუტარქესა და სხვათა

ნაშრომები მეტყველებენ ირანში თარგმანის არსებობაზე. არაირანული წყაროების მეშვეობით მთარგმნელობითი საქმის შეფასება ძველ ირანში მეტად ძნელია. მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს არა ერთ ენასთან, არამედ მრავალ ახლონათესაურ ირანულ ენებთან, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად სხვადასხვა ენებია. ამიტომ მიზანშეწონილია საუბარი თარგმანებზე სპარსული ენიდან: ჩვ. წ. აღ. III ს-ის უდიდეს მთარგმნელობით მოვლენას წარმოადგენდა “ავესტას” თარგმანი. საინტერესოა აგრეთვე ირანზე ელინიზმის გავლენის შედეგად სპარსულ ენაზე შესრულებული ბერძენ ავტორთა თარგმანები (V-VI სს.). ასევე ითარგმნებოდა ინდური ლიტერატურა (გადმოცემით 70-მდე ლიტერატურული ძეგლი, მათ შორის “პანჩატანტრა”, იგივე “ქილილა და დამანა” და ა.შ.).

ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კულტურის მქონე ჩინური ცივილიზაცია კარჩაკეტილობით გამოირჩეოდა. მასზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია ინდურმა კულტურამ ჩინეთში ბუდიზმის განვითარებასთან ერთად, რასაც მთარგმნელობითი საქმის პირველი დიდი ტალღა მოყვა. ცნობები ლიტერატურული თარგმანების შესახებ არ მოგვეპოვება.

ჩინეთმა, თავის მხრივ, უდიდესი გავლენა იქონია იაპონიაზე. ამ ორ კულტურას შორის კი შუალედურ როლს ხშირად კორეა ასრულებდა. კორეულზე ნათარგმნი ჩინური ლიტერატურა შემდეგ ითარგმნებოდა იაპონურზე. თავად იაპონიის კუნძულებზე მდებარე სამფლობელოები ერთმანეთთან კავშირს მთარგმნელების საშუალებით ამყარებდნენ, რაზეც იაპონური ისტორიული ქრონიკები მოწმობენ. ლიტერატურული თარგმანი არ ხორციელდებოდა.

ბერძნულ ენაზე თარგმანების შესახებ ჩვენ შევიტყვეთ ჩვ. წ. აღ. III ს-ში ეგვიპტური წყაროებიდან. ხოლო ცნობები ბერძნულიდან თარგმანების შესახებ ჩნდებიან აღ. მაკედონელის დროიდან (ელინიზტური პერიოდი). ამ პერიოდის მთარგმნელები ადაპტირებულად თარგმნიდნენ ნაწარმოებებს. პირველი ცნობები ლიტერატურული თარგმანის შესახებ ბერძნულ ენაზე დაკავშირებულია საბერძნეთ-მაკედონიის მეფე პტოლომეოს II-სთან, რომელმაც თარგმნა ბიბლია ბერძნულ ენაზე. აღსანიშნავია აგრეთვე ბერძენი ევდოქსი კინდსკის მიერ თარგმნილი “მალის ენა”, რომელიც მემფისელი მორჩილის ხონოხისას საშუალებით თარგმნა. თარგმანის ადაპტაციის მაგალითია ლეგენდა ეგვიპტელი ქალღმერთის შესახებ “ოქსირიის პაპირუსი” (1381 ჩვ. წ. აღ.). ამ ნაწარმოებს თან ახლავს თარგმანის წინასიტყვაობა, სადაც ავტორი გვაცნობებს, რომ თარგმანი მიახლოებითია. ლიტერატურული თარგმანისაგან განსხვავებით, საქმიანი დოკუმენტების თარგმანს მთარგმნელები მეტი სერიოზულობით უდგებოდნენ და თარგმანი უფრო ზუსტი იყო.

ბერძნულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა რომაულ კულტურაზე. პირველი რომაელი უხუცესები წერდნენ ბერძნულად. პირველ მთარგმნელად შეიძლება ჩაითვალოს ბერძენი ტერენტიუს ლუციუს ლივიუს ანდრონიკუსი (275-200). მას რომის პირველ პოეტს უწოდებდნენ. მან თარგმნა ჰომეროსის “ოდისეა” ლათინურ ენაზე. ამ თარგმანს რომაული კულტურის შტრიხები მისცა (შეცვალა ბერძენი ღმერთების სახელები რომაულით). ის ითვლება გამარტივებული თარგმანის ფუძემდებელად. აღსანიშნავია მთარგმნელი კვინტ ენია (ფლობდა სამ ენას). მან თარგმნა ევრიპიდეს ტრაგედიები. ტერენციუსმა, რომაული კომედიის ფუძემდებელმა, თარგმნა მენანდრეს 108 კომედია (ჩვენამდე მოაღწია ოთხმა).

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ რომაულ ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარეს თარგმანებმა.

ციცერონის მთარგმნელობითი საქმიანობა გამოირჩევა იმით, რომ ის ყურადღებას აქცევდა თარგმანის თეორიულ პრობლემებს. ძველ მსოფლიოში არსებობდა თარგმანების სხვადასხვა სახეები (ზეპირი – დიპლომატიური პრაქტიკა, ვაჭრობა, საომარი საქმიანობა; წერილობითი – ყოფითი, კომუნიკაციური, მხატვრული). მთარგმნელები პროფესიონალურად მომზადებულ კადრებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან ჯერ კიდევ მაშინ აღმოსავლურ ცივილიზაციებში მთარგმნელები სპეციალურ კურსებს გადიოდნენ. ანტიკური მსოფლიო კი ამ მხრივ ნაკლებად განვითარებული იყო.

თარგმანი შუა საუკუნეების ევროპაში. შუა საუკუნეების თარგმანი ითვლება ფეოდალური ურთიერთობების პერიოდად. ცნება “შუა საუკუნეები” შემოვიდა XVI-XVIII საუკუნეებში იმ პერიოდის განსაზღვრისათვის, რომელიც ყოფს უძველეს და ახალ დროს. შუა საუკუნეები გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების სულიერ და კულტურულ მდგომარეობას.

დასავლეთი ევროპა. დასავლეთ ევროპის რეგიონებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის იმპერიის კულტურულ მემკვიდრეობას. ლათინური ენა იყო კულტურული კომუნიკაციის წამყვანი საშუალება. XI-XII საუკუნემდე აქ ითარგმნებოდა ძირითადად ბერძნულიდან ლათინურზე. შემდეგ კი სულ უფრო ხშირად სრულდება თარგმანი ლათინურიდან. დიდი ადგილი უკავია რელიგიური ნაწარმოებების, ასევე ბერძნული ფილოსოფიისა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანს (უპირველეს ყოვლისა, არისტოტელეს). საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური და რელიგიური ნაწარმოებების თარგმნისას, როგორც წესი, პირდაპირ თარგმანს მიმართავდნენ, თუმცა XIII საუკუნეში გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს მეთოდი მიუღებელია. ქრონიკების თარგმანი შუალედურ პოზიციას იკავებენ: ერთ ტექსტში გვხვდება, როგორც სიტყვასიტყვითი, ისე თავისუფალი თარგმანი, დამატებებით, გამოტოვებითა და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში პროზაული ლიტერატურა სწორედ თარგმანიდან იწყებოდა, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა როგორც ლიტერატურის, ფილოსოფიისა და მეცნიერების, ასევე ენის განვითარებაზე.

ირლანდია. VII-VIII საუკუნეები იყო კულტურული დაცემის პერიოდი. ქრისტიანობის გავრცელება ირლანდიაში (432 წ.) დაკავშირებულია წმინდა პატრიკის სახელთან. მის მიერ დაარსებულ მონასტერში არსებობდა სკრიპტორიები, სადაც მონაზვნები წერდნენ საკრალურ ლიტერატურას.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ირლანდიელი ბერის ერიგენეს მოღვაწეობა. პსევდო-დიონისე არეოპაგეტის ნაშრომები მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თარგმანია. ერიგენესთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია თარგმანის სიზუსტე. თავად ერიგენე არ აქებდა თავის თარგმანს, მაგრამ მისი მკითხველიც მოიძებნებოდა. შუა საუკუნეებში მთარგმნელობითი საქმიანობა იშვიათი რამ იყო, ამიტომაც იწვევს ასეთ დიდ ყურადღებას ერიგენე; ნაკლოვანებების მიუხედავად, მისმა თარგმანებმა დიდი გავლენა მოახდინეს იოანე სკოტზე, ამ გავლენის შედეგი კი გახდა მისი ნაშრომი “ბუნების განაწილებაზე,” რომელიც ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი თარგმანია შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. ერიგენეს შემდეგ ირლანდიელების მთარგმნელობით მოღვაწეობაზე არაფერი იხსიან.

ინგლისი. რომაელები ინგლისში რჩებოდნენ ძვ.წ.ად. I-V საუკუნემდე და მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ცნობები იმ პერიოდის მთარგმნელობით საქმიანობაზე არ მოგვეპოვება, რომაელებს უეჭველად ყავდათ მთარგმნელები. ქრისტიანობის გავრცელებამ მთავარი როლი ითამაშა სულიერი კულტურის გავრცელებაში. პირველი ცნობები მთარგმნელობითი საქმის არსებობაზე დაკავშირებულია ვინმე ბერ კედმონთან, რომელიც პირველ ინგლისელ პოეტად ითვლება. მას ეკუთვნის ბიბლიის ზოგიერთი ნაწილის თავისუფალი თარგმანი.

ბევრი სხვა სახელმწიფოს მსგავსად, ინგლისში პროზა შედარებით გვიან განვითარდა და პირველი პროზაული ნაწარმოები იყო თარგმანი. თარგმანი, რომელმაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ინგლისურ პროზას, 735 წლით თარიღდება, როდესაც ბედამ, თავისი დროის ყველაზე ცნობილმა ავტორმა, თარგმნა ინგლისურად იოანეს სახარება; თუმცა თარგმანის დასრულება მან ვერ მოასწრო. ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ინგლისში მთარგმნელობითი საქმიანობის ასათვლელ წერტილად.

IX საუკუნის ბოლო აღინიშნა მეფე ალფრედ დიდისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობით, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედ თარგმანს ეკავა. პირველი მნიშვნელოვანი თარგმანი იყო რომის პაპის გრიგოლ I-ის ფსალმუნი, შემდეგ მისივე “ბერის ვალდებულებაზე.” ტრადიციულად ალფრედს ბიბლიის მთარგმნელად მოიხსენიებენ. ზოგადად ალფრედისა და მისი თანამოაზრეების თარგმანები ორიენტირებული იყო თანამედროვე მკითხველზე: მათ შრომებში ვხვდებით მოკლე დამატებებს, კომენტარებს, გამოტოვებებს, ამასთან ერთად ზოგი ადგილი სიტყვასიტყვით არის ნათარგმნი.

თარგმანის ისტორიისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ელფრიკის მოღვაწეობა. თავისი შეხედულება თარგმანზე მას ჩამოყალიბებული აქვს თარგმანების წინასიტყვაობებში. იგი თვლის, რომ მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს თავისი ენის თავისებურებები.

აღსანიშნავია, რომ პირველი ნაბეჭდი წიგნი, რომელიც თარიღდება 1476 წლით, თარგმანი იყო. გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდში აღსანიშნავია ჯ. ჩოსერის თარგმანები, რომელთა შორის არის ფრანგი ტრუვერის ჟან რენარის “რომანი ვარდზე”. ის პირველი იყენებს ნაწარმოებში ორ მეთოდს – პირდაპირ და ორიგინალურ თარგმანს. XV საუკუნის თარგმანები იყო უფრო მექანიკური, ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული. პირდაპირმა თარგმანმა იმოქმედა ენის განვითარებაზე, განსაკუთრებით სინტაქსის სფეროში, ხოლო ადაპტირებულმა თარგმანმა იმოქმედა ლიტერატურის განვითარებაზე, შემოიტანა მასში ახალი სიუჟეტები.

გერმანია. გერმანული ლიტერატურის პირველ წერილობით ძეგლებს წარმოადგენენ რელიგიური ხასიათის თარგმანები, როგორცაა “მამაო ჩვენო” და “მოწმეთა სიმბოლო.” VIII საუკუნეში ფულდსკის მონასტერში შეადგინეს ლათინურ-გერმანული გლოსარი. აქვე იყო ნათარგმნი ტოტიანეს “ისიდორე.” ამ ტექსტის შინაარსი რთულია, როგორც შინაარსით, ისე სინტაქსით, მაგრამ სპეციალისტების აზრით ეს თარგმანი ბრწყინვალედ იყო შესრულებული. მთარგმნელი, რომლის

ვინაობა უცნობია, არ იყენებს კალკირების მეთოდს, თარგმანი შეესაბამება თავისი ენის კანონებს, იგი ფართოდ იყენებს სინონიმებს. X საუკუნის მთარგმნელებს შორის გამოირჩევა ნოტკერი, რომელსაც ეკუთვნის ფილოსოფიური, თეოლოგიური და სამეცნიერო ნაწარმოებების თარგმანი, მათ შორის არისტოტელეს “რიტორიკა” და “კატეგორიები”, ვერგილიუსის “ბუკოლიკები.” მის თარგმანებს თანდართული ჰქონდა კომენტარები. სავარაუდოდ ბიბლია ითარგმნა XII-XIII სს. მომდევნო XVს. გერმანულ ენაზე უამრავი თარგმანი შესრულდა ძირითადად ლათინურიდან.

ესპანეთი. მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლის თვალსაზრისით ესპანეთი მეტად საინტერესო და, ამავდროულად, შესასწავლად რთულ ქვეყანას წარმოადგენდა. აქ რამდენიმე სალიტერატურო ენა (ესპანური, ბასკური, კატალონური, გალური) არსებობდა და ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის გავლენა ერთმანეთზე გარდაუვალი იყო. შუა საუკუნეებში ესპანეთმა განიცადა არაბულის ძლიერი ზეგავლენა. V-IX ს. ესპანეთში ლიტერატურა არსებობდა მხოლოდ ლათინურზე ენაზე. XII ს. დასაწყისში პედრო ალფონსომ თარგმნა ესპანურ ენაზე ინდური და არაბული ზღაპრები, თუმცა ეს წიგნი უფრო ახლოს დგას თხრობასთან, ვიდრე თვით თარგმნათან.

1130 წელს ტოლედოში დაარსდა მთარგმნელობითი სკოლა არაბულიდან, რისი ინიციატორიც იყო ტოლედოს არქიეპისკოპოსი და კანცლერი რაიმუნდო. მისი სიკვდილის შემდეგ, ეს საქმე გააგრძელა გუნდისალვიმ, რომელიც, სავარაუდოდ, რედაქტორის ფუნქციებს ასრულებდა – ადარებდა თარგმანსა და ორიგინალს. როგორც ავლნიშნეთ, სხვადასხვა ენების არსებობა მთარგმნელობითი საქმიანობის საინტერესო სურათს ქმნიდა. მაგალითად, XII-XIII სს. კატალონიაში პროზის ენა იყო კატალონური, ხოლო პოეზიის – პროვანსული. ესპანურ ენაზე მრავალი ჟანრისა და ენის ლიტერატურა ითარგმნებოდა. XV ს. ბოლოს კატალონიაში დიდ ინტერესს იწვევს ანტიკური ლიტერატურა. ანტონ კანალსმა თარგმნა რომის ისტორიკოსის ვალერიუს მაქსიმუსისა და ტიტუს ლივიუსის ნაშრომები. მასვე ეკუთვნის პეტრარკას პოემის ნაწილის თარგმანი. ამის პარალელურად ხდება ფრანგული რომანების თარგმანი, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია “თეთრი ტირანი.” განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ლათინურ-კატალონური ლექსისკონი, რომელიც ცნობილია ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან.

იტალია. XII საუკუნემდე თარგმანები იტალიურ ენაზე არ არსებობდა, თავად იტალიური ლიტერატურა საკმაოდ თვითმყოფადი და განვითარებული იყო. რომში გამოჩენილმა მთარგმნელმა ანასტასია ბიბლიოთეკარმა თარგმნა ისტორიული ლიტერატურა ლათინურზე. XII ს. ითარგმნა რომანი მეფე არტურზე, მოთხრობები ტრისტანსა და იზოლდაზე, როლანდზე. XIII ს. მთარგმნელთა ყურადღება მიიპყრო ეთიკამ და რიტორიკამ. ითარგმნა ციცერონის “ეთიკა” და “რიტორიკა.” XIII ს. ბიბლია თარგმნეს იტალიურად.

საფრანგეთი. საფრანგეთს დიდი კულტურული კერა გააჩნდა, ამიტომ თარგმანები ნაკლებ როლს თამაშობდა საფრანგეთში. XII საუკუნემდე არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთები საფრანგეთში მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. XII ს. დედოფალმა ელეონორამ მოიწვია მთარგმნელები და ათარგმნინა სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა. XII-XIII სს. ითარგმნა ბიბლია. ეს არის ევროპულ ენაზე ნათარგმნი პირველი ბიბლია.

ისტორიულ–ლიტერატურული ეპოქა და მხატვრული თარგმანი

მთარგმნელობითი მუშაობა ძველ საქართველოში. უძველესი დროიდან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან, რამაც განაპირობა თარგმანის აუცილებლობა. თავიდანვე დამკვიდრდა თავისუფალი თარგმანის ტენდენცია. მთარგმნელებს ხშირად შეჰქონდათ სხვადასხვა ცვლილებები ორიგინალში: ამატებდნენ, ან კვეცავდნენ ცალკეულ მონაკვეთებს, ამიტომაც თარგმანი, როგორც წესი, შემოქმედებით ხასიათს ატარებდა და ხშირად ნაციონალურ ხასიათს აძლევდა ამ თარგმანებს. ეს რელიგიური ლიტერატურის თარგმანსაც ეხებოდა. შემდგომში მთარგმნელები იძულებული გახდნენ ჩაესწორებინათ ეს თარგმანები, რომ ისინი მიახლოებოდნენ ორიგინალს.

საქართველოში, მნიშვნელოვანი ეთნიკური სიჭრელის მიუხედავად, ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში იქმნება საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი - კოლხეთის სამეფო. საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთთან და რომთან. ფეოდალურმა ურთიერთობებმა კი ჩამოყალიბება დაიწყო ახ. წ. აღ. II საუკუნიდან. IV საუკუნეში კი ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. საქართველოს ორი უდიდესი სახელმწიფოებრივი გაერთიანება - ლაზიკა და ქართლი წარმოადგენდნენ ჯერ ბიზანტიის, შემდეგ ირანის, მოგვიანებით კი არაბეთის გავლენის სფეროს. თუმცა XI-XIII საუკუნეებში საქართველომ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს, გააფართოვა საზღვრები და შეიქმნა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო.

XIII საუკუნეში საქართველოს თავს დაატყდა თათარ-მონღოლთა ურდოები, რომლებსაც XIV საუკუნეში თემურ-ლენგი მოჰყვა. ქვეყანა დაიშალა დამოუკიდებელ სამთავროებად და XVI საუკუნიდან იგი გახდა ირანისა და თურქეთის ბრძოლის საგანი. XVIII საუკუნიდან იწყება ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა, XIX საუკუნეში საქართველო უერთდება რუსეთის იმპერიას. ასეთი რთული პირობების მიუხედავად ქვეყანამ მაინც შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ენა და კულტურა. პირველი ქართული ნაწერები შესრულებულია V საუკუნეში, თანაც არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მაგალითად პალესტინაში. უძველესი დათარიღებული ხელნაწერი მიეკუთვნება 864 წელს და ინახება წმინდა ეკატერინეს მონასტერში სინას ნახევარკუნძულზე.

ისტორიულად, ქართული ანბანის ჩამოყალიბება თარიღდება ძვ.წ. III საუკუნით. თუმცა, ზოგიერთი უახლესი გამოკვლევის მიხედვით, იგი უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი. გადმოცემის მიხედვით კი ქართული ანბანის შექმნა უკავშირდება იბერიის პირველ მეფეს - ფარნავაზს.

V-X საუკუნეებში ქართულად ითარგმნა დიდი რაოდენობით ქრისტიანული ლიტერატურა, კერძოდ, ბიბლია, ფსალმუნი, ევანგელე და სხვები. თანაც თარგმანი ხორციელდებოდა ბერძნულიდან და ტექსტთან მაქსიმალური მსგავსებით. უკვე X საუკუნიდან ქართულად ითარგმნებოდა ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული ლიტერატურა. გიორგი ათონელის (1009-1065 წწ.) მიერ რედაქტირებული თარგმანები ქართულმა ეკლესიამ კანონიკურად აღიარა.

XI საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში თარგმანები წარმოებდა ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან და არაბულიდან. ქართულად ითარგმნა IV-V საუკუნეებში. თითქმის ყველა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა თხზულებები, მათ შორის იოანე დამასკელისაც (VIII ს.).

ცნობილია ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც ითარგმნებოდნენ ქართულიდან ბერძნულად და არაბულად. შუა საუკუნეებში ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნებოდა “ვარლაამი და იოსაფი” (ქართული რედაქციით - “სიბრძნე ბალავარისა”) ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანით.

XI-XII საუკუნეებში გრძელდება საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნა. მათ შორის აღსანიშნავია ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი “არეოპაგეტიკა”. ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ “არეოპაგეტიკა” დაწერილია ქართველი თავადის პეტრე ივერის მიერ, რომელიც გახლდათ ეპისკოპოსი პალესტინაში.

რაც შეეხება ქართულ ორიგინალურ ლიტერატურას, იგი კარგად იყო განვითარებული და ამის მყარ საფუძველს წარმოადგენდა XII საუკუნეში დაწერილი “ვეფხისტყაოსანი”. თავად ავტორი, შოთა რუსთაველი, ნაწარმოებს სპარსულიდან თარგმნილს უწოდებს, თუმცა მეცნიერების მიერ დამტკიცებულია მისი ორიგინალობა.

ზოგიერთი მკვლევარი XI-XII საუკუნეებს ქართულ რენესანსს უწოდებს და ამის მთავარ საფუძველს სწორედ “ვეფხისტყაოსანი” და იოანე პეტრიწის შრომები წარმოადგენენ. ქართული აღორძინება ფილოსოფიასაც შეეხო. ფილოსოფოსი, პოეტი და მთარგმნელი იოანე პეტრიწი ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენელია. იგი XI საუკუნის მიჯნასა და XII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. სწორედ ეს პერიოდი აღინიშნება ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანის პერიოდად. იოანე პეტრიწი ავტორია ბევრი თარგმანისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ქართული ორიგინალური ლიტერატურის განვითარებაზე. სწორედ პეტრიწმა შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია.

არსებობს ვერსია, რომ იოანე პეტრიწმა განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში. XI ს-ის 80-იან წლებში პეტრიწი მიემგზავრება ბულგარეთში, სადაც ცხოვრობს პეტრიწონის ქართულ მონასტერში. XII საუკუნის დასაწყისში კი იგი საქართველოში მიიწვია დავით აღმაშენებელმა, რათა გამხდარიყო გელათის აკადემიის წევრი. პეტრიწი ავტორია მრავალი თარგმანისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ორიგინალური ლიტერატურის განვითარებაში. პეტრიწმა შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია.

დროთა განმავლობაში თანდათან მკვიდრდება საერო ლიტერატურული ძეგლების თარგმანი. XI-XII საუკუნეებში სპარსულიდან ითარგმნა ფირდიუსის “შაჰნამე”, ნიზამის “ისკანდერმანი”, “ლეილმეჯუნისანი” და სხვა. პირველი მნიშვნელოვანი საერო ძეგლის თარგმანს წარმოადგენდა სარგის თმოგველის მიერ XII საუკუნეში სპარსულიდან თარგმნილი “ვისი და რამინი” (“ვისრამინი”), რომელშიც მეცნიერები ხედავენ ტიპოლოგიურ მსგავსებას “ტრისტან და იზოლდასთან”.

XIII-XIV საუკუნეებში ხვარაზმშას სულთნის - ჯალალედინის, მონგოლ-თათართა და თემურილენგის შემოსევებმა მძიმე დარტყმა მიაყენეს ქართულ კულტურას. XVI ს-ში აღინიშნება გარკვეული გამოცოცხლება ქართულ კულტურულ ცხოვრებაში. XVII ს-ის დასაწყისში ახალსპარსულიდან ითარგმნა “ქილილა და დამანა”. არსებობს ქართული თარგმანის სამი ვერსია. ერთ-ერთ მთარგმნელად მიჩნეულია თეიმურაზ მეფის მამა დავითი. თარგმანი ეტყობა კოლექტიური იყო, რადგანაც მოხსენიებულია კიდევ ორი მთარგმნელი - სპარსი და სომეხი.

XVI-XVIII საუკუნეებში შეიმჩნევა საინტერესო ტენდენცია. ამ პერიოდში იმდენად დამკვიდრდა პოეტური ჟანრი, რომ მან თითქმის განდევნა პროზაული. რელიგიური ლიტერატურაც კი ლექსად ითარგმნებოდა.

თავისი დროის ტიპიურ წარმომადგენლად კ. კეკელიძე თვლიდა ექვთიმე ათონელს, რომელიც თარგმანს დიდ სოციალურ-მორალურ ფუნქციას ანიჭებდა. ექვთიმე ათონელი თვლიდა, რომ თარგმანში მთავარია ორიგინალის აზრის გადმოცემა და არა სტილის ზუსტი შენარჩუნება, რის მაგალითსაც წარმოადგენს მისი თარგმანი “ცხოვრება ვასილ დიდისა.” ამის საუკეთესო საშუალებად კი მას დედნის გაფართოება მიაჩნდა. ეფრემ მცირე მას “გაფართოებისა და შევიწროვების ოსტატს” უწოდებდა.

XVIII-XIX საუკუნეებში საერო ლიტერატურა აღინიშნება დასავლური ტენდენციით, აღმოსავლური ლიტერატურის გავლენა ორიგინალურ ლიტერატურაზე თანდათან სუსტდება. ეს ტენდენცია თარგმანშიც გამოჩნდა. ამ ეტაპზე ქართული თარგმანის ისტორიაში ნიშანდობლივ ფიგურებს წარმოადგენდნენ ა.ჭავჭავაძე და ნ.ბარათაშვილი. ა.ჭავჭავაძემ გაამდიდრა ქართული ლიტერატურა ორიგინალური ლექსებითა და მრავალრიცხოვანი თარგმანებითაც. ის თარგმნიდა უცნობ სპარსელ პოეტს, ეზოპეს, ლაფონტენს, რასინის, ფლობერს, ჰიუგოს, კორნელს, პუშკინს. თარგმანი, როგორც წესი, კეთდებოდა ორიგინალიდან. რაც შეეხება ბარათაშვილს, მისი თარგმანების დიდი ნაწილი დაკარგულია.

ქართული პოეზიის ახალი ორიენტაცია შემდეგში განავითარა ორიგინალურ და მთარგმნელობით შემოქმედებაში ი.ჭავჭავაძემ და ი.მაჩაბელმა. მათ ერთად თარგმნეს “მეფე ლირი.” 90-იან წლებში მაჩაბელმა გააგრძელა შექსპირის ტრაგედიების თარგმნა: “ჰამლეტი,” “ოტელო,” “მაკმეტი,” “რიჩარდ III,” “იულიუს კეისარი,” “ანტონიუსი და კლეოპატრა” და კორიოლანი.” თავისი პირველი გამოსვლა ი.ჭავჭავაძემ მიუძღვნა თარგმანის პრობლემას. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თარგმანს მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეში და ამით უნდა განსაზღვრავროს სათარგმნი ნაწარმოების არჩევანი. წარმატებული თარგმანის მთავარი კრიტერიუმი მისთვის იყო ფორმისა და შინაარსის გადმოცემის სიზუსტე. ი.ჭავჭავაძემ თარგმნა ასევე გოეთეს ლექსები, სკოტი, შილერი, ბაირონი, სენიე, პუშკინი, ლერმონტოვი.

ი. ჭავჭავაძის თანამედროვე და თანამოაზრე ა. წერეთელი ასევე ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. იგი თვლიდა, რომ “მთარგმნელმა მშვენივრად უნდა იცოდეს ის ენა, რომლიდანაც თარგმნის, რომ არ გამოეპაროს არც ერთი წვრილმანი. რა თმა უნდა, იგი უნდა ფლობდეს მშობლიურ ენასაც, რომელზედაც თარგმნის და, ამასტანავე მას უნდა გააჩნდეს ნიჭი, რომელიც ტოილ არის ორიგინალის ავტორის

ნიჭისა. პირდაპირი თარგმანი კი ნიშნავს მოკლა ცოცხალი და შემდეგ მოათრიო მკვდარი. ამიტომ თარგმანი საერთოდ ორიგინალის ჩრდილია.”

XIX საუკუნის II ნახევარში თარგმანმა მასიური ხასიათი მიიღო. ქართული ჟურნალ-გაზეთებში ბევრი თარგმანი იქვეყნებოდა, რომ გაეცნოთ ქართული საზოგადოებისათვის უცხო ლიტერატურა; გარდა ამისა ეს ხელს უწყობდა სალიტერატურო ენის განვითარებას. ბიბლიოგრაფიული მონაცემებით ყველაზე დიდი წილი თარგმანებისა მოდიოდა რუსულ ენაზე, შემდეგ მოდის ფრანგული, სპარსული, ბერძნული, გერმანული, სომხური, ინგლისური, ებრაული ლიტერატურის თარგმანა. თუმცა უმეტეს შემთხვევაში თარგმანა მიმდინარეობდა რუსული ენიდან და არა ორიგინალიდან.

XX საუკუნეში თარგმანისადმი დამოკიდებულება ერთგვარად შეიცვალა. გაზეთ “ივერიაში” იწვევდნენ ენის მცოდნეებს მთარგმნელობითი საქმიანობისთვის. 20-იანი წლების ლიტერატურულ პრესაში თარგმანს მცირე ადგილი ეკავა, მაგრამ ამჯერად თარგმანი მიმდინარეობდა ორიგინალიდან.

20-იანი წლების ბოლოდან შეიმჩნევა თარგმნის ტემპების სწრაფი ზრდა. გაუმჯობესდა თარგმნის ტექნიკა, გაფართოვდა სათარგმნი ლიტერატურის სპექტრი; ქართულ ენაზე გამოდის მსოფლიოს ყველა კულტურული სახელმწიფოს მეტნაკლებად ცნობილ ავტორთა ნაწარმოებები; ამავე დროს იბეჭდება რეცენზიები, თეორიული და პოლიტიკური სტატიები, მაგრამ თარგმანის თეორია ამ ეტაპზე მხოლოდ ჩასახვის სტადიაშია. თარგმანის პრობლემებისადმი მიძღვნილი ცალკეული გამოსვლა ჩვეულებრივ კერძო საკითხებს ეხება და ხანდახან ტენდენციურად არიან.

დიდ ყურადღებას უთმობდნენ თარგმანს ჟურნალები “კავკასიონი” და “ახალი კავკასიონი,” რომლებიც აკადემიურ ხასიათს ატარებდნენ. “კავკასიონში” გამოქვეყნებულ თარგმანებს შორის აღსანიშნავია ი.ტატიშვილის თარგმანი ე.პოს ზდაპრისა “სიჩუმე,” რომელიც სამაგალითო ადექვატურ თარგმანად ითვლება. იმ დროის გამოჩენილი ფიგურა თარგმანში იყო გ.ქიქოძე. მის მთარგმნელობით პრაქტიკას საფუძვლად დაედო საკუთარი შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც ემყარებოდა ახალ ტრადიციებთან შეზავებულ XIX საუკუნის საუკეთესო ლიტერატურულ ტრადიციებს. მის შემოქმედებას ახასიათებს მსუბუქი ირონია, ღრმა ანალიზი დიდი ჰუმანიზმი. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით გამოვლინდა “ტრისტანი და იზოლდას,” ბალზაკის რომანტიკული და ფილოსოფიური ნაწარმოებების თარგმნისას, სტენდალის, მერიმეს, და ანატოლ ფრანსის თარგმნისას. XX საუკუნის დასასრულს მხატვრულ თარგმანს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ამან გააღვივა თარგმანის პრობლემებისადმი დიდი ინტერესი. პრაქტიკაში გამოიხატა თარგმანის თანამედროვე მეთოდები.

თარგმანი ძველ ინგლისში

ბრიტანეთში, რომელთა ბატონობის პერიოდში (ჩვ.წ.ად-ით I-VII სს.) არ მოგვეპოვება ცნობები მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ რომაელებს აუცილებლად ეყოლებოდათ თარგმანები. VI ს. ბოლოს ინგლისში გავრცელდა ქრისტიანობა და აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ

კეთდებოდა საღრმთო წიგნების თავისუფალი თარგმანი ინგლისურ ენაზე. პირველი დოკუმენტურად დადასტურებული ცნობა ინგლისში თარგმანის შესახებ დაკავშირებულია ინგლისელი პოეტის კედმონის სახელთან. ის მოღვაწეობდა VII საუკუნეში. კედმონმა თავისუფალ სტილში გადმოსცა ძველი ალექსის ზოგიერთი ადგილი. თუმცა ის საკმაოდ შორს დგას ორიგინალისგან, მაგრამ მაინც საინტერესოა ჩვენთვის, რადგანაც ამ თარგმანით იწყება მთარგმნელობითი საქმიანობა ინგლისში.

ადრინდელი ინგლისური ლიტერატურა გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და თემატური სიმდიდრით. შესაძლებელია ეს არის მიზეზი იმისა, რომ თარგმანი სუსტად იყო განვითარებული. ინგლისურ ლიტერატურაში პროზის განვითარება შედარებით გვიან დაიწყო. ამ პროცესს ხელი შეუწყო თარგმანმა. 735 წ. ცნობილმა ინგლისელმა მწიგნობარმა ბედამ დაიწყო იოანეს სახარების თარგმნა ინგლისურ ენაზე. ის მალე გარდაიცვალა და თარგმანის დასრულება ვერ მოასწრო. არც ეს თარგმანია შემორჩენილი, მაგრამ 735 წელი შეიძლება ჩაითვალოს ჩაითვალოს ინგლისში მთარგმნელობითი საქმიანობის ათვლის წერტილად.

IX საუკუნის დასასრულს ეკუთვნის მეფე ალფრედის მიერ შესრულებული თარგმანები. ალფრედს ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო ხშირად პეტრე პირველს ადარებენ. ის იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებლესი ადამიანი, გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ცდილობდა ფართოდ დაენერგა განათლება. იგი 22 წლის ასაკში აკურთხეს მეფედ და სულ მცირე დროის განმავლობაში მან შეძლო დაემყარებინა წესრიგი აოხრებულ სახელმწიფოში. შექმნა არმია და ფლოტი. ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. VII საუკუნეში დანიელთა შემოსევის შედეგად განადგურდა ეკლესია-მონასტრები და, რაც მთავარია შეიზღუდა ლათინური ენის გავრცელება. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ალფრედს ლათინური ენის გავრცელებაზე ეზრუნა. ალფრედმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა თანამოაზრეები: უელსის ეპისკოპოსი და ალფრედის მომავალი ბიოგრაფი ასერი, ფუსტერის ეპისკოპოსი ვერფენდი, კენტერბერის მომავალი ეპისკოპოსი ფოგმუნდი, ჯონ საქსონი და ორი მღვდელი მერსიიდან. სათარგმნელად ალფრედი არჩევდა თეორლოგიური, ისტორიული და ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებებს. პირველი დიდი თარგმანი გახლდათ რომის პაპის, გრიგოლ I-ის დიალოგები, რომელიც ეპისკოპოსმა ვერფერმა თარგმნა ალფრედის თხოვნით. ხოლო თავად ალფრედის მთარგმნელობით მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ჩანაწერების წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იყო ბიბლიური ციტატები და საეკლესიო მოღვაწეთა გამონათქვამები. ტექსტი შეიქმნა IX ს. 70-იან წლებში. ალფრედის კალამს ეკუთვნის “გრიგოლ I მოძღვრის მოვალეობის” თარგმანი. ამ თხზულებას ინგლისში პრაქტიკული დანიშნულება გააჩნდა. ალფრედი თხზულების პროლოგში სინანულს გამოთქვამს ინგლისში სავალალო მდგომარეობის გამო, ყველა ინგლისელს მოუწოდებს მიიღოს განათლება. თხზულების თარგმანი ძალიან ახლოს დგას ორიგინალთან, რამაც ხელი შეუწყო ინგლისურში ლათინური ლექსიკისა და ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის გავრცელებას. ალფრედი ხშირად მიმართავდა სინტაქსური კონსტრუქციების კალკირებას. ისტორიული და გეოგრაფიული თხზულებების გასავრცელებლად ალფრედი ირჩევს სათარგმნელად ეპისკოპოს – ოროზიის (V ს.) თხზულებას: “ისტორია წარმართთა წინააღმდეგ.” ამ შემთხვევაში მთარგმნელი არჩევს თარგმანის

თავისუფალ სტილს. ალფრედს ასევე მიაწერენ ნეტარი ავგუსტინეს ზოგიერთი თხზულების (“მონოლოგებისა” და “ღმერთის ხედვის შესახებ”) ფრაგმენტების თარგმანს. წინასიტყვაობაში ალფრედი მთარგმნელს კარგ მშენებელს ადარებს, რომელიც ისე აშენებს სახლს, რომ ადამიანებმა იცხოვრონ მშვიდად და ტკბილად. ალფრედისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას საგანმანათლებლო ხასიათი გააჩნდა, თუმცაღა მათ მიერ შესრულებულმა თარგმანებმა გავლენა მოახდინეს ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაზე.

ალფრედის შემდგომ მთარგმნელობითი საქმიანობა საკმაოდ შესუსტდა. ამ პერიოდის თარგმანებიდან აღსანიშნავია შემდეგი: XI საუკუნეში ითარგმნა მათეს სახარება და გაკეთდა დანარჩენი სამი სახარების სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელიც ლათინური ტექსტის სტრიქონებს შორის იწერებოდა. დანარჩენი სამი სახარების თარგმანი არ დასრულებულა. მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა ცნობილი ინგლისელი მწერალი ელ ფრიკი, თარგმანების პროლოგში ის ყოველთვის ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი პოზიცია. მან გადათარგმნა ”ყოფიერების წიგნი” - ძვ. აღთქმის ერთ-ერთი წიგნი. თავის დროზე ელ ფრიკი სწორედ ამ წიგნით სწავლობდა ლათინურ ენას. წინასიტყვაობაში ის წერს, რომ მთარგმნელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ენის თავისებურებები; იგი ბუკვალური თარგმანისა და კალკირების წინააღმდეგი იყო. ელფრიკი წერდა, რომ მისი თარგმანები გათვალისწინებულია ფართო მასებისთვის, რის გამოც იგი ცდილობდა გამოეყენებინა მარტივად გასაგები სიტყვები. ის გაურბოდა უცნობი ლექსიკის გამოყენებას, რომ თარგმანი ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო. ამისათვის იგი ხშირად აკეთებს გაუგებარი ადგილების კომენტარს. ამავე მიზნით მან შეადგინა ლათინური ენის გრამატიკა ინგლისურ ენაზე, რომელშიც მოცემული იყო უცნობი სიტყვების განმარტებები და გრამატიკული წესები. სწორედ ამით იწყება მხატვრული თარგმანის განვითარება ინგლისში. აღსანიშნავია სირიელი ბერის მალზას თავგადასავლების შესახებ. ამ ნაწარმოების თარგმნა ინგლისურ ენაზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს ნაწარმოები ჰაგიოგრაფიულ ჟანრს ეკუთვნის და, ამავროულად, მოგვაგონებს ანტიკურ რომანს. ამ ნაწარმოების თარგმნით ინგლისურმა ლიტერატურამ კიდევ ერთი ახალი ჟანრი აითვისა.

გვიანი შუა საუკუნეები. გვიანი შუა საუკუნეების პერიოდი იწყება 1066 წლიდან, როცა ნორმანებმა დაიპყრეს ინგლისი და მთავრდება 1476 წელს, როდესაც ინგლისში პირველი ნაბეჭდი წიგნი გამოვიდა. ეს პერიოდი ხასიათდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოვლენებით. ინგლისური ლიტერატურაც განიცდის აღმავლობას, ვითარდება ახალი ჟანრები, ჩნდება ახალი კულტურული კერები. 1167 წელს დაარსდა ოქსფორდის უნივერსიტეტი, ხოლო 1209 წელს კემბრიჯის. ამ პერიოდს ეკუთვნის თარგმანები არაბული ენიდან, რაც უკავშირდება ჯვაროსნულ ომებს. სწორედ არაბული ტექსტების საშუალებით შემოვიდა ინგლისში ძველი ბერძნული ფილოსოფია. მაგალითად, არისტოტელეს თხზულებები. ამ პერიოდს უწოდებენ მცირე აღორძინებას ან XII საუკუნის აღორძინებას. ამ პერიოდშივე იწყება საშუალო ინგლისური ენის ჩამოყალიბება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ინგლისი სამეწოვანი იყო: აქ საუბრობდნენ ფრანგულად (სამეფო კანცელარია და არისტოკრატია), ლათინურად (საეკლესიო და სამეცნიერო ენა) და ინგლისურად (დანარჩენი მოსახლეობა).

თარგმანი ძველ რუსეთში

შუა საუკუნეების თარგმანი ითვლება ფეოდალური ურთიერთობების პერიოდად. ცნება “შუა საუკუნეები” შემოვიდა XIV-XVII სს. იმ პერიოდის განსაზღვრისათვის, რომელიც ყოფს უძველეს და ახალ დროს. შუა საუკუნეები გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების სულიერ და კულტურულ მდგომარეობას. დასავლეთ ევროპის რეგიონებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის იმპერიის კულტურულ მემკვიდრეობას. ლათინური იყო კულტურული კომუნიკაციის წამყვანი საშუალება. XI-XII საუკუნეებში აქ ითარგმნებოდა ძირითადად ბერძნულიდან ლათინურად, შემდეგ კი სულ უფრო ხშირად სრულდებოდა თარგმანი ლათინურიდან. დიდი ადგილი უკავია რელიგიური ნაწარმოებების, ასევე ბერძნული ფილოსოფიისა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანს (უპირველეს ყოვლისა, არისტოტელეს). საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური და რელიგიური ნაწარმოებების თარგმნისას, როგორც წესი, პირდაპირ თარგმანს მიმართავდნენ, თუმცა XIII საუკუნეში უკვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს მეთოდი მიუღებელია. მხატვრულ ლიტერატურაში – თარგმანი-თხრობა. ქრონიკების თარგმანი შუალედურ პოზიციას იკავებენ: ერთი ტექსტში გვხვდება, როგორც სიტყვასიტყვითი, ისე თავისუფალი თარგმანი, დამატებებით, გამოტოვებითა და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში პროზაული ლიტერატურა სწორედ თარგმანიდან იწყებოდა, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა ლიტერატურის, ფილოსოფიისა და მეცნიერების, ისევე როგორც ენის განვითარებაზე.

ძველი რუსული ლიტერატურა ასევე იწყება თარგმანებით. თარგმნიდნენ ძირითადად შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურას და, რაც საკვირველია, თარგმანი სრულდებოდა ბერძნების მიერ. კიევის რუსეთში (რომელიც IX ს. შეიქმნა) თარგმნიდნენ რელიგიურ ლიტერატურას. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ (988წ.) რუსეთში გაჩნდა მოთხოვნილება საღვთო წიგნებისა, რომლებიც თავდაპირველად ბულგარეთიდან შემოვიდა. ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში რუსეთში შემოვიდა განსხვავებული ბიბლიური და საღვთისმეტყველო წიგნები. უცნობია თუ ვინ იყვნენ პირველი მწიგნობრები და სად ღებულობდნენ ისინი განათლებას. XI ს. I ათწლეულში თავადმა იაროსლავმა დაიწყო მთარგმნელების შეგროვება და მისი ხელმძღვანელობით ბევრი საღვთისმეტყველო წიგნის ითარგმნა ბერძნულიდან და ლათინურიდან. ბიბლიური და საღვთისმეტყველო წიგნების გარდა მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდათ საეკლესიო მოღვაწეთა თხზულებებს: რუსეთში ცნობილი იყვნენ იოანე ოქროპირი, ათანასე ალექსანდრიელი, ვასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვ. დიდი ადგილი ეკავა ბიზანტიური ქრონიკების თარგმანებს, რომელთა შორისაც გამოირჩევა “ქრონიკა გიორგი ამართოლესი” და “ქრონიკა იოანე მალალისა”. სლავური თარგმანის არც ერთ სრულ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა ნაპოვნია ნაწყვეტები სხვადასხვა ნაკრებებში.

XI-XIII სს. რუსეთში ითარგმნებოდა არა მხოლოდ რელიგიური ლიტერატურა, არამედ საერო ნაწარმოებებიც, რომელიც ასევე ქრისტიანულ მორალს ქადაგებდნენ. ასეთი იყო “მოთხრობა ვარლამისა და იოსაფზე”, “მოთხრობა აკირ ბრძენზე” და ა.შ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერული თხზულებები, მართალია ქრისტიანული გაგებით, მაგრამ მაინც აღწევდა რუსეთში.

ამ დროისთვის თარგმანი წარმოებდა არა მხოლოდ ბერძნულიდან, არამედ ლათინურიდან და ახალი ებრაულიდან. ამ პერიოდში რელიგიური ლიტერატურა ორიგინალიდან სიტყვასიტყვით ითარგმნებოდა (მაგ. ბიბლია და საღვთისმეტყველო წიგნები). მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთიდან იყო შემოსული, ამ თარგმანებმა, დიდი გავლენა იქონიეს რუსულ ლიტერატურაზე. აკადემიკოსი სობოლოვსკი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი სტილისტური თავისებურებების მიხედვით შესაძლებელია განვასხვავება ვიპოვოთ რუსეთში და ბულგარეთში გაკეთებულ თარგმანებს შორის. ასეთ წიგნებს უმეტესად არარელიგიური შინაარსის წიგნები შეადგენდა, რომელთაც მიეკუთვნება „კოსმოგრაფია,” „იუდეის ომის ისტორია,” „ალექსანდრია” და სხვ. მომდევნო პერიოდში, მონღოლ-თათართა შემოსევების მიუხედავად, ქვეყნის კულტურული კავშირები არ შეწყდა. ბევრი თარგმანი რუსეთში სხვა სლავური ქვეყნებიდან ხვდებოდა.

XV საუკუნეში რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული სახელმწიფო. ეს პერიოდი აღინიშნება კულტურული აღმავლობით, რაც მთარგმნელობით საქმესაც დაეყოს. ამ დროის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ტროას ომის” თარგმნა, მაგრამ არა ბერძნულიდან, არამედ მისი ლათინური ვარიანტიდან. ასევე დიდ მოვლენას წარმოადგენდა ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმნა. ამავე დროს ითარგმნა ფილიპე მონოტრიპის “დიოპტრა” – ჰიმნოგრაფიული და საღვთილმეტყველო ჟანრის პოემა, რომელიც XI საუკუნის ბოლოსაა დაწერილი.

რაც შეეხება ბიბლიის თარგმანს, მისი სრული ვარიანტი რუსეთში პირველად ნოვგოროდში გამოჩნდა. ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი გენადი მფარველობდა მთარგმნელობით საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ძველი სლავური და რუსული თარგმანები ანონიმურია, თუმცა XIV საუკუნიდან სულ უფრო ხშირად გვხვდება მთარგმნელთა სახელები. დიმიტრი გერასიმოვი, რომელიც არქიეპისკოპოს გენადისთან მოღვაწეობდა, თამადად შეიძლება ჩაითვალოს პირველ არაანონიმურ მთარგმნელად.

X-VI საუკუნეებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსკოვის რუსეთის როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში. ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ამ დროს მნიშვნელოვანი გარდატეხა განიცადა რუსულმა ლიტერატურამ: ვითარდება პუბლიცისტიკა, ქრონოგრაფია, თუმცა ჯერ კიდევ უცნობი იყო ისეთი ჟანრები, როგორცაა იუმორი და სატირა. რაც შეეხება ნათარგმნ ლიტერატურას, გავრცელდა პოლონურიდან ნათარგმნი ნაწარმოებები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტინ ბელსკის “მსოფლიო ქრონიკა”.

XVII საუკუნემაც ბევრი სიახლე მოიტანა. რელიგიურმა ლიტერატურამ თანდათან მეორე პლანზე გადაინაცვლა და ადგილი დაუთმო გეოგრაფიას, ისტორიას, ასტრონომიას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ანატომიას, მედიცინას. მათი თარგმნა ხდებოდა ლათინურიდან, პოლონურიდან, გერმანულიდან და ფრანგულიდან. XVII საუკუნეში გამოჩნდა ლექსიკონები: ლათინურ-ბერძნულ-

სლავური, პოლონურ-სლავური, რუსულ-ლათინურ-შვედური და სხვ. რაინდული რომანი რუსეთში მხოლოდ XVIII საუკუნეში ითარგმნა.

აღსანიშნავია, რომ მრავალჯერადი გადაწერების შედეგად ტექსტები მნიშვნელოვნად იცვლებოდა და ჩვენამდე მოღწეული ნიმუშების მსგავსება ორიგინალთან საკმაოდ ძნელი დასადგენია; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორიგინალების ძალზედ მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე.

იუჯინ ნაიდას შრომები თარგმანის თეორიაში

თარგმანის თეორიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ამერიკელმა ენათმეცნიერმა იუჯინ ალბერტ ნაიდამ. თარგმანის პრობლემებით ნაიდა “ამერიკის ბიბლიის საზოგადოებაში” მუშაობისას დაინტერესდა. მას ეკავა თარგმანის განყოფილების მეცნიერული კონსულტანტის თანამდებობა, რომლის ხელმძღვანელობითაც ბიბლიას 200 ენაზე თარგმნიდნენ.

მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი “თარგმანის მეცნიერება” ნაიდამ 1964წ. გამოაქვეყნა და განხილულია ბიბლიის თარგმნის პრობლემები. მაგრამ ეს პრობლემები თეორიული ენათმეცნიერების პოზიციიდან არის განხილული და ძირითადად ნაშრომი თარგმანის თეორიის მნიშვნელოვან საკითხებს ეძღვნება.

ნაიდა ლინგვისტური მნიშვნელობის თარგმანის შემდეგ გეგმას გვთავაზობს:

1. ორიგინალის ბირთვულ სტრუქტურებამდე დაყვანას;
2. ამ უმარტივესი სტრუქტურების მნიშვნელობის გადატანა თარგმანის ენაზე;
3. ბირთვული სტრუქტურების თარგმანის ენაზე სტილისტურად შესაფერის სტრუქტურად გარდაქმნა.

სტრუქტურად გარდაქმნა.

მოგვიანებით ნაიდამ ამ ეტაპებს უწოდა: “ანალიზი”, “გადატანა”, “სტრუქტურის შეცვლა”.

ამის შემდეგ ავტორი რეფერენტული და ემოციური მნიშვნელობების ანალიზზე გადადის და მრავალჯერ აღნიშნავს სხვადასხვა ენებში ერთსა და იმავე ობიექტისა თუ მოვლენის აღმნიშვნელი რეფერენტული მნიშვნელობების სტრუქტურულ შეუსაბამობას. ემოციური მნიშვნელობის დასადგენად კი იგი გვთავაზობს ორიგინალის ენაზე მოსაუბრეთა რეაქციის შესწავლას, ანდა ვაკვირდეთ მის გამოყენებას იმ ლექსიკურ ერთეულებთან, რომელთა ემოციური მნიშვნელობა უკვე განსაზღვრულია.

კომუნიკაციური აქტის აღწერისას ნაიდა ავითარებს “ემოციური დატვირთვის თეორიას.” როგორც ცნობილია, ტექსტის გაგებას ართულებს უცნობი ინფორმაციის მატარებელი ერთეულები. სწორედ მთარგმნელმა უნდა იზრუნოს რეცეპტორისათვის შეტყობინების მიწოდებაზე და მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ორიგინალის რეცეპტორისაგან განსხვავებით, თარგმანის რეცეპტორი შეიძლება არ ფლობდეს საჭირო ინფორმაციას ამ შეტყობინების გასაგებად.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის შემდგომ განვითარებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა იუჯინ ნაიდას თარგმნითი ეკვივალენტობის კონცეფციამ. იგი გამოყოფს ეკვივალენტობის ორ სახეს: ფორმალურს და დინამიკურს. პირველი გულისხმობს თარგმანის ორიგინალთან მაქსიმალურ სიახლოვეს (მეტყველების ნაწილის შენარჩუნებას, მისი შეცვლის, თუ გადაადგილების გარეშე, პუნქტუაციის, აზრაცხად

დაყოფის შენარჩუნებით, იდიომების კალკირებით და სხვ.). დინამიკური ეკვივალენტობა კი რეცეპტორის რეაქციაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს მასზე ორიგინალის შესაფერისი ზეგავლენა მოახდინოს თარგმანის მკითხველზე. თავად ნაიდა უპირატესობას ანიჭებს დინამიკურ ეკვივალენტობას, როგორც ორიგინალის ყველაზე ბუნებრივი და დაახლოებული ვარიანტის შექმნის საშუალება, მდიდარი ლინგვისტური მასალის ანალიზის მაგალითზე ის გამოყოფს მთარგმნელობითი მოდიფიკაციის 3 სახეს: დამატება, გამოტოვება, და ცვლილება. ბიბლიის თარგმანზე მუშაობისას ი.ნაიდამ ყურადღება გაამახვილა ორიგინალის კომუნიკაციური ეფექტის გადმოცემის საკითხსა და რეცეპტორზე მისი პრაგმატული ზეგავლენის პრობლემას. ნაიდას აზრით, თარგმნისას აუცილებელია ტექსტის კულტურული ადაპტაცია. ასე მაგალითად, ტროპიკების ბინადართათვის, რომელთაც არ უნახავთ თოვლი შედარება “თოვლივით თეთრი” უმჯობესია ითარგმნოს “წეროს ბუმბულივით თეთრი;” ანალოგიურად, “მგელი” შეიცვლება “კოიოტად.” თავის უფრო გვიანდელ შრომებში ნაიდა მოითხოვს ზომიერების დაცვას ადაპტაციისას, რომ არ მოცდეს ორიგინალის კულტურული კოლორიტის დაკარგვა, ხოლო რეალიების ახსნა სქოლიოშია შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ნაიდას შრომები და თარგმანები სპეციფიკურ ხასიათს ატარებენ, მისმა თეორიულმა სკოლამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თარგმნის ლინგვისტური თეორიის ჩამოყალიბების საქმეში და გაუსწრო თანამედროვე თარგმანმცოდნეობის ბევრ მიღწევას, განსაკუთრებით თარგმანის პრაგმატიკისა და სემანტიკის სფეროში.

მთარგმნელობითი მუშაობა აშშ-ში. XX საუკუნის შუა ხანებში ამერიკელ ენათმეცნიერთა შორის გავრცელებულმა ადრინდელი სტრუქტურალიზმის კონცეფციებმა არ მოუშადა ნიადაგი თარგმანის თეორიის განვითარებას, რომელიც სწორედ ამ პერიოდში იწყებდა ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, იმ დროს გავრცელებული ბ.უორფის “ენობრივი შეფარდებითობის” თეორია საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა თარგმანის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ მთარგმნეობით საქმეს აშშ-ში საკმაოდ მცირე მასშტაბები ჰქონდა, თავად მთარგმნელები კი არ ხედავდნენ თეორიული დებულებების ჩამოყალიბების საჭიროებას.

მიუხედავად ამისა სწორედ აშშ-ში დაიწყო თარგმანის ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა. 50-იან წლებში ჟურნალში A”International Journal of American Linguistics,” (“ამერიკული ლინგვისტიკის საერთაშორისო ჟურნალი”) გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიებისა, რომელთაგანაც აღსანიშნავია ჩ. ვეგლინის “მრვალსაფეხურიანი თარგმანი”. ავტორი გვთავაზობს თარგმანის სრულყოფის 8-საფეხურიან სისტემას. ასევე საყურადღებოა იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული ჯ. კასაგრანდეს სტატია “თარგმნის მიზნები”, რომელშიც ავტორი 4 სახის თარგმანს გამოყოფს: 1) პრაგმატული თარგმანი, რომლის მიზანია შეტყობინების ზუსტი გადაცემა; 2) ესთეტიკურ-პოეტური თარგმანი, რომლის მიზანია ლიტერატურული და ესთეტიკური ფორმის გადმოცემა; 3) ეთნოგრაფიული თარგმანი, რომლის მიზანია – ორიგინალის კულტურული კონტექსტის ახსნა; 4) ლინგვისტური თარგმანი, რომლის მიზანია – ორიგინალის მორფემების მნიშვნელობის ახსნა. თარგმანის ასეთმა კლასიფიკაციამ განვითარება ჰპოვა მოგვიანებით შემუშავებულ

კონცეფციებში. საყურადღებოა აგრეთვე ჯ. კასაგრანდეს “აბსოლიტური ეკვივალენტობის” თეორია, რომლის თანახმადაც თარგმანმა ორიგინალის იდენტური რეაქცია უნდა გამოიწვიოს მკითხველში. ამით კასაგრანდემ ი. ნაიდას ზოგ მთარგმნელობით კონცეფციებს გაუსწრო.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1966წ. გამოქვეყნებულმა კრებულმა “On Translation”, რომლის სტატიებშიც თარგმანს მეტწილად ლიტმცოდნეობის პოზიციით განიხილავდნენ. ამ კრებულში შემავალი რ. იაკობსონის სტატია “თარგმანის ლინგვისტური ასპექტები” თარგმანის ლინგვისტური თეორიის ერთგვარ მანიფესტად იქცა და დღემდე ინარჩუნებს თავის მეცნიერულ-თეორიულ მნიშვნელობას: თავის ნაშრომში იაკობსონი ამტკიცებს თარგმანის ენათმეცნიერების ობიექტად განხილვის აუცილებლობას და მოჰყავს მაგალითი, როდესაც თარგმანს ენობრივი დაბრკოლება აფერხებს.

ამერიკული თარგმანმცოდნეობა XX ს. 80-იან წლებში. ამ პერიოდში ამერიკელი თეორეტიკოსები სულ უფრო ხშირად ეყრდნობიან თავისი საზღვარგარეთელი კოლეგების თეორიულ შრომებს, იზიარებენ ან უარყოფენ მათ თეორიებს.

ამ პერიოდის ყველაზე საფუძვლიან და მნიშვნელოვან ნაშრომად შეიძლება ჩათვალოს ს.ბასტენ-მაქგაირის “მთარგმნელობითი გამოკვლევები.” მონოგრაფიის შესავალში ავტორი ყოფს თარგმანის ტეორიას 4 დარგად: პირველი ორი ეხება თარგმანის ისტორიას და მის როლს ენა-რეცეპტორის კულტურაში. მესამე ნაწილი, “თარგმანი და ლინგვისტიკა,” ენობრივი ერთეულების შეპირისპირებას ეძღვნება, ხოლო მეოთხე ნაწილი, “თარგმანი და პოეტიკა,” მიცავს მხატვრული თარგმანის თეორიას და პრაქტიკას.

ავტორი მეტწილად მხატვრული თარგმანის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. წიგნის პირველ ნაწილში, სათაურით “ძირითადი პროვლემები” ავტორი განიხილავს შემდეგ საკითხებს: “ენა და კულტურა,” “თარგმანის სახეები,” “კოდირება და დეკოდირება,” “ეკვივალენტობის პრობლემა” და სხვ. ამ პრობლემების განხილვისას ს.ბასტენ-მაქგაირი ფართოდ იყენებს სხვა თარგმანმცოდნეების კონცეფციებს. ო.იაკობსონის მსგავსად ის თარგმანის 3 სახეს გამოყოფს: პერეფრაზი (ერთი ენის ფარგლებში განხორციელებული თარგმანი), საკუთრივ თარგმანი (ერთო ენიდან მეორეზე) და ტრანსმუტაცია (გარდაქმნა ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორეში). თარგმანის პროცესის აღწერისას კი ი.ნაიდას კონცეფციას იზიარებს, მაგრამ არ ეთანხმება მას მთარგმნელობითი ეკვივალენტობის საკითხში.

საინტერესო მასალაა წარმოდგენილი წიგნის მეორე ნაწილში, რომელშიც ავტორი თარგმანის ისტორიის საკუთარ კლასიფიკაციას გვთავაზობს: თარგმანის პრინციპებისა და მიმართულებების მიხედვით და არა პერიოდების მიხედვით.

მესამე ნაწილში ავტორი განიხილავს მხატვრული თარგმანის სპეციფიკა, კერძოდ კი, პოეზიის, პროზისა და სდრამატურგიის თარგმანის ტავისებურებებს.

დასასრულს ს.ბასტენ-მაქგაირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრების თარგმანის საკითხი უფრო დეტალურ ანალიზს საჭიროებს.

80-იანი წწ. გამოქვეყნებული შრომების ავტორებისათვის მთარგმნელობითი პრობლემების ფართო სპექტრს შეისწავლიდნენ. ამაზე მოწმობს კრებული “მთარგმნელობითი სპექტრი,” რომლის 18 სტატიიდან აღსანიშნავია ს.როსის სტატია

“თარგმანი და მსგავსება.” ავტორი თვლის, რომ სრული იდენტურობა შეუძლებელია და თარგმანი შეიძლება ორიგინალის მხოლოდ მსგავსი იყოს. თეორიულ ინტერესს იწვევს თარგმანის ავტორისეული განმარტება, სადაც იგი გამოყოფს თარგმანის ორ დამახასიათებელ თვისებას: თარგმანი ისეთი გამონათქვამია, რომელმაც ორიგინალის მაგივრობა უნდა გაგვიწიოს, თუმცადა მათ შორის განსხვავებები არსებობს. ამგანსხვავებების მიუხედავად თარგმანს შეუძლია გარკვეულწილად შეცვალოს ორიგინალი.

დასასრულს შეიძლება ავლნიშნოთ, რომ აშშ-ს მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თარგმანმცოდნეობის განვითარების საქმეში. მათ მიერ შემუშავებულმა კონცეფციებმა კი შემდგომში განვითარება ჰპოვა სხვა თეორეტიკოსთა შრომებში.

ზოგიერთი ტერმინის განმარტებისთვის: ერთგულება (faithfulness), სული (spirit) და ჭეშმარიტება (truth). ფლორა ამოსი თარგმანის თეორიის ისტორიას განიხილავს როგორც "ადვილად განსასხვავებელ, მოწესრიგებულ თანამიმდევრობას". ჩვეულებრივ, თეორია იყო დაუკავშირებელი: იგი შედგებოდა პროფესიონალთა კომენტარებისა და წინასიტყვაობების სერიისგან, რომლებიც ხშირად იგნორირებას უკეთებდნენ მათი წინაპრების მიერ დაწერილ ტექსტებს. მაგალითად, ისინი ხშირად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიტყვებს "faithfulness", "accuracy" და "translation".

მსგავსი შეხედულებები ასევე განხილულია ლუის კელის წიგნში. ავტორი დაწვრილებით განიხილავს დასავლური მთარგმნელობითი თეორიის ისტორიას, იწყებს ანტიკური პერიოდიდან და განიხილავს ტერმინებს "fidelity", "spirit" და "truth". სიზუსტის იდეა (ან, მინიმუმ, მთარგმნელი, რომელიც იყო *fidus interpres*, ანუ "faithful interpreter") თავდაპირველად არასწორად იყო აღქმული როგორც ჰორაციუსის მიერ აღნიშნული ლიტერატურული, სიტყვასიტყვითი თარგმანი; მხოლოდ მე-17 საუკუნის ბოლოს სიზუსტე დაკავშირდა მნიშვნელობის სიზუსტესთან და ნაკლებად ავტორის სიტყვებთან). ლ. კელი აღწერს "spirit" როგორც ორი მნიშვნელობის მქონე ტერმინს: ლათინური სიტყვა *spiritus* აღნიშნავს კრეატიულ ენერგიას ან შთაგონებას, მაგრამ წმინდა ავგუსტინე იყენებს მას წმინდა წერილის აღსანიშნავად, ხოლო მისი თანამედროვე წმინდა იერონიმე - ორივე მნიშვნელობით. წმინდა ავგუსტინისთვის *spirit* და *truth* (*veritas*) იყო გადაფარვადი მნიშვნელობების მქონე, სიტყვას "truth" ჰქონდა "შინაარსის" (*content*) მნიშვნელობა. წმინდა იერონიმესთვის, "truth" აღნიშნავდა ავთენტიკურ ებრაულ ტექსტს, რომელსაც ის უბრუნდებოდა თავის თარგმანებში. ლ. კელის აზრით, მე-12 საუკუნემდე *truth* სრულიად არ უკავშირდებოდა "შინაარსს".

თარგმანის თეორია XIX და XX საუკუნის ბრიტანეთში

ამ პერიოდში ბრიტანეთში თარგმანის შესწავლა ფოკუსირებული იყო დედნის სტატუსსა და მიმღები ენის ფორმაზე. ამის მაგალითია პოლემიკა მ. ნიუმანსა და ფ. ვ. არნოლდს შორის.

ცნობილ სახელმძღვანელოში "თარგმანის თეორია და პრაქტიკა" ვ. გ. იებრას მოჰყავს ას წელზე მეტი ხნის წინ გამართული დისკუსია ორ ინგლისელ პროფესორს - მეთიუ არნოლდსა და ფრანცის ვ. ნიუმანს შორის. ცნობილია, რომ 1861 წელს მ. არნოლდმა გამოაქვეყნა სტატია "ჰომეროსის თარგმანისთვის", რომელშიც აკრიტიკებდა ვ. ნიუმანის მიერ შესრულებულ ჰომეროსის თარგმანს. იმავე წელს ვ. ნიუმანმა გამოაქვეყნა საპასუხო სტატია ("Homeric Translation in Theory and Practice"), რომელსაც მ. არნოლდმა 1862 წელს ახალი სტატია მიუძღვნა. მ. არნოლდის აზრით, თარგმანმა იგივე ეფექტი უნდა გამოიწვიოს, რომელიც დაბადა ორიგინალმა თავის მკითხველში. მისთვის მისაღებია მთარგმნელის მიერ სალიტერატურო სიზუსტეზე უარის თქმა მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. ფ. ნიუმანი, პირიქით, მხარს უჭერდა სიტყვასიტყვით სიზუსტეს; ის იცავდა იმ აზრს, რომ თარგმანი უნდა გამოიცნობოდეს როგორც თარგმანი და არ უნდა შთანთქავდეს ორიგინალს.

გეორგ შტაინერი. გეორგ შტაინერი მის დეტალურ წიგნში თარგმანის თეორიის ისტორიის შესახებ ჩამოთვლის 14 მწერლის გვარს, რომლებმაც გარკვეული სიახლე შეიტანეს ამ სფეროში. სიაში ნახსენებია წმინდა იერონიმე, მ. ლუთერი, ჯ. დრაიდენი, ფ. შლაიერმახერი, ხოლო მე-20 საუკუნიდან - ე. პაუნდი და ვ. ბენიამინი.

რ. იაკობსონი. იაკობსონის თანახმად, ნიშნის ინტერპრეტაციის სამი წესი არსებობს: მისი გადაყვანა იმავე ენის სხვა ნიშანში, სხვა ენაზე, ან სხვა, სიმბოლოთა არავერბალურ სისტემაში. თარგმანის ეს სამი სახე შეიძლება განიმარტოს როგორც:

1. შიგაენობრივი თარგმანი, ან სახელის გადარქმევა - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია იმავე ენის სხვა ნიშნების საშუალებით;

2. ენათაშორისი თარგმანი, ანუ საკუთრივ თარგმანი - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენაზე;

3. ინტერსემიოტიკური თარგმანი, ანუ ტრანსმუტაცია - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია არავერბალურ ნიშანთა სისტემის საშუალებით.

შიგაენობრივი თარგმანის დროს გამოიყენება ან სხვა სიტყვა, რომელიც მეტ-ნაკლებად სინონიმური მნიშვნელობისაა, ან პარაფრაზი. მართალია, ამბობს რ. იაკობსონი, სიტყვა ან ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოდის ერთეული, რომელიც უფრო მაღალი დონისაა, შეიძლება სრულად ინტერპრეტირებულ იქნას მხოლოდ კოდური ერთეულების ეკვივალენტური კომბინაციის საშუალებით ანუ შესაბამისი ერთეულის შესაბამისი შეტყობინებით. ზუსტად ასევე, ენათაშორისი თარგმანის დროს კოდის ერთეულებს შორის სრული ეკვივალენტობა არ არის, მაგრამ გზავნილები, რომლებშიც ისინი გამოიყენება, შეიძლება გამოდგეს ადეკვატურ ინტერპრეტაციად უცხოური კოდური ერთეულებისთვის ან მთელი გზავნილისთვის. თუმცა, ხშირად, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის დროს, ვლინდება არა ერთი კოდური ერთეულების მეორით შენაცვლება, არამედ ერთი მთლიანი შეტყობინების მეორით ჩანაცვლება. ასეთი თარგმანი ირიბი მეტყველებაა. მთარგმნელი ახორციელებს შეტყობინების რეკოდირებას და გადმოსცემს შეტყობინებას, რომელიც მას გარკვეული წყაროდან

აქვს მიღებული. ამრიგად, თარგმანში მონაწილეობს ორი ეკვივალენტური შეტყობინება ორ განსხვავებულ კოდში.

თარგმანის ამგვარი სისტემატიზების შემუშავებისას რ. იაკობსონი ეყრდნობა ჩარლზ პირსის ინტერპრეტაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა გამოხატულებას შორის მნიშვნელობის ეკვივალენტობა "შეიძლება იყოს გადმოცემული მხოლოდ იმ თანმიმდევრობათა იგივეობით, რომლებსაც ეს გამოხატულებები მოიცავენ". უ. ეკოს აზრით, პირსის ინტერპრეტაციის თეორიის წარმოდგენა რ. იაკობსონს იმის დასადგენად აინტერესებდა, რომ ნიშნის მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არა ახალი, განსხვავებული გამოხატულება, რომელიც ამოსავალი ნიშნიდან წარმოიქმნება.

70-იანი წლების დასაწყისიდან რ. იაკობსონი გამოთქვამს მოსაზრებას ვიზუალური და აკუსტიკური და არა ვერბალური ნიშნების ტრანსფორმაციის შესახებ. სირთულე ის არის, რომ ტექსტის, ანუ "სხვისი" სიტყვის გაგება, გადაიქმნება გამარკვეველ ახსნად სხვა ნიშნებად გარდაქმნის შედეგად: ეს არის ინტერპრეტაციის ცნება, რომელიც მიღებულია ინტერპრეტაციული სემიოტიკის ფარგლებში და ეყრდნობა ჰერმენევტიკულ ტრადიციას, მაგრამ გამდიდრებულია პირსის ინტერპრეტაციის ცნებით. ინტერპრეტაციის პროცესის საერთო ბირთვი იწვევს სხვა ნიშნების წარმოქმნას, რომლებითაც პირველადი ნიშნები აიხსნება.

ე. ნაიდასა და ჩ. ტაბერის თანახმად, ყველა ენაში არის ძირითადი 6-12 "kernel" სტრუქტურა. "Kernels" არის დონე, რომელზეც შეტყობინება გადაეცემა მიმღებ ენაზე, ვიდრე ის გარდაიქმნება ზედაპირულ სტრუქტურად. ამისთვის ის გაივლის სამ ეტაპს: "სალიტერატურო გადატანა", "მინიმალური გადატანა" და კვლავ "სალიტერატურო გადატანა".

ჩომსკის ზეგავლენა. ჩომსკის გენერაციულ-ტრანსფორმაციული მოდელი ახდენს წინადადებების ანალიზს დაკავშირებული დონეების სერიებად, რომლებიც გარკვეულ წესებს ემორჩილება. ეს მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ფრაზა - სტრუქტურა წესები აგენერირებს ქვემდებარე ან ღრმა სტრუქტურას, რომელიც გარდაიქმნება ტრანსფორმაციული წესების ზეგავლენით, რომლებიც აკავშირებს ერთ ქვემდებარე სტრუქტურას მეორესთან (მაგ., აქტიურს პასიურთან), რომ წარმოქმნას საბოლოო ზედაპირული სტრუქტურა, რომელიც თვითონ არის ფონოლოგიური და მორფემული წესების საგანი.

ჩომსკის აზრით, მოდელში აღწერილი სტრუქტურული ურთიერთობები ადამიანის ენის უნივერსალური მახასიათებელია. ამ სტრუქტურათა შორის ძირითადია ე.წ. "Kernel" წინადადებები, რომლებიც მარტივი, აქტიური, დეკლარაციული წინადადებებია და საჭიროებენ მინიმალურ ტრანსფორმაციას.

ე. ნაიდამ თავის თეორიაში გამოიყენა ჩომსკის მოდელის ძირითადი ელემენტები. კერძოდ, ე. ნაიდა ხედავს, რომ ეს მოდელი ეხმარება მთარგმნელს მოახდინოს ორიგინალი ტექსტის დეკოდირება და თარგმანის კოდირება; ასევე, ე. ნაიდა ახდენს ჩომსკის მოდელის შებრუნებას დედნის ანალიზის დროს. მაგალითად, დედნის ზედაპირული სტრუქტურა გაანალიზებულია ღრმა სტრუქტურების ძირითად ელემენტებში; ისინი "გადაიტანება" თარგმნის პროცესში და განიცდიან სემანტიკურ და სტილისტურ რესტრუქტურირებას თარგმანის ზედაპირულ

სტრუქტურაში. ამის საფუძველზე ე. ნაიდამ შეიმუშავა თარგმანის სამსაფეხურიანი სისტემა.

ჩომსკის მსგავსად, ე. ნაიდასა და ჩ. ტაბერისთვის ე.წ. "Kernel" სტრუქტურები ასევე "ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია, რომელზე დაყრდნობითაც ენა ქმნის ზედაპირულ სტრუქტურებს". "Kernels" მიიღება დედნის ზედაპირული სტრუქტურებიდან უკუტრანსფორმაციის რედუქციული პროცესის საშუალებით.

ტერმინები "სალიტერატურო", "თავისუფალი" და "ზუსტი" ე. ნაიდამ დაიწუნა და მათ ნაცვლად შეიმუშავა ეკვივალენტობის "ორი ძირითადი ორიენტირი" (ან "ეკვივალენტობის ტიპები"):

1) ფორმალური ეკვივალენტობა - როდესაც ყურადღების ფოკუსირება ხდება თავად გზავნილზე, როგორც მის ფორმაზე, ისე შინაარსზე;

2) დინამიკური ეკვივალენტობა - ანუ ფუნქციური, რომელიც ემყარება (ნაიდას ტერმინი რომ ვიხმაროთ) "ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს", სადაც "კავშირი რეცეპტორსა და გზავნილს შორის შეიძლება იყოს ძირითადად იგივე, როგორც არსებობდა ორიგინალ რეცეპტორსა და გზავნილს შორის".

გზავნილი უნდა მოერგოს რეცეპტორის ლინგვისტურ მოთხოვნილებებსა და კულტურულ მოლოდინს, რომლის "მიზანიც უნდა იყო გამომხატვის სრული ბუნებრიობა". "ბუნებრიობა" ე. ნაიდასთვის ძირითადი მოთხოვნილებაა. დინამიკური ეკვივალენტობის მიზნად მას მიაჩნია მოძებნა "უახლოესი ბუნებრივი ეკვივალენტისა ორიგინალი ენის გზავნილისთვის. ეს რეცეპტორზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს გრამატიკულ, ლექსიკურ და კულტურულ ადაპტაციას, რაც აუცილებელია ბუნებრიობის მისაღწევად. სამიზნე ტექსტის ენამ არ უნდა გამოავლინოს ორიგინალი ენის ჩარევა და ორიგინალი ტექსტის "სიუცხოვე" მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

ე. ნაიდასთვის არსებობს "თარგმანის ოთხი ძირითადი მოთხოვნილება":

- 1) აზრის ქონა;
- 2) ორიგინალის აზრისა და მანერის გადაცემა;
- 3) გამომხატვის ბუნებრივი და მარტივი ფორმა;
- 4) მსგავსი რეაქციის გამოწვევა.

ე. ნაიდას თეორიის ძირითადი მიზანი იყო გზის ჩვენება, რომელიც არ იქნებოდა პირდაპირი სიტყვასიტყვითი ეკვივალენტობის მოძებნა. ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობის ცნებები გთავაზობენ რეცეპტორზე ანუ მკითხველზე ორიენტირებული თარგმანის თეორიას. ამის მიუხედავად, ეკვივალენტობის ეფექტისა და ეკვივალენტობის იდეის ცნებები მკაცრად გააკრიტიკეს მეცნიერებმა. გაჩნდა კითხვები, თუ როგორ უნდა გაიზომოს ეფექტი, როგორ შეიძლება ერთ ტექსტს ორ განსხვავებულ კულტურასა და დროზე ჰქონდეს ერთი ეფექტი და სხვა. 1992-93 წწ. ჟურნალ Meta-ში გამოქვეყნდა Qian Hu-ს სტატიათა ციკლი, რომლის მიზანი იყო ეკვივალენტური პასუხის "შეუძლებლობის" ჩვენება. ედვინ ჯენცერის აზრით, დინამიკური ეკვივალენტობის ფუნქციას რეცეპტორთა კონვერტაცია კულტურის მხედველობაში მიღების გარეშე, პროტესტანტული ქრისტიანული რელიგიის დომინანტური დისკურსისადმი. ამ და სხვა კრიტიკულ შეხედულებათა მიუხედავად, ე. ნაიდას სისტემურმა ლინგვისტურმა მიდგომამ დიდი ზეგავლენა

იქონია მის შემდგომ მნიშვნელოვან მეცნიერებზე, მაგალითად, პიტერ ნიუმარკსა და ვერნერ კოლერზე.

მთარგმნელობითი მუშაობის ლინგვისტური კონცეფციები

ფრანგულ-კანადური მთარგმნელობითი მუშაობის ლინგვისტური კონცეფციები. ფრანგი და კანადელი ენათმეცნიერების თეორიების ერთობლივი განხილვა სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული და ერთ-ერთი მათგანია მჭიდრო თანამშრომლობა და შრომების იდეური სიახლოვე. ეს ერთ-ერთი პირველი შრომები იყო თარგმანის თეორიაში. ჟ. პ. ვინესა და ჟ. დარბელნეს, ჟ. მუნენის, დ. სელესკოვიჩის, მ. ლედერერის, ჟ. დელილისა და სხვათა შრომებმა გავლენა მოახდინეს მოგვიანებით შემუშავებულ თეორიებზე.

ფრანგული და კანადური თარგმანმცოდნეობისათვის დამახასიათებელია თარგმანის როგორც ლინგვისტური კონცეფციების შემუშავება, ისე ფსიქოლოგიისა და ფსიქოლინგვისტიკის მიღწევების ფართო გამოყენება.

კანადელი ენათმეცნიერების ჟან-პოლ ვინესა და ჟან დარბელნეს წიგნი “ფრანგული და ინგლისური ენების შეპირისპირებითი სტილისტიკა. „თარგმანის მეთოდები” თარგმანის ლინგვისტურ თეორიაში ერთ-ერთ პირველ ფუნდამენტალურ ნაშრომს წარმოადგენს. ფრანგული და ინგლისური ენების შეპირისპირების გზით ავტორები აანალიზებენ ორი და მეტი ენის გამომსახველობით საშუალებებს. მასში ჩამოყალიბებულ თარგმნის თეორიას “შეპირისპირებითი სტილისტიკა” ეწოდა. წიგნს ერთვის ტერმინების ლექსიკონი.

თარგმანის ტექნიკურ ხერხებს შორის ავტორები გამოყოფენ პირდაპირ თარგმანს (სესხება, კალკირება, სიტყვასიტყვითი თარგმანი) და არაპირდაპირ თარგმანს (ტრანსპოზიცია – მეტყველების ნაწილის შენაცვლება, ადაპტაცია – აღწერილი სიტუაციის შეცვლა და სხვ.). ავტორთა აზრით, უკანასკნელს იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც პირდაპირი თარგმანი შეუძლებელია.

ამ ნაშრომის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ავტორები არ ევლებენ ზღვარს თარგმანის თეორიასა და შეპირისპირებით ენათმეცნიერებას შორის.

ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერი ჟორჟ მუნენი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თარგმანის თეორიის სფეროში დაიწყო მუშაობა. თავისი თეორიები მას წარმოდგენილი აქვს ძირითად ნაშრომში “თარგმანის თეორიული პრობლემები, ასევე წიგნში “თარგმანის თეორია და ისტორია” და მრავალ სტატიაში. მუნენის მიზანია წარმოაჩინოს თანამედროვე ენათმეცნიერების კვლევის მეთოდების მნიშვნელობა თარგმანის პრობლემების გამოკვლევისათვის.

თავის მონოგრაფიებში ავტორი განიხილავს იმ ლინგვისტურ საკითხებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ თავად თარგმნის შესაძლებლობას. მთარგმნელობით პრობლემებს იგი 3 ჯგუფად ყოფს: ენობრივი ნიშნის სემანტიკის სპეციფიკა, რეალობის განსხვავებული ხედვა და თავად ამ რეალობის, კულტურისად და ცივილიზაციების განსვავება. მუნენი დეტალურად განიხილავს სამივე ჯგუფს და თითოეულ შემხვევაში იგი პოულობს თარგმანისადმი ლინგვისტური მიდგომის ახალ საშუალებებს. ავტორი აღნიშნავს, რომ მთარგმნელს სხვადასხვა სახის ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური პრობლემების გადაჭრა უხდება

თარგმანის თეორიაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მარიანა ლედერერისა და დანიცა სელესკოვიჩის თარგმანის ე.წ. ინტერპრეტირების თეორიამ, რომელიც ჩამოაყალიბებულია მათ საერთო ნაშრომში. დ.სელესკოვიჩის კონცეფციას საფუძვლად უდევს ის ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც წარმართავენ და ხსნიან ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების პროცესს. სელესკოვიჩის აზრით, მთარგმნის ამოცანაა გადმოსცეს გამოთქმის აზრი. ამ აზრის გაგება კი ნიშნავს ნათქვამის ინტერპრეტაციას. მთარგმნელი ამას შეტყობინების მიღებისთანავე, ინტუიციურად აკეთებს და მის მეხსიერებაში რჩება მხოლოდ გაგებული აზრი, რომელსაც იგი თარგმნისას გადმოსცემს. ამრიგად, ნებისმიერი სახის თარგმანი ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

სელესკოვიჩს მიაჩნია, რომ მსგავს ინტერპრეტაციას მთარგმნელი განსაკუთრებით წარმატებულად ახერხებს ზეპირი, კერძოდ სინქრონული თარგმანის დროს, ვინაიდან მას არა აქვს საკმარისი დრო ენობრივი ფორმის ანალიზისათვის და ის ცდილობს გადათარგმნოს გაგებული აზრი. შესაბამისად,

დ. სელესკოვიჩის თანაავტორი და კოლეგა მ. ლედერერი ავტორია მონოგრაფიისა “სინქრონული თარგმანის თეორიული საფუძვლები”, რომელიც ასევე თარგმანის ინტერპრეტირების თეორიას ეყრდნობა. მ. ლედერერის წიგნი სინქრონული თარგმანის პრობლემებს ეძღვნება, თუმცადა ავტორი აღნიშნავს, რომ მისი თეორიული კონცეფციები წერით თარგმანზეც ვრცელდება.

სინქრონული თარგმანის პროცესის დეტალური აღწერისას მ.ლედერერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთარგმნელს საქმე აქვს არა ცალკეულ ენობრივ ერთეულთან, არამედ მთლიანი ტექსტის აზრთან. მან შეიმუშავა ე.წ. “სინექდოქეს” კონცეფცია, რომელიც ვრცელდება როგორც თარგმანზე, ისე ზოგადად მეტყველებაზე. ობიექტის დასახელებას საფუძვლად უდევს ამ ობიექტის რომელიღაც თვისება. სიტყვის მნიშვნელობა არ აღწერს ობიექტს, არამედ მიუთითებს მასზე მისი ერთი ან რამდენიმე თვისების საშუალებით; შესაბამისად მთლიანი ობიექტი დასახელდება მისი ნაწილის (თვისების) მიხედვით, ე. ი. ადგილი აქვს გარკვეული სახის სინექდოქას.

იგივე შეიძლება ითქვას ზოგადად ტექსტის შესახებ. გამოთქმის მნიშვნელობა მისი მთლიანი მნიშვნელობის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. მთლიანი აზრი მხოლოდ ენობრივი ერთეულების მნიშვნელობამდე კი არ დაიყვანება, უფრო მეტიც, იგი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს. მაგალითად, მასპინძელთან დამშვიდობებისას იაპონელმა დიპლომატმა შეიძლება თქვას “თქვენ ძალიან მდიდარი ადამიანი ბრძანდებით”, რაც ნიშნავს “გმადლობთ მასპინძლობისათვის”. მ. ლედერერი იხსენებს როგორ იყო შოკირებული, როდესაც მისმა ნაცნობმა ინგლისელმა მანდილოსანმა ქმრისადმი თავისი სიყვარული და ერთგულება შემდეგნაირად გამოხატა: I'm a one man's dog". ლედერერის აზრით, ფრანგული ენის მსგავსად სიტყვა “chien” უკიდურესი დამცირების, მონური მდგომარეობის ამსახველი უნდა ყოფილიყო.

გამოთქმის ძირითადი აზრის გადმოცემა – სწორედ ეს არის მთარგმნელის მთავარი ამოცანა. ამისათვის კი ის ორიგინალის თითოეული სიტყვის ანალიზის ნაცვლად მის აზრს უნდა ჩაწვდეს, ეს კი უმალ უნდა განხორციელდეს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მთარგმნელის მიერ გაგებული ორიგინალის აზრი არ

უზრუნველყოფს თავად თარგმანის სიცხადეს. გარდა ამისა, ლედერერი განასხვავებს ტექსტისა და აზრის ინტერპრეტირებას. პირველი თარგმანისა და აღქმის აუცილებელი პირობაა და მიზნად ისახავს აზრის გაგება-გადმოცემას. უკვე გადმოცემული აზრის ინტერპრეტაცია კი მკითხველზეა დამოკიდებული.

თეორიული პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით მ. ლედერერის თეორიას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. სწრაფი და არაშრომტევადი გაგება მხოლოდ შედარებით მარტივი ტექსტების დამუშავებისას არის შესაძლებელი, მაგრამ რთული ტექსტის აზრი მრავალი კომპონენტისაგან შედგება, რომელთა დასადგენად მრავალმხრივი ანალიზია საჭირო. არ არის ასევე დამაჯერებლად არგუმენტირებული ზეპირი თარგმანის უპირატესობა, როგორც ორიგინალის აზრის გადმოცემის საუკეთესო საშუალება. განსაკუთრებით ეს მთარგმნელ-სინქრონისტს ეხება, რომელიც, როგორც ცნობილია, იძულებულია აზრის მხოლოდ ნაწილობრივი გადმოცემით დაკმაყოფილდეს. ამავდროულად წერითი თარგმანის დროს მთარგმნელს ორიგინალის უფრო დეტალური ანალიზის საშუალება ეძლევა და შესრულებულ თარგმანში შეუძლია შესწორებები შეიტანოს.

დ. სელესკოვიჩისა და მ. ლედერერის ნაშრომები დიდ ინტერესს იმსახურებენ, ვინაიდან, ავტორები თარგმანის პროცესის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს განიხილავენ.

ასევე საყურადღებოა კანადელი მთარგმნელისა და პედაგოგის ჟან დელილის გამოკვლევები. თავისი თეორია მან ჩამოაყალიბა წიგნში “დისკურსის ანალიზი, როგორც თარგმანის მეთოდი”. დელილის შრომები გარკვეულწილად ინტერპრეტირების თეორიას ემყარება. იგი უარყოფითად აფასებს თარგმანის თეორიაში ორი ენის შეპირისპირებით ანალიზს და თვლის, რომ მთარგმნელი კი არ ადარებს ორი ენის ნიშნებს, არამედ გამოთქმის სრული აზრის ინტერპრეტირების გზით თარგმნის.

ჟ. დელილი ავითარებს დ. სელესკოვიჩის კონცეფციას და თარგმნის პროცესში 3 ძირითად ეტაპს გამოყოფს: გაგება, გარდაქმნა და დამადასტურებელი ანალიზი. გაგება თავის მხრივ გულისხმობს: 1) ორიგინალის ტექსტში ნიშნების დეკოდირებას; 2) სიტუაციისა და კონტექსტის გათვალისწინებით აზრის გამოტანა; 3) მთლიან ტექსტზე დაყრდნობით მისი სათაურის გააზრებას. ამ ეტაპზე შეიმჩნევა ინტერპრეტირების თეორიისაგან განსხვავებული მიდგომა ენობრივი ერთეულისადმი. პირველ ეტაპზე ხდება ენობრივი ერთეულის გააზრება. მეორე ეტაპზე ხდება გამოტანილი აზრის გარდაქმნა მეორე ენაზე, ანუ მთარგმნელი შესაძლებელი ვარიანტებიდან ირჩევს ორიგინალთან ყველაზე მიახლოებულ თარგმანს ირჩევს. მესამე ეტაპზე ხდება შერჩეული ვარიანტის შეფასება, რამდენად შეესაბამება იგი ორიგინალს აზრობრივი, კონოტაციური, მეტაფორული, თუ ლოგიკური თვალსაზრისით.

ჟ. ლედერერის კონცეფცია იმით გამოირჩევა, რომ ავტორი ცდილობს თეორიული გზით გადაწყვიტოს მომავალი სპეციალისტების მომზადების საკითხი. წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სავარჯიშოებს, რომლებიც სხვადასხვა ჟგუფშია გაერთიანებული და მათ შესასრულებლად საჭიროა კომუნიკაციური და არა ლინგვისტური ამოცანის გადაჭრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სავარჯიშოები თარგმანის ენის შესაძლებლობების სრულ გამოყენებაზე, როდესაც მთარგმნელებს

უწევთ ტექსტების შესწორება, იდიომატური გამონათქვამების დაძვინა, კლიშეების გამოყენება, სტილისტური რედაქტირება და სხვ.

ზოგადად, ჟღერდერერის შრომები ინტერპრეტირების თეორიას ეყრდნობა, თუმცადა გარკვეული განსხვავებებიც არის და ავტორი მეტ ყურადღებას უთმობს თარგმნის ენობრივ ასპექტებს. გარდა ამისა, დელილი თავის შრომებში ცდილობს დაუახლოვოს ერთმანეთს სხვადასხვა თეორიები და მრავალმხრივ გაანალიზოს თარგმნის პროცესი.

მთარგმნელობითი მუშაობის ლინგვისტური კონცეფციები გერმანიაში

რამდენიმე ათწლეულის მანძილზე აღმოსავლეთ გერმანიაში არსებობდა მნიშვნელოვანი კერა მთარგმნელობით სფეროში. ლაიპციგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესიონალ მთარგმნელთა მომზადების ცენტრი. მთარგმნელობითი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტების კვლევას აწარმოებს ენათმეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია კადე, ნოიბერტი, ეგერი.

მთარგმნელობითი თეორიის განვითარება კადეს შრომებში. ოტო კადეს ეკუთვნის მთელი რიგი შრომებისა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია “შემთხვევითობა და კანონზომიერება თარგმანისას” (1968). იგი ცდილობს თარგმანის თეორიას მიანიჭოს ობიექტური ხასიათი, რისთვისაც თარგმანისა საჭიროა მათი თეორიული განზოგადება. არსებობს სამი პარამეტრი, რომელთაგანაც შეიძლება გამოიყოს თარგმნის პროცესზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები: 1. ენობრივი სისტემები, 2. ობიექტური რეალობა და მისი ანარეკლი, 3. კომუნიკაციის მონაწილენი, რომელიც იყენებენ სხვადასხვა ნიშნებს.

ო. კადე ცდილობდა შეემუშავებინა თარგმნითი პროცესის კლასიფიკაცია და გადაეწყვიტა მთარგმნელობითი ექვივალენტობის პრობლემა. იგი ანსხვავებს თარგმანის რეალიზაციის სამ წესს: სუბსტიტუცია – გრამატიკული მნიშვნელობის საფუძველზე, ინტერპრეტაცია – სიგნიფიკატორული მნიშვნელობის ბაზაზე და პარაფრაზა – დენოტატიური მნიშვნელობის ბაზაზე.

ექვივალენტური კომუნიკაციის შექმნის დროს თარგმანში ხდება ტექსტის რამდენამდე შეცვლა. ო. კადე მოითხოვს განვასხვავოთ სხვადასხვა კატეგორიის თარგმანი, რომელთაგან თითოეული შეესაბამება გარკვეულ მოთხოვნას: “დაუმუშავებელი”, “მუშა”, და “ მზა გამოსაქვეყნებლად”. ყოველი ტიპის თარგმანისთვის დგინდება ექვივალენტობის თავისი კრიტერიუმი: პირველი კატეგორიისათვის საკმარისია “დენოტატორული ექვივალენტობა”. მეორე კატეგორიის თარგმანი გადმოსცემს ორიგინალის დენოტატიურ საგნიფიკატორულ მნიშვნელობას, რომელიც შესაძლებელია არ იყოს სტილისტურად ადექვატური. მხოლოდ მესამე კატეგორიის თარგმანი გადმოგვცემს ორიგინალის სრულ შინაარსს, მოიცავს პრაგმატულ მნიშვნელობას, სტილისტურად ადექვატურია ორიგინალის. თარგმანის ტექსტი კომუნიკატორულად ადექვატურია ორიგინალის.

ო. კადე წინააღმდეგი იყო მთარგმნელობითი თავნებობისა. მომხრე იყო ზოგიერთი თავისუფლებისა მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელსაც მოითხოვდა ორივე ენა. ო. კადეს შეხედულებებს დღეს ბევრი იზიარებს.

ნოიბერტის მთარგმნელობითი კონცეფცია. გერმანელი მთარგმნელი და პედაგოგი ალნერტ ნოიბერტი ბევრს მუშაობს თარგმანის თეორიაში. ყველაზე დიდი დამსახურება მას მიუძღვის თარგმანის ორი პრობლემის კვლევაში, რომლებიც დაკავშირებულია თარგმანის პრაგმატულ ასპექტებთან და თანამედროვე ლინგვისტური ტექსტების პრინციპების შემუშავებაში. მოგვიანებით კადემ გააფართოვა კომუნიკაციური მეთოდების დიაპაზონი.

მოგვიანებით ექვივალენტურობის კრიტერიუმების ძიების დროს ო. კადე აქცენტს აკეთებს სათარგმნი ტექსტისადმი კომპლექსურ მიდგომაზე კონკრეტულ შემთხვევაში. ტექსტი, როგორც კომუნიკაციური ერთეული, მოიცავს უფრო მეტ ინფორმაციას, ვიდრე ენობრივი ნიშნების ჯაჭვი გვიჩვენებს.

ნოიბერტმა წინ წამოსწია თარგმანის თეორიასი პრაგმატიკის მნიშვნელობა. მას აქვს ნაშრომი “თარგმანის პრაგმატული ასპექტები”, რომელშიც ის წერს, რომ ადეკვატურ თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს ორიგინალის პრაგმატიკა.

ნოიბერტი გამოყოფს პრაგმატული ურტიერთობის ოთხ ტიპს, აქედან გამომდინარე თარგმანის ოთხ ტიპს. პირველ ტიპს მიეკუთვნება ისეთი ტექსტი, რომლის ორიგინალი განკუთვნილია ფართო აუდიტორიისათვის. მისი თარგმნა ადვილია. ესაა ძირითადად ტექნიკური ლიტერატურა, სარეკლამო განცხადებები.

მეორე ტიპის ტექსტებია ისინი, რომლებიც ატარებენ ინფორმაციას (განკარგულებები, გასართობი მასალა, დარიგებები). ესაა კინოები, პრესა, განცხადებები. ისინი განკუთვნილია სპეციფიური მიზნებისათვის.

მესამე სახის ტექსტებია მხატვრული ლიტერატურა. აქ თარგმანის ხარისხი დამოკიდებულია ჟანრზე: ბელეტრისტიკა, დრამატურგია და ლირიკა ყველაზე მეტად მოითხოვს თარგმანის მაღალ ხარისხს.

მეოთხე ტიპის ტექსტები განკუთვნილია სწორედ თარგმანისათვის. ისინი მოიცავენ იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია გარკვეული ტიპის ადამიანებისთვის.

ნოვატორულია ნოიბერტის მონოგრაფია “ტექსტი და თარგმანი”. მთარგმნელის ამოცანაა შექმნას ისეთი ტექსტი, რომელსაც ექნება ორიგინალის ტექსტის კომუნიკატორული ღირებულება. ამის მიღწევა შესაძლებელია ინფორმაციის სამი სახეობის შენარჩუნებით: ენობრივი ერთეულების სემანტიკა, ექსტრალინგვისტური ინფორმაცია და ასოციაციები. ეს განაპირობებს ერთი და იგივე ტექსტის თარგმნის სხვადასხვა შესაძლებლობებს. თარგმნითი პროცესისათვის დამახასიათებელია ვარიანტული ხასიათი.

ექვივალენტურობა შესაძლებელია მხოლოდ ტექსტებს შორის. ტექსტების ელემენტებს შორის უნდა არსებობდეს ლინგვისტური ეკვივალენტობა.

თარგმანის თეორიის საკითხები გ. ეგერის შრომებში. გ. ეგერი პრობლემას მიუდგა თანამედროვე ენათმცოდნეობის პოზიციიდან. მისი უმთავრესი ნაშრომია “ტრანსლაცია და ტრანსლაციური ლინგვისტიკა”. ნაშრომში არის განყოფილებები, რომლებიც ეძღვნება თარგმანის საზოგადოებრივ როლს, მის ისტორიას, თარგმანის მრავალსახეობებს. უმთავრესი ადგილი კი ეთმობა მთავარ პრობლემას – მთარგმნელობითი ეკვივალენტობის საკითხს.

ეგერი მიზნად ისახავს მკაცრად ლინგვისტურად განსაზღვროს მთარგმნელობითი ეკვივალენტი. იგი თვლის, რომ ნათარგმნი უნდა იყოს კომუნიკატორულად ეკვივალენტური ორიგინალთან.

მოგვიანებით გამოქვეყნდა ეგერის ნაშრომი “ტექსტების კომუნიკატორულობა და კომუნიკატორული ექვივალენტობის ცნება” (1982). მასში ეგერი აზუსტებს კომუნიკატორული ექვივალენტობის ცნებას. იგი გამოყოფს ენობრივი შუამავლობის სხვადასხვა სახეობას:

1) თარგმანის ტექსტი მაქსიმალურად ეკვივალენტურია ორიგინალის ტექსტთან.

2) არ არის მაქსიმალურად ეკვივალენტური ორიგინალთან, რაც იმითაა განპირობებული, რომ ორიგინალისა და თარგმანის ადრესატები ფლობენ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა საშუალებებს.

უპირველესად გვთავაზობს განვასხვავოთ “ენობრივი ტექსტი”. ერთი და იგივე ენობრივი ტექსტი შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციებში, ამიტომ ყოველ ტექსტს შეესაბამება მრავალრიცხოვანი “სამეტყველო ტექსტები”.

ყოველ ადრესატს გააჩნია ინდივიდუალური ცოდნა, ამიტომ ყოველი ენობრივი ტექსტი შეიძლება საფუძვლად დაედოს რამდენიმე სამეტყველო ტექსტს. იმ ადრესატებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთნაირ ენობრივ ან სოციალურ ჯგუფებს, გააჩნიათ ძირითადად ცოდნის ერთნაირი მარაგი. ამის გამო სამეტყველო ტექსტებს შორის მათთვის არსებობს რაღაც საშუალო ტექსტი, რომელიც გასაგებია ყველასათვის.

თარგმანის კომუნიკაციური ეკვივალენტობა მდგომარეობს ორიგინალის იმ მნიშვნელობის შენარჩუნებაში, რომელიც მიმართულია ადრესატისადმი. მთარგმნელმა შესაძლებელია თარგმანის ტექსტში შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ადრესატს საშუალებას მისცემს ასოციაციურად გააკეთოს დასკვნები. ისინი შესაძლოა არც იყოს თარგმანის ტექსტში.

ტექსტის კომუნიკატორული მნიშვნელობის განსაზღვრა მასში ექსპლიციტურისა და იმპლიციტურის თანაფარდობით ყალიბდება.

ეგერისათვის უმთავრესი იყო თარგმანის კონცეფციის განსაზღვრაში პრობლემის თანმიმდევრული ლინგვისტური ახსნა.

ლინგვისტური მთარგმნელობა დასავლეთ გერმანიაში. დასავლეთ გერმანიაში ჯერ არ ჩამოყალიბებულა ერთიანი მთარგმნელობითი სკოლა, მაგრამ დასავლეთ გერმანელი მთარგმნელები დიდ ყურადღებას იჩენენ თარგმანის თეორიისადმი. დიდი ყურადღება ექცევა მომავალი მთარგმნელების მომზადებას. ზოგიერთი ავტორი ეჭვს გამოთქვამს იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა თარგმანის თეორიის ჩამოყალიბება. ისინი მიუთითებენ, რომ თითოეული ტექსტი უნიკალურია და საკითხი უნდა გადაიჭრას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას ზოგიერთები უთმობენ იმ თეორიებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ტექსტის ლინგვისტიკასთან, ტექსტების თარგმნითი ტიპოლოგიების დამუშავებასთან. იგულისხმება, რომ სწორედ ტექსტის ტიპი ახდენს გადამწყვეტ გავლენას თარგმანის ყველა პრობლემაზე.

ეს თავისებურებები აღნიშნულია კ. რაისის, ვ. ვილსის, ხ. კრინგის ფუნდამენტურ შრომებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ა. გუტის კონცეფცია.

გერმანიაში დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო მთარგმნელობით მუშაობასა და თარგმანის თეორიის განვითარებაში.

თარგმანმცოდნეობა სკანდინავიაში. მთარგმნელობითი საქმე და შესაბამისად თარგმანმცოდნეობა სკანდინავიაში თავისებური გზით ვითარდებოდა. ბოლო წლებში ინტერესი თარგმანის ტეორიისადმი შესამჩნევლად გაიზარდა, განსაკუთრებით ფინეთში, ნაკლებად შვედეთსა და ნორვეგიაში. ამასთან ერთად, სკანდინაველ თარგმანის თეორეტიკოსებს მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებთ დასავლეთ ევროპულ კოლეგებთან.

ფინეთში, როგორც ავნიშნეთ, თარგმანის თეორია სწრაფი ტემპებით ვითარდება. მათი გამოკვლევები მეტწილად სხვა ქვეყნების მკვლევართა იდეებს ეყრდნობა, მაგრამ თავისი შრომებით მათ ბევრი სიახლეც შეიტანეს ამ თეორიებში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ი.ჰოლც-მიანტიარის, ი.ვეჰმასისა და ს.ტირკონე-კონდიტის შრომები.

გერმანელი მთარგმნელი და პედაგოგი **იუსტა ჰოლც-მიანტიარი** სკანდინავიის ერთ-ერთი წამყვანი თარგმანმცოდნეა, რომელიც ფინეთში მოღვაწეობს. იგი რიგი თეორიული შრომების ავტორია, რომელშიც იგი ავითარებს ჰ.ფერმერის მიერ შემოთავაზებული თეორიის კონცეპციებს ("სკოპოს-თეორია"). ჰოლც-მიანტიარის ნაშრომებში ეს თეორია თითქმის მთლიანად გამორიცხავს ორიგინალზე ორიენტაციას. თავისი მიდგომა თარგმნისადმი ავტორს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: რომელიმე ინდივიდი, რომელიც რომელიმე კონკრეტული საზოგადოების წევრია, გადასცემს ინფორმაციას სხვა ინდივიდს, რითაც ასრულებს მოქმედებას (ჰანდლუნგ), რომელსაც გარკვეული მიზანი (სკოპოს) აქვს დასახული. რა და როგორ შესრულდება ეს გადაცემა შესაბამისი პირობებითაა განპირობებული.

ამ მოდელის ძირითადი დებულებები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. ტექსტებს თავისი ისტორია აქვთ, ისინი ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ჩარჩოებში არიან მოთავსებული (სტილები, ტიპები, ჟანრები), რომელთაც მათ წინაშე დასახული მიზნები განაპირობებენ.

2. კულტურებს შორის ბარიერი მხოლოდ ენობრივ ბარიერამდე არ დაიყვანება. ტექსტის არსებობა, მისი შინაარსი და ფორმა კულტურის ყველა თავისებურებების კვალს ატარებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი გრამატიკითა და სტილისტიკით.

3. თარგმანის ტექსტები თავისთავად უკვე სრულფასოვლებიან ტექსტებს წარმოადგენენ. მართალია მათ ბაზისი საწყისი ტექსტია, ისინი მისგან ცალკე უნდა ფუნქციონირებდნენ. ეს ტექსტები გათვლილია სხვა ადრესატზე, განსხვავებულ კულტურასა და პირობებზე.

4. მთარგმნელები ისეთი ტექსტების შექმნის სპეციალისტები არიან, რომელთა მიზანია კულტურული და ენობრივი ბარიერების გადალახვა.

ამ სპეციალისტებს ავტორი შემდეგ მოთხოვნებს უყენებს:

1. მთარგმნელს უნდა შეეძლოს ორიგინალის ავტორისა და თარგმანის მიმღების კომუნიკაციური სიტუაციის ანალიზი და ამ ანალიზზე დაყრდნობით წარმართოს თავისი საქმიანობა.

2. მთარგმნელმა უნდა შეძლოს ტექსტების “პროექტირება.” ამისათვის მას უნდა გააჩნდეს არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენცია, მან ასევე უნდა იცოდეს როგორ წერენ და საუბრობენ ამა თუ იმ საკითხზე სხვა კულტურაში., რა თემაზე შეიძლება საუბარი (მაგ. შეიძლება თუ არა პარტნიორ იაპონელს დაუსვა შეკითხვა მისი ოჯახის შესახებ?), რა არგუმენტებია გამოსაყენებელი გარკვეული მიზნის მისაღწევად (როგორ აკეთებენ მანქანის რეკლამას სფრანგეთში?), კომუნიკაციის რა საშუალებებია მიზანშეწონილი მოცემულ სიტუაციაში.

3. მთარგმნელს უნდა შეეძლოს გამოკვლევების წარმოება, რომელიმე საგანზე წერასა თუ საუბრისთვის საჭირო შესაბამისი ცოდნა უნდა შეიძინოს.

ყველა ეს უნარ-ჩვევა უნდა გამოუმუშავდეს მთარგმნელს მთარგმნელად მომზადების პერიოდში.

ი.ჰოლც-მიანტიარის კონცეპციას უდავოდ აქვს როგორც სუსტი ისე ძლიერი მხარეები. ის ხაზს უსვამს მთარგმნელის სოციალურ მნიშვნელობას, მისი საქმიანობის შემოქმედებით ხასიათს. ამასთან ერთად იგი უგულებელყოფს ამ საქმიანობის მეტად მნიშვნელოვან საკითხს: თავად თარგმანს, რომელიც თავიდან ბოლომდე ორიენტირებულია ორიგინალის მაქსიმალურად ზუსტ და სრულ გადმოცემაზე, რომელიც მოითხოვს მთარგმნელისგან განსაკუთრებულ მიდგომასა და უნარ-ჩვევებს.

თავისი კოლეგისაგან განსხვავებით **ა.ფ.კელეტატი** “სკოპოს-თეორიის” კრიტიკით გამოდის. მოსაზრებები ამ კონცეპციის შესახებ მან ჩამოაყალიბა თავის შრომაში, რომელსაც მრავალმნიშვნელოვნად უწოდა “ნაბიჯი უკან თარგმანის თეორიაში”.

ეს თეორია, ავტორის აზრით, მთარგმნელის საქმიანობას არგებს პრინციპს “მიზანი ამართლებს საშუალებას” და ამ თეორიის ავტორების დასაბუთებას დამაჯერებლობა აკლია. მაგალითად, ისინი თვლიან, რომ გერმანელი მკითხველი რადიკალურად განსხვავებულად აღიქვამს ალ. კივის რომანს “შვიდი ძმა,” ვიდრე ფინელი მკითხველი, მაგრამ რა ზომებს უნდა მიმართოს ამ დროს მთარგმნელმა? ხომ არ გადაიტანს მოქმედებას მიუნჰენში? თუმცა, ასკვნის ა.ფ. კელეტატი, ამ თეორიის ავტორები ასეთ აზრსაც უშვებენ, რაც, თავის მხრივ, შლის ყოველგვარ ზღვარს თარგმანსა და თავისუფალ გადმოცემას შორის. მაშინ როდესაც თარგმანის თეორიის მიზანია აამაღლოს თარგმანის სიზუსტისა და ხარისხის დონე, კ.რაისი და ჰ.ფეერმერი საპირისპირო მიმართულებით მოქმედებენ, ამიტომაც არის მათი თეორია უკან გადაგმული ნაბიჯი.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ფინელი თარგმანმცოდნეების კვლევის ექსპერიმენტალური მეთოდები, რომელთა შორის აღსანიშნავია ს.ტირკონენ-კონდიტისა და ი.ვეჰმას-ლეჰტოს გამოცემები.

ს.ტირკონენ-კონდიტი ეძებს თარგმანის ხარისხის შეფასების უფრო ობიექტურ მეთოდებს. ამ ამოცანას იგი ტექსტის ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის პოზიციით მიუდგა და შესაბამისი ექსპერიმენტებიც ჩაატარა. ერთ-ერთი მათგანი ფსიქოლინგვისტურ ხასიათს ატარებს. იგი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ

წარმატებული თარგმანის პროცესი მოითხოვს მთარგმნელისგან ძლიერი გონებრივი და ემოციური შესაძლებლობების გამოყენებას, რომელიც ტოვებს თავის კვალს მის ხაზგრძლივ მეხსიერებაში. ამიტომაც მკვლავარმა ივარაუდა, რომ კარგი თარგმანის შესრულების შემთხვევაში, მთარგმნელი ასევე კარგად შეძლებს მოკლედ ჩამოაყალიბოს თარგმნილი მასალის ძირითადი არსი, და პირიქით: ცუდი მთარგმნელები, რომლებიც თავს არ იწუხებენ მთლიანი ტექსტის გაცნობით და წინადადება-წინადადებით თარგმნიან, ვერ აღიქვამენ ტექსტს მთლიანობაში. ამ ჰიპოტეზის გამართლების შემთხვევაში შესაძლებელია მთარგმნელობითი შეცდომების მიზეზთა უფრო ზუსტი განსაზღვრა. შესაბამისად, თუკი მთარგმნელი ცუდად თარგმნის, მაგრამ კარგად აყალიბებს ძირითად აზრს, მისი მთარგმნელობითი შეცდომების მიზეზი ორიგინალის გაგებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თარგმნის ვარიანტის შერჩევაში. ორივე ამოცანის წარუმატებლად შესრულების შემთხვევაში კი პრობლემებია როგორც ანალიზის, ისე სინთეზის დონეზე.

ფინელი მეცნიერის ინკერ ვეჰმას-ლეჰტოს ფუნდამენტური შრომა “კვაზი მიმართება” ასახავს თარგმანის პრობლემებისადმი მიძღვნილი სადოქტორო დისერტაციის შინაარსს. ამ შრომაში ავტორი გვთავაზობს თარგმანის ხარისხის შემოწმების კარგად დასაბუთებულ პროცედურას. არაადეკვატური თარგმანის გამოვლენისას იგი ცდილობს დაადგინოს ამის მიზეზი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, დასახოს ამ პრობლემების გადაჭრის გზა.

მისი კვლევა უმთავრესად ემყარება მოსაზრებას, რომ თარგმანი უნდა იკითხებოდეს, როგორც ორიგინალი. ამიტომაც ანალიზის მთავარი ობიექტი არის მთარგმნელის მეტყველების ბუნებრივობა და სისწორე. ავტორის აზრით, სწორედ თარგმანის ენა შეადგენს კომუნიკაციური და ესთეტიკური ეფექტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. თარგმანის ეკვივალენტობა კი, რაც გულისხმობს ორიგინალის სემანტიკური და სტილისტური თავისებურებების გადმოცემას, ნაკლებ მნიშვნელოვანია და შეიძლება ემსხვერპლოს კიდევ მაქსიმალურ ადეკვატურობას, რაც ნიშნავს მკითხველის მიერ თარგმანის ადეკვატურად აღქმას. ი.ვეჰმას-ლეჰტოს გამოკვლევებს დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს და გვთავაზობს თარგმანის ექსპერიმენტალური კვლევის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

თარგმანის თეორიის სისტემატიზაციის ადრეული მცდელობები: დრაიდენი, დოლე და ტაიტლერი

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მე-17 საუკუნის ინგლისში ისეთმა მთარგმნელებმა, როგორებიც იყვნენ დენჰამი, კოული და დრიოლენი, გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი თარგმანის თეორიის განვითარების თვალსაზრისით. ამავე დროს, თარგმნა ინგლისურ ენაზე თითქმის მთლიანად შეზღუდული იყო ბერძენი და ლათინელი კლასიკოსი ავტორების ნაწარმოებებით, რომელთაგან ზოგიერთი მეტად თავისუფლად იყო შესრულებული. მაგალითად, კოული, მისი პინდარის ოდების წინასიტყვაობაში, აკრიტიკებს პოეზიას, რომელიც არის "სიტყვასიტყვით გადაცემა ფრანგულ ან იტალიურ პროზაში". მას გარდაუვლად მიაჩნია ორიგინალი ტექსტის სიმშვენიერის დაკარგვა თარგმანში, იმისთვის, რომ შეიქმნას ახალი

სიმშვენიერე. ამ მიზნით კოული აღიარებს, რომ მან ოდებიდან "ამოილო და დაამატა ის, რაც საჭიროდ ჩათვალა". იგი ასევე გვთავაზობს ტერმინს იმიტაცია, რომელიც თარგმანის მეტად თავისუფალ მიდგომას ასახავს. იდეა, რომაული პერიოდისგან განსხვავებით, არ მდგომარეობდა იმაში, რომ მსგავსი თავისუფალი მიდგომა მთარგმნელს საშუალებას მისცემდა შეექმნა ორიგინალ ტექსტზე უკეთესი; პირიქით, ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა ორიგინალის "სულის" გადმოცემა.

ასეთმა მეტად თავისუფალმა მიდგომამ თარგმანისადმი გამოიწვია ინგლისელი პოეტისა და მთარგმნელის ჯონ დრაიდენის მწვავე რეაქცია, რომელმაც ოვიდიუსის ეპისტოლეების თარგმანის წინასიტყვაობაში ყველა თარგმანი სამ კატეგორიაში მოაქცია:

1. მეტაფრაზა, ანუ სიტყვასიტყვითი თარგმანი (სიტყვასიტყვით, ყოველი ხაზი);

2. პარაფრაზა (მთარგმნელი ითვალისწინებს ავტორის ვერსიას, მაგრამ არ ცდილობს, შეინარჩუნოს მისი სიტყვები. ამგვარი თარგმანის შედეგად ტექსტი ოდნავ "გაუმჯობესებულია", მაგრამ არა შეცვლილი);

3. იმიტაცია, ანუ თავისუფალი თარგმანი (ამ შემთხვევაში იცვლება არა მხოლოდ სიტყვები და მნიშვნელობა, არამედ, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება მათი უგულვებლყოფა).

სიტყვასიტყვით თარგმანს დრაიდენი იწუნებს ლინგვისტურ-სტილისტური თვალსაზრისით, რადგან ენებს შორის არ არსებობს სიმეტრია.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი თარგმანი არის მთარგმნელის პოეტური უნარის გამოვლენის საუკეთესო საშუალება, დრაიდენი მასაც იწუნებს და მიაჩნია, რომ ის არ გამოდგება უკვე აღიარებული ავტორის ტექსტის შემთხვევაში.

პარაფრაზს იგი იწონებს, რადგან ამ დროს მეტი ყურადღება ექცევა შინაარსს, ვიდრე სიტყვებს; შინაარსი შეიძლება იყოს გადმოცემული, მაგრამ არა შეცვლილი. თარგმანის ეს სახეობა წარმოაჩენს, როგორ იქნებოდა დაწერილი ორიგინალი სათარგმნელ ენაზე. ამ მეთოდს დრაიდენი იყენებს ვირგილიუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის და ჩოსერის თარგმანის დროს.

ჯ. დრაიდენის აზრით, მთარგმნელი: ა) უნდა იყოს ისეთივე გენიალური, როგორც დედნის ავტორია, და ბ) ორივე ენას ბრწყინვალედ უნდა ფლობდეს.

ჯ. დრაიდენი აკრიტიკებს ისეთ მთარგმნელებს, როგორცაა, მაგალითად ბენ ჯონსონი, რომელიც იყენებს მეტაფრაზას, როგორც "ვერბალურ ასლს". იმიტაციის დროს მთარგმნელი მეტად ჩანს, მაგრამ "დიდ შეცდომას უშვებს... მკვდრის ხსოვნისა და რეპუტაციის მიმართ". საინტერესოა აღინიშნოს, რომ დრაიდენმა გარკვეულწილად შეიცვალა აზრი, რაზეც მიუთითებდა ვირგილიუსის *ენეიდას* მიძღვნაში, როდესაც საუბრობდა პარაფრაზისა და სალიტერატურო თარგმანს შორის არსებულ კავშირზე.

ბრაიტინგერის თარგმანის თეორია

ბრაიტინგერმა შემოგვთავაზა თარგმანის განსხვავებული თეორია, რომლის მიხედვით, ის სიტყვასიტყვითი თარგმანის მომხრეა და იზიარებს საკითხის

ლაიბნიცისეულ (ლინგვისტურ-რაციონალისტურ) დასმას. ბრაიტინგერი იზიარებს ენათშორისი სინონიმების არსებობის იდეას და არ ემხრობა შიგაენობრივი სინონიმების არსებობას, რის საფუძველზეც დაასკვნის, რომ თარგმანისთვის მხოლოდ ერთი ვალიდური სიტყვა არსებობს.

მისთვის თარგმანი უნდა აღადგენდეს დედნის ყველა მახასიათებელს. ამის მიუხედავად, თარგმნილი სიტყვა მიმღებ ენაზე უცხოოდ არ უნდა ჟღერდეს.

ავტორი ინგლისური თარგმანის თეორიიდან იღებს შემდეგ იდეებს: ა) ავტორისა და მთარგმნელის მსგავსი ნიჭის შესახებ, ბ) დედნის ავტორის სტილის ინდივიდუალიზაციის, გ) ზრუნვას თარგმანის მკითხველებზე.

სხვა მწერლები ასევე აყალიბებდნენ თავიანთ შეხედულებებს თარგმანის შესახებ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ეტიენ დოლეს მოსაზრება, რომელიც ჩამოყალიბებულია 1540 წლით დათარიღებულ მის მანუსკრიპტში. ის გამოყოფს თარგმანის ხუთ ძირითად პრინციპს:

- 1) მთარგმნელს კარგად უნდა ესმოდეს დედნის ავტორის ტექსტის მნიშვნელობა და უნდა შეეძლოს ბუნდოვანებათა ახსნა;
- 2) მთარგმნელი ჩინებულად უნდა ფლობდეს როგორც ორიგინალის, ?სე მშობლიურ ენას, რათა არ დაკარგოს ენის სიმშვენიერე;
- 3) მთარგმნელი უნდა უფრო ხოდას სიტყვასიტყვით გადატანას;
- 4) მთარგმნელი არ უნდა იყენებდეს ლათინიზირებულ და უცხო ფორმებს;
- 5) მთარგმნელი უნდა აჯგუფებდეს და აკავშირებდეს სიტყვებს გამოხატულად, სიუხემის თავიდან აცილების მიზნით.

იგი ასევე ეწინააღმდეგება სიტყვასიტყვით თარგმნას და მნიშვნელობის გადატანის მომხრეა.

ინგლისურ ენაზე დაწერილი თარგმანის პირველი სისტემური შესწავლა ა. ტაიტლერს ეკუთვნის. ჯ. დრაიდენის ავტორზე ორიენტირებული განმარტებისგან განსხვავებით ("დაწერო ისე, როგორც დაწერდა ორიგინალის ავტორი, რომ სცოდნოდა სამიზნე ენა"), ა. ფ. ტაიტლერი განსაზღვრავს "კარგ თარგმანს" როგორც სამიზნე ენის მკითხველზე ორიენტირებულ ტექსტს: "კარგი თარგმანი ის არის, რომელშიც ორიგინალი ტექსტის ხარისხი სრულად არის გადატანილი სხვა ენაზე, რომელიც განსხვავებულად და ძლიერად აღიქმება იმ ქვეყნის მოქალაქის მიერ, რომელსაც ის ენა ეკუთვნის, ისევე როგორც ორიგინალი ტექსტის ენის მატარებლების მიერ".

ავტორი გამოყოფს თარგმნის სამ ძირითად წესს:

- 1) თარგმანი სრულად უნდა მოიცავდეს ორიგინალი ტექსტის იდეებს;
- 2) წერის სტილი და მანერა ახლოს უნდა იყოს დედნის მსგავს მახასიათებლებთან;
- 3) თარგმანს უნდა ჰქონდეს ორიგინალის აგებულების მთელი თავისუფლება.

ავტორის პირველი წესი კავშირშია ე. დოლეს პირველ ორ წესთან, რაც მთარგმნელის მიერ ორიგინალის "ჩინებულ ცოდნას", საგანში განსწავლულობასა და ავტორის მნიშვნელობის ზუსტ გადმოცემას გულისხმობს. მისი მეორე წესი ეთანხმება ე. დოლეს მეხუთე წესს, რომელიც ავტორის სტილს შეეხება და მოიცავს მთარგმნელის მიერ როგორც ზუსტი მახასიათებლის, ისე თარგმანში "გემოვნების კორექციის" რეკრეაციას. მესამე წესი გულისხმობს დედნის "აგებულების სრულ

თავისუფლებას". ა. ფ. ტაიტლერი ამ წესს ყველაზე რთულად მიიჩნევს და აკავშირებს მას მხატვართან, რომელიც სურათის ასლს აკეთებს. ამგვარად თავიდან იქნება აცილებული "სკრუპულოზური იმიტაცია, რადგან ის კარგავს ორიგინალის სულსა და თავისუფლებას". ა. ფ. ტაიტლერი თვლის, რომ მთარგმნელმა უნდა გადმოიღოს "ავტორის სული".

ა. ფ. ტაიტლერი აღიარებს, რომ პირველი ორი წესი ორი განსხვავებული შეხედულებაა თარგმანის შესრულების შესახებ. ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შინაარსის პოლუსები და ფორმის რეფორმულატები სიზუსტის, ან ციკერონისა და წმინდა იერონიმეს მნიშვნელობისა და სიტყვასიტყვითი დიალექტის.

ა. ფ. ტაიტლერის წესებმა ზეგავლენა იქონიეს ჩინელი მოაზროვნისა და მთარგმნელის იან ფუს შემოქმედებაზე. აღდოს ჰაქსლი მისი თარგმანის მოკლე წინასიტყვაობაში გამოყოფს სამ მთარგმნელობით პრინციპს: ერთგულება, შეუფერხებლობა და სიკობტავე, რომლებმაც დიდი ზეგავლენა იქონიეს მე-20 საუკუნის ჩინურ მთარგმნელობით თეორიასა და პრაქტიკაზე. იან ფუ მიიჩნევდა, რომ ერთგულება მეტია, ვიდრე შეუფერხებლობა.

თარგმანის ძირითადი ფორმები, სახეები და ჟანრები

თარგმანის ზოგადი თეორიის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თარგმანის ძირითადი ფორმების, სახეებისა და ჟანრების გამოვლენა. თარგმანის კლასიფიკაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1) თარგმანის 3 ძირითადი ფორმა არსებობს: ზეპირი, წერილობითი, მანქანური;

2) სამი ძირითადი სახე: საზოგადოებრივ-პოლიტიკური თარგმანი, მხატვრული თარგმანი, სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი;

3) ყოველ ამ სახეს გააჩნია თავისი ჟანრული სისტემა, რომელიც თავის მხრივ იყოფა ქვეჟანრებად. ამ ფორმებს შორის ჟანრულ სისტემაში შეიმჩნევა ერთგვარი დიფუზია, ანუ გარდამავალი შუალედური ფორმები.

თარგმანის კლასიფიკაციაში სამი ძირითადი ფორმის გამოყოფას თავისი საფუძველი გააჩნია. ასეთ საფუძველს წარმოადგენს თარგმანში მოქმედი პირის, ანუ შემსრულებლის კატეგორია, რაც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ორი სახის თარგმანი: 1. ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანი და 2. მანქანის მიერ შესრულებული თარგმანი.

ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანის კლასიფიკაციისას გასათვალისწინებელია ორი მომენტი: 1) საწყისი ტექსტის აღქმის პირობები; 2) თარგმანის გაფორმება. ინფორმაციის აღქმა შეიძლება იყოს მხედველობითი და სმენითი გზით, რაც უკვე გვაძლევს საშუალებას განვასხვავოთ ზეპირი (სმენითი) თარგმანი და წერილობითი (მხედველობითი) თარგმანი. თარგმანის გაფორმებაც, შესაბამისად, ხდება წერილობითი ან ზეპირი სახით. ამის მიხედვით საჭიროა განვასხვავოთ მთარგმნელი და თარჯიმანი.

ზეპირად თარგმნის დროს თარჯიმანი აკუსტიკური ფორმით აღიქვამს ორიგინალს და ზეპირად წარმოთქვამს თარგმანს. მას არ სჭირდება დროის დისტანცია. წერილობითი თარგმნისას ერთი წერილობითი ტექსტი სხვა ენაზე

შესრულებულ წერილობით ტექსტად გარდაიქმნება. თანამედროვე პირობებში ზეპირი და წერიტი მეტყველება და თარგმანი ძალიან დაუახლოვდა ერთმანეთს. ორატორის გამოსვლის ჩაწერის თანამედროვე საშუალებების წყალობით ზეპირი მეტყველება გარკვეულწილად წერიტად გარდაიქმნება.

ზეპირი თარგმანი თარგმანის ისეთი ტიპია, როდესაც ორიგინალი და მისი თარგმანი არაფიქსირებული სახით გვევლინება. ეს განაპირობებს ორიგინალის ერთჯერადობას და განუმეორებლობას, დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების შეუძლებლობას. თარგმანმცოდნეობა შეისწავლის იმ ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს მთარგმნელის მიერ ორიგინალის ტექსტიდან ინფორმაციის ამოღების პროცესზე. ზეპირი თარგმანის პროცესი გაცილებით სხვაგვარად ხორციელდება, ვიდრე კითხვის დროს. ტექსტის სრულად აღქმა დამოკიდებულია რიტმზე, ტემპზე, პაუზათა ოდენობასა და ხანგრძლივობაზე. ინფორმაციის ამოღება ცალკეულ მონაკვეთებად ხდება, დაყოფილი ინფორმაციის ჯაჭვიდან. ხშირად მთარგმნელს უწევს გამოტოვებული ინფორმაციის, ან მისი წინასწარი პროგნოზირება. ამისათვის იგი იშველიებს ორატორის ტექსტში საყრდენ-აზრობრივ მონაკვეთებს. ამ დროს გარდაუვალია სხვადასხვა სახის დანაკარგი: სემანტიკური, კომუნიკაციური, სტილისტური, თუ სინტაქსური. ზეპირი თარგმანი აღწერს ასეთი დანაკარგების კომპენსირების ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს და მაკომპენსირებელ ფაქტორებს, როგორცაა ცოდნა და გამოცდილება, ინტონაცია, ემოციური შეფერილობა.

ზეპირი თარგმანის დროს თარგმანი შეიძლება ხორციელდებოდეს ორიგინალის აღქმის პარალელულად, ან მას შემდეგ, რაც ორიგინლის აღქმა დამთავრდა. შესაბამისად, გამოყოფენ ზეპირი თარგმანის ორ ქვეტიპს: სინქრონულს და თანმიმდევრულს.

სინქრონული თარგმანის დროს თარგმანის პროცესი აუდირების პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ორატორის მეტყველების აღქმასთან ერთად. ზეპირი თარგმანის თეორიაში აღნიშნულია თარჯიმნის მეტყველების შემდეგი თავისებურებები: მაგალითად, ნელი არტიკულაცია, ყოყმანი, პაუზები ვარიანტების შერჩევას, რაც ორიგინალ-თარგმანს შორის ინტერვალს 3-4-ჯერ ზრდის. სინქრონული თარგმანი თარგმანის მეტად რთული სახეა, რადგანაც იგი რთულ აზრობრივ პროცესს წარმოადგენს.

თანმიმდევრული თარგმანი წარმოადგენს ზეპირი თარგმანის სახეს, ერთი ენიდან მეორე ენაზე ტექსტის მოსმენის შემდეგ. იგი ტარდება განუწყვეტლივ, ანუ ორატორის სიტყვის დამთავრების შემდეგ, რადიოგადაცემის მოსმენის შემდეგ, თანამოსაუბრის გამოსვლის შემდეგ და ა.შ. ასეთ პირობებში მთარგმნელს უჭირს დაიმახსოვროს ამოსავალი ინფორმაციის მთელი შინაარსი, ამიტომ მას ეხმარება ამაში ჩანაწერები, რომელთაც ის აკეთებს ინფორმაციის აღქმის პროცესში. რამდენიმე ათეული წლის წინ თანმიმდევრული თარგმანი ბატონობდა ყველა საერთაშორისო ფორუმზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველ პლანზე თანდათან წამოიწია სინქრონული თარგმანი. ეს უკანასკნელი პირველად გამოყენებულ იქნა ნიურნბერგის პროცესზე, რის შემდეგ მან მყარად მოიკიდა ფეხი გაეროში, კონგრესებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. მან მოახდინა დროის ეკონომია იმორგანიზაციებში, სადაც ოფიციალურად გამოიყენება ორზე მეტი სამუშაო ენა.

სინქრონულთან შედარებით თანმიმდევრული თარგმანი ნაკლებ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს, თუმცა ისიც ხშირად ექსტრემალურ პირობებში ხორციელდება. გარდა ამისა მას უკვე უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. თანმიმდევრული თარგმნისას თარჯიმანს ევალება შეინარჩუნოს აზრობრივი და სინტაქური სტრუქტურა ტექსტისა. მაგრამ თარგმანის თეორია აქაც უშვებს სხვადასხვა სახის დანაკარგებს, როგორცაა, განმეორებული აზრის გამოტოვება, სიტყვის გამოტოვება, სინტაქური სტრუქტურის გამარტივება, სტილის განეიტრალება. მთარგმნელი ცდილობს ეს დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანოს.

მაშინ როდესაც ზეპირ თარგმანში პირველ ადგილზე დგას სისწრაფე, წერილობითი თარგმანისას ეს იშვიათად არის საჭირო. ასეთი თარგმანი არ არის სპონტანური და მთარგმნელისთვის არ წარმოადგენს პრობლემას შეცდომების შესწორება და რედაქტირება. სამაგიეროდ ეკვივალენტობის მოთხოვნა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ზეპირი თარგმნისას, აზრობრივი შეცდომები კი საერთოდ დაუშვებელია. გარდა ამისა, წერილობითი ტექსტების უამრავი სახე არსებობს, და თითოეული თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ მთარგმნელი თავდაპირველად ეცნობა მთლიან ტექსტს და შემდეგ უკვე იწყებს მის თარგმნას. ზეპირი თარგმანი ხშირად არ იძლევა ამის შესაძლებლობას. როგორც ვიცით ნებისმიერი სახის თარგმნისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ ვისზეა ორიენტირებული თარგმანის ტექსტი. არც თუ ისე იშვიათად წერილი თარგმანის დროს ეს ფაქტორი უგულებელყოფილია, იმიტომ, რომ მთარგმნელს არა აქვს ზუსტი ინფორმაცია მისი თარგმანის რეცეპტორზე, მაშინ როდესაც ზეპირი თარგმანის უდავო უპირატესობა ისაა, რომ თარჯიმანმა იცის ვინ შეადგენს მის აუდიტორიას. არსებობს წერილობითი ტექსტის თარგმანის სხვადასხვა ეტაპები: წინასწარი ანალიზი, შემდეგ სრულდება საწყისი თარგმანი, რომელიც შემდეგ იხვეწება, და ბოლოს მთარგმნელი აკეთებს ტექსტის საბოლოო რედაქტირებას. მხოლოდ ამის შემდეგ წერილობითი თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად.

მანქანური თარგმანის თეორია თარგმანმცოდნეობის ერთ-ერთი ქვედარგია, რომელიც აქტიურად იყენებს კიბერნეტიკის, მათემატიკისა და ლინგვისტიკის თანამედროვე მიღწევებს. მისი მიზანია ისეთი მანქანის შექმნა, რომელიც შეძლებს ორიგინალის შესატყვისი თარგმანის შექმნას. ეს თეორია ემყარება კომპიუტერის მიერ საწყისი და სათარგმნი ენების შესატყვისთა დამუშავებას. ბუნებრივია, ეს პროცესი უფრო მექანიკურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც მანქანას ფიქრი და შემოქმედებითი აზროვნება არ შეუძლია. მანქანა ეყრდნობა იმ ინფორმაციას რაც ჩადო მასში ადამიანმა, ამიტომაც მანქანურ თარგმანს უმეტესწილად იყენებებენ შედარებით იოლი, სამეცნიერო და საქმიანი დოკუმენტების დამუშავებისას. მანქანური ტექსტის თარგმანს აუცილებლად სჭირდება რედაქტირება, რასაც უკვე ადამიანი აკეთებს. იმ მიზეზით, რომ მანქანას არ შეუძლია შემოქმედებითი აზროვნება, ეს გამორიცხავს ამ ეტაპზე მხატვრული მანქანური თარგმანის შესაძლებლობას. ყოველივე ეს მეტად ზღუდავს მანქანური თარგმანის გამოყენების სფეროსა და ეფექტურობას, მაგრამ დღეს მეცნიერები მეტად აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ძირითადი შემადგენლები

ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის მიზანია მის მონაწილეებს შორის დამყარდეს კომუნიკაცია, რომელიც არ იქნება წარმატებული თუ შეტყობინების მიმღები ვერ გაიგებს ამ შეტყობინებას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ადრესატმა საერთოდ არ იცის, ან ცუდად იცის ენა, რომელზედაც არის შექმნილი შეტყობინება, ან არ გააჩნია ინფორმაციის გასაგებად საჭირო ფონური ცოდნა. შესაბამისად, ადრესატი კომუნიკაციურად არაკომპეტენტურია. ამ ცნებაში იგულისხმება ყველა ზემოჩამოთვლილი კომპონენტის (ენის, ფონური ინფორმაციის) კომპლექსური ერთობლიობა, რომელიც საშუალებას მისცემს ადრესატს გახდეს კომუნიკაციური აქტის სრულფასოვანი მონაწილე. ცალკეული ადამიანის კომუნიკაციურ კომპეტენტურობას სხვადასხვა კომპონენტი ქმნის. ის მოიცავს ენის ცოდნასაც, შესაბამისი ენობრივი ერთეულებით, გრამატიკული ფორმებითა და წესებით, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ ფორმების დაკავშირება; კონკრეტულ სიტუაციაში ჩამოყალიბებული ენობრივი ტრადიციების გათვალისწინებით ენის გამოყენების უნარი; ეს ეროვნული კულტურის ცოდნა და შესაბამისი ფონური ინფორმაციის ცოდნაცაა.

თარგმანი, როგორც ორენოვანი კომუნიკაცია, ამ აქტის უფრო რთულ სახეს წარმოადგენს, რადგანაც ერთენოვანი კომუნიკაციისაგან განსხვავებით იგი შუამავლის საშუალებით ხორციელდება. შუამავლის როლში გვევლინება მთარგმნელი, რომელიც ურთიერთობის პირველ ეტაპზე გამოდის ადრესატის, ხოლო შემდეგ შეტყობინების გამგზავნის როლში. შესაბამისად, მთარგმნელი უნდა იყოს კომუნიკაციურად კომპეტენტური. მაგრამ ეს არ არის საკმარისი წარმატებული თარგმანისთვის. მთარგმნელს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული ისეთი უნარ-ჩვევები, რომ მან შეძლოს ერთ ენაზე მიიღოს ინფორმაცია და შემდეგ მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს იგი მეორე ენაზე. სწორედ კომუნიკაციური კომპეტენტურობისა და ამ უნარ-ჩვევების ერთობლიობა შეადგენს მთარგმნელობით კომპეტენციას, რომელიც კომუნიკაციურ კომპეტენტურობაზე უფრო ფართო ცნებაა და სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება.

მთარგმნელობითი კომპეტენცია გულისხმობს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას აძლევს მთარგმნელს წარმატებით გადაწყვიტოს თავისი პროფესიონალური ამოცანები. მთარგმნელობით კომპეტენციაში გამოყოფენ ბაზურ და პრაგმატულ ნაწილებს.

მთარგმნელობითი კომპეტენცია			
ბაზური ნაწილი		პრაგმატული ნაწილი	
კონცეპტუალური შემადგენელი	ტექნოლოგიური შემადგენელი	სპეციფიკური შემადგენელი	სპეციალური შემადგენელი

მთარგმნელობითი კომპეტენციის ბაზურ ნაწილში იგულისხმება მთარგმნელობითი კომპეტენციის ელემენტები, რომლებიც მუდმივად ზემოქმედებენ პროფესიონალურ თარგმანზე (წერილობითი და ზეპირი სახის თარგმანში). პრაგმატული ნაწილი მოიცავს იმ ცოდნას, ჩვევებსა და

შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია მთარგმნელისათვის ამა თუ იმ სახის თარგმანში (ზეპირი, წერილობითი ან სინქრონული თარგმნისას – სამეცნიერო-ტექნიკური, მხატვრული, საქმიანი დოკუმენტების თარგმნის დროს და ა.შ.).

ბაზური ნაწილი შედგება კონცეპტუალური და ტექნოლოგიური ერთეულებისაგან.

მთარგმნელობითი კომპეტენციის კონცეპტუალური ერთეულებია მთარგმნელის წარმოდგენა თარგმანის არსზე, მის სპეციფიკაზე. იგი იმდენად მნიშვნელოვანია მთარგმნელისათვის, როგორც მუსიკოსისათვის სმენა. თუ მთარგმნელს არაადეკვატური წარმოდგენა აქვს თარგმანზე, იგი სიყალბეს ვერ გაეჭევვა, შედეგად კი შეიქმნება დედნისგან განსხვავებული, სრულიად სხვა, დამახინჯებული ტექსტი.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ტექნოლოგიური მხარე არის თარგმნის წესების ერთობლიობა, რომლებიც ენობრივ შუამავალს ეხმარება გადალახოს “ტექნიკური” მთარგმნელობითი სიძნელეები და გადაწყვიტოს ის ამოცანები, რაც თარგმნისას ხვდება მთარგმნელს.

რაც შეეხება მთარგმნელობითი კომპეტენციის პრაგმატულ ნაწილს, ის მოიცავს მთარგმნელისათვის ხელმისაწვდომ მთარგმნელობით ასპექტებს, ტექსტის ჟანრებსა და თემებს. ამ მთარგმნელობით ასპექტებს მიაკუთვნებენ სპეციფიკურ ერთეულებს, ხოლო მთარგმნელის თემატურ და ჟანრობრივ შესაძლებლობებს – მთარგმნელობითი კომპეტენციის სპეციალურ ერთეულებს.

ძნელად თუ მოიძებნება მთარგმნელი, რომელსაც მთარგმნელობითი კომპეტენციის ყველა ასპექტი თანაბრად ჰქონდეს განვითარებული. ეს აიხსნება ადამიანთა განსხვავებული მონაცემებით, მათი განსხვავებული მიდრეკილებებით, მაგრამ ამის მიზეზია ასევე მათი გარდაუვალი პროფესიული სპეციალიზაცია, რომელიც მომზადების შემდეგ უშუალოდ მუშაობის პროცესში ხდება.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ბაზური ერთეულები საკმარისია წერითი თარგმანის შესასრულებლად, ყოველგვარი სპეციალური ცოდნის გარეშე. მთარგმნელობითი კომპეტენციის სპეციალური ერთეულები ეყრდნობა ექსტრალინგვისტურ ცოდნას სხვადასხვა სპეციალურ სფეროებში – ტექნიკაში, ეკონომიკაში, ჟურნალისტიკაში, იურისპუდენციაში და ა.შ.

თარგმანის მოდელები

თარგმანი, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა კაცობრიობის მოღვაწეობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, თუმცაღა თარგმნის თეორია (ან თარგმანმცოდნეობა) როგორც მეცნიერება – შედარებით ახალგაზრდა დარგია. დასაწყისში გამოყენებითი მეცნიერების ჩასახვა და მხოლოდ შემდეგ მისთვის სამეცნიერო ბაზის მისადაგება – მეცნიერული განვითარების ჩვეული გზაა. საკვირველი მხოლოდ ის არის, თუ რატომ ვერ “შეხვდნენ” ერთმანეთს თარგმანის პრაქტიკა და მისი თეორია დიდი ხნის განმავლობაში.

თარგმანმცოდნეობის საყოველთაოდ მიღებული პერიოდიზაცია არ არსებობს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ – ყველა ავტორი ერთსულოვანია მხოლოდ იმის აღიარებაში, რომ XX საუკუნის მეორე

ნახევრამდე სჭარბობდა ემპირიზმი და თანამედროვე თარგმანის კონცეფციების ჩამოყალიბება მოხდა მეოცე საუკუნის 60-80 წლებში.

ზოგადი თარგმანმცოდნეობის მიზანია თარგმანის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ასახავდა სათარგმნი ტექსტის შექმნის პროცესს და გადაწყვეტდა ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტობის საკითხს. გავრცელებულ მოდელებს შორის გამოიყოფა: სემანტიკური, სიტუაციური, ტრანსფორმაციული, კომუნიკაციური და კანონზომიერი შესატყვისობის თეორია.

სემანტიკური მოდელი. თარგმანის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ორიგინალისა და თარგმანის შინაარსის ადეკვატურობის საკითხის გადაჭრა, რაც ნიშნავს ამ ტექსტების აზრობრივი ელემენტების მსგავსებას ან სრულ იდენტურობას. სემანტიკური მოდელი გულისხმობს ენობრივი ერთეულების კომპონენტურ ანალიზს და ენებს შორის არსებული შესატყვისობების დადგენას. ამ თეორიის თანახმად, თარგმნისას ორიგინალის ტექსტში უნდა გამოიყოს უმცირესი შინაარსობრივი ერთეულები კომპონენტებითურთ. ამის შემდეგ სამიზნე ენაში დაიძებნება მნიშვნელობით მსგავსი თუ იდენტური ერთეულები. ამრიგად, თარგმანი დაიყვანება საწყისი ტექსტის შინაარსობრივი კომპონენტების ანალიზამდე და სამიზნე ენაში არსებული მასალის აზრობრივ სინთეზამდე.

ნებისმიერი ენობრივი ერთეულის მნიშვნელობას ქმნის უმცირესი აზრობრივი, სტილისტური და სხვა მახასიათებლების ერთობლიობა და სწორედ მას უნდა მოეძებნოს შესატყვისი სამიზნე ენაში. შესაბამისად, თარგმანი ხორციელდება არა იმდენად სიტყვებისა და წინადადებების დონეზე, არამედ უმცირესი შინაარსობრივი ელემენტების დონეზე. რაც უფრო მაღალია უმცირესი აზრობრივი ელემენტების დამთხვევის კოეფიციენტი, მით უფრო ადეკვატურია თარგმანი.

ეს უმცირესი მნიშვნელობა აღსდგება სიტყვის მეტყველებაში გამოყენებისთანავე, განურჩევლად იმისა თუ რა მიზანი ჰქონდა მოსაუბრეს. თუნდაც ყველა ეს მნიშვნელობა არც იყოს საჭირო ენობრივი კომუნიკაციისათვის მოცემულ შემთხვევაში. სწორედ ამიტომ განასხვავებენ კომუნიკაციურ და ლინგვისტურ რელევანტობას. ენობრივი ერთეულის ლინგვისტურად რელევანტური ინფორმაცია კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს კომუნიკაციურად რელევანტური. შესაბამისად, მთარგმნელის ამოცანაა იმ აზრობრივი ელემენტების გადმოცემა, რომლებიც ორიგინალში კომუნიკაციურად რელევანტურია.

სემანტიკური მოდელი ემყარება იმ დებულებას, რომ ყველა ენაში არსებობს საერთო შინაარსობრივი კატეგორიები და სტრუქტურები. თარგმანი სწორედ მათ შორის ურთიერთმიმართების დადგენით იწყება.

სემანტიკური მოდელი ყურადღებას ამახვილებს შინაარსობრივი კატეგორიების იდენტურობაზე და ერთეულების სემანტიკური მახასიათებლების მაქსიმალური დამთხვევის აუცილებლობაზე. დადებითი მხარეების მიუხედავად ამ მოდელს უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი ისაა, რომ ეს მოდელი თარგმანის მხოლოდ სემანტიკურ ეკვივალენტობას ეხება. ამ მოდელზე დაყრდნობით ძნელია იმ ფაქტის ახსნა, თუ რატომ ითარგმნება „instant coffee” – “ხსნადი ყავა”, მაშინ როდესაც დენოტაციური (სიტუაციური) მოდელი ადვილად ხსნის ასეთ შემთხვევებს. გარდა ამისა, სემანტიკური მოდელი არ ეხება თარგმანში სხვადასხვა სახის კონოტაციებისა და ასოციაციების გადატანას,

რომლებიც შეიძლება განსხვავებული იყოს თარგმანისა და ორიგინალის ადრესატისათვის. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური მოდელი თითქმის სრულიად უგულვებელყოფს კომუნიკაციის მიზნის კატეგორიას, რომელიც გადაწყვეტ როლს თამაშობს თარგმანის საშუალებების შერჩევაში.

კანონზომიერი შესიტყვების თეორია. კანონზომიერი შესიტყვების თეორია შეიმუშავა რეცკერმა, რომელმაც 1950 წელს გამოაქვეყნა სტატია “შშ-ობლიურ ენაზე თარგმნისას კანონზომიერი შესიტყვების თაობაზე.” მსგავს თეორიას ა.ვ. ფიოდოროვიც ავითარებდა. ამ მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ მთარგმნელი უბრალოდ შთაგონებით კი არ მოქმედებს, არამედ ენათშორისი შესიტყვებების შერჩევისას შეიმჩნევა რაღაც კანონზომიერება. ფიოდოროვისა და რეცკერის უდიდესი დამსახურებაა არამხატვრული ემპირიული მასალის გამოყენება, თუმცა მხატვრული მაინც დომინირებდა. თავის კვლევაში ისინი ანალიზებდნენ მთარგმნლობით გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაც უწევდათ მთარგმნელებს და რომელთა გაანალიზების საფუძველზე ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მსგავს ლინგვისტურ პირობებში მთარგმნელები ღებულობდნენ მეტნაკლებად მსგავს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, შესაძლებელია გარკვეული კანონზომიერებების გამოყოფა.

კ.შ.თ. თავისი გავლენა მრავალ ენობრივ იარუსზე - ლექსიკიდან სინტაქსსა და სტილამდე გაავრცელა. ორიგინალისა და თარგმანის ტექსტების შეპირისპირებისას რეცკერმა გამოყო შესიტყვებების სხვადასხვა ტიპი (ეკვივალენტური, ვარიანტული, კონტექსტუალური) და შემოგვთავაზა შესიტყვებების შემდეგი კლასიფიკაცია: 1. ეკვივალენტები; 2. ანალოგები (ზოგჯერ ვარიანტულ შესიტყვებებად წოდებული); 3. ადეკვატური ჩანაცვლება.

ეკვივალენტებში მოიაზრება მუდმივი, კონტექსტისგან დამოუკიდებელი შესატყვისობები დედნისა და თარგმანის ენებში. მაგალითად, ინგლისურს the United Nations შეესაბამება *გაერთიანებული ერების ორგანიზაცია*. თუმცა ასეთი შესიტყვებები შედარებით მცირერიცხოვანია. გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ანალოგები, ან ვარიანტული შესიტყვებები. ანალოგებად შეიძლება იწოდოს დედნისა და თარგმანის ენების ერთეულებს შორის ანალოგიური ურთიერთობების მქონე ერთეულები: თარგმანის ენაში სინონიმურ ერთეულებს შორის დაიძებნება ორიგინალის ერთეულის შესატყვისი ვარიანტი, რომელიც მოცემულ კონტექსტში ამ ერთეულის აზრს გადმოსცემს. კონტექსტი განსაზღვრავს, მაგალითად სიტყვის fair თარგმანს: სიტყვათშეთანხმება fair share და fair deal ითარგმნება, როგორც თანაბარი წილი.

შესიტყვებების მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ე.წ. ადეკვატური შესიტყვებები, რომელთაც მთარგმნელი მიმართავს, როდესაც უხდება ორიგინალისაგან “გადახვევა,” იმისათვის რომ შეინარჩუნოს ორიგინალის აზრი.

რეცკერის თანახმად, მთარგმნელის გონებაში ჯერ ამოტივტივდება ეკვივალენტები, შემდეგ იგი იწყებს ანალოგების ძებნას. ამავე თანმიმდევრობით არის საჭირო მთარგმნელების მომზადებაც: თავდაპირველად მათ მოეთხოვებათ ეკვივალენტების პოვნა, შემდეგ ანალოგების, და ბოლოს უნდა განახორციელონ ეკვივალენტური ჩანაცვლება.

ამ თეორიას გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, კერძოდ ი.ს. ალექსეევა აღნიშნავს, რომ შესიტყვებების თითქოსდა მწყობრ კლასიფიკაციას აკლია საერთო ბაზა: გაურკვეველია ერთმნიშვნელოვანი ეკვივალენტების ლექსიკური მოცულობა, რადგანაც ისინი შეიძლება შეიცავდნენ ერთზე მეტ ლექსემას (მაგალითად, ტერმინები, ფირმის სლოგანი, ამკრძალველი წარწერები). ალექსეევა ასევე მიზანშეწონილად თვლის ტექსტის ტიპისა და შესიტყვებების ერთმნიშვნელოვანების მიმართების შესწავლას. მისი აზრით, ტექსტის ტიპი განაპირობებს მთარგმნელის თავისუფლების დონეს. კომისაროვის მიერ განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით, ალექსეევა აცხადებს, რომ ერთმნიშვნელოვანი ეკვივალენტები შეიძლება იყოს ენობრივი, ან სასაუბრო.

გარდა ამისა, კრიტიკოსები აღნიშნავენ რეცკერის თეორიის ზედმეტად ნორმატიულ სახეს. ამ მიზეზით თავის მომდევნო ნაშრომებში რეცკერი არაერთხელ აღნიშნავდა თარგმანის შემოქმედებით ხასიათს.

ტრანსფორმაციული მოდელი. ეს მოდელი წარმოიქმნა ტრანსფორმაციული გრამატიკის გავლენით, რომელიც, კომისაროვის აზრით, აღარ სარგებლობს პოპულარობით. ამ მოდელის თანახმად, თარგმანი გულისხმობს ორიგინალი ტექსტის გარდაქმნას, ანუ მთარგმნელის მიერ დამუშავებული ტექსტი განიცდის ტრანსფორმაციას.

ტრანსფორმაციული მოდელის თანახმად გარდაქმნას ექვემდებარება ე.წ. “ბირთვული კონსტრუქციები,” რომლებიც თანამედროვე მომხრეების აზრით, სხვადასხვა ენაში ერთნაირია. ეს სინტაქსური კავშირები კი, თავის მხრივ, ხასიათდება მსგავსი ლოგიკურ-სინტაქსური კავშირებითა და ლექსიკური შემადგენლობით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ორიგინალის ტექსტი წარმოადგენს სტრუქტურების ერთობლიობა, რომელთაც თავისი შესატყვისობები გააჩნიათ მეორე ენაში, ან ეს შესატყვისობები ტრანსფორმაციის შედეგად მიიღება. ორიგინალის ტექსტის ანალიზის ეტაპზე მთარგმნელს იგი დაჰყავს ბირთვულ კონსტრუქციებამდე. შემდეგ ამ კონსტრუქციებს შეცვლის სამიზნე ენის ეკვივალენტური სტრუქტურები, რომლებიც საბოლოოდ ორიგინალის შესატყვის ტექსტად გარდაიქმნება.

ტრანსფორმაციის მოდელსაც თავისი ნაკლოვანებები გააჩნია. ის მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურების ურთიერთმიმართების საკითხს განიხილავს და ასაბუთებს რა ორიგინალისა და თარგმანის სემანტიკური სიახლოვის აუცილებლობას, ეს თეორია უგულვებელყოფს ეკვივალენტობის პრობლემას.

კომუნიკაციური მოდელი. ეს მოდელი განიხილავს თარგმანს, როგორც ორენოვან კომუნიკაციურ აქტს, რომელიც შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: შეტყობინება, მისი გამგზავნი და მიმღები, კოდი (ენა) და დაკავშირების არხი (წერილობითი თუ ზეპირი მეტყველება, მისი ჟანრის გათვალისწინებით). თავად თარგმნის პროცესი შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ: გამგზავნის მიერ კოდირებული შეტყობინება შესაბამისი არხით გადაეცემა მთარგმნელს, რომელიც ახალი კოდის საშუალებით გადასცემს ამ ინფორმაციას სხვა რეციპიენტს; ამასთან ერთად იგი ცდილობს შეინარჩუნოს საწყისი ტექსტის შეტყობინების ჟანრული თავისებურებანი. რაც შეეხება დაკავშირების არხს, იგი შეიძლება შეცვალოს, ან იგივე დატოვოს. თარგმნის პროცესს ის ართულებს, რომ საწყისი ინფორმაციის

გადმოსაცემად მთარგმნელმა არსებული ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალური უნდა შეარჩიოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთარგმნელი ამ კომუნიკაციური აქტის განხორციელებისას ორმაგ ფუნქციას ასრულებს: ის ინფორმაციის მიმღებიც არის და გამგზავნიც.

კომუნიკაციური მოდელი შეისწავლის ნიშნებს, დენოტატებსა და კომუნიკანტებს შორის არსებულ სინტაქსურ, სემანტიკურ და პრაგმატულ ურთიერთმიმართებას: ნიშნებს შორის ურთიერთმიმართებას, დენოტატსა და ნიშანს შორის ურთიერთდამოკიდებულებას და ნიშანსა და კომუნიკანტებს შორის არსებულ ურთიერთმიმართებას.

თარგმანის კომუნიკაციური მოდელი ყურადღებას პირველ რიგში თარგმანის ტექნიკაზე ამახვილებდა და აღწერდა იმ ხერხებს, რომელთაც იყენებს მთარგმნელი თარგმნისას. მაგრამ მსაგვსი მიდგომა არ წყვეტს თარგმანის საკვანძო საკითხებს: ინვარიანტისა და ადეკვატურობის პრობლემას, რადგანაც მათ გადაწყვეტა განპირობებულია არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, როგორც კომუნიკაციური აქტის განუყოფელი მახასიათებლები. ამჟამად განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ურთიერთმიმართების საკითხი, რამაც ამ სფეროს აქტიური კვლევა განაპირობა.

ყველა ეს მოდელი საკმაოდ გავრცელებულია, თუმცადა მათი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ეს თეორიები მართალია სრულყოფილად არ ასახავენ თარგმნის პროცესს, მაგრამ შეისწავლიან ამ პროცესის მეტად მნიშვნელოვან ასპექტებს.

სიტუაციური (დენოტაციური) მოდელი. ამ მოდელს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ყველა ენობრივი ნიშანი გამოხატავს რეალური სინამდვილის რაღაც საგნებს, მოვლენებსა და ურთიერთობებს. რეალური სინამდვილის ამ ელემენტებს დენოტატებს უწოდებენ. ეს დენოტატები ნებისმიერ ენაში თითქმის ერთნაირია. ნებისმიერი ტექსტი, რომელიც, საერთო ჯამში, ასახავს რეალურ სინამდვილეს, წარმოიქმნება სხვადასხვა დენოტატის ურთიერთშეკავშირებით. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, თარგმანი გულისხმობს დენოტატის ენობრივი ნიშნის (სიტყვის) შეცვლას მეორე ენის ნიშნით, რომელიც იმავე დენოტატს აღნიშნავს. ე.ი. მთარგმნელი აღიქვამს სიტუაციას ერთი მატერიალური ფორმით და გამოხატავს მას სხვა ფორმით, ხოლო დენოტატები უცვლელი რჩება. იმ შემთხვევაში, თუ თარგმანის ენაში არ არსებობს შესაბამისი დენოტატი, მთარგმნელი მიმართავს კომპენსაციას, რომ შეინარჩუნოს სათარგმნი ტექსტის აზრი და სწორად აღწეროს სიტუაცია. ამ მოდელის მეორენაირად სიტუაციური მოდელი სწორედ იმის გამო ეწოდა, რომ დენოტატების როლში ზოგჯერ მთელი სიტუაცია გამოდის. სიტუაცია ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც გარკვეულ კავშირში მყოფი დენოტატების ერთობლიობა.

თარგმანის ასეთი მოდელი წარმოდგენილია ჟ. კეტფორდის და ვ. გაკის შრომებში.

ეს თეორია ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ორივე ენას ქვესახელი ერთსა და იმავე მოვლენების აღსანიშნავად. რეალურად კი ერთ ენაში შეიძლება აღნიშნული იყოს ის, რაც არანაირად არ არის აღნიშნული მეორე ენაში. გარდა ამისა, ენები

ხშირად განსხვავებულად ანაწევრებენ ადამიანის გარემომცველ რეალობას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისური ზედსართავი blue, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს როგორც ლურჯს, ისე ცისფერს, ან ზმნა go – სიარულს, ფრენას, ცურვას.

დენოტაციური მოდელი საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა მისი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. იგი არ ეხება თარგმანის პროცესის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს, ბოლომდე არ ხსნის ამ პროცესის მექანიზმს. ერთი და იგივე სიტუაცია შეიძლება გადმოიცეს თარგმანის ენაზე სხვადასხვა ენობრივი ნიშნების კომბინაციებით. ასეთ შემთხვევაში სიტუაციური თეორია ვერ დაგვეხმარება შესატყვისი ვარიანტის შერჩევაში, რადგანაც იგი ვერ ხსნის თავად რამდენიმე ვარიანტის არსებობის შესაძლებლობას. ამ თეორიის საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ თუ რა არის ნათქვამი სათარგმნ ტექსტში და არა ის, თუ როგორ არის ეს ნათქვამი. მაგ: მოწვევა შეიძლება სხვადასხვანაირად აიკრძალოს: “მოწვევა აკრძალულია!” “აქ არ ეწვეიან!” “ნუ მოწვევთ!” და ა.შ. განცხადებების შინაარსი მეტნაკლებად განსხვავებული იქნება მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე სიტუაციას აღწერენ.

კიდევ ერთი ნაკლი ამ თეორიისა ის არის, რომ თარგმანისას იგი არ წყვეტს ეკვივალენტობის თეორიას. ყველა ამ უარყოფითი მხარის მიუხედავად თარგმანის ეს მოდელი მეტად გავრცელებულია, რომელიც მართალია არ ხსნის თარგმანის პროცესის ყველა ასპექტს, მაგრამ მოიცავს ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს.

თარგმანის თეორიის ფსიქოლინგვისტური საფუძვლები

თანამედროვე თარგმანის თეორია თარიღდება XX საუკუნის მეორე ნახევრით, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ნამდვილი მთარგმნელობითი ბუმი: ჩნდება დიდი რაოდენობით საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვეთრად მატულობს სხვადასხვაენობრივ კომუნიკანტებს შორის ინფორმაციის გაცვლა. გაჩნდნენ თარგმანის ახალი სახეები (კინოფილმების, ტელეპროგრამების დუბლირება). მუდმივად განვითარებადი მხატვრული თარგმანის გარდა პირველ ადგილზე მოცულობისა და მნიშვნელობის მიხედვით გავიდა ინფორმაციული თარგმანი (სამეცნიერო-ტექნიკური, პუბლიცისტური ლიტერატურის თარგმანი). მეცნიერებმა უფრო ინტენსიურად მიყვეს ხელი ინფორმაციული თარგმანის პრობლემებს, რომლებიც ძირითადად ლინგვისტიკურ ხასიათს ატარებდნენ. ამ დროისათვის უკვე იყო განხორციელებული ნამდვილი წინსვლა ჰუმანიტარული დისციპლინების სფეროში – ენათმცოდნეობაში ანთროპოცენტრული პარადიგმის ცნებამ მოახდინა სოციოლოგიის, კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის, მეტყველების თეორიის, ტექსტის ლინგვისტიკის სფეროებში კვლევის აქტივიზაცია. ყოველივე ამან ნიადაგი მოუშადა თარგმანის ზოგადი თეორიის სწრაფ განვითარებას.

ზოგადი თარგმანმცოდნეობის მიზანია თარგმანის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ასახავდა თარგმანის ტექსტის შექმნის პროცესსა და გადაწყვეტდა ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტობის საკითხს. გავრცელებულ მოდელებს შორის გამოიყოფა სემანტიკური, სიტუაციური, ტრანსფორმაციული, კომუნიკაციური, კანონზომიერი შესატყვისობის თეორია.

თანამედროვე თარგმანის წარმატებები პირველ რიგში აიხსნება მთელი ჰუმანიტარული დისციპლინების ციკლის მიღწევებით. თარგმნის თეორიის მჭიდრო კავშირმა ლიტმცოდნეობასთან, ლინგვისტიკასთან, სემიოტიკასა და კულტურათმცოდნეობასთან გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა ორენოვან კულტურათშორის კომუნიკაციაზე. განსაკუთრებულად მჭიდროა ეს კავშირი თარგმნის თეორიისა და ფსიქოლინგვისტიკას შორის.

ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის მეტყველების ჩამოყალიბების მექანიზმებს, ამიტომ მჭიდროდ არის დაკავშირებული თარგმანის თეორიასთან. თანამედროვე ფსიქოლინგვისტური თეორიების თვალსაზრისით თარგმანი წარმოადგენს მეტყველების რთულ სახეს, რომლის პირველ ეტაპს რეცეპციული ხასიათი აქვს (მოსმენა და კითხვა) და მეორე ეტაპს პროდუქციული სახე აქვს (ლაპარაკი და წერა). ამის გარდა, თარგმანის პროცესის ფსიქოლინგვისტური არსის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქოლოგიის ისეთი კორიფეების ნაშრომებს, როგორცაა დ. უზნამე, პ. გალპერინი, ა. ლეონტიევი.

ფსიქოლინგვისტიკა ყოველთვის შეისწავლიდა მეტყველების მექანიზმებს, დისკურსის აღქმის პრობლემებს, თარგმანის აქტუალურობამ თანამედროვე სამყაროში განაპირობა დისკურსის ეთნოკულტურული სპეციფიკის გააზრება. ენობრივი ფენომენი ჯერ არ არის ყველა მხრიდან შესწავლილი, განსაკუთრებულ სიმწიფეებს წარმოადგენს მეორე ენის ათვისების კანონზომიერება. მშობლიური და უცხო ენის ურთიერთობა საკმაოდ რთულია: გარკვეულ წილად დადებითი, მაგრამ, თუ ენობრივი სისტემები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მოსალოდნელია უარყოფითი ინტერფერენცია. ძუსტად ამ შემთხვევაში მთარგმნელს ეხმარება პსიქოლინგვისტების დაკვირვებები.

ენობრივი და კულტურული ბილინგვიზმი ფსიქოლინგვისტებს კომპლექსურად აქვთ შესწავლილი: შემუშავებულია მეორე ენის ათვისების ძირითადი სტრატეგიები; მეორე ენაზე შექმნილი ტექსტის აღქმის ეტაპები.

ვინაიდან თარგმანის მიზანია ეკვივალენტური ტექსტის შექმნა, რომელმაც უნდა მიაღწიოს მსგავს კომუნიკაციურ ეფექტს, ნებისმიერი თარგმანი საჭიროებს პრაგმატულ ადაპტაციას, რომლის ხარისხი უშუალოდ დაკავშირებულია ორი ენის ფსიქოლოგიის ცოდნასთან. ყველა ერს სხვადასხვანაირი მენტალიტეტი და თავისებური მსოფლმხედველობა ახასიათებს. ამიტომაც თარგმანის პრაგმატული ადაპტაციის ხარისხი, და უფრო ფართოდ – თარგმანის მიზნის მიღწევა – უშვალოდ არის დამოკიდებული თარგმანის თეორიისა და ფსიქოლინგვისტიკის ნაყოფიერ კავშირზე.

თარგმანმცოდნეობა და შეპირისპირებითი ლინგვისტიკა

თარგმანი წარმოადგენს ენათმეცნიერების ობიექტის განუყოფელ ნაწილს. ენათშორისი კომუნიკაციის თეორიული ანალიზი თვით ენათმეცნიერების განვითარებისთვისაა აუცილებელი და უაღრესად ნაყოფიერ შედეგებს გვპირდება. ამიტომ თარგმანი უნდა განიხილებოდეს, როგორც ენების ფუნქციონირების განსაკუთრებული სახეობა, მათი სამეტყველო რეალიზაციების სპეციფიკური

ხერხები, რომლის შესწავლის გარეშე ჩვენი ცოდნა ენის ფუნქციებსა და არსზე სრულყოფილი ვერ იქნებოდა.

ენათმეცნიერების ურთიერთობაში მთავარია ის, რომ კომუნიკაციის აქტში მონაწილეობენ სხვადასხვა ენობრივი სისტემის მომხმარებელი კომუნიკანტები, ხოლო თვით თარგმანში, რომელსაც ვ.ნ. კომისაროვი "გიგანტურ ბუნებრივ ექსპერიმენტს" უწოდებს, ხდება ენების ელემენტების შეპირისპირება, რასაც ოპოზიციის პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს ნაწილობრივი საერთოობის ან მსგავსების ლინგვისტური პრინციპი, ხოლო სხვადასხვა ენათა ერთეულების თარგმნის პროცესში გამოვლენილი ეკვივალენტურობა მდიდარ მასალას იძლევა ენების ელემენტების სისტემურ ორგანიზაციაში ამ პრინციპის როლის შესწავლისათვის.

თარგმანის ლინგვისტური გაგებისათვის ა.დ. შვეიცერს მნიშვნელოვნად მიაჩნია ენობრივი გამოხატვის შინაარსის პლანში დენოტატური, კონოტატური და პრაგმატული მნიშვნელობების გამოყოფა.

დენოტატური მნიშვნელობის პარალელურად თარგმნისას გათვალისწინებულია შინაარსის ისეთი ელემენტი, როგორცაა კონოტატური მნიშვნელობა, ე.ი. ის მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება ენობრივი გამოხატვის ფუნქციურ-სტილისტური და ექსპრესიული შეფერილობით. ასევე შინაარსის ანგარიშგასაწევი კომპონენტია პრაგმატული მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება ენობრივი გამოხატვისა და კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა შორის დამოკიდებულებით.

თარგმანთან მიმართებაში პრაგმატული კომპონენტის როლი აიხსნება სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის განსხვავებული საზოგადოებრივი და კულტურულ-ისტორიული გამოცდილებით. არც თუ იშვიათად პრაგმატული მნიშვნელობის გათვალისწინება დენოტატური და კონოტატური მნიშვნელობების ნაწილობრივ შეცვლასაც იწვევს და ამ დროს აშკარა ხდება, მნიშვნელობათა ეს სამივე სახეობა რა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული ნებისმიერ ენობრივ წარმონაქმნში.

ფრაზეოლოგია ყოველი ენის ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც სიტყვასიტყვით არ ითარგმნება, ვინაიდან მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი არ ემთხვევა სხვა ენაზე მოძებნილი იმავე სიტყვების ჯამს. ცხადია, ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებულ ენებშიც კი გვხვდება ფრაზეოლოგიზმების დამთხვევის მაგალითები, მაგრამ მათ უმეტესობას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სემანტიკური საფუძველი აქვს და მისი სიტყვასიტყვით გადმოტანა გამორიცხულია. ამ შემთხვევაში თითქოს ერთადერთი გზაა ამა თუ იმ უცხო ფრაზეოლოგიზმისათვის ქართული შესატყვისის პოვნა, მაგრამ შინაარსით ტოლფასოვანი ფრაზეოლოგიზმები ხშირად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სტილისტური ელფერით.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ი.ი. რეცკერი სამართლიანად აკუთვნებს ენის გამომსახველობით საშუალებებს, რომელთაც მეტწილად აქვთ აგრეთვე დამატებითი ნაციონალური შეფერილობა. ამიტომ თვით ნეიტრალურ-სტილისტური

ფრაზეოლოგიზმები იძენენ კონტექსტში ექსპრესიას. ი.ი. რეცკერი იშველიებს ფრაზეოლოგიზმების ა.ვ. კუნინისეულ განმარტებას, რომელიც მისი აზრით, ყველაზე ზუსტი და სრულია: „ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ სიტყვათშეთანხმებებს, ანუ განცალკევებულად გაფორმებულ წარმონაქმნებს, შედგენილს მთლიანად ან ნაწილობრივად გადააზრებული კომპონენტებით, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობებით. ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელია არა საერთოდ მდგრადობა, არამედ მდგრადობა ფრაზეოლოგიურ დონეზე, სიტყვიერი კომპონენტების კანონზომიერი დაქვემდებარებულობა და სტრუქტურულ-სემანტიკური არამოდელირებულობა. ფრაზეოლოგიური ერთეულები შექმნილია ცვლადი შეთანხმებებისა და წინადადების მიხედვით“.

ამგვარად, ფრაზეოლოგიზმის განსასაზღვრად აქ მოხმობილია ოთხი კრიტერიუმი: განცალკევებული გაფორმება, არამოდელირებულობა, გადააზრება და მდგრადობა, მაგრამ ი.ი. რეცკერის აზრით, მთარგმნელისათვის მთავარი კრიტერიუმი გადააზრებაა. ცალკე გამოყოფს ი.ი. რეცკერი ხატოვან ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა გადმოცემის ოთხი გზა არსებობს:

1. უცხოენოვანი ხატის სრული შენარჩუნება;
2. ხატოვანების ნაწილობრივი შენარჩუნება;
3. ხატოვანების სრული შეცვლა;
4. ხატოვანების სრული მოხსნა.

პირველ კატეგორიას განეკუთვნება გაქცავებული მეტაფორები და პერიფრაზები, ანდაზები და ფრთიანი გამოთქმები და მისთ. მეორე შემთხვევაში თარგმანში ვინარჩუნებთ ფრაზეოლოგიზმის ხატოვან საფუძველს, მაგრამ იძულებულნი ვართ შევიტანოთ მასში გარკვეული ლექსიკური ან გრამატიკული ხასიათის ცვლილებები. მესამე ხერხს მივმართავთ მაშინ, როცა ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმისათვის მშობლიურ ენაში გაგვაჩნია ფუნქციური ეკვივალენტი, ოღონდ სულ სხვა აზრობრივ საფუძველზე აგებული. ამასთან, ხატოვანების სრული მოხსნის შემთხვევაშიც კი შეიძლება შევინარჩუნოთ ექსპრესიული შეფერილობა, ოღონდ ეს ხშირად განუხოციელებელი რჩება ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობაში ჩადებული ეროვნული კოლორიტის გამო, რაზეც იგება მისი სტილისტურად ექსპრესიული ეფექტი.

ადამიანს ყოველთვის აქვს რაღაც სუბიექტური დამოკიდებულება ნიშანთან, მათი მეშვეობით კი თვით რეფერენტებთან: ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს ემოციური, ექსპრესიული, სტილისტური და ა.შ. ამგვარ დამოკიდებულებას უწოდებენ პრაგმატულს, ხოლო მნიშვნელობათა ამ ტიპს – პრაგმატულ მნიშვნელობას. პრაგმატულ მნიშვნელობათა სფეროს განეკუთვნება სიტყვების მეტაფორული მნიშვნელობები, რომლებიც წარმოიქმნება ერთი საგნის სახელწოდების მეორეზე გადატანისას, რასაც თავის მხრივ, საფუძვლად უდევს მოცემული სიტყვის ემოციურ-შეფასებითი დახასიათება. მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა ენაში ამგვარი შეფასებები არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ასევე პრაგმატულ მნიშვნელობებს მიეკუთვნება ის დამატებითი ასოციაციები, ანუ კონოტაცია, რომელთაც სიტყვა იწვევს ამა თუ იმ ენის მატარებლის ცნობიერებაში, რომელთა გააზრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათმორისი კომუნიკაციის

მონაწილეთა ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ გამოცდილებას, ფონურ ცოდნას.

რეფერენტულ მნიშვნელობათა სისტემაში ჩაბეჭდილია ენობრივი კოლექტივის მთელი პრაქტიკული გამოცდილება და ამიტომ ეს მნიშვნელობები სხვადასხვა ენაში უფრო მეტად საერთოა, ვიდრე განსხვავებული. აქედან გამომდინარე, თარგმანშიც

შედარებით სრულად შეიძლება რეფერენტულ მნიშვნელობათა შენარჩუნება, და ფაქტიურად, მათ შენარჩუნებაზეა დამოკიდებული შინაარსის პლანის ინვარიანტობა.

ნაკლებად ემორჩილება თარგმანს პრაგმატული მნიშვნელობები, რადგან ერთსა და იმავე საგანთან სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულება სხვადასხვაა და ყველაზე უფრო დაუმორჩილებელია შიდაენობრივი მნიშვნელობები, რადგან ყოველი ენა წარმოადგენს თავისებურ სისტემას, რომლის ელემენტები სწორედ ამ ენისათვის დამახასიათებელ მიმართებაშია ერთმანეთთან. შიდაენობრივი მნიშვნელობები თარგმანში ან სულ ქრება, ან მხოლოდ მინიმალურად შეიძლება შევინარჩუნოთ.

შეპირისპირებითი ლინგვისტიკისა და თარგმანის ურთიერკავშირის საკითხი დღესაც კამათის საგანია. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა, მიუხედავად იმისა, თუ ენის რომელი ტიპია მისი ყურადღების ცენტრში – სისტემა, სტრუქტურა, ნორმა და ა.შ. – ყოველთვის მიმართულია ენაზე, იმ კონკრეტულ ენობრივ წყვილზე, რომლის ანალიზიცაა ჩასატარებელი..

„თარგმნადობის“ ცნება ლიტერატურაში სხვადასხვანაირად აიხსნება. ზოგჯერ საუბრობენ ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის პრინციპულ შესაძლებლობაზე, ზოგჯერ კი – ამოსავალი ტექსტის ენობრივი ერთეულების ეკვივალენტის მოძიებაზე მთარგმნელ ენაში. ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, განპირობებულია ისეთი ძირითადი ცნებების განმარტებით, როგორებიცაა – ეკვივალენტურობა, ადეკვატურობა, თარგმანის არსი და ა.შ. ეკვივალენტურობა ორიენტირებულია თარგმანის შედეგზე, ენათშორისი კომუნიკაციის შედეგად შექმნილი ტექსტის შესაბამისობაზე ორიგინალის გარკვეულ პარამეტრებთან. ადეკვატურობა დაკავშირებულია ენათშორისი საკომუნიკაციო აქტის მიმდინარეობასთან, თარგმანის სტრატეგიის შერჩევასთან. თუ ეკვივალენტურობა პასუხობს კითხვაზე – შეესაბამება თუ არა ნათარგმნი ტექსტი ამოსავალ ტექსტს, ადეკვატურობა პასუხობს კითხვაზე – შეესაბამება თუ არა თარგმანი, როგორც პროცესი, მოცემულ საკომუნიკაციო პირობებს. ეკვივალენტურობა სცილდება ენობრივი მანიფესტაციის ფარგლებს და შეიცავს აგრეთვე კულტურათაშორის ეკვივალენტურობასაც.

ტერმინი "იდიომი", "იდიომატური შესიტყვება" და "ფრაზეოლოგიზმი" ძალიან ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება და განსხვავებას ძირითადად შემადგენელ კომპონენტთა ოდენობასა ან მეტაფორულობის ხარისხში ხედავენ. იდიომატური შესიტყვებები (იდიომები) თავისი ხმარების მიხედვით აზრობრივად მთლიანობასა და ერთიანობას ქმნიან, მაგრამ, ჩვეულებრივ, ზუსტად არ ითარგმნებიან სხვა ენებზე და თარგმნისას მოითხოვენ მსგავსი სტილისტური ელფერის შენაცვლებას.

იდიომთა ზუსტი თარგმნა შეუძლებელია არა მარტო სხვადასხვა ოჯახისა და ტიპოლოგიის ენებზე, არამედ მონათესავე ენებზეც კი, მით უფრო, რომ იდიომი

ხშირად დიალექტური, ხალხური წარმოშობისაა და მის უკან დგას ძალზე სპეციფიკური გამოცდილება, მხოლოდ კონკრეტულ არეალში რომ ინარჩუნებს ინფორმაციულობას თუ ემოციურ ძალას. ფრაზეოლოგიზმების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს არა კომპონენტების, არამედ მთლიანი შესიტყვების მნიშვნელობა.

ლინგვოეთნიკური ბარიერის შემადგენელი ელემენტები

თარგმანს, ჩვეულებრივ, ისეთ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც ადამიანებს არ შეუძლიათ წერილობითი თუ ზეპირი კომუნიკაციის დამყარება. ამის მიზეზი კი მათ შორის არსებული ლინგვოეთნიკური ბარიერია. უცხო ენა არ არის ერთდადერთი ბარიერი, რომელიც კომუნიკანტებს ყოფს. მათ შორის ურთიერთობას ასევე აბრკოლებს განსხვავება კომუნიკანტთა კულტურაში, ფსიქოლოგიაში, მსოფლმხედველობაში. ამ ლინგვოეთნიკური ბარიერის დასაძლევად კი საჭიროა კომუნიკანტი იყოს კომუნიკაციურად კომპეტენტური; ამასთანავე, ენის გარდა იგი უნდა ფლობდეს ექსტრალინგვისტურ ცოდნას.

ცალკეული ადამიანის კომუნიკაციურ კომპეტენტურობაზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. იგი უამრავი შემადგენელი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც ლ. კ. ლატიშევის კლასიფიკაციით შეიძლება დავყოთ ლინგვოეთნიკურ და არალინგვოეთნიკურ ფაქტორებად. უკანასკნელს მიეკუთვნება კომუნიკაციის მონაწილის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებები (მისი ინტერესები, გემოვნება და ა.შ.) და ის სოციალური მახასიათებლები, რომლებიც განპირობებულია მისი რაიმე სოციალური (პროფესიული, თუ ასაკობრივი) ჯგუფისადმი მიკუთვნებით. მთარგმნელი კომუნიკაციის მონაწილეებს სწორედ ლინგვოეთნიკური ბარიერის დაძლევაში ეხმარება. როგორც ავღნიშნეთ, ეს ბარიერი სხვადასხვა დაბრკოლებისაგან შედგება და იმით არის გამოწვეული, რომ წყარო და სამიზნე ენაზე მოსაუბრენი განსხვავებულ ლინგვოეთნიკურ საზოგადოებას მიეკუთვნებიან. ამ დაბრკოლების წარმოქმნის მიზეზია განსხვავებები ორი ენის სისტემებს, სამეტყველო ნორმებსა და ფონურ მარაგს შორის.

წყარო და სამიზნე ენების სისტემების განსხვავება. ენობრივი სისტემა საკმაოდ აბსტრაქტული ცნებაა. გამარტივებულად იგი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ენობრივი სისტემა არის სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების (ფონემების, მორფემების, ლექსემების) გრამატიკულ ფორმებისა და იმ მოდელების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ხდება მათი ურთიერთდაკავშირება.

ლ.კ. ლატიშევი ხაზგასმით აღნიშნავს სისტემის ერთ მნიშვნელოვან თვისებას: სისტემის მიერ წარმოქმნილი პროდუქტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ შექმნილი და დამკვიდრებული ერთეულები, არამედ ის პოტენციური კომბინაციები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სისტემის მიერ.

ენობრივი ნორმების განსხვავება. ენობრივი სისტემისაგან განსხვავებით, ენობრივი ნორმა კონკრეტულად არსებულ და რეალურად ფუნქციონირებად ფორმებში გამოიხატება. სწორედ ენობრივმა ნორმამ უნდა განსაჯოს არის თუ არა დასაშვები სისტემის მიერ წარმოქმნილი ესა თუ ის ფორმა: მისაღებია ყოველივე ის,

რაც ენაში რეალურად ფუნქციონირებს და მიუღებელია ის, რაც წარმოიქმნება, მაგრამ არ გამოიყენება ჩვეულებრივ მეტყველებაში. დროთა განმავლობაში ნორმა იცვლება. ამიტომაც ენაში შეიმჩნევა გადახრები ნორმისაგან, არსებობს მისი ვარიანტები.

სამეტყველო ნორმების (უზუსების) განსხვავებები. უზუსი ისეთი სიტუაციური წესების ერთობლიობაა, რომელთა მიხედვითაც ხდება ენობრივი ფორმების შერჩევა. უზუსი კიდევ ერთი ფილტრია, რომელმაც უნდა გადასინჯოს სისტემით წარმოქმნილი ფორმები. მთავარი განსხვავება ნორმასა და უზუსს შორის ისაა, რომ ნორმის მიერ არასწორად აღიარებული არასწორია ყველგან და ყოველთვის. უზუსი კი განასხვავებს ერთმანეთისაგან იმას, რაც მისაღებია თუ მიუღებელია კონკრეტულ სიტუაციაში. ერთ შემთხვევაში არამართებული ფორმა სხვა შემთხვევაში შეიძლება სწორი აღმოჩნდეს. მაგალითად, ლექტორს სტუდენტი ისეთივე ფორმით არ გამოემშვიდობება, როგორც თავის მეგობრებს, თუ მშობლებს. ე.ი. ნორმა აბსოლუტური კრიტერიუმია, მაშინ, როდესაც სიტუაციური უზუსი პირობითი კრიტერიუმია. ამა თუ იმ ფრაზას შეიძლება სხვადასხვა სათარგმნი ვარიანტი გააჩნდეს და უზუსის გათვალისწინებით მთარგმნელი ხშირად არჩევს არა უახლოეს სემანტიკურ ეკვივალენტს, არამედ ისეთ ვარიანტს, რომელიც არ არღვევს სამიზნე ენის უკვე ჩამოყალიბებულ სამეტყველო ტრადიციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა თარგმანის ადეკვატურობა.

განსხვავებული ფონური ინფორმაცია. ინფორმაციის გამგზავნელის შეტყობინება, როგორც წესი, ისეთ ადრესატზეა ორიენტირებული, რომელიც საკმარისად ინფორმირებულია ამ შეტყობინების გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი შეცდა და რეცეპტორი არ ფლობს საჭირო ინფორმაციას, კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული. როგორც ავლნიშნეთ, მთარგმნელი ეხმარება ადრესატს ლინგვოთნიკური ბარიერის დაძლევაში და იგი ხშირად ითვალისწინებს, რომ ორიგინალის ადრესატისაგან განსხვავებით, თარგმანის ადრესატს შეიძლება არ ჰქონდეს შეტყობინების გასაგებად საჭირო ცოდნა. ამის გამოსასწორებლად მთარგმნელებს უწევთ სხვადასხვა ცვლილებების შეტანა ორიგინალში.

ფონური ცოდნა შეიძლება ატარებდეს ნაციონალურ, კულტურულ ან ისტორიულ ხასიათს. მაგალითად, საგაზეთო მასალას უმეტესად საფუძვლად უდევს ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური მოვლენები. სტატიის ავტორს ზოგჯერ არც კი უწევს ცნობილი პიროვნების, მაგ, პოლიტიკოსის თანამდებობის დასახელება, ან ყველასათვის ცნობილი ფაქტის შეხსენება, იგი პირდაპირ ახალ დეტალებზე გადადის, რადგანაც თვლის, რომ მკითხველმა, რომელზეც გათვლილია ეს სტატია, იცის ვისზე და რაზეა საუბარი.

ფონური ინფორმაცია მოიცავს ქვეყნის ისტორიას, გეოგრაფიულ არეალს, მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების ისტორიას და სხვ. ყოველივე ამას თარგმანის თეორიაში რეალიებს უწოდებენ.

ამრიგად, ლინგვოთნიკური ბარიერის ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება წყარო და სამიზნე ენებზე მოსაუბრეთა განსხვავებული კომუნიკაციური კომპეტენტურობა. მთარგმნელი გარკვეულწილად გარდაქმნის ორიგინალის ტექსტს, რომ მასში მოცემული ინფორმაცია გასაგები გახდეს თარგმანის მკითხველისათვის და იგივე ზეგავლენა მოახდინოს მასზე, როგორც ორიგინალის

მკითხველზე. ამისთვის მას ხშირად უწევს შესწორებების შეტანა ნორმის, უზუსტისა და თარგმანის ადრესატის ფონური ინფორმაციის გათვალისწინებით.

მთარგმნელობითი შეცდომების გამომწვევი ლექსიკა

მთარგმნელის შეცდომებს ხშირად ორმხრივი ხასიათი აქვს: სუბიექტურ-ობიექტური. ერთი მხრივ შეცდომების მიზეზი ხდება მთარგმნელის უცოდინარობა, მეორეს მხრივ კი ტექსტის სხვადასხვა მაპროვოცირებელი ფაქტორები. ამგვარ საფრთხეს ხშირად ლექსიკური ერთეულები ქმნიან.

ისეთი მოვლენა, როგორცაა ფსევდოინტერნაციონალური ლექსიკა, ბევრი მთარგმნელისათვის სატყუარაა და თარგმანის თეორეტიკოსებმა მას **თარჯიმნის „ცრუ მეგობრები“** უწოდეს. ასეთი ლექსიკის თარგმნის სირთულეს განაპირობებს დედნისა და თარგმანის ენების ლექსიკურად მსგავსი ფორმების არსებობა. ინტერნაციონალური სიტყვები ნასესხების სახით შემოვიდა ენებში უშუალოდ, ან რომელიმე სხვა, მესამე ენის მეშვეობით. ასეთ სიტყვებს აქვთ მსგავსი ჟღერადობა, დამწერლობა და მნიშვნელობა. მაგალითად, *anecdote* (f) - ისტორია, ცხოვრებისეული სიუჟეტი (არ არის აუცილებელი სასაცილო): *Lors d'une fête de famille réunissant trois générations, Marie, la grand-mère, raconte une anecdote de guerre qu'elle n'avait jamais racontée à ses petits-enfants.*

მთარგმნელის „ცრუ მეგობრებს“ მიეკუთვნება ფსევდო-ინტერნაციონალური სიტყვები, ანუ ისეთი ლექსიკური ერთეულები ორიგინალისა და სათარგმნ ენებში, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია დამწერლობითა და ჟღერადობით, შინაარსობრივად კი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული. მთარგმნელის ცრუ მეგობრები ოთხ ჯგუფად იყოფა:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ორიგინალის ტექსტის სიტყვები, რომლებიც ჟღერადობით გავს სათარგმნ ენის სიტყვებს, მაგრამ სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლექსიკური მნიშვნელობით. მაგალითად, *actual* ნიშნავს მოქმედს (და არა აქტუალურს); *baiser* (m) - კოცნა (და არა ბეზე); *caméra* (m) - ფოტოაპარატი (და არა საპატიმრო კამერა).

მეორე ჯგუფს შეადგენენ სიტყვებს ორიგინალის ენაში, რომლებიც მხოლოდ ერთი თუ ორი მნიშვნელობით ემთხვევიან თარგმანის ენაში არსებულ სიტყვებს, დანარჩენი მნიშვნელობები კი განსხვავებულია. მაგალითად, *carton* (m) - მუყაოს ყუთი, მუყაო; გადატ. დიდი წარმატება.

მესამე ჯგუფს შეადგენს ორიგინალის ენის ისეთი სიტყვები, რომელთაც მოეპოვებათ ჟღერადობითა თუ დამწერლობით მსგავსი სიტყვები სათარგმნ ენაში. ეს სიტყვები ეკვივალენტურია ერთ-ერთი თავისი მნიშვნელობით, მაგრამ დანარჩენი მნიშვნელობებით განსხვავებულია.

მეოთხე ჯგუფში ლატიშევი აერთიანებს წონის, ზომისა და სხვა სიდიდეების აღმნიშვნელ სიტყვებს ერთნაირი ფონეტიკური ფორმით, რომლებიც წარმოადგენენ რაოდენობრივად განხვავებულ სიდიდეებს.

შინაგანი ფორმის საფრთხეები. ლექსიკური ერთეულის შინაგანმა ფორმამ ასევე შეიძლება შეიყვანოს მთარგმნელი შეცდომაში. ლექსიკური ერთეულის შინაგანი ფორმა მისი შინაგანი სტრუქტურაა, ფუძით შედგენილი სიტყვა აფიქსებით

ან რამდენიმე სიტყვის შეთავსებით. ერთი და იმავე დენოტატის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს სხვადასხვა ენაში შეიძლება ქონდეთ განსხვავებული შინაგანი ფორმა. მთარგმნელს საფრთხეს უქმნის ისეთი ენობრივი ერთეულები, რომელთა შინაგანი ფორმა წყარო და სამიზნე ენაში ენაში ერთი და იგივეა, მაგრამ დენოტატური მნიშვნელობა სხვადასხვანაირი. მაგალითად, გერმანულში საფეხბურთო ტერმინი *frei stoss* შინაგანი ფორმის მსგავსების მიუხედავად, არ არის ქართული თავისუფალი დარტყმის იდენტური, იგი აღნიშნავს მსაჯის მიერ დანიშნულ ნებისმიერ დარტყმას, რომელსაც მოწინააღმდეგის მიერ არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება, ქართულში კი განასხვავებენ თავისუფალ და საჯარიმო დარტყმას.

განსაკუთრებით რთულია სოციალური ტერმინების თარგმნა, როდესაც მთარგმნელმა არ იცის წყარო ენაზე მისი ეკვივალენტი. ასეთ შემთხვევებში მას ძალაუფლებურად უწევს შინაგან ფორმაზე დაყრდნობით ტერმინის თარგმნა.

ისეთი სიტყვები თუ მყარი სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც არაპირდაპირად გამოხატავენ მნიშვნელობას, მთარგმნელობითი შეცდომების კიდევ ერთი მიზეზია. ყოველ ენაში მოიძებნება ისეთი სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები, რომელთაც ტრადიციულად სხვა მნიშვნელობა გააჩნიათ, მაშინ როდესაც მათ სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობენ, მაგალითად ამერიკელები ტელევიზორს ხშირად უწოდებენ *გიჟების ყუთს*, *der grunner Kontinet* – *მწვანე კონტინენტი* – ასე უწოდებენ ავსტარლიას.

ასეთ ერთეულებში ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ საკუთარი სახელები, ცხოველების სახელები. მაგალითად, *goose* – ბატი, სალაპარაკო ენაში ნიშნავს – სულელი, ყეყეჩი, დოყლაპია. ამრიგად, ზემოჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები საკმაოდ სერიოზული შეცდომების მიზეზი შეიძლება გახდეს. ასეთ შეცდომებს, როგორც წესი, გამოუცდელი მთარგმნელები უშვებენ. მათი თავდაჯერებულობის გამო ისინი არ ამოწმებენ სიტყვის მნიშვნელობას. თუმცადა მსგავსი შეცდომებისგან არც გამოცდილი მთარგმნელია დაზღვეული.

ტექსტის ინფორმაციის აღქმის პრობლემები უცხო კულტურის მკითხველის მიერ

ორიგინალი ტექსტი, როგორც წესი, გათვლილი არის რეცეპტორზე, რომელიც ფლობს ორიგინალის ენას. გამგზავნი ითვალისწინებს მიმღების ინფორმირებულობის დონეს, მის ცოდნას, სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს და სხვა. ტექსტის თარგმანი კი გათვლილია უცხო ენაზე მოსაუბრე რეცეპტორზე. მთარგმნელი ითვალისწინებს, რომ თარგმანის რეცეპტორი ორიგინალის რეცეპტორისაგან განსხვავდება, ვინაიდან მიეკუთვნება სხვა ენობრივ კოლექტივს, აქვს სხვა ენობრივი გამოცდილება და კულტურა და ფლობს განსხვავებულ ფონურ ცოდნას. ამის გამო მთარგმნელს ზოგჯერ უხდება თარგმანის ტექსტში განმარტებების შეტანა, ე. ი. ტექსტი განიცდის პრაგმატულ ადაპტაციას.

ილუსტრაციისათვის გთავაზობთ შემდეგ მაგალითს: “It was Friday. So they will soon go out and get drunk”. არაინგლისელისათვის ეს წინადადება შეიძლება ნათელი არ იყოს. მან შეიძლება არ იცოდეს, რომ ინგლისში (სადაც ხდება მოქმედება) ქარხნის

მუშებს პარასკევობით აძლევენ ხელფასს. პრაგმატული ადაპტაციის შემდეგ წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: “პარასკევი იყო. ხელფასის დღე. მალე ისინი პაბში წავლენ და დათვრებიან”.

როგორც უკვე ავლინებთ, მთარგმნელს სხვადასხვა შესწორებების შეტანა უწევს იმ მიზეზით, რომ თარგმანის რეცეპტორი არ ფლობს საჭირო ფონურ ინფორმაციას რომელსაც მთარგმნელი იმპლიციდურიდან გარდაქმნის ექსპლიციტურში. პრაგმატულ ადაპტაციას მთარგმნელი მიმართავს საკუთარი სახელების, გეოგრაფიული სახელების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო რეალიების თარგმანისას. ამისათვის მას ტექსტში შეაქვს დამატებები და განმარტებები. ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ხდება ტექსტში სპეციალური დანართით. სხვა შემთხვევაში ორიგინალის პრაგმატული პოტენციალი შეიძლება დაიკარგოს თარგმანში ან დაიკარგოს რამოდენიმე დეტალი იმის გამო, რომ თარგმანის რეცეპტორისათვის უცნობი რეალიაა შემოტანილი: There were pills and medicine all over the place, everything smelled like Vicks Nose Drops. რეალია Vicks ფირმის დასახელებაა, რომელიც უცნობია თარგმნილი ტექსტის რეცეპტორისათვის. თუმცა მის არგადმოტანას თარგმანში მივყავართ გარკვეული ინფორმაციის დაკარგვამდე, მაგრამ რამდენადაც ეს ინფორმაცია არაა არსებითი, იგი შეიძლება თამამად უგულებელვყოთ. “ირგვლივ ყველგან აბები და წამლის ბოთლები ეყარა. ოთახი გაჟღენთილი იყო ცხვირის წვეთების სუნით”.

საკმაოდ ხშირად მთარგმნელი მიმართავს ტრანსფორმაციებს, მაგალითად, გენერალიზაციას, კონკრეტიზაციას და სხვა.

თარგმანის პირველ ეტაპზე მთარგმნელი ორიგინალის რეცეპტორის როლში გამოდის და, შესაბამისად, თავად უნდა ფლობდეს ტექსტის გასაგებად საჭირო ფონურ ინფორმაციას.

ვ. ვინოგრადოვის აზრით, ფონური ინფორმაცია არის ის სოციალურ-კულტურული თავისებურება ერისა, რომელიც გამოიხატება ენაში და რომლის ცოდნაც უზრუნველყოფს ურთიერთგაგებას კომუნიკაციის დროს. ლინგვისტები სხვადასხვა სახის ფონურ ინფორმაციას გამოყოფენ. ფონურ ინფორმაციაში შედის ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალური ცოდნა, რეგიონალური, ნაციონალური, ჯგუფური და ინდივიდუალური.

რეგიონალური და ნაციონალური ინფორმაცია არის საკუთრივ ნაციონალური, ისტორიულად განპირობებული ცოდნა, რომელიც მნიშვნელოვანია მოცემული ერისათვის. ჯგუფური და ინდივიდუალური ფონური ცოდნა ამ კლასიფიკაციაში ბოლო საფეხურზე დგას, რადგანაც მოცულობით ყველაზე მცირეა სხვებთან შედარებით. თითოეული ჯგუფი, თავის მხრივ, შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც ყველა სხვა ერი ფლობს. სწორედ ამ ინფორმაციულ მარაგს უწოდებენ ინტერნაციონალურს.

ნებისმიერი სახის ფონური ინფორმაცია ვლინდება ენაში. ეს ინფორმაცია მოიცავს ისტორიულ ფაქტებს, მატერიალური კულტურის მიღწევებს, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ცნებებს და ა. შ. ყველაფერი ეს რეალიების სახელითაა ცნობილი თარგმანის თეორიაში. რეალიების გამომხატველი ცნებები ნაციონალურ ხასიათს ატარებს და ე. წ. უეკვივალენტო ლექსიკას შეადგენს (თუმცა ვ. ს. ვინოგრადოვი თვლის, რომ ეს ტერმინი დასაზუსტებელია, რადგანაც ასეთ

სიტყვებსაც თარგმანში მოემბნებათ თავისი ეკვივალენტები). აღსანიშნავია ასევე ე. წ. ასოციაციური რეალიები, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ-კულტურულ მოვლენებთან არიან დაკავშირებული.

იმ დროს, როდესაც უეკვივალენტო ლექსიკას მეტნაკლებად წარმატებით თარგმნიან, მეორე ტიპის რეალიების თარგმნა უფრო რთულია და ყოველთვის როდი არის შესაძლებელი. მთარგმნელის მიზანი კი ისეთი თარგმანის შექმნაა, რომელიც რეცეპტორზე ორიგინალის ადექვატურ ზემოქმედებას მოახდენს. მან უნდა შეინარჩუნოს ორიგინალის პრაგმატული პოტენციალი, რისთვისაც საჭიროა მისი პრაგმატული ადაპტაცია. ეს საკითხი უშუალოდ დამოკიდებულია საწყისი ტექსტის ჟანრულ თავისებურებებსა და მის რეცეპტორზე.

ნაციონალობების და ინტერნაციონალობების დიალექტური ერთიანობა ვლინდება თავად ადამიანში, როგორც სოციალურ არსებაში/პიროვნებაში. კაცობრიობის კულტურა ინტერნაციონალურისა და ეთნიკურის მჭიდრო კავშირისა და ურთიერთმიმართების შედეგია.

თარგმანი, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა, თავის მხრივ, მოიცავს თავის თავში ნაციონალობების ურთიერთკავშირს. ერთი ენიდან მეორეზე თარგმანისას მთარგმნელისათვის ამოსავალი წერტილია ზოგადსაკაცობრიო თეზაურუსი, რომლის გარკვეული ნაწილი ნებისმიერი ლინგვოეთნიკური საზოგადოების წარმომადგენლისათვის არის გასაგები. ინტერნაციონალურ თეზაურუსს წარმოადგენს ცოდნა ზოგადად გარემომცველი სამყაროს შესახებ. მაგრამ ასეთი სახის ინფორმაცია თავისებური ენობრივი ფორმით გამოიხატება სხვადასხვა ენებში. ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის დიალექტიკა გამოიხატება ზოგადსაკაცობრიო ცნებების უნარში შეიძინოს ნაციონალური ასოციაციური რეალიები. მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია ინტერნაციონალური და ნაციონალური დიალექტიკის გათვალისწინება თარგმანში, რათა თარგმანმა დედნის ადექვატური გავლენა იქონიოს რეცეპტორზე.

ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების თარგმანი

მთარგმნელთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემათაგანია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმანი, ვინაიდან ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობა არ აიხსნება მათი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობით. შესაბამისად საჭირო ხდება მათი შესატყვისი ერთეულების დაძებნა სამიზნე ენაზე, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ეს ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს ორიგინალს, როგორც მნიშვნელობით, ისე, შემლებისამებრ, კომპონენტთა შემადგენლობით. ამის მიხედვით ფრაზეოლოგიზმებში გამოყოფენ სხვადასხვა ჯგუფებს. კანდელაკი თავის ნაშრომში “ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები,” გამოყოფს იდიომების თარგმნითი შესაბამისობის სამ ტიპს. პირველი ტიპი წარმოადგენს თარგმანს იდიომატური პარალელებით, მაგალითად,

to turn one's nose – ცხვირის აბზეკა, აწევა

to put once foot down – ფეხი დააჭირა

თარგმანის თეორეტიკოსებს მიაჩნათ, რომ ზოგიერთი იდენტური ეკვივალენტები პირდაპირი კალკირებაა რუსული ენიდან. ამ მტკიცებას საფუძვლად

ის უდევს, რომ მათ ადეკვატური ანალოგები მოეპოვებათ რუსულ ენაშიც. თუმცა იდიომატური პარალელების ხვედრითი წონა სხვადასხვა ენებში არცთუ დიდია.

შემდეგ ჯგუფს შეადგენს არასრული იდიომატური პარალელები, რომელთა ნიმუში შეიძლება მოვიყვანოთ შექსპირის თარმანიდან:

I see lady, that the gentleman is not in your books.

როგორც ჩანს, ქალბატონო, თქვენ მას ცუდი თვალთ უყურებთ.

შედარებით მცირე რაოდენობით გვხდება ისეთი ფრაზეოლოგიკები, რომელთა აზრი სულ სხვა ენობრივი საშუალებებით არის გამოხატული მეორე ენაზე, ან საერთოდ არ მოეპოვება შესატყვისი. The girls have only to turn the tables and say – she is as vain as a man.”

ეს წინადადება უ. თეკერის “ამაოების ბაზრიდან” შემდეგნაირად ითარგმნა:

“ქალიშვილებს შეუძლიათ, პირიქით სრულიად შეაბრუნონ ეს და თქვან: ეს ქალი მამაკაცივით მედიდური და ამპარტავანია.”

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმანის ხერხი იცვლება იმის შესაბამისად, თუ რა სახის ფრაზეოლოგიზმთან გვაქვს საქმე. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგვეპოვება სრული ეკვივალენტი, თარგმანი არ წარმოადგენს არსებით პრობლემას. შედარებით უფრო ძნელია ისეთ ერთეულთა თარგმანი, რომელთაც არ მოეპოვებათ იდენტური პარალელი. ამ შემთხვევაში მთარმნელი იძულებული აზრობრივად გადათარგმნოს გამოთქმა, რადგანაც თარგმანის ტეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ მთავარია, თარგმნისას შენარჩუნდეს გამოთქმის შინაარსობრივი მხარე, არ მოხდეს აზრობრივი ცვლილება. მაგრამ მხატვრულ ტექსტი ისე უნდა ითარგმნოს, რომ არ დაიკარგოს მისი მხატვრული ღირებულება. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მეცნიერი თვლის, რომ დასაშვებია იდიომის არასრული ეკვივალენტით გადმოცემა. მაგრამ ეს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც ზოგჯერ თითქოსდა სრული ეკვივალენტებიც შეიძლება განსხვავებული კონტაქციების მატარებელი იყოს. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ერთი და იგივე ერთეული შინაარსობრივად და აზრობრივად არ თანხვედება სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად: to take the bull by the horns აქვს ორი მნიშვნელობა “საქმის არსთან მიახლოება” ან “სიძნელების გაბედულად გადალახვა.”

კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც მოელის მთარგმნელს არის კოლორიტის შენარჩუნების პრობლემა. იმ შემთხვევაში, როდესაც ეკვივალენტი არის ისტორიული წარსულის თუ ეროვნული ყოფაცხოვრების ამსახველ ელემენტებს უკავშირდება, მთარგმნელმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. მაგალითად, ისეთი გამოთქმა, როგორცაა კუდი აეწვა, ჩაილულის წყალი დალია, ასახვენ ქართველთა ისტორიულ წარსულს. ჩაილულის წყალი დაკავშირებული იყო ლეკების შემოსევების პერიოდს, როდესაც ლეკები გატაცებული საქონლით მდინარეს გადაკვეთდნენ მათი დაწევა და საკუთრების დაბრუნება უკვე უიმედო საქმე იყო, აქედანაც წარმოიშვა ეს გამოთქმა - ჩაილულის წყალი დალია, რაც ნიშნავდა “იმედების გაცრუება, ხელცარიელად დარჩენას.” მგავსი მაგალითი სხვადასხვა ენებში მრავლად მოიპოვება. ასეთი ერთეულების თარგმნისას მთარგმნელი დგება დედნის ეროვნული კოლორიტის დაკარგვის საფრთხის წინაშე, რადგანაც წმინდა ქართული ფრაზეოლოგიზმი შემოიტანს ქართულ, ქართველისთვის მშობლიურ ელემენტს და გამოდევნის უცხოს.

თარგმანი როგორც ენათშორისი კომუნიკაციის აქტი და ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმანი

„ადამიანის მეტყველებითი საქმიანობის ყველა ფაქტი, როგორც პირველყოფილ ხალხებთან, ისე კულტურულ ერებთან, როგორც ამა თუ იმ ენის აყვავების ეპოქაში, ისე მისი დაცემის პერიოდში, „ეს მხოლოდ „ლინგვისტიკის მასალაა“, - ხაზგასმით ამტკიცებდა ფ. დე სოსიური; ამიტომ ლინგვისტიკის მოვალეობას უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ის, რომ განსაზღვროს „ენის ადგილი“ ენობრივი საქმიანობის მოვლენებში“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთარგმნელის საქმიანობა გულისხმობს როგორც სემასიოლოგიური, ისე ონომასიოლოგიური ანალიზის პროცედურების ერთდროულად გამოყენებას. ა.ვ. ბონდარკოს აზრით „მთარგმნელს იქიდან, რაც მას ეძლევა ტექსტში როგორც ენის საშუალებების ენობრივი სემანტიკური ფუნქციები, ამოაქვს: ა) მათში ჩადებული აზრობრივი შინაარსი, მათ შორის რელაციური ცნებითი კატეგორიები (ეს შეესაბამება სემასიოლოგიურ ანალიზს) და ცდილობს გადმოსცემს ეს შინაარსი ენის საშუალებებით; ბ) მათი სემანტიკური ფუნქციებითურთ (ეს შეესაბამება ონომასიოლოგიურ ანალიზს). შვეიცერი მიიჩნევს, რომ თარგმანი არის:

- ენათშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთმხრივი, ორფაზიანი პროცესი, რომლის დროსაც პირველადი (ამოსავალი) ტექსტის მიზანმიმართული („მთარგმნელობითი“) ანალიზის საფუძველზე, იქმნება მეორადი ტექსტი, რომელიც ცვლის პირველადს სხვა ენობრივ და კულტურულ პირობებში.

- პროცესი, რომლის მიზანია პირველადი ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის გადმოცემა, რაც ნაწილობრივ მოდიფიცირებულია განსხვავებით ორ ენას, ორ კულტურასა და ორ საკომუნიკაციო სიტუაციას შორის.

შეპირისპირებითი ლინგვისტიკისა და თარგმანის თეორიის ურთიერთკავშირის საკითხი დღესაც კამათის საგანია. ზოგ შემთხვევაში თარგმანის თეორიის მთელი პრობლემატიკა დაიყვანება ამოსავალ და მთარგმნელ ენებში ცალკეული ლექსიკური ერთეულების, მორფოლოგიური კატეგორიების და სინტაქსური კონსტრუქციების შესატყვისობაზე. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა, მიუხედავად იმისა, თუ ენის რომელი ტიპია მისი ყურადღების ცენტრში - სისტემა, სტრუქტურა, ნორმა და ა. შ. - ყოველთვის მიმართულია ენაზე, იმ კონკრეტულ ენობრივ წყვილზე, რომლის ანალიზიცაა ჩასატარებელი.

თარგმანის ფსიქოლოგიური საფუძვლის გამოსავლენად აუცილებელი წინაპირობაა მისი არსის გაგება. ფსიქოლოგიური ბუნება აქვს თარგმანის სამ სტადიას - ამოსავალი ტექსტის გაგებას, ამოსავალი ენის ფორმების „გააზრება-განშორებას“ და მთარგმნელი ენის ფორმების შერჩევას. სამეტყველო ქმედების ფსიქოლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთი თემაა თვით თარგმანის შესაძლებლობა, ანუ ის, რასაც მთარგმნელობით ლიტერატურაში „მთარგმნელობით კომპეტენციას“ უწოდებენ. მთარგმნელობითი კომპეტენცია გულისხმობს ამოსავალი ტექსტის გაგების და მთარგმნელ ენაზე ანალოგიური ტექსტის აგების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, მთარგმნელის ცხოვრებისეული გამოცდილება ფიგურირებს ფონური ცოდნის სახით.

მთარგმნელობითი კომპეტენცია წარმოადგენს რთულ და მრავალგანზომილებიან კატეგორიას, რომელშიც ჩართულია ყველა ის მახასიათებელი, რაც საშუალებას აძლევს მთარგმნელს განახორციელოს ენათშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის აქტი: განსაკუთრებული `მთარგმნელობითი ფლობა` ორი ენისა (როგორც მინიმუმი, ამოსავალი ენის რეცეპციული და მთარგმნელი ენის რეპროდუქციული ფლობა), რომლის დროსაც ხდება ენების ერთმანეთზე პროეცირება; ამოსავალი ტექსტის „მთარგმნელობითი“ ინტერპრეტაციის შესაძლებლობა (ანუ მისი დანახვა სხვა ენის და სხვა კულტურის მატარებლის თვალთ); თარგმნის ტექნოლოგიის ფლობა (ანუ იმ პროცედურების ერთობლიობის ცოდნა და გააზრება, რაც უზრუნველყოფს ორიგინალის ადეკვატურად გარდასხვას, მათ შორის „კულტურული ბარიერების“ დაძლევა); მთარგმნელი ენის ნორმების ცოდნა; მთარგმნელობითი ნორმების ცოდნა, რაც განსაზღვრავს თარგმანის სტრატეგიის შერჩევას; მოცემული ტექსტის სტილისა და უნარის ცოდნა; „ფონური ცოდნის“ გარკვეული მინიმუმის ფლობა, რაც აუცილებელია ამოსავალი ტექსტის ადეკვატური ინტერპრეტაციისათვის.

ერთ-ერთი მოთხოვნა, რასაც მთარგმნელობითი მოღვაწეობის თეორია და პრაქტიკა წამოსწევს წინა პლანზე, არის ამოსავალი და ნათარგმნი ტექსტების ეკვივალენტურობა. ეკვივალენტი გაგებულია, როგორც მუდმივი, ტოლფასი შესატყვისობა, რაც არ არის დამოკიდებული კონტექსტზე. ამ თეორიის მიხედვით, სრული ეკვივალენტებია: გეოგრაფიული დასახელებები, საკუთარი სახელები, ტერმინები და ა. შ.

ტერმინი `ეკვივალენტურობა` და `ადეკვატურობა` იმთავითვე იხმარებოდა მთარგმნელობით ლიტერატურაში. ზოგჯერ მათ იყენებდნენ როგორც განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, ხოლო ზოგჯერ - როგორც სინონიმებს.

ადეკვატურობა არის ამოსავალი და ნათარგმნი ტექსტების ისეთი შესაბამისობა, რომლის დროსაც თანმიმდევრულად მხედველობაში მიიღება თარგმანის მიზანი. ტერმინები „ადეკვატურობა“, „ადეკვატური“ ორიენტირებულია თარგმანზე როგორც პროცესზე, ხოლო ტერმინები „ეკვივალენტურობა“, „ეკვივალენტური“ - გულისხმობს ურთიერთმიმართებას ამოსავალ და ნათარგმნი ტექსტებს შორის, რომლებიც განსხვავებულ კულტურებში მსგავს კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებენ. ადეკვატურობისაგან განსხვავებით ეკვივალენტურობა ორიენტირებულია შედეგზე. ეკვივალენტურობის ცნება განუყოფლად დაკავშირებული ინვარიანტის ცნებასთან. ყველა დონისა და სახის ეკვივალენტურობისათვის საერთო და დამახასიათებელ ინვარიანტულ ნიშანს წარმოადგენს ადრესატის კომუნიკაციური ინტენციის შესატყვისობა საბოლოო ტექსტის კომუნიკაციური ეფექტისადმი.

„ეკვივალენტურობასა“ და „ადეკვატურობას“ შორის პრინციპული განსხვავებაა: სრული ეკვივალენტურობა გულისხმობს ამოსავალი ტექსტის „კომუნიკაციურ-ფუნქციონალური ინვარიანტის“ ამომწურავად გადმოცემას, ადეკვატურობა კი ეყრდნობა მთარგმნელის რეალურ პრაქტიკას, როდესაც ყოველთვის არ ხდება ორიგინალის მთელი კომუნიკაციურ-ფუნქციონალური შინაარსის გადმოცემა. ადეკვატურობაში იგულისხმება, რომ მთარგმნელის მიერ

მიღებული გადაწყვეტილება ხშირად კომპრომისულ ხასიათს ატარებს, რომ ის გარკვეულ დანაკარგებზე მიდის იმისათვის, რომ გადმოცემულ იყოს ამოსავალი ტექსტის მთავარი და არსებითი ინფორმაცია, მისი ფუნქციონალური დომინანტები.

ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას ძირითად ორიენტირს წარმოადგენს არა კომპონენტების, არამედ მთლიანი შესიტყვების მნიშვნელობა. ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმი პოლისემანტურია და, ამას გარდა, არ არის გამორიცხული, რომ ეს მნიშვნელობები ურთიერთსაწინააღმდეგონივ კი იყვნენ. მაგალითად ფრაზეოლოგიზმი ფრანგულ ენაში : *Bon vent (la route est libre) - 1. წარმატებას გისურვებ; 2. ჯანდაბამდის გზა გქონია!*

ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი ისეთი ხატოვანი ფრაზეოლოგიზმია მთარგმნელ ენაში, რომელიც მთლიანდ შეესატყვისება შესაბამის ფრაზეოლოგიზმს ამოსავალ ენაში, ემთხვევა აზრობრივად და სტილისტურად და მათ საფუძვლად ერთი და იგივე ხატი აქვთ. ასეთი ფრაზეოლოგიზმების წყაროს, ძირითადად, ბიბლია და მითოლოგია წარმოადგენს. მაგალითად: *nourriture du ciel - 'ღვთის წყალობა'; dieu du feu et du métal - ცეცხლისა და მჭედლობის მფარველი ღმერთი, გეფესტი.*

ეკვივალენტი შეიძლება იყოს აბსოლუტური, მაგალითად, ფრანგულში: *"remuer ciel et terre" - ცა და მიწა შეძრა (ცისა და მიწის შეძრა); "jouer avec le feu" - ცეცხლთან თამაში.*

ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას მიმართავენ ფრაზეოლოგიური ვარიანტის (ანალოგის) გამოყენებას. ხატოვანი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ქართულსა და უცხო ენებში ემთხვევიან მნიშვნელობით და ხატოვანებით, რაოდენობრივად მცირეა. მთარგმნელს უხდება ისეთი ქართული ფრაზეოლოგიზმის გამოყენება, რომელიც მნიშვნელობით უცხოურის ანალოგიურია, მაგრამ საფუძვლად განსხვავებული ხატი უდევს, მაგალითად, უაზრო, უსარგებლო რისამე კეთება ფრანგულ ენაში გადმოიცემა შემდეგი მყარი შესიტყვებით: *chercher la lune en plein midi* (ბუკვ. შუადღისას მთვარის ძებნა), რომელის თარგმნა შეგვიძლია შემდეგნაირად: *წყლის ნაყვა, ზღვაში ქვიშის დათვლა, გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა.* ზოგჯერ ერთი მნიშვნელობა ორ ენაში გამოხატულია სინონიმური რიგის საშუალებით. ასე, მაგ., 'სიკვდილის' აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ ენაში და მათი ქართული ეკვივალენტები: *monter au ciel, gegner le ciel; être sous terre, quitter la terre - ზეცაში ავიდა, სული ცას მიაბარა, გარდაიცვალა, მარილზე წავიდა, წერილი წაიღო, მოკვდა.*

იმ შემთხვევებში, როდესაც ფრაზეოლოგიზმს არა აქვს ანალოგი ქართულში და სიტყვასიტყვითი თარგმანიც შეიძლება უაზრო და გაუგებარი იყოს, ხდება აღწერითი თარგმანი. ასე მაგალითად, მყარი შესიტყვება ფრანგულ ენაში *„faire voir à qn la lune (les étoiles) en plein midi"* რომლის ბუკვალური თარგმანია 'დაანახო ვინმეს მთვარე (ვარსკვლავები) შუადღისას', ქართულ ენაზე შეგვიძლია ვთარგმნოთ შემდეგნაირად: 'მე იმას ვუჩვენებ სეირს', უფრო ექსპრესიულად კი: *„კუდიით ქვას ვასროლინებ".*

სემანტიკური მიმართებები, ანუ მიმართებები აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, წარმოადგენენ თარგმანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს. დიქოტომია „მნიშვნელობა-აზრი" შეესაბამება დიქოტომიას „ენა-მეტყველება". მნიშვნელობასა

და აზრს შორის არ არსებობს გადაულახავი ბარიერი. აზრი მეტყველებაში აქტუალიზებული ენობრივი ერთეულის მნიშვნელობაა, აზრი - კომუნიკაციური კატეგორიაა, ის არ არის დამოკიდებული ენებს შორის არსებულ განსხვავებებზე და განსხვავებულ ენებში შეიძლება გამოხატულ იქნას განსხვავებული ენობრივი საშუალებებით. თუ ერთ ენაზე ერთი და იგივე აზრი შეიძლება გადმოცემულ იქნას სხვადასხვა წინადადების საშუალებით, რომელთაც განსხვავებული სიგნიფიკატური მნიშვნელობა აქვთ, თარგმნის დროს ასეთი შესაძლებლობა არა მარტო იზრდება, არამედ აუცილებელიც ხდება, როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრალინგვისტური მიზეზების გამო.

მაშასადამე, თარგმანი წარმოადგენს ორი სამეტყველო აქტის ერთგვარ გაერთიანებას, რომელშიც დიფერენცირდება მიღება და გადაცემა. ერთ ენაზე მიღება მეორე ენაზე გადაცემის აუცილებლობას იწვევს. ამიტომ სამართლანია თარგმანის გამოყოფა როგორც მეტყველებითი საქმიანობის განსაკუთრებული სახესხვაობისა.

ტექსტი და თარგმანი

XX საუკუნის ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ტექსტი ერთ-ერთ საკვანძო ცნებად იქცა, მას იყენებენ სემიოტიკაში, ფილოლოგიაში, ტექტის ფილოსოფიაში, ჰერმენევტიკაში, პოეტიკასა და კულტურულლოგიაში.

სიტყვას ტექსტი რთული ეტიმოლოგია აქვს: ლათ. *textum* - მატერია, ტანისამოსი, კავშირი, შენაერთი, აგებულება, სტილი; *textus* - სტრუქტურა, ბმული მონათხრობი; *texto* - შეთხზვა, შეხამება. ამრიგად, სიტყვა ტექსტი მოიცავს სამ სემანტიკურ ცომპონენტს: 1) ის, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი, არაბუნებრივია; 2) ამ შექმნილის ელემენტთა ბმულობა; 3) ამ შენაერთის სისადავე.

ი. ლოტმანი აღნიშნავს, რომ ტექსტი ჰუმანიტარული ციკლის მეცნიერებებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ცნებაა. ის ფართოდ გამოიყენება ლინგვისტიკაში, ლიტმცოდნეობაში, ესთეტიკაში, სემიოტიკასა და კულტურულლოგიაში.

ცნება ტექსტის მრავალრიცხოვანი ლინგვისტური განმარტებები მართალია დეტალებში განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ეთანხმებიან ერთმანეთს ტექსტის არსებითი ნიშან-თვისებების გამოყოფაში: ერთიანობა, ბმულობა, დანაწევრების უნარიანობა, მასში ამა თუ იმ სახით მოცემულია ინფორმაცია მოსაუბრესა და ადრესატზე, საკომუნიკაციო სიტუაცია.

ტექსტის ამ წმინდა ლინგვისტური განმარტებების გარდა მისი არსის ბოლომდე გახსნისასთვის ასევე აქტუალურია ტექსტის, როგორც კულტურულლოგიური და სემიოტიკური ფენომენის განხილვა. მ. ბახტინი განიხილავდა რა ტექსტს, როგორც სემიოტიკურ მოვლენას, განმარტავდა მას, როგორც ნიშანთა კომპლექსს, რომელიც შეიძლება შეიქმნას არა მხოლოდ ბუნებრივ ენებზე (სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, მუსიკალური ნაწარმოები, და სხვ.).

არსებობს არავერბალური ტექსტები, რომლებიც მიმართულია მხედველობაზე (გეოგრაფიული რუკები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები), ან სმენაზე (სიგნალიზაცია, მუსიკალური ნაწარმოები), ან კიდევ მხედველობასა და სმენაზე

ერთდროულად (რიტუალის ენა, თეატრალური ხელოვნება, კინოფილმები, ტელერეპორტაჟები).

სემიოტიკის თვალსაზრისით ტექსტების თარგმანიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: რ.კომახიძე თავის მონოგრაფიაში “ტექსტის სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა” განიხილავს თარგმანის სახეებსა და გამოყოფს სამი ტიპის თარგმანს: ერთი ენის ფარგლებში თარგმანი (ვრცელი რომანის ტექსტის მიხედვით მოკლე მოთხრობის შეთხზვა); ენათშორისი თარგმანი (ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანი); და სემიოტიკური თარგმანი (მხატვრული ნაწარმოების მიხედვით კინოფილმის გადაღება, ან ოპერის შექმნა, ან ბალეტის შექმნა).

შემდეგ სიტყვა ტექსტი გადავიდა კულტურულოგიის, ურთიერთობის თეორიისა და აქსიოლოგიის (სწავლება ღირებულებებზე) სფეროში, სადაც ამ ცნებამ შეცვალა და მნიშვნელოვნად დაავიწროვა მნიშვნელობა: ყველა ბმული კომპლექსი არ წარმოადგენს კულტურული ღირებულების ტექსტს. კულტურულოგიურ ჭრილში ტექსტი არის ნიშნობრივი წარმონაქმნი, რომელსაც არა კონკრეტული სიტუაციის გარეშეც სიტუაციის გააჩნია ღირებულება. ის ტექსტები, რომელთა მნიშვნელობაც მნიშვნელოვანია დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში და მხოლოდ მოცემული ადგილისთვის, კულტურულოგიის თვალსაზრისით არ წარმოადგენს ტექსტებს. ი.ლოტმანის აზრით, ტექსტია მეტყველების ფიქსირებული წარმონაქმნი, რომელიც შეინახება კულტურის კოლექტიურ მეხსიერებაში. “ყოველი ჩააწერი არ არის სავალდებულოდ ჩასაწერი. ყველაფერი ჩაწერილი იძენს განსაკუთრებულ კულტურულ მნიშვნელობას და ტექსტად იქცევა.”

ლიტმცოდნეობაში ტექსტის პრობლემის განხილვისას მას უპირირსპირებენ ცნებას ნაწარმოები. ი.ლოტმანი ამბობს: “უარი უნდა ვთქვათ იმ წარმოდგენაზე, რომ ტექსტი და მხატვრული ნაწარმოები ერთი და იგივეა. ტექსტი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი კომპონენტია, მხატვრული ეფექტი წარმოიქმნება ტექსტის დაპირისპირებით ცხოვრებისეულ და იდეურ-ესთეტიკურ წარმოდგენებთან. მაშინ როდესაც მეცნიერები ლიტერატურულ-მხატვრული ტესტში (მეტყველების გარდა) მოიაზრებენ ავტორის იდეებს, კონცეფციებს, აზრებს, ე.ი. მხატვრულ შინაარსს, სიტყვა ტექსტი და ნაწარმოების სინონიმებად გვევლინება.

ლიტმცოდნეობაში დამკვიდრებული წარმოდგენით ტექსტი არის ენობრივი ერთეულების მკაცრად ორგანიზებული თანმიმდევრობა. განასხვავებენ ნაწარმოების ძირითად ტექსტს და არაძირითად ტექსტს (სათაური, ეპიგრაფები, მიძღვნა, ავტორის წინათქმა, დაწერის ადგილისა და დროის აღნიშვნა, მოქმედ პირთა ჩამონათვალი, დრამატული ნაწარმოებების რემარკები).

ტექსტის კომუნიკაციის ძირითად ერთეულად აღიარება მოწმობს მის უნივერსალურ უნარზე შეინახოს და გადასცეს ინფორმაცია. “ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის” მიხედვით, კომუნიკაცია შედგება კომუნიკაციური აქტებისაგან, რომელთა მონაწილე კომუნიკანტები ქმნიან ტექსტებს და ინტერპრეტირებას უკეთებენ მას.

ტექსტის ფენომენი არ არის ბოლომდე შესწავლილი და მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენზევრ საკითხში მისი განმარტების თაობაზე, ჩვენ მოვიყვანთ ტექსტის შემდეგ გვრცელებულ დასახწლებას: ტექსტი წარმოადგენს უმაღლესი დონის დინამიკურ კომუნიკაციურ ერთეულს, რომელის განმასხვავებელ ნიშან-

თვისებებს შეადგენს უნივერსალური ტექსტური კატეგორიები: ბმულობა, ერთიანობა, დანაწევრების უნარი, მოდალობა და ინფორმაციულობა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თარგმანის თეორეტიკოსთა ტექსტის განმარტება. მ.ბრანდესის აზრით, მთარგმნელს საქმე აქვს არა ცალკეული ენობრივ ელემენტებთან, არამედ ტექსტის ენის სრული სურათი უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი და ცალკეული ენობრივი პრობლემები მან კონკრეტული ტექსტის ფარგლებში უნდა გადაწყვიტოს.

ტექსტს, როგორც თარგმანის ერთეულს დიდ ყურადღებას უთმობს ი.კლიუკანოვა თავის ნაშრომში “ტექსტი, როგორც ტარგმანის თეორიის ობიექტი,” რომელშიც ავტორი სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანის წარმოშობას ხსნის არა მთარგმნელთა მომზადებითა და პროფესიონალიზმით, არამედ უკვშირებს ამას სათარგმნი ტექსტების თავისებურებებს და განიხილავს ტექსტს, როგორც რთულ კომუნიკაციურ კომპლექს-ნიშანს.

თარგმანის სპეციფიკას უსათუოდ განაპირობებს ტექსტების ჟანრულ-სტილისუტრი ორგანიზაცია. თარგმანის განვითარების ყველა ეტაპზე სირთულეს წარმოადგენდა მხატვრული ტექსტების თარგმანი, რომელთაგან განსაკუთრებით პრობლემატურად ითვლებოდა პოეტური ტექსტები. პოეტური მხატვრული ტექსტის თარგმნა გულისხმობს მისი შინაარსის გააზრებას და მისი გადმოცემა სხვა ენობრივი საშუალებებით. ამასთან ერთად უნდა შენარჩუნდეს მისი თემა და იდეა, სტრუქტურა და კომპოზიცია, ფონური ცოდნა უნდა გადმოვიდეს სხვა კულტურის ფრგლებში, შეინარჩუნოს ოროგინალისთვის დამახასიათებელი ემოციური ზემოქმედება.

ამრიგად, ტექსტი, რომელიც კომუნიკაციის უმთავრეს დინამიკურერთეულს წარმოადგენს, კიდევ ერთი სახით გვევლინება – იგი ასევე არის შუალობითი კულტურათშორისი კომუნიკაციის, ანუ თარგმანის ძირითადი ერთეული.

სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების თარგმანი

ორიგინალის ტექსტის რომელიმე ფუნქციონალური სტილისადმი მიკუთვნება განაპირობებს მისი თარგმანის თავისებურებას, მოითხოვს მთარგმნელისაგან სტილის დაცვას, განაპირობებს ისეთი ენობრივი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც ახასიათებს ანალოგიურ ფუნქციონალურ სტილს სათარგმნ ენაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური ტიპის ტექსტებს მიეკუთვნება მეცნიერული სტატიები, მონოგრაფიები, ტექნიკური აღწერა. ცოდნის სფეროს, ამ ფუნქციონალური სტილის ნიშან-თვისებების გამოვლენისას, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ნებისმიერი მეცნიერული თუ ტექნიკური ტექსტი, ნებისმიერ ენაზე გამოირჩევა დამხმარე ნიშნობრივი სისტემების მდიდარი არსენალით (მათ შორის სქემები და ნახაზები ტექნიკურ ტექსტებში). არასპეციალისტებისთვის ეს ნიშნები, უმეტეს შემთხვევაში, უცნობია. ე.ი. ამ ტექსტების ადრესატი, როგორც წესი, სპეციალისტია.

მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტები კოგნიტურ ინფორმაციას გადმოსცემენ. ამ ტიპის ტექსტების ყველაზე ნიშანდობლივი თვისებებია ინფორმაციულობა, აზრის გამოხატვის ლოგიკა, მიმდევრულობა და ობიექტურობა.

ინფორმაციის ობიექტური სახით მოწოდება მრავალრიცხოვანი ენობრივი საშუალების გამოყენებით ხდება:

1. პასიური კონსტრუქციების, უპირო წინადადებების ხშირი გამოყენება.
2. ზმნის აწყმო დროის ფორმა.
3. რთული სიტყვების ან ისეთი სიტყვების სიუხვე, რომლებიც წარმოიქმნება აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე სიტყვათწარმოების მოდელი მიხედვით.

სამეცნიერო-ტექნიკური სტილის ერთ-ერთ ყველაზე ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს ტერმინების სიუხვე. ტერმინებს უწოდებენ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ სპეციფიკურ ობიექტებსა და ცნებებს, რომელებისც ეხმარება მეცნიერებებს ორიენტირებაში მეცნიერების ან ტექნიკის რომელიმე სფეროში. ეს ლექსიკური აპარატი სპეციალურად შექმნილია კოგნიტური ინფორმაციის გადმოსაცემად და მათ სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებენ: ტერმინები ერთმნიშვნელოვანია, არა აქვთ ემოციური შეფერილობა და კონტექსტისგან დამოუკიდებელია. ტერმინს უნდა ჰქონდეს ზუსტი განსაზღვრა მისი გამოყენების ყველა შემთხვევითვის. გარდა ამისა, ტერმინს არ უნდა ჰქონდეს სინონიმური ვარიანტი. ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალურ ლექსიკონებშია მოცემული. მათი შეცვლა ახლო მნიშვნელობის მქონე სიტყვებით დაუშვებელია. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ზოგადტექნიკური ლექსიკა. ამ სიტყვებს არა აქვთ ტერმინის თვისება ცნებებისა და ობიექტების იდენტიფიცირებისა, მაგრამ მათ იყენებენ მხოლოდ მოცემულ სფეროში. ასეთი ლექსიკა არ ფიქსირდება სპეციალურ ლექსიკონებში. ამ ლექსიკის შესწავლამ გამოავლინა შემდეგი თავისებურებები:

1. მას არ გააჩნია ემოციური შეფერილობა;
2. იგი შეიძლება მივაკუთვნოთ თანამედროვე ლიტერატურული ნორმის ნეიტრალურ ვარიანტს;
3. მასში კარგად არის განვითარებული სინონიმია, მაგალითად: “თამაშობს მნიშვნელოვან როლს,” “აქვს არსებითი მნიშვნელობა,” “საკმაოდ მნიშვნელოვანია” და ა.შ. ეს სინონიმური ვარიანტები, ჩვეულებრივ, ურთიერთშენაცვლებითია. ამიტომაც მათი თარგმნისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რომელია ზუსტი ეკვივალენტი და რომელი ვარიანტული შესატყვისი. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს შეუძლია გამოიყენოს არასპეციალური ლექსიკონიც.

კოგნიტური ინფორმაციის მინიმალური საშუალებებით გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა შემოკლებები. შემოკლებებიც შეიძლება დავეყოს ორ ჯგუფად: სპეციალური ტერმინოლოგიური (მაგალითად, ეკვ – მედიცინაში “ელექტროკარდიოგრამა”) და ზოგადენობრივი (მაგალითად, “და ა. შ. – და ასე შემდეგ”). ჩვეულებრივ სპეციალურ ლექსიკონებში მოიძებნება მათი შესატყვისობები, სხვა შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა გაშიფროს შემოკლება თუ აბრევიატურა და მოგვეცეს მისი თარგმანი, როგორც სრული, ისე შემოკლებული სახით.

კოგნიტური ინფორმაციის სიჭარბე მოითხოვს მის ლოგიკურ და არა ხატოვან-ასოციაციურ ორგანიზაციას. ტექსტის ბმულობისათვის გამოიყენება სემანტიკური ფორმალური კოჰეზიის საშუალებები, რომელთა რაოდენობაც მეცნიერულ-ტექნიკურ ტექსტებში, სახვა ტიპის ტექსტებთან შედარებით მაქსიმალურად დიდია.

ორიგინალისა და სათარგმნი ტექსტის ერთი და იგივე ფუნქციონალური სტილისათმი მიკუთვნება არ გამორიცხავს სტილის მთელი რიგი სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი საშუალებების გამოყენებასთან. მეცნიერულ-ტექნიკური სტილის ნიშან-თვისებები გარკვეულწილად განსხვავდება სახვადასხვა ენაში და მთარგმნელს მოეთხოვება ამ განსხვავებების გათვალისწინება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა თარგმანში. მაგალითად, ინგლისური ენისთვის, ინფორმაციის ობიექტურად მიწოდების მიუხედავად მაინც გვხვდება ავტორის ემოციური ეპითეტები, რიტორიკული კითხვები და სხვა სტილისტური მეთოდები, რომლებიც დამახასიათებელია სალაპარაკო და მხატვრული მეტყველებისათვის, მაგალითად, *Buik has stolen a march on the rest of the industry ith a cast iron V-6 engine.* თუ თარგმანის ენის მეცნიერული სტილისათვის არ არის მისაღები მსგავსი მეტყველება, მთარგმნელს შეიძლება დასჭირდეს უფრო ნეიტრალური სიტყვის პოვნა, მაგალითად “გაუსწრო, ჩამოიტოვა.” მთარგმნელს ხშირად ცვლის პერეფრაზს ზუსტი ტერმინით, ავტორის ნათქვამს მიღებული შტამპით. თარგმანის თეორიაში დიდი ყურადღება ეთმობა ამ საკითხს. მეცნიერები შეისწავლიან სხვადასხვა ჟანრის ტექსტების სტილისტური ადაპტაციის საშუალებებს თარგმნისას.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტების თარგმნისას, ორიგინალის ინვარიანტის შესაქმნელად მთარგმნელი აქცენტს აკეთებს ყველა იმ საშუალებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტურობას, ლოგიკურობას და თხრობის კომპაქტურობას.

პროზაული თარგმანი

როგორც ვიცით, თარგმნის პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც მთარგმნელი ეცნობა მის მიერ არჩეული ნაწარმოების ქვეყანას, ხალხს, ენას, ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ასე ვთქვათ, “გასაღების” პოვნას ნაწარმოებში მთარგმნელის შესვლისათვის. მთარგმნელმა უნდა შეიცნოს დედანის რიტმი, ინტონაცია, აზრის გადმოცემის მანერა. ყოველივე ამას კავშირი აქვს ნაწარმოების სიუჟეტსა და კომპოზიციასთან, აგრეთვე ფორმის სხვა ელემენტებთან, რომლებიც ემსახურებიან ნაწარმოების ერთიანი იდეის გახსნას. ეს ყველაფერი იხატება ნაწარმოებისსაერთო სტილში და ამიტომაც მართებული იქნებოდა ზემოაღნიშნული პირობითი გასაღებისათვის “სტილისტური გასაღები” გვეწოდებინა.

სწორი სტილისტური გასაღების პოვნა გულისხმობს დედნის დამახასიათებელი რიტმის, ინტონაციისა და მეტყველების სახეთა შესატყვის გადმოცემას თარგმანში.

ძირითადი ენობრივი ერთეული, რომლიდანაც ტექნიკურად იწყება პროზის თარგმნა, არის არა სიტყვა, არამედ სინტაგმა-სიტყვათა აზრობრივი ჯგუფი, მათი რიტმულ-სინტაქსური შენაერთი. სინტაგმა შეიძლება იყოს ერთიტყვიანი და მისი აზრის დამთავრებულობა იყოს გამოხატული ინტონაციაში.

რიტმი, ლიტერატურის თეორიის მიხედვით, თანაბარი ზომის ერთეულთა კანონზომიერი განმეორებაა. ერთი შეხედვით ის პროზაში არ უნდა იყოს სამეზარი,

მაგრამ პროზასაც აქვს რიტმი, მეტნაკლებად მკაფიო და გამოკვეთილი. იგი იქმნება აზრობრივი მახვილების ინტონაციის განმეორებით, წინადადების სიმეტრიული აგებულებით. პროზის რიტმი, ერთი მხრივ, ენობრივი მასალის გარკვეული ორგანიზაციის ფორმაა, მეორე მხრივ, ესთატიკური ფუნქციის მქონე მოვლენა.

მარკ ტვენს “ჰეკლბერ ფინში” სურს გვიჩვენოს როგორ აწვალავს ბავშვს თავისი ერთფეროვანი ჭკუისდარიგებით აბეზარი დედაკაცი. ამიტომ სამჯერ ამეორებინებს ბავშვის სახელს:

- « - ფეხებს ნუ იქნევ, ჰეკლბერი!
- ნუ იხრები, ჰეკლბერი!
- ნუ იჭიმები, ჰეკლბერი!”

რუსი მთარგმნელი კი ვერ გებულობს ამ რიტმულ განმეორებას და თარგმნის ასე:

- « - Не болтай ногами, Финн!
- Не потягивайся, не ломайся, Геклберри!»

ერთი დიდი პრობლემა მხატვრულ თარგმანში არის სინტაქსის პრობლემა. მთარგმნელი უნდა დაეძებდეს თავის ენაზე იმგვარ სინტაქსურ წყობას, რომელიც ყველა ელემენტის აზრს, ინტონაციას და რიტმს მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავს. ყოველ ენას საკუთარი სინტაქსური წყობა აქვს და მისი ეროვნული სპეციფიკის გადმოცემა მთლიანად არ შეიძლება. ერთი ენის სინტაქსურ წყობაში ჩაქსოვილი აზრი და მხატვრული ელემენტი ითარგმნება მეორე ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური წყობით. არასრულფასოვანი თარგმანის ტვირთი ძირითადად აწევს სინტაქსს.

პროზის თარგმანის პროცესში ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული დედნის აზრი, დედნის ინტონაცია და რიტმი, გადმოცემული სინტაქსურ წყობაში და ყოველივე ამის სწორი, რეალისტური გადმოღების შედეგად მიღებული მხატვრული სტილი და ემოციონალურ-ესთეტიკური შთაბეჭდილება, რომელიც დედნის ადექვატურია.

რაც შეეხება მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელ ისეთ მხატვრულ სახეებს, რომლებიც ნაციონალურ ხასიათს ატარებენ, ისინი ან იცვლებიან თარგმანში შესატყვისი აზრობრივი და მხატვრული მნიშვნელობის მქონე სახეებით, ან ითარგმნიან ჩვეულებრივი ენით. ასეთ დროს უნდა შეირჩეს ისეთი სახეები, რომლებიც დედნის სტილის ეროვნული სპეციფიკის არსს გადმოგვცემენ და ისე გადმოვიდნენ თარგმანში, რომ არ დაკარგონ თავიანთი პირვანდელი ფორმა.

შეიძლება ისე მკაფიოდ არსად ჩანდეს აზრის ინტერნაციონალური მნიშვნელობა და მისი მხატვრული ფორმის ნაციონალური ხასიათი, როგორც ანდაზაში. ყოველ ანდაზას მოეპოვება თავისი შესატყვისი თითქმის ყველა ენაზე და მისი გადმოღების საშუალება ყოველთვის არსებობს. მაგ.: ქართული ანდაზა: “ფონი გასავალს დალოცეო”. რუსები ამბობენ: «Не говори гоп, пока не перепрыгниш». ინგლისელები: “Do not whistle before you are, out of the wood”.

რაც შეეხება იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც დედნის სახე ითარგმნება ჩვეულებრივი, არასახეობრივი მეტყველებით, ამ პრინციპის ღირსება ის არის, რომ იგი მეტ ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს დედნის აზრობრივ მხარეს. მაგრამ მისი

ნაკლი ისაა, რომ ამ შემთხვევაში იკარგება დედნის მხატვრული შთაბეჭდილების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ანალოგიურ დასკვნებამდე მიდის ქ. კანდელაკი შრომაში “ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ექვივალენტები”. ავტორი გამოჰყოფს შესაბამისობის სამ ტიპს. პირველი წარმოადგენს თარგმანს იდიომატური პარალელებით. მაგ.:

to turn one’s nose up – ცხვირის აწევა.

to have bats in one’s belfry – მწყერები ჰყავს თავში.

to put one’s foot down – ფეხი დააჭირა.

უფრო მრავალრიცხოვანია არასრული იდიომატური პარალელების მაგალითები, როგორცაა შექსპირის თარგმანიდან ავტორის მიერ აღებული მაგალითი:

“Messenger – I see, leads, the gentleman is not in your books”.

“შიკრიკი – როგორც ჩანს, ქალბატონო, თქვენ მას ცუდი თვალთ უყურებთ”.

მესამე ტიპი იდიომების აღწერით თარგმანს წარმოადგენს და სწორედ მისი საშუალებით ხდება იდიომების უმრავლესობის თარგმნა. მაგ.:

“The girls have only to turn the tables and say one of their own sex: “she is as vain as a man.” “ქალიშვილებს შეუძლიათ, პირიქით, სრულიად შეაბრუნონ ეს და საკუთარი სქესის წარმომადგენელზე თქვან: “ეს ქალი მამაკაცივით მედიდური და ამპარტავანია.” პროფესორი მ.

მოროზოვი არჩევს მეტყველების სახეთა ახალ ტიპს: ცოცხალ სახეებს და წაშლილ სახეებს “გაქვავებებს”, რომლებშიც სახეობრივი ნაკვთები წაშლილია.

სპეციფიკური ნაციონალური ყოფის გამომხატველი ადგილების გადმოცემა თარგმანში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. რიგ შემთხვევაში იძულებული ვართ მატ გადმოცემაზე უარი ვთქვათ და ისინი შევცვალოთ ჩვეულებრივი, ნეიტრალური ფორმებით. ზოგჯერ ხერხდება თარგმანის ენაზე მოიძებნოს დედნის შესატყვისი ნიუანსის მქონე სპეციფიკის გამოთქმებიც, მაგრამ მათ ხმარებაში დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა ერთი ეროვნების წარმომადგენელი თარგმანში არ ვაქციოთ მეორე ეროვნების წარმომადგენლად.

საერთოდ პროზაული ნაწარმოების თარგმნის პროცესში განუწყვეტლივ უნდა გვახსოვდეს მთელი ნაწარმოები და მოცემული კონტექსტის მიმართება მასთან; ცალკეული გამოთქმის მიმართება კონტექსტთან. დიალოგში უნდა გვახსოვდეს პერსონაჟი და მისი ხასიათი. მოქმედებათა აღწერაში უნდა გვახსოვდეს მთელი ფიბულა, ყოველი კომპოზიციური ელემენტის გადმოცემისას – მთელი სიუჟეტი და ა. შ. მთელისა და ნაწილის ურთიერთობის ასეთი გააზრება უდევს საფუძვლად სტილისტური გასაღების ძიებას, სწორი ინტონაციისა და რიტმის გადმოცემას, საერთოდ მხატვრული პროზის ყოველი კომპონენტის თარგმნას.

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები

შეუძლებელია თარგმანი ერთი ენიდან მეორე ენაზე ტრანსფორმაციების გარეშე. თარგმნისას აუცილებელია მთარგმნელმა გაითვალისწინოს როგორც წყარო, ასევე სამიზნე ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურა, რომელიც შეიძლება

მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენების მიხედვით და დედნის ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურებების ზუსტი გადმოცემით მთარგმნელმა შეიძლება დაარღვიოს სათარგმნი ენის ენობრივი ნორმები, სტილი. იმ შემთხვევაში, როდესაც ორიდინალის გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებების შენარჩუნება შეუძლებელია, მთარგმნელი იძულებულია შეიტანოს გარკვეული ცვლილებები ორიგინალის ტექსტში. შესაბამისად, იგი განიცდის ტრანსფორმაციას. ტრანსფორმაცია შეიძლება იყოს ორი სახის: ლექსიკური და გრამატიკული.

გრამატიკული ტრანსფორმაციის აუცილებლობას თარგმნისას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი. სამიზნე და წყარო ენებზე შესაბამისი ფორმების არარსებობა გრამატიკული ტრანსფორმაციის აუცილებლობას იწვევს. პრაქტიკაში, თარგმნის დროს გრამატიკულ ტრანსფორმაციას ლექსიკური ტრანსფორმაციის განხორციელება განაპირობებს. გრამატიკული ტრანსფორმაცია ითვალისწინებს წინადადების სტრუქტურის ცვლილებას, როგორც სინტაქსურს ასევე მორფოლოგიურს. თარგმნის თეორეტიკოსი ტ. ლევიცკაია გრამატიკული ტრანსფორმაციის 4 ძირითად ტიპს გამოყოფს:

1. გადაადგილება
2. შეცვლა-ჩანაცვლება
3. დამატება
4. გამოტოვება

გადაადგილება განპირობებულია უამრავი მიზეზით, რომელთაგან უმთავრესი მიზეზია ინგლისურ და ქართულ წინადადებათა კონსტრუქციული განსხვავება. როგორც ვიცით, ინგლისურენოვანი წინადადების წევრთა წყობა მტკიცედაა დაკანონებული და კონსტრუქცია ირეარქიულობით ხასიათდება. წინადადების მთავარი წევრები საწყის პოზიციაზე არიან განლაგებული, ხოლო მათ წინადადების არამთავარი წევრები მოჰყვება.

ქართულ ენაში დასაშვებია წინადადების არამთავარი წევრი საწყის პოზიციას იკავებდეს.

მაგალითად: გუშინ ვაშინგტონში პრესკონფერენცია გაიმართა. აქ ინფორმაციის ცენტრი, ანუ რემა არის პრესკონფერენცია, რომელიც ამავე დროს არის ქვემდებარე. ინგლისურ წინადადებაში კი თემატური ქვემდებარე წინადადების საწყის პოზიციაზე დგას: *A press conference was held in Washington yesterday.*

გადაადგილების გარდა გრამატიკული ტრანსფორმაციის კიდევ ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ჩანაცვლება, რომლის დროსაც პასიური გვარის კონსტრუქცია ჩანაცვლდება აქტიური გვარის კონსტრუქციით:

More light was shed yesterday, on efforts of C.S. gas which was claimed by Pentagon, to be virtually harmless to health.

გუშინ დამატებითი ინფორმაცია მივიღეთ გაზი C.S.-ის მავნე თვისებების შესახებ, რომელიც პენტაგონის მტკიცებით, თითქოსდა, სრულიად არ შეიცავს ჯანმრთელობისთვის საშიში თვისებების მქონე ნივთიერებებს.

პასიური გვარის კონსტრუქცია was claimed ჩანაცვლდა აქტიური გვართ-პენტაგონის მტკიცებით.

გამოტოვება-შევსების დროს ხდება დამატებითი ელემენტების შეტანა, ან არასაჭირო ელემენტების გამოტოვება.

Her hands rested side by side on her lap

მას ხელები კალთაზე დაეწყო

გამოტოვებული ელემენტია - *side by side*

რაც შეეხება ლექსიკურ ტრანსფორმაციებს, აქ შედის: ანტონიმური თარგმანი, მნიშვნელობის გენერალიზაცია, კონკრეტიზაცია, აზრობრივი გავრცობა.

ანტონიმური თარგმანი კომპლექსურ ლექსიკურ-გრამატიკულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს დადებითი კონსტრუქციის უარყოფითი კონსტრუქციით შეცვლას. აქ არ არის აუცილებელი not ნაწილაკის გამოყენება. მაგალითად:

ნუ ივლით გაზონებზე - *keep off the grass*

უცხო პირთა შესვლა აკრძალულია - *Authorised personel only.*

თარგმნის დროს ხშირად მივმართავთ გენერალიზაციის მეთოდს. ნებისმიერ ენაში არის ისეთი სიტყვები, რომლებსაც სათარგმნ ენაზე არ მოეპოვებათ ადეკვატები. მაგალითად: ინგლისურ გაზეთებში იბეჭდებოდა სტატია სათაურით: “No hanging bill,” რაც ნიშნავდა არა ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯით გაუქმებას, არამედ მთლიანად სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

გენერალიზაციის საპირისპირო მოვლენაა კონკრეტიზაცია, რაც ფართო მნიშვნელობის ცნების დაკონკრეტებას ნიშნავს.

He can not take all the duties of presidency

ის ვერ აიღებს თავზე პრეზიდენტის მოვალეობას.

აზრობრივი გავრცობის მეთოდი მოითხოვს სალექსიკონო ერთეულის კონტექსტუალური ერთეულით შეცვლას. ამ ტრანსფორმაციებს განეკუთვნება ხვადასხვა სახის მეტაფორული თუ მეტონიმური ტრანსფორმაციები.

მაგალითად: *I do not think she is living here at the moment. Her bed was not slept in.*

მე ვფიქრობ, რომ ის აქ არ ცხოვრობს ამჟამად, რადგან მისი ლოგინი ხელუხლებელია.

აზრობრივ გავრცობის მეთოდს ხშირად გამოიყენებენ იმით, რომ დედნისა და თარგმანის ენების ერთეულები განსხვავდებიან შეთანხმებებით. მაგალითად, ინგლისური წინადადების *At last he found his voice* არ შეიძლება ითარგმნოს, როგორც მას ხმა დაუბრუნდა. სიტყვა ხმა ქართულში არ ეთანხმება სიტყვას პოვნა. ამ შემთხვევაში მისაღებია მისი სიტყვის “დაუბრუნდა” გამოყენება.

ამრიგად, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ფართოდ გამოიყენება მთარგმნელობით პრაქტიკაში. ვინაიდან იგი გულისხმობს დედანში რაღაც ცვლილებების შეტანას, მთარგმნელი, რომელიც ორიგინალის მაქსიმალურად ზუსტი გადმოცემისაკენ ისწრაფვის, უნდა ითვალისწინებდეს: რამდენად საჭიროა ამა თუ იმ ტრანსფორმაციის გამოყენება. მაგალითად, გაუმართლებელად ხშირად გენერალიზაციის გამოყენება აუფერულებს თარგმანს, ამიტომაც მთარგმნელს დეტალური ანალიზის გაკეთება უწევს, ვიდრე იგი მიმართავს რაიმე ტრანსფორმაციებს.

სათაურის პრობლემა თარგმანში

შლაიერმახერი და უცხოს რევალორიზაცია. მაშინ როდესაც მე-17 საუკუნეში საუბრობდნენ იმიტაციის, ხოლო მე-18 საუკუნეში მთარგმნელის მოვალეობაზე მოეხდინა ორიგინალი ტექსტის სულის გადმოღება თარგმანში, მე-19 საუკუნის გერმანელი რომანტიკოსები (გოეთე, ჰუმბოლდტი, ნოვალისი და შლეგელი) საუბრობდნენ თარგმნის შესაძლებლობასა და შეუძლებლობაზე და თარგმანის მითიურ ბუნებაზე. 1813 წელს, თეოლოგმა და მთარგმნელმა ფრიდრიხ შლაიერმახერმა დაწერა მეტად მნიშვნელოვანი ტექსტი თარგმანის შესახებ. თავდაპირველად, მან განასხვავა მთარგმნელთა ორი ტიპი, რომლებიც ტექსტთა განსხვავებულ ტიპებზე მუშაობენ:

- Dolmetscher, რომელიც კომერციულ ტექსტებს თარგმნის, და
 - Übersetzer, რომელიც სამეცნიერო და სამხატვრო ტექსტებს თარგმნის.
- ფ. შლაიერმახერმა თარგმანის წარმატებით შესრულების ორი გზა დასახა:

„ჩემი აზრით, ასეთი გზა ორია. ერთი მათგანის მიხედვით, მთარგმნელი შორდება ავტორს და თარგმნის მკითხველზე ორიენტირებულად, ხოლო მეორის მიხედვით, მთარგმნელი მოწადინებულია თარგმანი შეძლებისდაგვარად ახლოს იყოს ორიგინალთან. პირველი გზის არჩევისას, მთარგმნელი მკითხველს იგივე შთაბეჭდილებას გადასცემს, რომელიც მასზე მოახდინა ორიგინალმა, მისთვის უცნობი ენის ავტორმა, მეორეს შემთხვევაში კი იმგვარად წარუდგენს მკითხველს ნაწარმოებს, თითქოს ავტორს ის მის ენაზე დაეწერა“.

შლაიერმახერის ზეგავლენა მეტად დიდი აღმოჩნდა. ჰ. კიტელი და ა. პოლტერმანი მიუთითებენ, რომ „ყველა თანამედროვე თარგმანის თეორია – ყოველ შემთხვევაში, გერმანულენოვანი, – გარკვეულწილად ეხმიანება შლაიერმახერის ჰიპოთეზებს“. შლაიერმახერის შეხედულება ტექსტთა განსხვავებული ტიპების შესახებ განსაკუთრებით გამოიკვეთა კ. რაისის ტექსტის ტიპოლოგიაში. ოპოზიციები „გაუცხოება“ (alienation) და „ნატურალიზაცია“ (naturalizing) განავრცოლოურენს ვენუტიმ როგორც „გაუცხოება“ და „გაშიანურება“. „თარგმანის ენის“ ხედვა გამოიყენა ვალტერ ბენიამინმა (Walter Benjamin), ხოლო თარგმანის ჰერმენევტიკის აღწერა კი – გეორგ შტაინერმა „ჰერმენევტიკურ წრეში“.

1970-80 წლებში მოხდა თარგმანის ძვრების სტატუტური ლინგვისტური თეორიებიდან გადასვლა ფუნქციურ და კომუნიკაციურ მიდგომაზე, განსაკუთრებით გერმანიაში. აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესოა რამდენიმე მეცნიერის ახალი ტექსტები. 1970 წელს გამოცემული კატარინა რაისის ნაშრომი ექვივალენტობის იდეას ეფუძნება. იგი ტექსტს განიხილავს არა როგორც სიტყვას ან წინადადებას, არამედ როგორც დონეს, რომელზეც კომუნიკაცია მიიღწევა და ექვივალენტობა შეიძლება იქნეს დანახული. მისი ფუნქციური მიდგომის მიზანია თარგმანის შეფასების სისტემატიზაცია. იგი ეყრდნობა კარლ ბუჰლერის ენის ფუნქციების სამი გზის კატეგორიზაციას. კ. რაისი აკავშირებს სამ ფუნქციას მათ შესაბამის ენის „განზომილებებთან“ და ტექსტის ტიპებთან, ან იმ კომუნიკაციურ სიტუაციებთან, რომლებშიც ხდება მათი გამოყენება. ტექსტის ყოველი ტიპის ძირითადი მახასიათებლები არის შემდეგი:

- „ფაქტების უბრალო კომუნიკაცია“: ინფორმაცია, ცოდნა, აზრი და სხვ. ენის განზომილება, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისთვის, არის ლოგიკური ან რეფერენციული, შინაარსი ან „თემა“ არის კომუნიკაციის ძირითადი ფოკუსი, და ტექსტის ტიპი არის ინფორმაციული;

- „კრეატიული კომპოზიცია“: ავტორი იყენებს ენის ესთეტიკურ განზომილებას. ავტორი, ან „გამომგზავნი“ არის წინა პლანზე, ისევე, როგორც გზავნილის ფორმა, და ტექსტის ტიპი არის ექსპრესიული;

- „ინდუცირებული ქცევითი პასუხები“: საზოგადო სახელი ფუნქციის მიზანია მკითხველის ან ტექსტის „მიმღების“ მიზიდვა ან დარწმუნება მოიქცეს გარკვეულად. ენის ფორმა არის დიალოგიური, ფოკუსი – აპელაციური, ტექსტის ტიპი კი ოპერატიული;

- აუდიომედიალური ტექსტები: ფილმები, სამეტყველო, ვიზუალური რეკლამები, რომლებიც უზრუნველყოფს წინა სამ ფუნქციას ვიზუალური გამოსახულებით, მუსიკით და სხვ. (რომელიც გვიბიძგებს შევიძინოთ რაიმე, ან განსაზღვრულად მოვიქცეთ). კ. რაისმა შეიმუშავა ტექსტის სახეები, ანუ ჟანრები. მის თანახმად, მაგ., ლექსი არის მაღალექსპრესიული, ფორმაზე ფოკუსირებული ტიპი, ხოლო რეკლამა კი – ოპერატიული ტექსტის ტიპი. აღნიშნულ ორ პოლუსს შორის მოთავსებულია ჰიბრიდული ტიპები, მაგ. ბიოგრაფია შეიძლება მოთავსდეს ინფორმაციულ და ექსპრესიულ ტიპებს შორის, ისევე, როგორც ქადაგება (რომელიც იძლევა ონფორმაციას და, ამავე დროს, გვიბიძგებს გარკვეული ქცევისკენ).

ჰიბრიდული ტიპების არსებობის მიუხედავად, კ. რაისი აღნიშნავს, რომ „ორიგინალი ენის დომინანტური ფუნქციის გადატანა არის განმსაზღვრელი ფაქტორი, რითაც ფასდება თარგმნილი ტექსტი“. იგი „ტექსტის ტიპიდან გამომდინარე სპეციალურ მთარგმნელობით მეთოდებს“ გვთავაზობს:

- ინფორმაციული ტექსტის თარგმანში უნდა მოხდეს ორიგინალი ტექსტის სრული რეფერენციული და კონცეპტუალური გადატანა;

- ექსპრესიული ტექსტის თარგმანში უნდა მოხდეს ესთეტიკური და სამხატვრო ფორმების გადატანა;

- ოპერატიული ტექსტის თარგმანში უნდა აღიძრას მკითხველში სასურველი პასუხი, მან უნდა ექვივალენტური ეფექტი წარმოქმნას „ადაპტაციური“ მეთოდის გამოყენებით;

- აუდიომედიალური ტექსტები საჭიროებენ „დამატებით“ მეთოდს, მაგ, დაწერილ სიტყვებს ვიზუალური გამოსახულებითა და მუსიკით. კ. რაისი ასევე აღნიშნავს და ინტრალინგვისტური ინსტრუქციების კრიტერიუმებს, რომლითაც შეიძლება შეფასდეს თარგმანის ადექვატურობა. ესენია: 1) ინტრალინგვისტური: სემანტიკური, ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური მახასიათებლები; 2) ექსტრალინგვისტური: სიტუაცია, თემის არეალი, დრო, ადგილი, მიმღები, გამგზავნი და აფექტური იმპლიკაციები (იუმორი, ირონია, ემოცია და სხვ.).

ავტორის აზრით, ეს კრიტერიუმები ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა ტექსტის ტიპიდან გამომდინარე, მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, შინაარსზე ფოკუსირებული ტექსტის თარგმნისას უპირველესია სემანტიკური ექვივალენტობის მიღწევა, პოპულარული სამეცნიერო წიგნის

შემთხვევაში – მეტი ყურადღება ორიგინალის ტექსტის ინდივიდუალურ სტილს ეთმობა და სხვ.

კ. რაისის ნაშრომი იმიტომაცა მნიშვნელოვანი, რომ მას თარგმანის კომუნიკაციურ მიზნამდე მივყავართ. თუმცა, მის ნაწერებზე არაერთი კრიტიკული შეხედულებაა გამოთქმული, რომელიც შეკრებილია ფოსეტის მიერ. ერთ-ერთი ასეთი შეკითხვაა, თუ რატომ არსებობს ენის მხოლოდ სამი ტიპის ფუნქცია. ქ. ნორდი, რომელიც იგივე მიმართულებით მუშაობდა, მიუთითებდა მეოთხეს დამატების შესაძლებლობაზე (phatic) და ეყრდნობოდა რ. იაკობსონის ტიპოლოგიას. სევე ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ერგება კ. რაისის მიერ შემოთავაზებული მეთოდები სპეციფიკური ტექსტების თარგმნას. ლოგიკური „ფაქტების უბრალო კომუნიკაციური“ მეთოდი, რომელიც საინფორმაციო ტექსტებისათვისაა შემოთავაზებული, ასევე კითხვას ბადებს. მაგ, ბიზნესისა და საფინანსო ტექსტები ინგლისურ ენაზე მოიცავენ დიდი ოდენობით მარტივ და რთულ მეტაფორებს, რომელთაგან ყველას არ გააჩნია მყარი შესატყვისი სხვა ენებზე.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იბადება კითხვა: საერთოდ შესაძლებელია თუ არა ტექსტის ტიპების დიფერენციაცია. მაგ., წლიური ბიზნეს-ანგარიში, რომელსაც კ. რაისი ძლიერ ინფორმაციულ ტექსტად განსაზღვრავს, შეიძლება ექსპრესიული მხარის მომცველი იყოს. ასეთ შემთხვევაში, იგი ვეღარ ჩაჯდება მკაცრად განსაზღვრულ ტექსტთა ტიპში. დაბოლოს, გამოყენებული თარგმნის ხერხი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ტექსტის ტიპზე, არამედ ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა მთარგმნელის როლი, მიზანი, სოციო-კულტურული გარემოებები, თარგმნის სტრატეგია.

მთარგმნელის როლი: ხილვადობა (ხილულობა), ეთიკა და სოციოლოგია

ლოურენს ვენუტის აზრით, თარგმანმცოდნეობის შესწავლის სფერო უნდა გაფართოვდეს, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული სოციო-კულტურული ჩარჩოს ღირებულებებით მართული ბუნება. ამით უპირისპირდება ის გ. ტოურის მოდელს, რომლის მიზანია წარმოქმნას თარგმანის „ღირებულებისგან თავისუფალი“ ნორმები და კანონები:

„გ. ტოურის მოდელი... უნდა შემობრუნდეს კულტურული თეორიისკენ, იმ მიზნით, რომ შეაფასოს მონაცემები და მოახდინოს ნორმების ანალიზი. ნორმები შეიძლება იყოს, პირველყოფლისა, ლინგვისტური ან სალიტერატურო, მაგრამ ისინი ასევე მოიცავს შინაგანი ღირებულებების, რწმენებისა და სოციალური რეპრეზენტაციების ფართო სპექტრს, რომელსაც იდეოლოგიური ძალა გააჩნია სპეციფიკური ჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე“.

მმართველებისა და პოლიტიკურად მოტივირებული ინსტიტუტების გარდა, რომლებიც წყვეტენ ხელი შეუწყონ თუ არა კონკრეტულ თარგმანს, ლ. ვენუტი ასევე მიუთითებს საგამომცემლო ინდუსტრიის როლზეც. მისი აზრით, უპირველესად სწორედ გამომცემლები არიან ისინი, ვინც ირჩევენ სათარგმნ ტექსტს და უბდიან მთარგმნელს ჰონორარს, ასევე ხშირად კარნახობენ თარგმნის სტრატეგიას. ამ წრეში ასევე მოიაზრება სალიტერატურო აგენტები, მარკეტინგისა და გაყიდვის ჯგუფები

და მიმომხილველები. სწორედ მიმომხილველთა კომენტარები განაპირობებს თარგმანის მიღებას სამიზნე კულტურაში.

ლ. ვენუტი გვთავაზობს ტერმინს ხილვადობა (ხილულობა), „რათა აღიწეროს მთარგმნელის მდგომარეობა და მოქმედება თანამედროვე ანგლო-ამერიკულ კულტურაში“. მისი აზრით, ხილვადობა წარმოიქმნება: 1) როდესაც მთარგმნელი ცდილობს „თავისუფლად“ თარგმნოს ინგლისურად, რომ წარმოქმნას იდიომატური და „კითხვადი“ თარგმანი, რითაც ქმნის „ტრანსპარენტულობის ილუზიას“, 2) იმ გზით, როგორც ხდება თარგმნილი ტექსტების კითხვა სამიზნე კულტურაში: „თარგმნილი ტექსტი, პროზაა ეს თუ პოეზია, ფანტასტიკა თუ არა, მისაღებია უმრავლესი გამომცემლისთვის, მიმომხილველისა და მკითხველისთვის, როცა ის სხარტად (მარდად) იკითხება, როცა ლიგვისტური და სტილისტური მახასიათებლების არარსებობა ხდის მას ტრანსპარენტულს და აძლევს მას შეხედულებას, რომ ის წარმოადგენს უცხოელი მწერლის პიროვნებას ან მცდელობას, ან უცხო ტექსტის ძირითად მნიშვნელობას – რომ თარგმანი არის არა თარგმანი, არამედ „ორიგინალი“.

ხილულობის ცნებასთან ერთად, ლ. ვენუტი აღწერს თარგმანის ორ სტრატეგიას: „გაშინაურება“ და „გაუცხოება“. ისინი გულისხმობენ როგორც სათარგმნად ტექსტის არჩევას, ასევე თარგმნის მეთოდს. აღნიშნული შეხედულება ეფუძნება შლაიერმახერის ცნობილ ტექსტს. ლ. ვენუტის აზრით, „გაშინაურება“ – არის დომინანტური ანგლო-ამერიკული მთარგმნელობითი კულტურა. ისევე, როგორც პოსტკოლონიალისტები განგაშს ტეხენ კულტურული ეფექტების შესახებ, რომელიც წარმოიქმნება ძალისმიერი ურთიერთობის შედეგად, ლ. ვენუტი უარყოფს „გაშინაურების“ ფენომენს, რადგან ის მოიცავს „უცხოური ტექსტის ეთნოცენტრულ რედუქციას სამიზნე (ანგლო-ამერიკული) კულტურის სასარგებლოდ“. აღნიშნული იწვევს ტრანსპარენტული, უხილავი ტექსტის წარმოქმნას იმ მიზნით, რომ შემცირებული იქნეს მისი უცხოურობა. „გაშინაურება“ ამიტომ ექვემდებარება სამიზნე კულტურის სალიტერატურო წესებს და ირჩევს სათარგმნად ისეთ ტექსტებს, რომლებიც შესაბამისი იქნება სამიზნე კულტურისთვის.

„გაუცხოება“, მეორეს მხრივ, „იწვევს უცხო ტექსტის არჩევას და თარგმნის მეთოდის განვითარებას დომინანტური კულტურული ღირებულებების სპექტრში. ეს არის ფ. შლაიერმახერისთვის მისაღები სტრატეგია. ლ. ვენუტის აზრით „გაუცხოების“ მეთოდი არის „ეთნოდევიაციური ზეწოლა სამიზნე ენის კულტურულ ღირებულებებზე უცხო ტექსტის ლინგვისტური და კულტურული სხვაობის დასაფიქსირებლად, რითაც ხდება მკითხველის საზღვარგარეთ გაგზავნა“. მისი აზრით, ის „ძლიერ სასურველია“ იმ თვალსაზრისით, რომ მოხდეს „თარგმანის ეთნოცენტრული აგრესიის შემცირება“, ანუ „გაუცხოებას“ შეუძლია შეამციროს ინგლისურენოვანი სამყაროს „აგრესიული“ კულტურული ღირებულებები. თარგმანის „გაუცხოების“ მეთოდი, სტრატეგია, რომელსაც ლ. ვენუტი ასევე უწოდებს „რეზისტენტულობას“ არის არა სწრაფი (ზედაპირული), ან გამაუცხოებელი მთარგმნელობითი სტილი, რომელიც მთარგმნელის არსებობას ხდის ხილულს, რასაც ხაზს უსვამს დედანის ტექსტის უცხოური იდენტობის ხაზგასმითა და დაცვით სამიზნე კულტურის იდეოლოგიური ბატონობისგან.

წიგნში *The Scandals of Translation*, ლ. ვენუტი „გაუცხოებას“ ასევე უწოდებს ე.წ. „minoritizing“ თარგმანს, რომელიც ახდენს კულტივირებას განსხვავებული და „ჰეტეროგენული დისკურსის“. ამის მაგალითად კი მოყავს მე-19 საუკუნის იტალიელი ავტორის – იდეინიო უგო ტარკეტის საკუთარი თარგმანები.

ფილმები და თარგმანი

თარგმანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ფილმის უდიდესი ნაწილი დიალოგებზე დგას. მთარგმნელის გადმოსახედიდან, ეს ისეთივე შრომას მოითხოვს, როგორც მხატვრული ნაწარმოების თარგმნა, და საკმაოდ დიდი გამოწვევაა მთარგმნელისთვის იმ ენისთვის, ქვეყნისთვის, კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტების შენარჩუნება და მაყურებლისთვის ისე მიწოდება, როგორც რეჟისორმა და სცენარისტმა ჩაიფიქრეს.

თუმცა ეს ყოველთვის არ გამოდის და არც ისე ხდება რომ ორიგინალის ენა ყველას ესმოდეს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე არ არის გამართლებული ფილმის თარგმანების სწრაფ ტემპში შესრულება და გარდა ამისა, ისევ და ისევ საუკეთესო გამოსავალია ორიგინალის ენის დატოვება და სუბტიტრების დართვა შესაბამის ენაზე.

შესაძლებელია თუ არა სცენარის წერის დროს გათვალისწინებულ იქნეს თარგმანის მომენტი. თარგმანის დროს მწერალი უამრავ სირთულეს აწყდება, თუმცა ამაზე არ ფიქრობს, როცა დიალოგებს წერს და შესაბამისად, ვერც გაითვალისწინებს; ამაზე რომ იფიქროს, ძალიან შეიზღუდება; დიალოგები ქვეყნის, კონკრეტულად კულტურიდან, მისთვის დამახასიათებელი კულტურიდან, მისი ადამიანებიდან გამომდინარეობს და შეიძლება ვერ იყოს გლობალურ დონეზე ადაპტირებადი და ისე ჰაეროვნად არ გადავიდეს ერთი ენიდან მეორე ენაზე.

შესაძლებელია თარგმანის დროს რაღაც იკარგება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ძირითადი მესიჯი აუცილებლად მიდის მაყურებლამდე. ამგვარად წინასწარ, სცენარის თარგმანზე მორგება სცენარის ავტორისთვის ნაკლებად მისაღებია.

გარდა ამისა, სცენარის წერა ძალიან ქაოტური პროცესია, მუდმივად უამრავი რაღაცა იცვლება მუშაობის პროცესში და ისეთი შეგრძნებაა თითქოს არასოდეს დამთავრდება, თუმცა ბოლოს და ბოლოს მთავრდება და ცვილებების შემდეგი ტალღა გადაღებების და მონტაჟის დროს იწყება.

აბსოლუტურად შეუძლებელია სცენარის წერის დროს მისი მომავალი თარგმანის გათვალისწინება, თუმცა მთარგმნელებმა ყველანაირად უნდა სცადონ რომ მაქსიმალურად შეინარჩუნონ ფილმის, მისი პერსონაჟების ხასიათი და მაყურებელს შეძლებისდაგვარად მიაწოდონ ფილმის ძირითადი კონცეფცია.

გრამატიკული ასპექტი თარგმანში

მოყვარულის თუ პროფესიონალის დონეზე სწავლობთ ენას, გრამატიკის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა სიღრმისეულად სწავლა მოგიწევთ

უფრო მეტად მაშინ თუ კი გსურთ მიაღწიოთ პროფესიონალის დონეს შესაბამის სფეროში.

არ აქვს მნიშვნელობა სკოლაში ასწავლით, უნივერსიტეტში თუ თარჯიმანი ხართ, სიტყვების მარაგი და მდიდარი ლექსიკა თავისთავად მნიშვნელოვანია და მისი გამდიდრება ყოველდღიური მუშაობის პრეროგატივაა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოთ გრამატიკულ ასპექტებზეც, მის გარეშე ხომ უბრალოდ ვერ გამოიყენებთ არსებულ ცოდნას, ან თუ გამოიყენებთ, მხოლოდ შეცდომებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლექსიკა, სანამ გრამატიკის განკარგულებაში გადავიდოდეს, ერთგვარ უძრავ ქონებას წარმოადგენს და მხოლოდ გრამატიკული დამუშავების შემდეგ იძენს საკომუნიკაციო ღირებულებას და იქცევა მეტყველებად.

გრამატიკა თავის მხრივ, როგორც გარკვეული მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების ერთობლიობა, როგორც გარკვეული წესების კრებული, ზოგადად ადამიანის აზროვნების ნაყოფია და ძირითადად ერთნაირია ყველა ენაში. თუმცა, ცხადია, ამა თუ იმ ენის გრამატიკას მხოლოდ ამ ენისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება აქვს.

ინგლისური და ქართული გრამატიკული სისტემების ზოგადი შეპირისპირებითი ანალიზი დაახლოებით ასეთ სურათს გვთავაზობს:

როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ არსებით სახელს 2 გრამატიკული კატეგორია აქვს, ესენია: რიცხვი და ბრუნვა. გრამატიკული სქესის კატეგორია ამ ენებისთვის უცხოა. განსხვავება გვაქვს ამ ენების ბრუნებათა სისტემებში. კერძოდ, ქართულს 7 ბრუნვა აქვს, ინგლისურს კი მხოლოდ 2 და ისიც ისეთ თავისებურებებს ავლენს, რომ ზოგი გრამატიკოსი საერთოდ უარყოფს მის არსებობს. საფუძვლად ასახელებს იმას, რომ ამ ბრუნვაში ჩაისმის არა მხოლოდ ცალკეული სიტყვა, არამედ შესიტყვება და მთელი წინადადებაც კი. მაგ.:

Bob and Jane's wish.

The man there came yesterday's son is my friend.

რაც შეეხება სხვა ქართული ბრუნვების მნიშვნელობებს, ისინი ინგლისურში გადმოიცემა ერთი და იგივე საზოგადო ბრუნვით სხვადასხვა წინდებულების დახმარებით ან/და სიტყვათა ადგილმდებარეობით წინადადებაში. მაშასადამე, არსებითი სახელების თარგმნა ამ ენებიდან ურთიერთში, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

როდესაც ერთხელ უკვე გამოყენებული არსებითი სახელის ნაცვლად გამოიყენება პირის ნაცვალსახელები, სადაც 3 სქესი გაირჩევა, ჩვენ ამ ნაცვალსახელებსაც ძალიან ხშირად არსებითი სახელებით ვთარგმნით თუ არ გვინდა რომ დაიკარგოს სქესის გამოხატვის ფაქტორი.

ზედსართავ სახელებს, რიცხვით სახელებს და ზმნიზედებს შორის კარდინალური განსხვავებები არ აღინიშნება, გარდა იმისა, რომ ინგლისურში არსებობს ე.წ. მდგომარეობის აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა asleep, awake, afraid, რომლებიც ინგლისურში მხოლოდ პრედიკატივის როლში გვევლინებიან, მათი შესატყვისი ქართული ზედსართავი სახელები კი მხოლოდ განსაზღვრებად გამოიყენებიან ან/და მათი თარგმნა ხდება შესაბამისი ზმნების გამოყენებით; მაგ.:

Tom is asleep – თომს ძინავს.

Kate is awake – ქეთს ღვიძავს.

მთავარ შეუსაბამობას ინგლისური და ქართული გრამატიკების შეპირისპირებისას ჩვენ ვხედავთ დროთა სისტემებში. კერძოდ, ქართული წინადადება “მე ვკითხულობ” ინგლისურად სამ ვარიანტად ითარგმნება:

1. I read.
2. I am reading.
3. I have been reading.

განგრძობითობის გამოხატვა შეგვიძლია სხვადასხვა ზმნიზედების მოშველიებით ან/და სხვადასხვა სიტყვებით.

მამაჩემი ყოველდღე დაფრინავს ნიუ იორკში.

My father flies to New York everyday.

My father always flies to New York.

He is flying to New York today – ის დღეს მიფრინავს ნიუ იორკში.

My son goes to school everyday except weekends -

ჩემი ვაჟი ყოველდღე დადის სკოლაში, გარდა შაბათ-კვირისა.

My son is going to school now. – ჩემი ვაჟი სკოლაში მიდის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ინგლისური perfect-ის ქართულად თარგმნის საშუალებები. perfect-ის დროები ქართულად შეიძლება ითარგმნოს შესაბამისი აწმყო, წარსული და მომავალი დროების ფორმებით, მაგ.:

Julie has read this book.

1. ჯულიმ უკვე წაიკითხა ეს წიგნი.
2. ჯულის წაუკითხავს ეს წიგნი. (თურმე)
3. მას წაკითხული აქვს ეს წიგნი.

ბოლო წინადადებაში იგივე შემადგენლობა გვაქვს რაც ინგლისურში ანუ გვაქვს ზმნა have-ის და ძირითადი ზმნის წარსული დროის მიმღეობის კომბინაცია. ესე იგი აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფორმისა და მნიშვნელობის სრულ თანხვედრასთან, რადგან, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში მნიშვნელოვანია არა მოქმედების შესრულების დრო, არამედ ფაქტის აღნიშვნა, მოქმედების შედეგის ხაზგასმა და არა თვით მოქმედებაზე ყურადღების გამახვილება, რა შემთხვევაშიც საჭირო იქნებოდა შესრულების დროის მითითებაც.

ქართულ კონსტრუქციებში, მოქმედებით გვარში გარდაუვალი ზმნის მიმღეობასთან იხმარება არა “have”, არამედ “be”, რაც ინგლისურშიც შემორჩენილია გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებთან. მაგ.:

He has gone.

He is gone. – ის წასულია

რაც შეეხება ვნებით გვარს, ქართულ კონსტრუქციაში ხდება ინგლისური სრული და განუსაზღვრელი დროების ერთ ფორმად ნიველირება, ე.ი. ერთნაირად თარგმნა.

მაგ.: I have been invited to the restaurant. –

მე დაპატიჟებული ვარ რესტორანში. მე დამპატიჟეს რესტორანში.

ქართული ენის თავისებურება, კერძოდ ის, რომ ჩვენ გვაქვს ზოგი ზმნის ორი წარსული მიმღეობა, ინგ. თარგმანში ნიველირდება. მაგ.:

The milk has been boiled – რძე უკვე ადუღდა = რძე ადუღებულია = რძე ანადუღარია.

ე.ი. აწმყო და წარსული დროის თარგმანებში, როგორც ვხედავთ ფიგურირებს:

1. ჩვეულებრივი აწმყო, წარსული და მომავალი დროის ფორმები, წყვეტილი;

2. I და II თურმეობითი;

3. ინგლისური პერფექტული კონსტრუქციის ბადალი ქართული კონსტრუქცია.

მაგრამ, როგორც ვიცით მომავალი თურმეობითი არ არსებობს და მომავალი დროის თარგმანებში თურმეობითი კომპონენტი არ არსებობს. მაგ.:

The boy has done his lessons.

1. ბიჭმა უკვე ისწავლა გაკვეთილები.

2. ბიჭს უსწავლია გაკვეთილები.

3. ბიჭს ნასწავლი აქვს გაკვეთილები.

The boy had done his lessons, when we came.

1. ბიჭმა უკვე ისწავლა, სანამ ჩვენ მივიდოდით.

2. ბიჭს გაკვეთილები ესწავლა, სანამ ჩვენ მივიდოდით.

3. ბიჭს ნასწავლი ჰქონდა გაკვეთილები, ჩვენ რომ მივედით.

The boy will have done his lessons, when we came.

1. ბიჭი ისწავლის სანამ ჩვენ მივალთ.

2. არ არის.

3. ბიჭს ნასწავლი ექნება ჩვენ რომ მივალთ.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ე.წ. მომავალი წარსულში დრო, რომელიც წარმოადგენს მომავალს არა აწმყოს პოზიციიდან, აწმყოსთვის, არამედ წარსულის რომელიმე წერტილისთვის. ასეთივე დროის ფორმა გვაქვს ქართულშიც, ოღონდ მას კავშირებითი კილოს ფორმას უწოდებენ. მაგ.:

The child promised that he would not go out. (*Future-in-the-past*)

If the boy had the book, he would study. (*subjunctive mood*)

1. ბავშვმა პირობა დადო, რომ ის არ გავიდოდა გარეთ.

2. ბიჭს რომ წიგნი ჰქონოდა ის კარგად ისწავლიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მომავალი წარსულში დროით აღნიშნული მოქმედება ისევ მომავალია ან კვლავ აწმყოა, მისი ქართულად თარგმანი სხვა ფორმებით ხდება. კერძოდ, წინადადება: “The man said that he would come on Monday” და ეს “ორშაბათი” ჯერ არ დამდგარა, ჩვენ მას ქართულად ვთარგმნით ჩვეულებრივი მომავალი დროის ფორმით, “კაცმა თქვა, რომ ის ორშაბათს მოვა”, ან თუ ეს ორშაბათი დღესაა, მაშინ “კაცმა თქვა, რომ დღეს მოდის აქ”.

ამგვარად ხედავთ, რომ ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნა საკმაოდ შრომატევადი საქმეა, მოითხოვს დიდ დროს და ენერგიას, ამოცანა განსაკუთრებით რთულდება, როდესაც ვთარგმნით ლიტერატურულ ნაწარმოებს, სადაც გარდა ლექსიკური, გრამატიკული ასპექტების თანხვედრაზე მუშაობისა, აუცილებელია ნაწარმოების ავტორის შესწავლა, მისი მოღვაწეობის პერიოდის, ეპოქის გაცნობა (მცირე დოზით ჩვენი თანამედროვე მწერლის ნაწარმოების თარგმნისას და დიდი დოზით გასული საუკუნეების მწერლების შემთხვევაში) და შემდეგ ამ ყველაფრის შესაბამისი და ადექვატური მორგება მასპინძელ ენაში.

აუდიო-ვიზუალური თარგმანის თავისებურებები

მულტფილმის თარგმნის თავისებურებები. აუდიო-ვიზუალური თარგმანის მთავარ სახეობებს დუბლირება და სუბტიტრები წარმოადგენს. თითოეული მათგანი სხვადასხვა დონეზე „ერევა“ საწყის ტექსტში. მაგალითად, დუბლირება არის მეთოდი, რომელიც საკმაოდ უცვლის სახეს წყაროტექსტს და მიმღები პუბლიკისათვის ნაცნობად აქცევს მას ე.წ. „მოშინაურების“ („domestication“) გზით. ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც უცხოური დიალოგის მორგება ხდება მსახიობის პირსა და მოძრაობაზე და მაყურებელს უჩნდება გრძნობა, რომ მსახიობი მიმღებ ენაზე ლაპარაკობს.

სუბტიტრი სინქრონიზებულ თარგმანს გვთავაზობს ტექსტის სახით, რომელიც, ძირითადად, ეკრანის ქვემოთ არის მოთავსებული და ნაკლებად ცვლის საწყის ტექსტს. მაყურებელი მას აღიქვამს, როგორც „უცხო ტექსტს“.

ცნობილია, რომ ბავშვები გახმოვანებულ მულტფილმს ანიჭებენ უპირატესობას. ალბათ იმიტომ, რომ მულტფილმის ყურება მათთვის გართობის ერთ-ერთი სახეობაა და არ სურთ (ან არ ძალუძთ) სუბტიტრების კითხვაზე ძალისხმევის დახარჯვა. ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ფილმებს, ჩვეულებრივ, სუბტიტრებით აჩვენებენ, მაგალითად: შვედეთი, ისლანდია და საბერძნეთი, მულტფილმების თარგმნისას გახმოვანებას მიმართავენ. რაც შეეხება საქართველოს, უბრალო დაკვირვებითაც კი ცხადია, რომ მულტფილმების თარგმნისას აქ გახმოვანებას ანიჭებენ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები სუბტიტრებით გადის ტელევიზიით, მულტფილმები მხოლოდ გახმოვანებული სახით გვხვდება სატელევიზიო ეკრანზეც და კინო-თეატრებშიც.

„მადაგასკარის“ ქართულად გახმოვანებული ვერსია ჩვენს თვალსაწიერში აღმოჩნდა თავისი საინტერესო გმირების გამო. გარდა ამისა, ეს მულტფილმი საქართველოში ცნობილი კომედიური ჟანრის მსახიობების მიერ არის გახმოვანებული. მათი ხმა მიმღები აუდიტორიისათვის ნაცნობია. ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს „მოშინაურების“ ეფექტს და გვევლინება შესანიშნავ საშუალებად პერსონაჟთა სახის შესაქმნელად. მულტფილმის თარგმანში გამოყენებულ მეთოდებსა და ხერხებს ნიუმარკი შემდეგნაირად განასხვავებს, „მთარგმნელობითი მეთოდი მთელ ტექსტს მოიცავს, მაშინ როცა მთარგმნელობითი ხერხი წინადადებისა და უფრო მცირე ენობრივი ერთეულების ანალიზს გულისხმობს“. თარგმანის მეთოდების ნიუმარკისეული კლასიფიკაციის მიხედვით, მულტფილმ „მადაგასკარის“ თარგმნისას ადაპტაციის მეთოდი გამოიყენება. იგი თარგმანის ყველაზე თავისუფალ სახეობას წარმოადგენს: სიუჟეტის ხაზი, თემა და პერსონაჟები შენარჩუნებულია, მაგრამ თარგმნისას საწყისი კულტურისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნები (მაგალითად, გეოგრაფიული სახელები) იცვლება მიმღები საზოგადოებისათვის ნაცნობი რეალიებით.

იმის დასადგენად, თუ რა ხერხებს მიმართავს მთარგმნელი, როგორ იქმნება პერსონაჟთა სახეები, რა განაპირობებს მის არჩევანს და ამ დროს რამდენად არის მიღწეული კომუნიკაციური ეფექტი, ერთმანეთს შევადარეთ მულტფილმის ინგლისური სცენარი და ქართულად დუბლირებული ფილმი.

ზებრას როლის შესაქმნელად ქართულ თარგმანში მნიშვნელოვან როლს კილო-კავის (ქართლური კილოს) გამოყენება ასრულებს. ქართული კილოები მსგავსი მახასიათებლების მიხედვით აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს; სულ 17 კილო-კავი გამოიყოფა. ისინი ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დონეზე, თუმცა, საერთო თვისებებითაც ხასიათდებიან. ქართული კილო-კავებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- მოკლე და გრძელ ხმოვნებს შორის განსხვავება;
- დამატებითი ხმოვნები, რომლებიც სტანდარტული ქართულ ენაში არ გვხვდება;
- ორივე ჯ და ყ თანხმოვნების არსებობა;
- ნარიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები;
- ზედსართავი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები;
- ზმნის არასტანდარტული ფორმები;
- სიტყვები, რომლებიც სტანდარტული ქართულ ენაში არ გვხვდება.

ძირითადად უფრო კონსერვატულია მთის კილოები და დიდხანს ინახავს არქაულ ფორმებს, რომლებიც სხვა კილოებიდან უკვე გამქრალა. თუმცა, სტანდარტული ქართული ენის სხვადასხვა სირთულე სხვადასხვა კილო-კავებში გამარტივებული ფორმით აისახება. სტანდარტული სალიტერატურო ქართული ქართლურ კილოს ეფუძნება.

ამ მულტფილმში „არცთუ ისე ველური“ ცხოველების ჯგუფი (ზებრა მარტი, ლომი ალექსი, ბეჰემოთი გლორია და ჟირაფი მელმენი), კულტურულ შოკს განიცდის, როდესაც მოულოდნელად ნიუ-იორკიდან ველურ ჯუნგლებში აღმოჩნდება. ლომი ალექსი ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში ზოოპარკის მთავარი ღირსშესანიშნაობის როლით ფრიად კმაყოფილია. მისი მეგობრები: ზებრა, ბეჰემოთი და ჟირაფი, მართალია, ბედს არ უჩივიან, მაგრამ ზოოპარკის გარეთ არსებული ცხოვრებაც აინტერესებთ და როდესაც ზოოპარკიდან პინგვინები გაიპარებიან, მარტი მათ გაჰყვება. ალექსი, გლორია და მელმენი მის სამებრად და გადასარჩენად გაემართებიან, მაგრამ ამ დროს ზოოპარკის ადმინისტრაცია გადაწყვეტს, რომ ცხოველები ველურ ბუნებაში დააბრუნოს. ასე აღმოჩნდებიან მეგობრები მადაგასკარის ნაპირებთან, სადაც მალევე დარწმუნდებიან, რომ ველურ გარემოში ცხოვრება მათთვის არც ისე შესაფერისი ყოფილა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, მულტფილმის თარგმნის დროს მთარგმნელები იყენებენ კონკრეტული ქართლური კილო-კავის პარალინგვისტურ არსენალს, ჟარგონულ-სლენგურ ლექსიკას. ზებრა მარტი-დელ-პიეროს მეტყველების თარგმნის დროს აქტიურად გამოიყენება ქართლური კილო-კავის ენობრივი და პარალინგვისტური მახასიათებლები:

„Alex! Do not interrupt me when I'm daydreaming!“

„ალიკა! რამდეჯერ უნდა გითხრა, როცა ვოცნებობ მეთქი მაგ დროსა ხელი არ შემიშალო, გაიგე?“

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში, როგორც ეს ქართლის კუთხური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, მიცემით ბრუნვას ემფატიკური „ა“ დაერთვის. ზებრას პერსონაჟი აქ კუთხური კილო-კავით მეტყველებს, რასაც

ორიგინალში, ცხადია, არ ვხვდებით. გარდა ამისა, ლომის სახელის ინგლისური ფორმა „ალექს“ ქართულ თარგმანში ამ კილო-კავისთვის დამახასიათებელ ფორმას „ალიკა“ იღებს.

„Okay, just don't talk with your mouth full“.

„პირი არ დახურო, თორე დაგკლამ იცოდე“

ქართულ თარგმანში წარმოდგენილია ზმნის დიალექტური ფორმა "დაგკლამ" და ზოგადი რეგისტრიც უხეშია, ვინაიდან კლავენ საქონელს და არა - ადამიანს. პერსონაჟები ცხოველები არიან, მაგრამ მულტფილმში ადამიანებზე საუბრობენ და მოქმედებენ. ამიტომ ამ ზმნის გამოყენება მოცემულ კონტექსტში უხეშ ფორმად აღიქმება და თან იუმორისტულ ეფექტს ქმნის.

„Awww.. Hey.. Thanks man. It was behind the tooth! You're all right“.

„ვააჰ, რა ჯიგარი ხარ, თანა ვითომა გაგეჩხირა, როგორ მოიფიქრე?“

„Man“ ამერიკულ სასაუბრო ინგლისურში მამაკაცისადმი მიმართვის გავრცელებული ფორმაა. ქართულ თარგმანში გადმოტანილია მისი ჟარგონული ფორმა „ჯიგარო“ და ქართლური კილო-კავისათვის დამახასიათებელი ფორმები *ვითომა, თანა*.

მთარგმნელები წარმატებით მიმართავენ ჟარგონიზმებს:

„Oh no! I'm not listening“.

„კაი ბიჭო! არ მესმის, ვაფშე, არაფერი!“

ამ შემთხვევაში გამოყენებულია მიმართვის ფამილიარული ფორმა „ბიჭო“ და ჟარგონული ერთეული „ვაფშე“, რომელიც რუსული ენიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს „საერთოდ“.

„Hey! Don't be calling me cuckoo in the head!“

„იტყუება! ზებრა ვარ, ფუფლო არა ვარ!“

„Cuckoo in the head!“ პირდაპირი მნიშვნელობით „გიჟს“, „არანორმალურს“ ნიშნავს. ქართულ თარგმანში მის ეკვივალენტად ვხვდებით ჟარგონულ „ფუფლოს“-ადამიანს, რომელსაც აზარტულ თამაშებში წაგებული თანხის გადახდა არ შეუძლია ან არ იხდის“. ეს ცვლილება, თუმცა, უჩვეულოდ ჟღერს ბავშვისათვის განკუთვნილ კონტექსტში, მაინც მიმღებ აუდიტორიაზეა გათვლილი, რადგან ქართულ რეალობაში გავრცელებულ ფაქტს ესმევა ხაზი.

„Come on, Alex. Do you honestly think I intended all of this to happen? You want me to say that I'm sorry?“

„კაი, რა გააწუხე გული. შენ თვითონ არ ამეკიდე?“

რა გინდა, ბოდიში მოგიხადო?“

ფორმა „კაი“ სასაუბრო ენაში იგივეა, რაც „კარგი“. ზმნის „შეაწუხე“ დამახინჯებული ფორმა (გააწუხე) და უხეში ზმნის ფორმა „ამეკიდე“ ერთად ქმნიან ორიგინალის ეკვივალენტურ საკომუნიკაციო ეფექტს, თუმცა, მთლიანობაში ორიგინალის თავისუფალ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

„He's got style!“

„რა მაგარი როჟაა!“

ორიგინალური ტექსტის ნეიტრალური გამონათქვამი თარგმანში ჟარგონით „როჟა“ (ტიპია, ადამიანია) არის გადმოსული.

თარგმანში საინტერესოდ არის გამოხატული ენის სიტუაციური ვარიანტულობა. როგორც ცნობილია, ენას შეუძლია გამოხატოს მოლაპარაკისა და

ადრესატის სოციალურ-ლინგვისტური მახასიათებლები: ასაკი, სტატუსი, განათლება, რეგიონალური წარმომავლობა, რასა, რელიგია და ა.შ. ის, ასევე, გამოხატავს სიტუაციურ ასპექტსაც, ემოციურობას, საუბარში მონაწილეთა რაოდენობას და სიტუაციის ბუნებას ან მიზანს. ენა ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობების ცენტრალური ინდიკატორია, მისი საშუალებით ხდება ასევე, ძალაუფლებისა და სოლიდარობის დემონსტრირება. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სხვადასხვა ფაქტორის გაშუქებისა არის იმის ანალიზი, თუ როგორ მიმართავენ ადამიანები ერთმანეთს.

თარგმანის პრაგმატულ-კომუნიკაციური ეკვივალენტურობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თარგმანშიც აისახოს ის სამეტყველო რეფლექსიები, რომლებშიც ადამიანთა პირადი ურთიერთობის ხასიათი ჩანს. განსაკუთრებით რთულია ფამილიარულ-მოფერებითი ან უხეში ფორმებისათვის ანალოგების შერჩევა და ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არ გაუფასურდეს ის ობერტონი, რომელიც მათ ორიგინალში ახასიათებთ.

„მადაგასკარის“ თარგმანი საინტერესო მასალას იძლევა მიმართვის ფორმების გადმოტანისა და ორიგინალისთვის დამახასიათებელი ობერტონების შენარჩუნების თვალსაზრისით.

„Thanks a lot, officer“.

„გავეგე. მადლობა, ჯიგარო“.

საწყის ტექსტში არსებული მიმართვა „officer“ თარგმანში ჩანაცვლებულია ჟარგონული „ჯიგაროთი“, რაც ორიგინალისაგან სრულიად განსხვავებულ სამეტყველო სიტუაციას ქმნის.

„Yeah! Talk to me, buddy!“

„მე ვარ, ბიჭო!“

„Buddy“ ამერიკულ სასაუბრო ენაში „მეგობარს“ ნიშნავს. თარგმანში კი გვაქვს „ბიჭო“, რომელიც ასევე ფამილიარული მიმართვის ფორმაა.

„Beg your pardon?“

„თორე რა?“

ორიგინალის ტექსტის მაღალფარდოვანი გამონათქვამის ნაცვლად, მიმღებ ენაში სალაპარაკო გამოთქმას "თორე რა" და კილო-კავის გამოყენებას ვხვდებით.

„Excuse me! You're biting my butt!“

„უკაცრავად! თქვენი კბილები ხომ არ ჩამერჭო?“

„Butt“ ამერიკული სლენგია და ქართულად „უკანალს“ ნიშნავს. ქართულ თარგმანში კი ამის საპირისპიროდ, ოფიციალურ-ზრდილობიან მიმართვას ვხვდებით. ეფექტს აძლიერებს სიტყვის „თქვენი“ გამოყენებაც, რაც, ჩვეულებრივ, ქართულ კილოსა და სასაუბრო რეგისტრზე მოლაპარაკე ზებრისგან სრულიად მოულოდნელია და მის შიშსა და დაბნეულობას უსვამს ხაზს, რითაც კომიკურ ეფექტს ქმნის. ამ შემთხვევაში რეგისტრის ცვლილება საწყისი ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნებას ემსახურება.

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, ზებრის სახის შესაქმნელად თარგმანში უხვად გამოიყენება სლენგურ-ჟარგონული, ქართული კილოკავური ფორმები. ვხვდებით თავისუფალი ინტერპრეტაციის მაგალითებსაც, რაც თარგმანისათვის შერჩეული ადაპტაციის მეთოდის გამოყენებისას სრულიად ბუნებრივად აღიქმება. ქართული კილო-კავის გამოყენება მნიშვნელოვან როლს

ასრულებს ზებრის გმირის შესაქმნელად. ბუნებრივია, ეს მომენტი საწყის ტექსტში არ დასტურდება და ყველა ზემოხსენებული ცვლილება თარგმანში დედნისათვის დამახასიათებელი იუმორისტული ეფექტის შექმნას ემსახურება. ლინგვისტური საშუალებების გარდა, ამ პერსონაჟის სრულყოფისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიო-ეფექტებიც.

ლომის მეტყველებაში კუთხური კილო არ გამოიყენება და ასევე იშვიათად გვხვდება სლენგი, რაც მის მეტყველებას დახვეწილობის ელფერს ანიჭებს მულტფილმის სხვა გმირების მეტყველებისაგან განსხვავებით.

„What is it, Melman?“

„რა გინდა, კაცო?“

თარგმანში საკუთარ სახელს სასაუბრო მიმართვის ფორმა „კაცო“ ანაცვლებს, რაც გმირების ურთიერთობის ფამილიარულ ხასიათს გამოკვეთს და თან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლომის გაღიზიანებასაც გამოხატავს. ამ ვარაუდს ამდაფრებს კონტექსტში გამოყენებული პარალინგვისტური ნიშნები (ხმის ტონი, ინტონაცია). საანალიზოდ სწორედ ასეთი მაგალითები შევარჩიეთ.

„You got a ah.. you got a little smutz. right there on yer...“

„დინგი მოიწმინდე და მერე იბლატავე.“

ამ კონტექსტში ალექსი-ალიკა უხვევს მისთვის დამახასიათებელი მეტყველების სტილისაგან და ჟარგონზე მეტყველებს. თარგმანში ვხვდებით ზმნას „ბლატაობა“, რაც „ამპარტავნულად, ძველ-ბიჭურად ლაპარაკს“ ნიშნავს.

„Lady, what is wrong with you?“

„რა მოგივიდა, ბებო?“

თარგმანში „Lady“ „ბებოთია“ შეცვლილი, რაც კონტექსტს უფრო მეტად უხდება თავისი ფამილიარული ელფერით.

„Don't you ever do this again. Do you hear me?“

„არაფერიც არ იცი, ვირიშვილო შენა!“

ბრაზი, რომელიც საწყის ენაში მტკიცებით წინადადებაზე დართული კითხვით გამოიხატება, თარგმანში უხეში მიმართვით არის გადმოცემული.

„Oh no! No no! Not the box!“

„არა, არა! ოღონდ ეს არა. ჩემი აქ ჩასმა არ შეიძლება! რა პონტია!“

როდესაც ლომსა და სხვა ცხოველებს დაიჭერენ, ცხოველთა დამცველი ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ისინი ბუნებრივ გარემოს დაუბრუნონ. ამიტომ მათ ყუთებში ჩასვამენ და გემით გაამგზავრებენ. ლომი გამოიღვიძებს და პანიკაშია. სწორედ ამ ემოციურობის გადმოსაცემად ქართულ თარგმანში, დედნისაგან განსხვავებით, სლენგისათვის მიუმართავთ.

„Alex hungry. Alex eat“.

„ალიკას შია. ალიკას ფია უნდა.“

დამშეული ცხოველთა მეფის ემოციების გადმოსაცემად, რომელიც თავს ვეღარ აკონტროლებს, წყაროენაში გვხვდება ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობა პირსა და რიცხვში. თარგმანში „ჭამა“ ზმნის კნინობითი არსებითი სახელი „ფია“ არის გამოყენებული, რაც, ასევე, პატარების მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. საბოლოოდ, აქაც ნარჩუნდება დედნის რეგისტრი და კომუნიკაციური ეფექტი: ორივე შემთხვევაში

ალექსი-ალიკა თავს მესამე პირით მოიხსენიებს და ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებს.

როგორც მასალამ გვიჩვენა, ლომის მეტყველებაში ენის სტანდარტული ნორმებიდან გადახრას, ძირითადად, ემოციური ფონი განაპირობებს. სხვა შემთხვევაში ლომის სახის შესაქმნელად თარგმანში არ ვხვდებით სლენგისა და კილო-კავის გამოყენებას. სლენგს მთარგმნელი მიმართავს მხოლოდ ამ გმირის ძლიერი ადელვების დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მულტფილში საქართველოში ცნობილი კომედიური მსახიობების მიერ არის გახმოვანებული. გლორიას ახმოვანებს მამაკაცი, რომელიც სხვადასხვა იუმორისტულ სკეტჩში ქალის როლს ასრულებს ხოლმე და უნიკალური, პუბლიკისათვის კარგად ნაცნობი ხმითა და ლექსიკით ხასიათდება. ყოველივე ეს გლორიას გახმოვანებისასაც იჩენს თავს. ამასთან ერთად, ის, რომ გლორიას მამაკაცი ახმოვანებს ქალის ხმასთან მიახლოებული ხმით, უკვე გარკვეულ იუმორისტულ განწყობას ქმნის.

„What did Marty say to you? I asked you to talk to him!”

„სერიოზულად რო დალაპარაკებოდი, ხო აღარ გაიპარებოდა, ბენტერა შენა!”

თარგმანში ვხვდებით სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელ ბოლოკიდურა ბგერების ჩამოშორებას კავშირ **რომ**-ისა და ნაწილაკ **ხომ**-ისთვის და ასევე - მიმართვის ფორმას „ბენტერა.” ეს უკანასკნელი სასაუბრო მეტყველებაში „ჩერჩეტს”, „მტერს” ნიშნავს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლომმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

„Is that Melman? Are you okay?”

„როგორა ხარ, შე საწყალო შენა?”

საწყალი არის ის, ვინც შებრალების ღირსია. მისი მიმართვის ფორმად გამოყენება დამახასიათებელია მსახიობისათვის, რომელიც მას ახმოვანებს და ახალი პერსონაჟის პორტრეტის შესაქმნელად ეფექტურად იყენებს. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითშიც.

„Oh, you poor little baby, did that big mean lion scare you?”

„გამოეთრე აქეთ.უი, როგორ შეგაშინა ამ თავგასიებულმა, შვილო!”

„თავგასიებული” ერთგვარად შეურაცხმყოფელი ეპითეტია. თარგმანში დასახელებული ერთეული ლომის მიმართ გამოიყენება, რომელმაც ბავშვი შეაშინა და კარგად ესადაგება კონტექსტს, თუმცა, არ ემთხვევა საწყის ტექსტს.

„Melman! There are prescriptions, that have to be filled”.

„ჟორა, დაწყნარდი, ნუ პანიკობ. ამხელა საქონელი მართლა.”

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავისუფალ თარგმანთან და აქტუალიზდება მიმართვის ფორმა „საქონელი”, რომელიც, ბუნებრივია, ამ კონტექსტში შეურაცხმყოფელია და ორიგინალში არ არის გამოყენებული. საწყის ტექსტში საუბარია რეცეპტზე, რომელიც უნდა შეივსოს.

„Don't make me come up there, I'd get to woopin'on both of you all!”

„ეხლა დაწყნარდით, თორე რაღაცას ჩაგათხლიშავთ ორივეს.”

ქართულ თარგმანში გამოყენებული ზმნა „ჩაგათხლიშო” „ჩარტყმის” უხეში ფორმაა.

უნდა აღინიშნოს, რომ გლორიას პორტრეტი საწყის ტექსტსა და თარგმანში ძლიერ განსხვავებულია. ორიგინალში გლორია არასდროს იყენებს სლენგსა და უხეშ

ლექსიკას, მისი ქართველი ორეულის მეტყველებაში კი ხშირად ვხვდებით სლენგს, უხემ ლექსიკურ ერთეულებს, ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას რაც, როგორც ცნობილია, სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ორიგინალის ნაზი და ქალური გლორისაგან განსხვავებით, „ქართველი გლორია“ უხეში და სასაცილოა. ამ ეფექტს აძლიერებს აუდიო ეფექტების გამოყენებაც.

მულტფილმის ერთ-ერთი პერსონაჟია პედანტი ჟირაფი, მელმენი-ჟორა, რომლის მეტყველებაც დინჯი და ერთფეროვანია. მისი სახის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს აკუსტიკურ ეფექტს.

„Not for me. I'm callin' in sick. What?“

„ეგ მე არ მეხება. ბიულეტინზე ვარ.“

„Zoo transfer! Oh, no. I can't be transferred, I have an appointment with doctor Goldberg at 5.“

„სხვა ზოოპარკში! არა! ეგ როგორ შეიძლება! მე მკურნალობის კურსი მაქვს დანიშნული“

ესეც თავისუფალი თარგმანია, რაც ალბათ კვლავ მიმღები კულტურის ფაქტორით არის გამოწვეული. ვინაიდან „ექიმი გოლდბერგი“ ქართველი მაყურებლისათვის არაფრისმთქმელი იქნებოდა, ის უფრო ზოგადი „მკურნალობის კურსით“ არის ჩანაცვლებული.

ჟირაფი არის პერსონაჟი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს თავის ჯანმრთელობას. ორიგინალში ის გამართული ინგლისურით მეტყველებს, თარგმანში კი, თუმცა სხვა პერსონაჟებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც იყენებს სლენგსა და სასაუბრო გამონათქვამებს.

„Where exactly is here?“

„რო ვიცოდეთ, დაგლიჯავს.“

ქართულ თარგმანში გვაქვს „დაგლიჯავს“, ორიგინალში კი სლენგის გამოყენება არ დასტურდება.

„Can we go to the fun side now?“

„დელ-პიეროს თავისუფლების იდეას ხო არ მივაწვეთ?“

როდესაც თავისუფლების ქანდაკება დაიწვა, რომელსაც ლომი აშენებდა და შინ დაბრუნების იმედი გადაეწურათ, ამოსავალ ტექსტში ჟირაფი ზებრას მხარეზე გადასვლას სთავაზობს ლომს, მიმღებ ენაში კი მთარგმნელი თავისუფალ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას და გვთავაზობს ჟარგონულ ფრაზას - „იდეას მივაწვეთ“, რაც „ბოლომდე გაყოლას“ ნიშნავს.

„მადაგასკარის“ ქართული თარგმანი საინტერესოა ალუზიების გადმოტანის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ალუზია ხერხია, რომელიც ორი ტექსტის ერთდროულ გააქტიურებას იწვევს. ალუზია ასევე გულისხმობს წინასწარ მომზადებული ლინგვისტური ტექსტის სხვადასხვანაირ გამოყენებას მისი საწყისი ან მოდიფიცირებული ფორმით და ასევე, საკუთარი სახელების გამოყენებას, იმპლიციტური ინფორმაციის გადმოსაცემად.

ალუზია ხშირად გამოიყენება, აგრეთვე, იუმორისტულ ტექსტებში. მისი საშუალებით მკითხველს ან მაყურებელს ახსენდება ხალხი ან მოვლენები სხვა ტექსტიდან და ახალ ინფორმაციას ამ თვალსაზრისით აღიქვამს. ალუზიების საშუალებით მწერალი ახერხებს, რომ მკითხველმა სხვადასხვა ინფორმაცია სათანადოდ დააკავშიროს ერთმანეთთან.

თარგმანის ინტერესებიდან გამომდინარე, ლეპიჰალმი და ჰელგრინი ალუზიებს ყოფენ საკუთარი სახელისა და მთავარი ფრაზის ალუზიებად. პირველ შემთხვევაში მთავარ შინაარსს საკუთარი სახელი გამოხატავს. ამ ჯგუფის ალუზიებში შედის: ადამიანთა სახელები, მხატვრული ნაწარმოებების დასახელება და ორგანიზაციების სახელწოდებები. მეორე ტიპის ალუზია კი, რომელიც ეყრდნობა ძირითადი ფრაზის ალუზიურ გამოყენებას, აერთიანებს ალუზიის ყველა სხვა შემთხვევას. მათი რიცხვი, რა თქმა უნდა, უფრო მეტია, ვიდრე პირველი ჯგუფისა. „მადაგასკარში“ ორივე ტიპის ალუზია გვხვდება.

თარგმანში შეცვლილია პერსონაჟების სახელები. მაგალითად: ლომს ალექსის ნაცვლად ალიკას ეძახიან, რაც ამ სახელის გაქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს და თან ფამილიარული მიმართვის ფორმაცაა. ზებრა, რომელსაც ორიგინალში მარტი ჰქვია, დელ-პიეროდ ქცეულა და თან იუვენტუსის ფანია. ცხადია, მარტი ქართული რეალობისათვის უცხო და არაფრისმთქმელი სახელია. ფეხბურთში მცირედ გაცნობიერებული მაყურებლისათვის კი დელ-პიერო უკვე მისაღები და ნაცნობი ხდება. ჟირაფი მეღმენი ქართულ ჟორად ქცეულა. ქართულ თარგმანში მხოლოდ ბეჰემოთი გლორიას სახელი არ არის შეცვლილი.

ამ მულტფილმის ქართულ თარგმანში საკუთარი სახელები გაქართულებულია. ისინი ალუზიური ელემენტების იდენტიფიკაციას უწყობს ხელს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებ ტექსტში ვხვდებით ალუზიებს, რომლებიც ამოსავალ ტექსტში არ გამოიყენებოდა.

„Make it up as you go along! Ad lib,improvise, on the fire! Boom,boom,boom.“

„წარმოიდგინე, რომ ემინემი ხარ.“

ეს პასაჟი თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, რომელშიც ჩართულია ცნობილი მომღერლის, ემინემის, სახელი. ეს უკანასკნელი ორიგინალში ნახსენებიც არ არის, მაგრამ თვითონ გმირსა და მის ხასიათს ეს ალუზია უფრო გასაგებსა და დასამახსოვრებელს ხდის. იგივე ეფექტი აქვს ალუზიას სნუპის და ჯენიფერ ლოპესის შესახებ.

„I could do fresh.Works for me“.

„მე სნუპი ვიქნები“.

„Let's go Gloria!Up and at 'em!Were open!“

„ფაქტიურად, შენ იქნები ჯენიფერ ლოპესი. ადექი!“

გადმოქართულების ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს ის ალუზიები, რომლებშიც უცხო ქვეყნის ადგილები და კულტურული რეალიები ქართულით არის ჩანაცვლებული.

ასეთი შემთხვევები მულტფილმში ძალიან ბევრია.

„Gloria: Well I hear they have wide open spaces in Connecticut“.

„ისე, როგორც ვიცი, ვაკის პარკშიც ყოფილა, თურმე, ველური ბუნება.“

დედნის ტოპონიმი „კონეკტიკუტი“ შეცვლილია ქართველისათვის კარგად ნაცნობი „ვაკის პარკით“.

იგივე ეფექტი ხორციელდება შემდეგ შემთხვევებშიც:

„Melman: Connecticut?Yeah, what you got to do is you gotta go over Grand Central“.

„ჟორა: ხოო,ზოოპარკიდან რო გახვალ, 214 მარშუტკაზე დაჯდები და 20 წუთში იქა ხარ“

„Melman: Oh no! What are we gonna do?We gotta, we gotta call somebody!“

„რა უნდა ვქნათ? რა უნდა ვქნათ? რა ვქნათ, რა ვქნათ და პატრულს გამოვუძახოთ.“

„Monkey: I heard Tom Wolfe is speaking at Lincoln Center“.

„მაიმუნი: მე მგონი პარლამენტის წინ საქართველოს მიტინგი იწყება.“

„Alex: A King! Loved by my people! Let's just be simple! And you ruined everything!“

„მე ვიყავი ბავშვების საყვარელი გმირი. რა რეიტინგი მქონდა? მემარჯვენეებს 2% -ით ვუსწრებდი. შენ კი რა გამიკეთე, შე დამპალო შენა?“

„Gloria: Stop it! Look, We're just gonna find the people get checked in and have this mess straightened out!“

„სულ ტყუილად ნერვიულობთ. ჯერ უნდა ვიპოვოთ გამგეობა და დავფიქსირდეთ და დეპორტაციას გაგვიკეთებენ ჩვენს ზოოპარკში.“

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამ მულტფილმის თარგმნისას ადაპტაციის მეთოდი გამოიყენება და ამიტომაც, ქართულ თარგმანში ხშირად ვხვდებით ტექსტის თავისუფალ ინტერპრეტაციას. მთარგმნელები პერსონაჟთა სახის შესაქმნელად ხშირად იყენებენ სლენგს. ამ უკანასკნელს ისინი მაშინაც კი მიმართავენ, როდესაც მათი გამოყენება წყაროტექსტში არ დასტურდება. საინტერესოა, რომ ლომის პერსონაჟი მხოლოდ ძლიერი აღელვების დროს იყენებს სლენგსა და უხეში მიმართვის ფორმებს. ზებრის მეტყველებაში ვხვდებით ქართლური კილოს ნიმუშებს, რაც ზებრას სახის შექმნაში დიდ როლს ასრულებს. შეიმჩნევა, აგრეთვე, ალუზიების ჩანაცვლების შემთხვევებიც, რაც დიდ როლს ასრულებს პერსონაჟთა სახის შექმნაში, ამლიერებს „მოშინაურების“, გადმოქართულების, ეფექტს და ერთგვარ იუმორისტულ ფონსაც ქმნის.

ამ ყველაფერთან ერთად უნდა აღინიშნოს ხმოვანი ეფექტების როლიც, რომელიც უმნიშვნელოვანესია გმირთა სახის შექმნისა და მთლიანად მულტფილმის ეფექტურობის თვალსაზრისით. თუმცა, თარგმანის დროს შექმნილი პერსონაჟთა სახეები სასაცილო და ადვილად დასამახსოვრებელია, ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ორიგინალის გმირებისაგან. განსხვავებული პროსოდიული თვისებები განსხვავებულ გმირებს ქმნის. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლორიას მამაკაცი, საქართველოში ცნობილი კომედიური მსახიობი, ახმოვანებს და ამოსავალი ტექსტის ნაზი გლორია, უხეში და სასაცილო პერსონაჟით იცვლება.

ქართულ თარგმანში თვალშისაცემია ჟარგონისა და ქართლური კილოს ჭარბი გამოყენება, რაც მულტფილმს უფრო უფროსი ასაკის აუდიტორიისათვის განკუთვნილად აქცევს. საბავშვო მულტფილმში ვფიქრობთ, მიზანშეწონილი არ არის უხეში ჟარგონისა და კუთხური კილოს ზედმეტად გამოყენება. ბავშვებზე მათ შეიძლება არასასურველი გავლენა მოახდინონ. პატარებს მისაბამი გმირი სჭირდებათ და რადგან ფილმი აშკარად ბავშვთა აუდიტორიისათვის არის შექმნილი, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ის სწორად იქნას მიწოდებული და აღქმული.

სტილისტური ასპექტები თარგმანში

თავდაპირველი მნიშვნელობით სტილი გულისხმობდა გასანთლულ დაფაზე სიტყვების ამოსაკაწრავ წვერწამახულ ჩხირს. შემდეგ იგი ეწოდა წერის მანერას, აზრის გამოთქმის მანერას, აქედან გადავიდა ჩაცმულობაზე, ვარცხნილობაზე, არქიტექტურაზე.

მაშასადამე, ზოგადად სტილი დღეს ნიშნავს იმას, რითაც ერთი ქმედება თუ ნამოქმედარი გამოირჩევა მსგავსი ქმედებებისა თუ ნამოქმედებისგან. ამ გამორჩეულობას ქმნიან გამორჩეული ადამიანები, შემოქმედებითი ნიჭის მქონენი, რომლებიც ითვალისწინებენ, ყოველ შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდნენ ამ ნამოქმედარის მომხმარებელთა გემოვნებას და ბუნებრივია აქ გასათვალისწინებელია თვით ობიექტის თავისებურებებიც. მაგ. რა უკიდევანო ფანტაზიაც არ უნდა ჰქონდეს დიზაინერს, იგი ვალდებულია ტანსაცმელს გაუკეთოს ხელ-ფეხისა და თავის გასაყოფი.

ლინგვისტიკაში სტილი ეწოდება აზროს გამოთქმის ფონეტიკურ, ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა სისტემას; ლიტერატურაში ძირითადად 2 სტილის შესახებ საუბრობენ: სასაუბრო და წიგნური სტილი.

სასაუბრო სტილი თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა:

1. სასაუბრო-ლიტერატურული სტილი, რომელშიც იგულისხმება ის სიტყვები და გამოთქმები, რომელსაც განათლების მქონე, ინგლისური ენის მცოდნე (ინგლისურ ენაზე მოსაუბრე) ადამიანი იყენებს თავის ყოველდღიურ ზეპირ თუ წერით მეტყველებაში. ჩვენს შემთხვევაში ეს არის სტანდარტული ინგლისური;

2. სუფთა სასაუბრო, ანუ ფამილარული სტილი, სადაც გვაქვს გარკვეული შემოკლებები, მაგ. doc = doctor, lab = laboratory, lav = lavatory და ა.შ.

ჩემი მოკრძალებული აზრით ამ სტილს შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. digispeak – ციფრული ენა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებებში – ჩატებში, სოციალურ ქსელებში, ფორუმებში და ა.შ.

მაგალითად, როგორცაა WTF = What the Fuck = Who the Fuck = Why the Fuck; CYO = See You Online; B4N – Bye for now; TTUL = Talk To you later; tl;dr = too long didn't read; IMHO = In My Humble Opinion და ა.შ.

3. ვულგარული სტილი (relating to, or current among the great mass of common people, in contrast to the educated, cultured, or privileged;), სადაც შედის ლანძვარ-გინება, წყევლა-კრულვა, “damn it”, “bloody”, “shut up”, ‘put a sock in it”, “sob” ამ და მსგავს სიტყვებს ხშირად მიაკუთვნებენ slang-ს, რაც არასწორია, რადგან ჟარგონი კი არის ბუნებით ვულგარული, მაგრამ გავრცელებულია და ემსახურება გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს. მაგალითად, მოსწავლეთა ჟარგონი to cram – ზუთხვა, to cut lessons, to play the truant – შატალოზე წასვლა, გაკვეთილების (ლექციების) გაცდენა;

სამხედრო ჟარგონში big noise – გენერალი, უფროსი, picture show – ბრძოლა; კრიმინალების ჟარგონში: a persuader – რევოლვერი, დანა, wrap – მოკვლა, equalizer – იარაღი, თოფი, პისტოლეტი.

წიგნური სტილში შედის:

1) მაღალფარდოვანი ლექსიკა, მაგალითად – to commence = to begin-ის ნაცვლად, to end = to finish-ის ნაცვლად, to demonstrate, to present = to show-ის ნაცვლად. რასაკვირველია აღნიშნული წყვილები სინონიმებია, თუმცა მათ გამოიყენებას თავისი დანიშნულება აქვს, გააჩნია სად იყენებთ, თუ იცავთ წერის აკადემიურ სტილს, მის გარკვეულ კანონზომიერებებს, მაშინ ამ საბაზისო წესებსაც უნდა მიაქციოთ ყურადღება. საქმიანი საუბრები/მიმოწერა, სხვადასხვა დანიშნულების/თემატიკის ანგარიშები/მოხსენებები, დასკვნები, ნაშრომები,

კვლევები, ეს არასრული ჩამონათვალია იმისა, სადაც მსგავს ლექსიკურ მარაგს იყენებენ.

აქვე შედის, მწიგნობრული ლექსიკა, რომელსაც პოეტურს უწოდებენ, ბევრი არქაიზმებით და ნეოლოგიზმებით.

ასევე ოფიციალური გამოსვლების სტილიც, სადაც ცხადია ადგილი აქვს მაღალფარდოვან სიტყვებსა და გამოთქმებს (ქართულენოვან ოფიციალურ გამოსვლებს ნუ წარმოიდგენთ), მაგ.: donation – gift, comestibles – food, abandon – leave..

2) სპეციალური ტერმინოლოგია – ყოვლისმომცველი და მრავალფეროვანი მახასიათებლების გამო ნამდვილად ცალკე აღნიშვნის ღირსია; სპეც. ტერმინოლოგია მეცნიერების ყველა დარგს თავისი აქვს, რომელიც სხვათაშორის ძირითადად შესაბამისი სპეციალობის ექსპერტთა მიერ იქმნება და არა ხალხში.

თარგმანის დროს ტერმინების გადმოტანა, თუ რა თქმა უნდა საერთაშორისოდ აღიარებულ და შეთანხმებულ ტერმინებთან ან/და ასევე საყოველთაოდ აღიარებულ ლათინური წარმოშობის სიტყვებთან (მაგ. მედიცინაში, სამართალში) არ გვაქვს საქმე, ძალიან რთულია, რადგან სხვადასხვა ენებში, სხვადასხვა კულტურის ხალხში არსებული დენოტატები (denotatum/denotata) ე.ი. აღსანიშნები, არ ემთხვევა ერთმანეთს სტრუქტურულად.

მაგალითად, როდესაც ვთარგმნით დაახლოებით 300 გვერდიან სამედიცინო ნაშრომს ვიწრო მიმართულების თემაზე “პრეპარატის კლინიკური და პრეკლინიკური მონაცემები ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მაგალითზე” უმჯობესია თუ ყურადღებით გადავაკითხავთ მინიმუმ პირველ 10 გვერდს – 10 იმიტომ რომ ხშირ შემთხვევაში ათიდან 4 გვერდი სარჩევს უჭირავს, ამით თქვენ მნიშვნელოვნად წასწევთ საქმეს წინ და შეძლებისდაგვარად გაამარტივებთ მძიმე შრომას, პირველ რიგში ნაშრომის სარჩევის თარგმნით შეჯერდებით სათაურებზე და ხოლო მთლიანობაში კი მინიმუმ პირველ ათ გვერდზე წინასწარი მუშაობით და ტერმინების დახვეწით შეაჯერებთ მთლიანი ნაშრომის ტერმინებს და სტილს. სტილისტურად ყველაზე მეტად ნეიტრალურია სამეცნიერო-ტექნიკური სტილი.

როგორც ვხედავთ ლინგვისტიკაში აქცენტირებულია სტილის ენობრივი, უფრო სწორად კი ლექსიკური ინვენტარი, მაგრამ სტილს მეტყველებაში ქმნის არა მარტო ენობრივი მასალა, არამედ ამ მასალის მანიპულაციის ხასიათი, ანუ ამ სიტყვებისა და გამოთქმების ორდინალური თუ არაორდინალური ფუნქციონირება. სახელდობრ, ტექსტები ე.ი. მეტყველების ნიმუშები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მარტო ლექსიკურ გრამატიკული შედგენლობით, არამედ ამ ტექსტების სტრუქტურით, კომპოზიციით, მათში შემავალი წინადადებების სიგრძე-სიმოკლით, სიმარტივე-სირთულით. წინადადებებში წევრთა პირდაპირი ან ინვერსიული განლაგებით და ა.შ.

ასე რომ, მთარგმნელის ამოცანა არა მარტო ერთ ენაზე გამოთქმული აზრის, ინფორმაციის, მეორე ენაზე ადეკვატური გადატანაა, არამედ ამ აზრის, ინფორმაციის “სამოსელის”, “შეფუთვის”, შესაბამისი განმეორება მასპინძელ ენაში.

თარგმანის დონეები

არსებობს ტენდენცია, რომ თარგმანი მოიხსენიონ მხოლოდ რიცხვში, თითქოსდა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლისას მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს. ამგვარად, თარგმანი მხოლოდ ერთი სახის არ არის. ის იცვლება იმ თემის მიხედვით, რომლის აღდგენასაც აპირებს. ავიღოთ სიტყვა გერმანულ ენაზე: hartnäcking: ის შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „მტკიცე, შეუპოვარი, ურყევი“ ანდა ფრანგულად dur de nuque, à la nuque dure - რაც იგივეს ნიშნავს. თარგმანს შეუძლია გამოხატოს სიტყვის მნიშვნელობა (მტკიცე), მან შეიძლება ასევე აღადგინოს მისი მოტივაცია (dur de nuque – სიტყვასიტყვით ნიშნავს მაგარი კეფის მქონეს).

უამრავი მაგალითი არსებობს, რომელიც მოითხოვს თარგმანს მოტივაციის დონეზე. კონტექსტის გარეშე შეიძლება ვისაუბროთ ენობრივ აღწერაზე. ტექსტში მოტივაცია, რომელიც ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩება შეიძლება უცებ გახდეს საგრძნობი. ასეთია მაგალითად, სიტყვათა თამაში. „Asseyez-vous, puisque nous sommes aux assises de la linguistique - დაბრძანდით, ვინაიდან ჩვენ ვესწრებით ლინგვისტიკის სხდომას“ ამბობდა ერთ დღეს ერთი კოლეგა. თარგმანმა ეს უნდა გაითვალისწინოს. უმეტეს შემთხვევაში, ორიგინალის მოტივაცია არ ისახავს მიზნად მის აღქმას. თარგმანი უნდა განხორციელდეს მნიშვნელობის დონეზე.

ერთხელ შეიძლება ვთარგმნოთ dur de nuque, მეორეჯერ სიტყვით opiniâtre, ამით სიტყვა hartnäcking ალბათ არ შეიცვლება, მაგრამ მისი აღქმა შეიძლება შეიცვალოს; სიტყვის წარმოშობის იდენტიფიკაცია, რომელიც იძლევა dur de nuque, გარდაიქმნება მნიშვნელობად, რაც გამოიხატება სიტყვის opiniâtre მნიშვნელობით.

ჩანს, რომ უკვე არსებობს თარგმანის ორი შესაძლებელი დონე, რომელთა აღრევა ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას იშვიათად ხდება. თუ სურთ გამოხატონ იდენტური მნიშვნელობა, უნდა შერჩეულ იქნეს განსხვავებული მოტივაცია, თუკი სურთ შეინარჩუნონ იდენტური მოტივაცია, მაშინ ვერ გამოხატავენ ერთსა და იმავე მნიშვნელობას. გერმანულად ამბობენ Nährtling რომ გამოხატონ სიტყვის nourisson – „ჩვილი“ მოტივაცია, მაგრამ იყენებენ სიტყვა Säugling, რომ გადათარგმნონ მისი მნიშვნელობა. ზოგადად არსებობს ტენდენცია, როდესაც ერთხელ დავადგენთ მნიშვნელობის შესატყვისს, რაც ყოველთვის ადვილი არაა, ფიქრობენ, რომ თარგმანი განხორციელდა. იგი ითვლება განხორციელებულად ენის და არა ტექსტის ან დისკურსის დონეზე. სინამდვილეში სიტყვების სემანტიკური გაფართოებისას ერთი ენის დონიდან დისკურსში გადასვლისას საჭიროა სხვა სიტყვების შერჩევა, როდესაც საქმე ეხება მათ თარგმანს. წყვილი სიტყვების გარდა მოტივაცია–მნიშვნელობა არსებობს მოტივაცია–აზრი.

შევეცადოთ ახლა ერთი ენის ფარგლებში ავხსნათ მაგალითები. დავინახავთ, რომ ერთი სიტყვა იღებს სხვადასხვა აზრს, მაშინ როდესაც მნიშვნელობა არ იცვლება: porte – კარი სიტყვა რჩება ისევე სიტყვად კარი, როდესაც ავტობუსში ერთი მგზავრი იყვრება: კარი! მძღოლი მიხვდება ამ სიტყვის აზრს სიტუაციის მიხედვით. თუკი მან ადრე დახურა კარები, რითაც ხელი შეუშალა მგზავრს ჩასვლაში, ის მას გააღებს და თუკი მას დაავიწყდა კარების დახურვა ავტობუსის დაძვრის დროს, მაშინ იგი კარებს დახურავს. კარი უცვლელი რჩება, მაგრამ აღნიშნავს განსხვავებულ მნიშვნელობებს სიტუაციის მიხედვით. სიტყვის აზრი იცვლება ისე, რომ არ

შეცვლილა მნიშვნელობა. თარგმანი შეიძლება საკმარისი იყოს იმისათვის, რომ არ მოხდეს აზრის დარღვევა, ამიტომ საჭიროა ვიპოვოთ განსხვავებული მნიშვნელობები, რომ გამოვხატოთ იდენტური აზრი. შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ამ სიტყვების თარგმანი დისკურსის გარეშე:

ინგლისური	ფრანგული	ქართული
In	dans, à, y, en...	ში
sat	était assis, s'asseyait, couvrait	იჯდა, ჯდებოდა, ჩეკავდა
problem	Problème, cas...	პრობლემა, შემთხვევა
one of the three	l'un des trois	ერთი სამიდან
to travel	voyager	მოგზაურობა
later	plus tard	მოგვიანებით
on a visit	en visite	ვიზიტით
drum up	mobiliser	მობილიზება
business	affaire	საქმე

აქტუალიზებული მნიშვნელობის თარგმანი:

ინგლისური	ფრანგული	ქართული
In	de	ნათესაობითი ბრუნვის მაჩვენებელი
sat	étaient installés	განთავსებული იყო
discussing a problem	discuteraient ferme	მტკიცედ იმსჯელებენ
one of the three	l'un d'entre eux	ერთი მათ შორის
to travel	se rendre	გამგზავრება
later	le jour même	იმავე დღეს
on a visit	-	-
drum up	décrocher	გაფორმება
business	contrats	კონტრაქტები

გთავაზობთ ტექსტს, საიდანაც ამოღებული იქნა ეს სიტყვები:

One morning in June 1976, three Americans sat in the Lowndes Hotel, Knightsbridge, discussing a problem. One of the three was due to travel to Libya later that day on a visit which could possibly drum up more business for their company.

მისი თარგმანი ფრანგულ ენაზე ასე გამოიყურება:

Un matin de juin 1976, trois Américains étaient installés à l'hôtel Lowndes à Londres et discutaient ferme. L'un d'entre eux devait se rendre le jour même en Libye dans l'espoir d'y décrocher de nouveaux contrats pour leur société.

თარგმანი ქართულად:

1976 წლის ივნისის ერთ დღეს, სამი ამერიკელი გაჩერდა ლონდონის სასტუმრო ლოუნდში და გაცხარებით მსჯელობდნენ. ერთი მათგანი უნდა

გამგზავრებულიყო იმავე დღეს ლიბიაში იმ იმედით, რომ იქ გააფორმებდნენ მათი კომპანიისათვის ახალ კონტრაქტებს.

რატომ არ გამოიყენა მთარგმნელმა ზემოთ მითითებული მნიშვნელობების შესატყვისები? ისინი რომ გამოიყენებინა თარგმანი უფრო ცუდი იქნებოდა?

ერთი ენის იზოლირებული სიტყვები აღნიშნავს ინდივიდის მიერ თანდათანობით შექმნილ კონცეპტებს მის ენობრივ კომპეტენციასთან ერთად. როგორც ვნახეთ მოცემულ შემთხვევაში, ინგლისურ და ფრანგულ ენებში იდენტური კონცეპტები გვაქვს. მაგრამ მთარგმნელმა, ისევე როგორც მკითხველმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ აღიქვა ეს ცნებები. მონათხრობში აღიქვამენ სიმრავლეს, რომელიც შეესაბამება ვიზუალური პერცეფციის ამ სიმრავლეს და აქვს აზრი, რომელსაც მთარგმნელი შემდეგ გამოხატავს მნიშვნელობებით.

ინგლისურს (მნიშვნელობიდან აზრზე გადასვლისას) არ შეუძლია შეცვალოს სიტყვების მნიშვნელობები ენის დონეზე, ისევე როგორც, ფრანგულში სიტყვა „კარი“ არ შეცვლილა მნიშვნელობიდან აზრზე გადასვლისას. მაგალითად: *fermez, ouvrez la porte*, დახურეთ ან გააღეთ კარი, მაგრამ თარგმანი, ერთი სემანტიკური დონიდან „აზრობრივ“ დონეზე გადადის და ირჩევს მნიშვნელობებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ამ აზრის გამოხატვის უნარი აქვს.

ჩვენ ახლა ვნახეთ სამი დონე და თარგმანის სამი შესაძლებლობა:

- 1) ტერმინების მოტივაციის თარგმანი;
- 2) წინადადებების და გამონათქვამების სემანტიკის მნიშვნელობის თარგმანი;
- 3) ცნებითი და ემოციური აზრის თარგმანი ანუ ის, რაზეც წინადადებები მიუთითებენ ტექსტსა თუ დისკურსში.

სამი ეტაპი – მოტივაცია, მნიშვნელობა, აზრი, რომელიც ერთი და იგივე ენაში შეინიშნება მხოლოდ მეტ-ნაკლებად ღრმა გააზრებით, მოითხოვს თარგმანში განსხვავებულ ფორმალურ მარკირებას.

თარგმანში სხვა არჩევანიც ჩნდება: პროსოდიული საშუალებების ეკვივალენტობა ან იდენტურობა, სტილისტური, სინტაქსური საშუალებები და სხვა.

სწორედ სინქრონული თარგმანის მეშვეობით ვიღებ გამოცდილებას, ვასწავლი და ვახდენ თარგმნის თეორიულ განზოგადებას. დისკურსის ზეპირი თარგმანი, რომელიც ფორმულირებულია სპონტანურად, შეიცავს პარამეტრების მთლიანობას, რომელიც მონაწილეობს კომუნიკაციაში. მთარგმნელს თვალწინ აქვს რაღაც ტექსტი, რომლის ინტერპრეტაცია საკომუნიკაციო სიტუაციაში მაშინვე შესამჩნევი არ არის. თარჯიმანი პირიქით იმყოფება სიტუაციაში, რომლის ყველა ელემენტი წარმოდგენილია: ორატორი, აუდიტორია ან მსმენელები, რომლებსაც ის მიმართავს, ადგილი სადაც ის იმყოფება, მომენტი, რომელიც ყველასთვის საერთოა, ნაცნობი ინფორმაცია. ამ სიტუაციაში ტექსტისთვის ყველა გარეშე ელემენტი ავტომატურად მონაწილეობს გამონათქვამის ინტერპრეტაციის დროს. თვით კომუნიკაციის იარაღი „ნორმალურია“. ზეპირი დისკურსის პროსოდია და გადაცემის სისწრაფე ინტერპრეტაციის ფაქტორებია. თარჯიმანს არ შეუძლია რომელიმე სიტყვაზე შეჩერდეს და საკუთარ თავს დაეკითხოს, ხომ არ აქვს ამ სიტყვას კიდევ სხვა ნიუანსი, ხომ არ მოხდა დამატებითი სემის აქტუალიზება, თუ ასეთი მოტივაცია შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოცემული. გადაცემის სისწრაფე მიესადაგება გაგების სისწრაფეს და, ამგვარად, სავალდებულო თარგმანს. ისე ხდება, რომ არც ერთი

სიტყვის დამახსოვრება არ ხდება იზოლირებულად, არც ერთი წინადადება არ არის განხილული სხვებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ თითოეული შეფერილია წინა წინადადებების შესახებ შემორჩენილი დევერბალიზირებული მოგონებით.

ზეპირი თარგმანი ერთი მნიშვნელობის მქონეა, ძირითადად თავისი სისწრაფის წყალობით და იმ მახსოვრობით, რომლის ენის ელემენტებსაც ის თარგმნის. როდესაც დაწერილ ტექსტს ვკითხულობ, რომელშიც საუბარია წინადადების ორაზროვნებაზე, სიტყვათა პოლისემიაზე, როდესაც მესმის „ვერბალური ტექსტი კარგავს ორაზროვნებას“, „ის დაძლევს პოლისემიას“, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჰგონიათ რაღაც კაცუნა არსებობს, რომელიც ამუშავებს ტექსტს, ანდა ტექსტი მარტო მოქმედებს! არა, ტექსტი მხოლოდ თეთრ ფონზე დაწერილი შავი გრაფიკაა, რომელიც ემორჩილება მკითხველის ყველანაირ ინტერპრეტაციას. შეუძლებელია ტექსტს მიუდგე ინტერპრეტაციის გარეშე ანუ ისე, რომ მას არ მიაჩნოდ არჩევით კოგნიტიური აზრი, მნიშვნელობა, მოტივაცია, ყველაფერი, რაც გამომდინარეობს იმათი აზროვნებიდან ვინც კითხულობს ანდა თარგმნის. სხვა ტერმინებით რომ ვთქვათ, კონტექსტი კი არ კარგავს ორაზროვნებას, არამედ ჩვენი ვიზუალური აღქმის სისწრაფე მოიცავს მთელ ფრაზას, ერთ ასოს ან ერთ სიტყვას. ჩვენ ყურს შეუძლია სმენით აღიქვას ერთდროულად 7–დან 8 სიტყვამდე. ჩვენი კოგნიტიური მეხსიერება დიდხანს ინარჩუნებს იმ სიტყვების აზრს, რომლებიც ქმნის შემეცნებით კონტექსტს, რომელიც ანიჭებს მკითხველს და მთარგმნელს დიდ ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციულ განწყობას.

თარგმანის თეორიული ასპექტები

რა არის თარგმანი? თარგმანი არის ისეთი პროცესი, რომლის დროსაც შესაძლებელია დამყარდეს ეკვივალენტური დამოკიდებულება ორ სხვადასხვა ენაზე გამოხატულ ტექსტს შორის. თარგმანი გახლავთ მეტყველების რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენა, რომლის სხვადასხვა ასპექტი იპყრობს ლიტერატორების, ფსიქოლოგების, ეთნოგრაფებისა და ლინგვისტების ყურადღებას.

თარგმანის პროფესია უძველესია. თარგმანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების, სამეცნიერო, ტექნიკური თუ კულტურული გაცვლების დროს. იგი ეხმარება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს გადალახონ ენობრივი ბარიერი. მთარგმნელის ამოცანაა გადმოსცეს სხვა ენის მემკვიდრით სრულად და ზუსტად ორიგინალის შინაარსი ისე, რომ არ დაირღვეს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებები. მან უნდა მოახდინოს არა ცალკეული გრამატიკული ან სინტაქსური კონსტრუქციების შეპირისპირება, არამედ სტრუქტურულ–სემანტიკური ჯგუფების შეპირისპირება, რომლებიც ერთ აზრობრივ მთლიანობას შეადგენენ. წერითი თარგმანის დროს შესაძლებელია ტექსტის წინასწარი წაკითხვა და ანალიზი, რომლითაც განისაზღვრება შინაარსის ხასიათი, მისი სტილისტური თავისებურება. რა თქმა უნდა თარგმანისას ჩნდება ისეთი ერთეულები, რომელთათვისაც მთარგმნელი შესატყვისს ირჩევს ენის უმდიდრეს საშუალებათა არსენალიდან. ეს არჩევანი როდია თვითნებური. არ შეიძლება ორენოვანი ლექსიკონებით შემოფარგვლა, რადგან ვერც ერთი ლექსიკონი ვერ განსაზღვრავს კონტექსტუალურ მნიშვნელობათა მრავალფეროვნებას. ამიტომ

თარგმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ტიპის ლექსიკურ ტრანსფორმაციებს, რომლებიც ექვემდებარება ლოგიკურ–სემანტიკურ პრინციპს და ითვალისწინებს სტილისტურ და ექსპრესიულ ფაქტორებს.

თარგმნის პროცესში გამოიყოფა შესატყვისების სამი კატეგორია:

1. ეკვივალენტები;
2. ვარიანტული და კონტექსტუალური შესატყვისები;
3. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები.

პრინციპული ხასიათის განსხვავებაა პირველსა და ორ დანარჩენ კატეგორიას შორის. პირველი განეკუთვნება ენის სფეროს, დანარჩენი ორი კი მეტყველების სფეროს.

ეკვივალენტი შესიტყვებაა, რომელიც არ არის დამოკიდებული კონტექსტზე. ეკვივალენტი თარგმნის პროცესში ერთგვარ კატალიზატორს წარმოადგენს. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ზეპირი თარგმნის დროს. სწორედ მას გააჩნია მუდმივი შესატყვისები მშობლიურ ენაში. ის ეხმარება თარჯიმანს გაიგოს კონტექსტისა და მთელი გამონათქვამის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა ლექსიკონი არ იძლევა ყოველთვის სწორ მნიშვნელობას, მაგრამ იგი გვაძლევს ზუსტ წარმოდგენას იმ სიტყვათა და სიტყვათშეერთებების კატეგორიების შესახებ, რომელთაც მხოლოდ ერთი ეკვივალენტური შესატყვისი აქვთ მოცემულ ენაში.

ვარიანტული შესატყვისები მყარდება სიტყვებს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო ენის მოცემულ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს მშობლიურ ენაში.

კონტექსტუალური მნიშვნელობები ჩნდება მეტყველებაში სიტყვების გამოყენების პროცესში. სიტყვის მნიშვნელობა დამოკიდებული ხდება მისი გარემომცველი სიტყვების მნიშვნელობებზე. მათი რეალიზება ხდება ექსტრალინგვისტური კონტექსტის უშუალო ზემოქმედების შედეგად. განასხვავებენ უზუალურ (განმეორებით) და ოკაზიონალურ (შემთხვევით) მნიშვნელობებს. უზუალური მნიშვნელობები შეიძლება გადავიდეს ვარიანტული შესატყვისის კატეგორიაში. ოკაზიონალური კი ჩნდება და ქრება, როგორც ამა თუ იმ ავტორის მიერ სიტყვათა სუბიექტური გამოყენების გამოხატულება და იგი უფრო მეტად მხატვრული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი.

თარგმანის განხორციელების სფერო ენა კი არა, არამედ მეტყველებაა. თარგმნის „მინიმალური ერთეული“ წინადადებაა. უნდა ვერიდოთ სიტყვა–სიტყვით თარგმანს. ეს გახლავთ დამწყები მთარგმნელების „საყმაწვილო სენი“, რომელსაც გვერდს ვერ უვლიან თუკი ადგილი აქვს უცხო და მშობლიურ ენებში სიტყვების ფონეტიკურ მსგავსებას. მათ უწოდებენ „თარჯიმნის ცრუ მეგობრებს“. მაგალითად, ფრანგულში სიტყვა *côtelle* ნიშნავს ძვლიან ხორცს და არა კატლეტს. ინგლისურში *compositor* ნიშნავს ასოთამწყობს (ტიპოგრაფიაში), გერმანულში კი *Dramaturg* ნიშნავს რეჟისორს და არა დრამატურგს. მეორე უფრო უხეში და საშიში შეცდომაა, როდესაც მთარგმნელი იყენებს ყველაზე მეტად გავრცელებულ სიტყვას კონტექსტუალური მნიშვნელობის ნაცვლად ან კიდევ ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობას თარგმნის მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობით.

ცნობილია, რომ უცხო ენაში სიტყვები პოლისემანტურია ანუ მრავალმნიშვნელოვანი. ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის დაკონკრეტება ხდება

კონტექსტით. მხოლოდ ტექნიკური სიტყვებია მონოსემანტური ანუ ერთი მნიშვნელობის მქონე.

რა გვადლევს იმის თქმის უფლებას, რომ თარგმანი შეესაბამება ორიგინალს, მაშინ როდესაც არც სიტყვები და არც გრამატიკული სტრუქტურა არ ემთხვევა? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როდის შეიძლება ვთქვათ, რომ თარგმანი კარგია. გერმანელი მეცნიერი ვერნერ კოლერი გამოყოფს ეკვივალენტების ხუთ კატეგორიას:

1. თარგმანმა უნდა გადმოსცეს ის ინფორმაცია, რაც მოცემულია ორიგინალში ექსტრალინგვისტური რეალობის შესახებ, მას კოლერი დენოტაციურ ეკვივალენტს უწოდებს;
2. თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს სტილი (კონოტაციური ეკვივალენტი);
3. თარგმანი უნდა შეესაბამებოდეს თარგმნილი ტექსტის ხასიათს: არ შეიძლება ამა თუ იმ კერძის დამზადების რეცეპტი სამართლებრივი ხელშეკრულების მსგავსად დაიწეროს, ამ ეკვივალენტს ნორმის ეკვივალენტი ქვია;
4. თარგმანი უნდა მიესადაგებოდეს მკითხველის ცოდნის დონეს, რათა მისი გაგება შესაძლებელი იყოს (პრაგმატული ეკვივალენტი);
5. თარგმანმა იგივე ესთეტიკური ზეგავლენა უნდა მოახდინოს, როგორც ორიგინალმა.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინება და დაცვა უდაოდ აუცილებელია როდესაც ხდება თარგმანის შეფასება. არსებობს თარგმანში ლექსიკური ვაკუუმი, ანუ როდესაც სიტყვის თარგმნა შეუძლებელია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ქმნის მთლიანობაში ტექსტის თარგმნის პრობლემას. საქმე ეხება ძირითადად ისეთ საგნებს და ჩვევებს, რომლებიც უცხოა სხვა ქვეყნის კულტურისათვის. ესაა ძირითადად კერძების სახელწოდებანი, ადათ-წესები, მეცნიერული თუ ტექნიკური სიახლეები. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს, რათა მკითხველისათვის გასაგები იყოს ესა თუ ის ცნება. მაგალითად: ჩურჩხელა, რომელიც ყველა ქართველისათვის გასაგებია, რომლის თარგმნა შეუძლებელია უცხო ენაზე, გასაგები რომ იყოს უნდა მოხდეს მისი ჩაწერა და შემდეგ მისი ახსნა სქოლიოში ჩამოტანით.

მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ისიც, რომ უნდა იყოს თუ არა მთარგმნელი სათარგმნი ტექსტის ერთგული? ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი შეიძლება გავიხსენოთ. ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალის სიმონა სინიორეს მამა, ანდრე კამინკერი თანმიმდევრული თარგმნის დიდი ოსტატი გახლდათ. მას ერთხელ ერთმა ორატორმა უსაყვედურა იმის გამო, რომ არ გამოიჩინა ერთგულება მის მიერ წარმოთქმული სიტყვის მიმართ. მაშინ თარგმანმა მას ასე უპასუხა: „მე ის არ მითქვამს რაც თქვენ თქვით, მე ვთქვი ის, რაც თქვენ უნდა გეთქვათ“. სინამდვილეში ერთგულება ავტორის ენის მიმართ არ ნიშნავს ერთგულებას ავტორის მიმართ. ლიტერატურული მთარგმნელის თავისუფლება ხორციელდება სათარგმნი ტექსტის ფორმასთან მიმართებაში, და არა იმ ზემოქმედებასთან მიმართებაში, რომელსაც ეს ფორმა ახდენს. ერთი რამ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ მთარგმნელი თავისუფალია სიტყვების შერჩევაში, მაგრამ მან მკაცრად უნდა დაიცვას სათარგმნი ტექსტის შინაარსი. საკითხი გადაიჭრება იმ

პრობლემით, თუ რა მიმართებაა ეკვივალენტებსა (სიტყვები, რომლებიც დაფიქსირებულია ლექსიკონებში) და ვარიანტულ (მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით) შესიტყვებებს შორის.

ის მნიშვნელობები, რომლებსაც სიტყვა ღებულობს თარგმნის პროცესში კონტექსტის მიხედვით, რომელიც არ შეესაბამება ლექსიკონის მნიშვნელობას იწოდება ლექსიკურ ტრანსფორმაციებად. არსებობს ლექსიკური ტრანსფორმაციების შვიდი სახესხვაობა:

1. მნიშვნელობათა დიფერენცირება;
2. მნიშვნელობათა კონკრეტიზირება;
3. მნიშვნელობის განზოგადოება;
4. აზრის განვითარება;
5. ანტონიმური ტარგმანი;
6. სრული გარდაქმნა;
7. თარგმნის დროს დანაკარგის კომპენსაცია.

ტრანსფორმაციის ხერხები შემოქმედებითი ხასიათისაა, მაგრამ თუკი სიტყვის მნიშვნელობა ტრანსფორმაციის შედეგად აბსოლუტური ხდება, იგი შეიძლება დაფიქსირებულ იქნას ლექსიკონში, როგორც ეკვივალენტი. ეს უფრო ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნას ეხება.

მნიშვნელობათა დიფერენცირება. არც ერთი ორენოვანი ლექსიკონი არ გადმოსცემს სრულად მოცემული სიტყვის ყველა შესატყვისს, რომელიც შეიძლება მას ჰქონდეს კონტექსტში რეალიზაციის დროს.

მნიშვნელობის კონკრეტიზაცია. ქართული ლექსიკისათვის დამახასიათებელია უფრო მეტი კონკრეტულობა, ვიდრე ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენებისათვის. მაგალითად, სიტყვას meal აქვს მნიშვნელობები საკვების მიღება, ჭამა, წინადადებაში Have you had your meal ? არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ის ეკვივალენტები, რომლებიც ზემოთ იყო ნახსენები. დროის მიხედვით იგი შეიძლება ნიშნავდეს საუზმეს, სადილს ან ვახშამს. მსგავს მოვლენებთან გვაქვს საქმე, როცა ვამბობთ ფრანგულად déjeuner ან dîner ლექსიკონში დაფიქსირებული მნიშვნელობებიდან საუზმე და სადილი, იმის გათვალისწინებით თუ ფრანგები როდის საუზმობენ და რომელ საათზე სადილობენ, ქართული რეალობისათვის déjeuner იქნება სადილი და dîner კი ვახშამი.

მნიშვნელობის განზოგადოება. ეს ხერხი მდგომარეობს კონკრეტული ცნების ზოგადით შეცვლაში. მოცემული ხერხი გამოიყენება იმ მიზნით, რომ არ მოხდეს თარგმნის დროს სიტყვის მნიშვნელობის დამახინჯება მისი ეკვივალენტით, რომელიც ლექსიკონშია დაფიქსირებული.

აზრის განვითარება. ეს ხერხი გულისხმობს სიტყვის ლექსიკონში დაფიქსირებული მნიშვნელობის შენაცვლებას კონტექსტუალური, ლოგიკურად მასთან დაკავშირებული მნიშვნელობით. ამის მაგალითია მეტაფორული და მეტონიმური შენაცვლება. ძირითადი მეტყველების ნაწილები იყოფა სამ კატეგორიად: საგანი, პროცესი და თვისება. თარგმნის პროცესში შეიმჩნევა სხვადასხვა ტიპის შენაცვლება, როგორც თითოეული კატეგორიის შიგნით, ასევე სხვადასხვა კატეგორიებს შორის. თარგმნის დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თუ სიტყვის რა ფორმით გადმოიცემა მისი შინაარსი. საგანი შეიძლება თვისებამ

შეცვალოს, პროცესი საგანმა და თვისება საგანმა ან პროცესმა. პროცესში იგულისხმება, როგორც მოქმედება ისე მდგომარეობა.

ანტონიმური თარგმანი. ეს ხერხი მდგომარეობს ამა თუ იმ ცნების, რომელიც ორიგინალშია მოცემული, საპირისპირო მნიშვნელობით შენაცვლებაში ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას შინაარსის პლანი. უმეტეს შემთხვევაში ეს გახლავთ დადებითი წინადადების უარყოფითი წინადადებით შეცვლა ანდა უარყოფითის დადებითი.

სრული გარდაქმნის ხერხი. ეს ხერხი გახლავთ შინაარსობრივი განვითარების სახესხვაობა, რომელიც ანტონიმური თარგმნისაგან განსხვავებით, ხასიათდება უფრო მეტი დამოუკიდებლობით. იგი შეიძლება უფრო მარტივად განვსაზღვროთ როგორც მნიშვნელობის სინთეზი, ანალიზთან უშუალო კავშირის გარეშე. ხდება მეტყველების ჯაჭვში შიდა ფორმის გარდაქმნა. ცალკე სიტყვა გადადის სინტაგმაში და ზოგჯერ თვით წინადადებაშიც კი. ამ შემთხვევაში კავშირი საწყისი ენის ერთეულთა შიდა ფორმებსა და სათარგმნი ენის ერთეულთა ფორმებს შორის არ შეიმჩნევა. სრული გარდაქმნის მაგალითების მოყვანა შეიძლება სალაპარაკო ენაში უკვე დამკვიდრებული ფორმებიდან, რომელთაც ლექსიკონშიც კი დააფიქსირეს თავიანთი შესატყვისები. უფრო მეტად იგი გულისხმობს სალაპარაკო ენის თავისებურებებს. მაგალითად: How do you do, Welcome, Have done – გეყოფა; ფრანგულში: La belle histoire - დიდი ამბავი; Bien de choses chez vous - მოკითხვა თქვენებს; Ça te la coupe? - რა, არ ელოდი? გერმანულში კი Willkommen, Dicker Freund - ახლო მეგობარი. სრული გარდაქმნა წარმოადგენს ლექსიკური ტრანსფორმაციის გავრცელებულ ფორმას.

თარგმნის კომპენსაციის ხერხი. ამ ხერხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თარგმნის პრაქტიკაში შეიძლება გვექონდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის სიტყვა არ იქნას თარგმნილი, ეს სიტყვა კი რაიმე მთელის შემადგენელი ნაწილი იყოს. რა თქმა უნდა, მთელი არსებობს არა როგორც აბსტრაქტული ცნება, ის შედგება კონკრეტული ელემენტებისაგან, რომელთაგან ყველა როდია მნიშვნელოვანი და თანაც მექანიკური ერთობლიობით კი არა, არამედ სისტემაშია მოცემული შეთანხმებით და ქმნის შინაარსის ერთიანობას. არსებობს სემანტიკური კომპენსაცია და სრული კომპენსაცია, რომლებიც უფრო მხატვრული თარგმანებისთვისაა დამახასიათებელი და ამოტომ, ეს საკითხი ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ანაკოლუფი თარგმანში. იგი გახლავთ ერთ-ერთი სტილისტურ-სინტაქსური საშუალება, რომელიც გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში. ანაკოლუფი არის წინადადების სტრუქტურის დარღვევა, როდესაც წინადადების ბოლო ნაწილი არ შეესაბამება მის დასაწყისს. ზეპირმეტყველებაში ეს ხშირად ხდება, როდესაც ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ სხვადასხვა მიზეზების გამო და მას ავიწყდება მის მიერ წარმოთქმული წინადადების დასაწყისი და მას ამთავრებს სრულიად სხვა სტრუქტურით. ეს აიხსნება უფრო მოსაუბრის ფსიქიკური მდგომარეობით მეტყველების მომენტში. ესაა ღელვა, დაბნეულობა, ორჭოფობა, სიჩქარე. თარგმნის პროცესში აუცილებელია მოვახდინოთ გრამატიკული ტრანსფორმაციები, რომლებიც გულისხმობს წინადადების სტრუქტურის გარდაქმნას თარგმნის პროცესში სათარგმნი ენის ნორმების გათვალისწინებით. ტრანსფორმაცია შეიძლება იყოს მთლიანი და ნაწილობრივი. ამის მიხედვით იცვლება სრულიად ან

ნაწილობრივ წინადადების სტრუქტურა. თუ იცვლება წინადადების მთავარი წევრები, ადგილი აქვს სრულ ტრანსფორმაციას. თუკი მეორეხარისხოვანი წევრების ტრანსფორმაციას აქვს ადგილი, მაშინ ხდება ნაწილობრივი ტრანსფორმაცია. წინადადების წევრების შეცვლის გარდა შეიძლება თვით მეტყველების ნაწილებიც შეიცვალოს. უნდა გათვალისწინებულ იქნას ყველა ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გრამატიკული ტრანსფორმაცია. ესენია:

1. წინადადების სინტაქსური ფუნქცია;
2. წინადადების ლექსიკური მნიშვნელობა;
3. წინადადების სემანტიკური სტრუქტურა;
4. წინადადების კონტექსტი;
5. წინადადების ექსპრესიულ-სტილისტური ფუნქცია.

წერთი თარგმნის დროს დიდ დახმარებას გვიწევს ლექსიკონი. ლექსიკონი არ გვაძლევს სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას. განსაკუთრებით როდესაც სიტყვის ოკაზიონალურ მნიშვნელობას ეხება საქმე. მისი კონტექსტუალური მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია, მხოლოდ სიტყვის სემანტიკური სტრუქტურისგან გამომდინარე. სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში იგულისხმება არა მარტო სიტყვის მნიშვნელობათა ერთობლიობა, არამედ ამ სიტყვის უახლოესი სინონიმები. რაგინდ სრულყოფილი არ უნდა იყოს ორენოვანი ლექსიკონი, მაინც შეუძლებელია მასში გათვალისწინებულ იქნას ენის ყველა ნიუანსი. ამ შემთხვევაში უმჯობესია მივმართოთ განმარტებით ლექსიკონებს, რომლებიც ამომწურავ პასუხს გასცემს ყველა კითხვას. დიდი სიფრთხილე გვმართებს ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის დროს. ამ შემთხვევაში ყოველთვის სწორად უნდა იქნას გაგებული და თარგმნილი ფრაზეოლოგიზმი არსებული ეკვივალენტის მეშვეობით. ცნობილი მეცნიერი ფეოდოროვის სიტყვებით რომ ვთქვათ “სრულყოფილი თარგმანი ნიშნავს ორიგინალის სემანტიკური სტრუქტურის ამომწურავ გადმოცემას ისე, რომ თარგმანი სრულიად შეესაბამებოდეს ორიგინალს ფუნქციურად და სტილისტურად”.

რეფერატული თარგმანი

განასხვავებენ თარგმანის შემდეგ სახეებს: წერთი, რეფერატული, თანმიმდევრული, სინქრონული და მანქანური. წერთი თარგმანის თავისებურებებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ახლა განვიხილოთ რეფერატული თარგმანი. XX საუკუნის ბოლო, განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეული როგორც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის წლები, ხასიათდება ინფორმაციის სულ უფრო მზარდი ნაკადით, მისი მრავალფეროვნებით, მისი მოცულობის ზრდით, მიწოდების სიჩქარით, მისი შენახვისა და გადაცემის საშუალებათა სრულყოფით. სამეცნიერო ინფორმაციის გადამუშავების ხერხებს შორის ძირითადი როლი უკავია რეფერირებას.

რეფერირება ხელს უწყობს უცხო ენაზე არსებული მასალის მოტივირებულ ათვისებას, ააქტიურებს კითვის უნარს. თვით რეფერირების პროცესს გააჩნია მაღალი სასწავლო პოტენციალი. იგი ხელს უწყობს აზრობრივი ინფორმაციის საკმაოდ სწრაფ გადამუშავებას, რომელიც მოცემულია პირველწყაროში და ამასთან

ავითარებს ანალიტიკურ აზროვნებას, მიუთითებს შესასწავლი ენის ფლობას განსაზღვრულ დონეზე.

ჩვენს დროში მეცნიერება განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ობიექტური სამყაროს შემეცნებასა და ხალხთა მსოფლმხედველობის ფორმირებაში. სამეცნიერო ცოდნის გადაცემის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ყველგან და ყოველთვის წერილობითი დოკუმენტები და მათში ჩადებული ინფორმაცია. აუცილებელია ამ ინფორმაციის მიღება რაც შეიძლება ჩქარა.

მეცნიერული შრომა იყოფა თეორიულად და ექსპერიმენტულად, მაგრამ არის კიდევ სამეცნიერო შრომის მესამე სახესხვაობა, სამეცნიერო-ინფორმაციული მოღვაწეობა. მისი მოწყვეტა არ შეიძლება რეფერატული სამსახურისაგან. მეცნიერი, თვით პოლიგლოტიც კი, ვერ შეძლებს თვალი გადაღვინოს მეცნიერების ცალკეული დარგის სამეცნიერო ლიტერატურას მთლიანობაში. თუ დავეყრდნობით იუნესკოს მონაცემებს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ყოველწლიურად მსოფლიო წიგნის ბაზარზე გამოდის 350 ათასი წიგნი, ამასთან ფაქტიურად ციფრი უფრო მაღალი უნდა იყოს, რადგან წიგნების უმეტესი წილი მოდის ისეთ გამოცემებზე, როგორებიცაა საუნივერსიტეტო და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პუბლიკაციები, რომლებიც გაყიდვაში არ არის. წიგნის, როგორც ინფორმაციის წყაროსა და სამეცნიერო მონაცემების გავრცელების საშუალების როლი შენელებულია ხშირად იმის გამო, რომ წიგნის დასაწერად და გამოსაცემად საჭიროა რამდენიმე წელი. ამ წიგნში მოცემული ინფორმაციის წასაკითხად და გადასამუშავებლად საჭიროა კიდევ გარკვეული დრო. თუკი წიგნი დაწერილია უცხო ენაზე, მაშინ ინფორმატიულობა კიდევ უფრო იგვიანებს. აქედან გამომდინარეობს, რომ ახალ ლიტერატურაზე მუშაობა საჭიროა მრავალსაფეხურიანი სისტემით: პირველი საფეხურია – სამეცნიერო ჟურნალების ახალი ნომრების გადათვალთვალება და კითხვა; მეორე საფეხურია – სტატიათა ექსპრეს-მითითებებზე მუშაობა; მესამე საფეხურია – სარეფერატო ჟურნალებზე მუშაობა. რასაკვირველია, ამ საფეხურთა გამოყოფა სამეცნიერო ინფორმაციის მოსამეზნად ასე თუ ისე პირობითია. რეალურ ცხოვრებაში ეს საფეხურები დაკავშირებულია სხვადასხვა კომბინაციებით უფრო რთულ სისტემებში.

სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა, რეფერატების, ანოტაციების, ექსპრეს-ინფორმაციების თარგმანებზე მუშაობა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და შრომას. ყოველივე ამის მეგზურები არიან რეფერენტები ანუ ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო-ინფორმაციულ ძიებას და თარგმანს.

რეფერატული მოღვაწეობის ისტორიიდან. რეფერატი (ლათ. refero - მოვახსენებ, ვატყობინებ) – წერილობითი სახით ან საჯარო გამოსვლის ფორმით წიგნის, სამეცნიერო შრომის შინაარსის, სამეცნიერო პრობლემების შედეგების მოკლე გადმოცემაა. ეს არის მოხსენება განსაზღვრულ თემაზე, რომელიც მოიცავს შესაბამისი ლიტერატურული და სხვა წყაროების განხილვას. როგორც წესი, რეფერატს აქვს სამეცნიერო-ინფორმაციული დანიშნულება. რეფერატმა, რომელსაც სამეცნიერო მოხსენებასაც უწოდებენ, ფართო გამოყენება ჰპოვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სკოლებში, პოლიტიკური განათლების

სისტემაში, სახალხო უნივერსიტეტებში. 337 წლის განმავლობაში სარეფერატო სამსახურმა მიაღწია განვითარების უმაღლეს დონეს. სარეფერატო ჟურნალის სამშობლოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას საფრანგეთი. 1665 წელს გამოიცა იქ პირველი რეფერატული ჟურნალი. მას ეწოდებოდა „მეცნიერთაჟურნალი“ და თვეში ერთხელ გამოდიოდა. მასში მოცემული იყო მასალა ახალი წიგნების შესახებ, ცნობები ავტორისა და წიგნის პუბლიკაციის მნიშვნელობის შესახებ. მკითხველები იყვნენ არა მარტო საფრანგეთის, არამედ სხვა ქვეყნების ინტელექტუალური ცხოვრების კურსში. ამ ჟურნალმა იარსება 130 წელი. XVIII საუკუნეში საფრანგეთში გამოდიოდა უნივერსალური ჟურნალი, რომელიც ცნობილი იყო საფრანგეთის გარეთაც. ის გამოდიოდა ორჯერ თვეში და აცნობდა მკითხველებს ევროპული კულტურის მიღწევებს. ამ ჟურნალს დიდ შეფასებას აძლევდა ვოლტერი. პირველი გერმანული რეფერატული ჟურნალი იყო Monatsextrakte (ყოველთვიური ამონაკრები), გამოდიოდა ლაიპციგში 1703 წლიდან. იგი აქვეყნებდა მიმოხილვებს პოლიტიკური ჟურნალებიდან.

რუსეთში პირველი ნაბიჯები რეფერირებაში გაკეთდა XVIII საუკუნის I მეოთხედში. პირველ სარეფერატო ცენტრად იქცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია. რეფერატული ჟურნალები იმ დროს იყო „მეცნიერებათა აკადემიის კომენტარების მოკლე აღწერა“ და „მეცნიერულ მოსაზრებათა შინაარსი“ 4 ტომად. დიდი წვლილი ამ საქმეში მიუძღვის მ. ლომონოსოვს. საქართველოში პირველი რეფერატული ჟურნალი გაჩნდა 1924 წელს, რომელსაც ეწოდა „მომამბე“.

რეფერატული მოღვაწეობა და რეფერენტის მოვალეობანი. XX საუკუნეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საუკუნეს, ასევე ინფორმაციის საუკუნესაც უწოდებდნენ. სამეცნიერო ლიტერატურის გადამუშავების ერთ-ერთ სახეს წარმოსდგენს რეფერირება. რეფერენტი, რომელიც ადგენს რეფერატს არის პირი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დანერგვას.

სარეფერატო მოღვაწეობის პროდუქტს დიდი სოციალური მოთხოვნები წაეყენება. ეს თავის მხრივ განაპირობებს პირთა გარკვეული წრის არსებობას, რომლებიც შეასრულებენ ამ მოთხოვნებს. რეფერენტებს სპეციალურად ამზადებს საზოგადოება და გააჩნიათ რეფერენტებისა და რეფერენტ-მთარგმნელებისათვის საჭირო სპეციალური ცოდნა და უნარ-ჩვევები. სამეცნიერო აღმოჩენებისა და გამოგონებათა დანერგვის ამოცანათა გადაწყვეტაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მთარგმნელობით რეფერირებას, რომელიც ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ ასეთი ტიპის რეფერატი კეთდება სხვა ენაზე, ვიდრე საწყისი დოკუმენტის ენაა. ამიტომ მთარგმნელ-რეფერენტის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა რეფერირებისას ენიჭება ფაქტების, ციფრობრივი მონაცემების, სარეფერატო მასალის ცალკეული დებულებების განზოგადებას. ამ განზოგადოების უნარის განვითარება შესაძლებელია, მაგრამ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, როცა რეფერენტთა კადრები ივსება გამოცდილი მთარგმნელებისაგან, მათგან ყველას როდი შეუძლია სარეფერატო სამუშაოს შესრულება და ხშირად ხანგრძლივი ვარჯიშიც კი ამაოა. ამიტომ სანამ მთარგმნელს ვაზიარებთ რეფერირებას, მიზანშეწონილია მისი პოტენციალური შესაძლებლობების შემოწმება. ლოგიკური აზროვნებისა და პროფესიული დაინტერესების გარდა, რომელიც

საჭიროა განზოგადოების ოპერაციისათვის, მომავალი რეფერენტის დამახასიათებელი ნიშნებია ერუდიცია და კარგი მეხსიერება. მნიშვნელობა არა აქვს რა სფეროში წარმოებს რეფერირება: სამეცნიერო-კვლევით, სამეცნიერო-ტექნიკურ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, ყველა ზემოთჩამოთვლილი თვისებები აუცილებელია რეფერენტისათვის.

ერუდიცია გულისხმობს საქმეში ჩახედულობას იმ სფეროში, რომელშიც მას მოუწევს მუსაობა. რეფერენტს უნდა ჰქონდეს ფართო თვალსაწიერი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მან შეძლოს დაინახოს მასალაში აღწერილი ფაქტები სინამდვილის ფონზე და არა აბსტრაქტულად.

უცხოური პრესის რეფერენტი კარგად უნდა ფლობდეს ისტორიას, გეოგრაფიას, ქვეყნის სახელმწიფო წყობას და იყოს საერთაშორისო ურთიერთობათა საქმის კურსში. ელემენტარული მოთხოვნა მომავალი რეფერენტისადმი ეს არის უცხო ენის კარგი ცოდნა და მშობლიური ენის საშუალებათა სრულყოფილი ფლობა, რამდენადაც რეფერირება ხდება მშობლიურ ენაზე. რაც შეეხება მეხსიერებას, მასზეა დამოკიდებული ძირითადად რეფერენტის შრომის პროდუქტიულობა და მისი პროფესიული ზრდა. ყოველთვის უპირატესობა მიენიჭება იმ პიროვნებას, ვისაც კარგი მეხსიერება აქვს, უნარი შესწევს მესხიერებაში შეინახოს ვრცელი ინფორმაცია და არ გამოიყენოს ყოველ წუთს ცნობარი და სპეციალისტის კონსულტაცია, რაც აისახება მუშაობის ტემპშიც. ეს ეხება ისეთ საკითხებს, რომლებთანაც უკვე ჰქონია საქმე რეფერენტს და ისეთ ინფორმაციას, რომელიც მან უკვე მიიღო, მაგრამ არ შემოინახა მეხსიერებაში.

პირველწყაროს აზრობრივი ანალიზი. პირველად უნდა მოხდეს სათანადო რაოდენობა სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების გამოყოფა, რომლებიც აუცილებელია ტექსტის შინაარსის იდენტიფიკაციისათვის. სწორედ ესაა ტექსტის ძირითადი შინაარსი. საჭიროა მათი ხაზგასმა, ამოწერა და მითითება, რომელი აბზაციდან არის ამოღებული. შეიძლება ერთ აბზაცში იყოს რამდენიმე საკვანძო ფრაგმენტი ან შეიძლება სულ არ იყოს ეს საკვანძო ფრაგმენტები მთელ რიგ აბზაცებში. განზოგადოებული ფორმულირება აღინიშნება რომაული ციფრებით. შეიძლება ამოვიწეროთ ცალკეული სიტყვათშეთანხმებები ან მთელი წინადადებები. შემდეგ იწყება დედნის აზრობრივი ანალიზი: უნდა გამოვავლინოთ და გამოვყოთ საჭირო ინფორმაცია. რეფერატზე მუშაობის სამი ეტაპინ არსებობს:

1. პირველწყაროს ანალიზი;
2. შეკვეცილი ინფორმაციის სინთეზი;
3. რეფერატული ტექსტის გაფორმება.

ტექსტის სემანტიკური შეკვეცა. ტექსტის გაგების ორი საფეხური გვაქვს: ენობრივი გაგება და აზრის ამოღება. ეს უკანასკნელი გულისხმობს:

- 1) ნაკლებად მნიშვნელოვანი მასალისაგან გათავისუფლებას;
- 2) ციტირებას;
- 3) ცალკეული მონაკვეთების გადაადგილებას;
- 4) განზოგადოებული დასკვნის გამოტანას, რომელიც განსაზღვრული მონაკვეთების აზრის შეჯამებას გადმოსცემენ;
- 5) გაზვიადებას ან შეკვეცას, რაც ორიგინალში კონკრეტულია;
- 6) ერთი შინაარსის შეცვლას მეორეთი, რომლებიც მსგავსია შინაარსობრივად.

სემანტიკური კომპრესია გულისხმობს სიჭარბის მოცილებას. სიჭარბე ეს არის რიგი ელემენტების თვისება მოახდინონ ტექსტში ერთმანეთის დუბლირება და უზრუნველყონ კომუნიკაციის დიდი საიმედოობა. სიჭარბის მოცილება ხდება ტრანსფორმაციებით: ლექსიკური (სინონიმთა ბაზაზე), ეკვივალენტური, გრამატიკული, ჰიპონიმური (კონკრეტულის შეცვლა ზოგადით და პირიქით).

სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის ლინგვო-სტილისტური დახასიათება. სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტი უნდა გამოირჩეოდეს გარკვეულობით, ლოგიკურობით, სიზუსტით, შეკვეცილობით, აღწერის უპირო ხასიათით, ტერმინოლოგიური და ნორმატიული სამეტყველო კლიშეების გამოყენებით. უნდა გამოვიყენოთ მარტივი წინადადებები, ნომინალიზაცია, ენობრივი საშუალებების მაქსიმალური ეკონომიის პრინციპით, აბსტრაქტული მნიშვნელობის არსებითი სახელები.

ზმნის პირის ფორმებიდან არ გამოიყენება II პირი, იშვიათად I პირის მხოლოდითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის I პირს აქვს სპეციალური გამოყენება როგორც ავტორისეულ „ჩვენ“-ს. არ უნდა გამოვიყენოთ შორისდებული, ბრძანებითი კილო, უფრო ჭარბობს პასივი, თხრობითი წინადადებები, არ ვიყენებთ კითხვით და ძახით წინადადებებს, ელიფსურ წინადადებებს. ხშირად გვაქვს სუბსტანტივირებული ინფინიტივი, რადგან უპირატესობა ენიჭება პროცესს და არა მოქმედების შემსრულებელს. გვაქვს მიზეზ-შედეგობრივი, წყვილი კავშირები, ჩართული სიტყვები. ლექსიკა ემოციურად ნეიტრალურია. ადგილი უნდა ჰქონდეს აზრის ამომწურავ, სრულ, ზუსტ, თანმიმდევრულ, ლოგიკურ და ობიექტურ გადმოცემას.

რეფერატის სახეები

რეფერატი ანალიზურ-სინთეზური და ლოგიკური პროცედურის, კომპრესიის შედეგია. რეფერატი წარმოადგენს პირველადი ტექსტის მიკრომოდელს, რომელსაც აქვს ტექსტისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: ბმულობა და თემატურობა. მათი ხორცშესხმა რეფერატში ქმნის მის სემანტიკურ და სინტაქსურ ერთიანობას. რეფერატი არის ორიგინალის შინაარსის ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების შედეგი – კომპრესირებული მეორადი ტექსტი. მეორადი ტექსტის მოცულობა ყოველთვის იყო კამათის საგანი. რეფერატის მოცულობის შემოწმებისათვის იყენებენ კომპრესიის კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერაა მეორადი ტექსტის მოცულობა შემცირებული ორიგინალის მოცულობასთან შედარებით. რაც უფრო მეტია შეკუმშვის კოეფიციენტი, მით უფრო მცირეა დოკუმენტის მოცულობა. რეფერატის შედგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სრულადაა გადმოცემული კომპრესირებულ ტექსტში ორიგინალის შინაარსი. იმის მიხედვით, თუ რამდენად ღრმად და ობიექტურადაა გაანალიზებული, რა ფორმით და რა სისრულითაა გადმოცემული ორიგინალის შინაარსი რეფერატში, განასხვავებენ ინფორმაციულსა და ინდიკატიურ რეფერატებს. რეფერატის ტიპი განისაზღვრება რეფერენტის მიზნით, ინფორმაციის ხასიათითა და მისი დანიშნულებით. ინფორმაციული რეფერატი შეიცავს ორიგინალის ძირითად ფაქტოგრაფიულ ინფორმაციას და გადმოსცემს მას ასპექტურად, ფრაგმენტულად,

პასუხობს კითხვაზე: რა არის ნათქვამი პირველწყაროში. ინდიკატიური რეფერატი მიუთითებს ორიგინალის შინაარსის ძირითად ასპექტებზე, რომელიც აუცილებელი კომპონენტია რეფერატისათვის, პასუხობს კითხვაზე: როგორ, რანაირ, რა სახის ინფორმაციას მოიცავს პირველადი დოკუმენტი და რა სისრულით არის გადმოცემული მასში ინფორმაცია. არსებობს რეფერატის შემდეგი სახეები:

1. რეფერატ-რეზიუმე, ანუ ინდიკატიური რეფერატი, საჩვენებელი რეფერატი;
2. რეფერატ-კონსპექტი, ანუ ინფორმაციული რეფერატი.

რეფერატ-კონსპექტი დგება მაშინ, როცა სარეფერატო მასალა იმდენად მნიშვნელოვანია თემისა და შინაარსის მიხედვით, რომ აუცილებელია აისახოს მეორეხარისხოვანი დეტალებიც; როცა პირველწყაროში ბევრია სტატისტიკური და ციფრობრივი მონაცემები, რომელთა განზოგადოება არ შეიძლება ღირებული ინფორმაციის დაუკარგავად; როცა პირველწყაროში არის რიგი ერთნაირად მნიშვნელოვანი დებულებებისა, რომელთა გამოტოვება არ შეიძლება.

რეფერატ-რეზიუმე საჭიროებს ფართო განზოგადოებებს, გადმოცემის (ინფორმაციის) შეკვეცას, მკვეთრ ფორმულირებას. ამიტომ რეფერენტმა უნდა შეძლოს სწორედ შეარჩიოს განზოგადოების ხერხები: კერძო უნდა შეიცვალოს ზოგადით. გვაქვს მონოგრაფიული რეფერატები (შედგენილი ერთი დოკუმენტით) და მიმოხილვითი, რომლებიც დგება რამდენიმე დოკუმენტის მიხედვით. რეფერატი ესაა შეკვეცილი თარგმანი ან მექანიკური თხრობა, რომლის დევიზია: თუ რა ახალი ძირითადი სამეცნიერო ინფორმაციაა მოცემული სარეფერატო ნაშრომში.

რეფერატული თარგმანი უნდა იყოს ორიგინალზე მოკლე. რეფერატი არის მასალის შინაარსის განზოგადოებული და შეკვეცილი გადმოცემა რეფერატის დანიშნულებისა და ამოცანის შესაბამისად.

რეფერატული კითხვა. აქ უნდა დავასახელოთ კითხვის შემდეგი ეტაპები:

1. კითხვა ტექსტის გაცნობის მიზნით;
2. კითხვა საკვანძო ფრაგმენტების გამოყოფის, განზოგადოების უნარის გამომუშავების მიზნით;
3. რეფერატის გადმოცემა.

ანოტაცია. ანოტაცია ორიგინალის შინაარსის უმოკლესი გადმოცემაა და იგი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის პირველად დოკუმენტზე. ანოტაცია უმოკლესი ფორმით, მაგრამ სრულყოფილი სახით აცნობს მკითხველს პირველადი დოკუმენტის არსს. სრულყოფილია ანოტაცია, თუკი მასში არის ცნობები დოკუმენტის თემისა და მისი დანიშნულებების შესახებ. რეფერატსა და ანოტაციაში სრულყოფილებას განაპირობებს ობიექტური ინფორმაციის გადმოცემის აუცილებლობა, ამდენად, ავტორისეული თვალსაზრისის შეცვლა რეფერენტის შეხედულებით, დაუშვებელია. რეფერატსა და ანოტაციას საერთო სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: საძიებო, კომუნიკაციური და შეფასებითი.

საძიებო ფუნქცია. მკითხველმა ზოგადად იცის პირველწყაროს არსებობის შესახებ, მაგრამ მას არა აქვს ცნობები პირველწყაროს ადგილმდებარეობის შესახებ, იცის ორიგინალის სათაური, ავტორის ვინაობა, დოკუმენტის სახეობა, ანუ მისთვის ცნობილია დოკუმენტოგრაფიული ნისნები, მაგრამ მას არა აქვს მონაცემები პირველწყაროს ადგილმდებარეობის შესახებ. პრაქტიკულად საძიებო ფუნქციის

საშუალებით ხდება პირველადი დოკუმენტის ადგილისა და შინაარსის მოძიება გარეგანი, დოკუმენტოგრაფიული მონაცემების საშუალებით.

კომუნიკაციური ფუნქცია. მკითხველს მიეწოდება ცნობები უცნობი დოკუმენტის ზოგადად არსებობისა და მისი არსებითი, ძირითადი შინაარსის შესახებ.

შეფასებითი ფუნქცია. შეფასებითი ფუნქციის მიზანია გაუწიოს მკითხველს რეკომენდაცია მოცემული დოკუმენტის შესახებ. რეფერატსა და ანოტაციას შორის განსხვავება თავს იჩენს კომუნიკაციური ფუნქციის რეალიზაციის დროს. რეფერატს ორი თვისება აქვს: ინდიკატიური და ინფორმაციული, ხოლო ანოტაციას კი მხოლოდ ინდიკატიური. მისი ძირითადი დანიშნულებაა მკაფიოდ და ლაკონურად წარმოადგინოს პირველწყარო. ანოტაციისათვის, რეფერატისაგან განსხვავებით, ნიშანდობლივია ის, რომ აქ ძირითადი ინფორმაცია გადმოიცემა საკუთარი სიტყვებით. ანოტაციაში ხდება ორიგინალის შინაარსის მაქსიმალური აბსტრაქტიზაცია და მასალის მაქსიმალური განზოგადოება. ანოტაციაში გამოიყენებენ შეფასებით კლიშეებს, რაც განპირობებულია მასალის უკიდურესი განზოგადოებით. ეს კი რეფერენტისაგან მოითხოვს საანოტაციო მასალის კრიტიკულ შეფასებას. ანოტაცია შეიძლება იყოს: 1). ცნობითი ან აღწერითი; 2). სარეკომენდაციო ანუ რეფერატული. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: ა) ბიბლიოგრაფიული აღწერა; ბ) ანოტაციის ტექსტი; აქ ადგილი აქვს მასალის ზოგად დახასიათებას; ფიქსირებულია, თუ რაზეა ლაპარაკი მოცემულ სტატიაში ან წიგნში, მისი შინაარსის კონკრეტული გახსნის გარეშე. აქ საჭიროა საანოტაციო დოკუმენტის თემის დასახელება, მისი ძირითადი შინაარსის პრობლემის დახასიათება და ავტორის ძირითადი დასკვნები. მათი მოცულობაა 2-3 წინადადებიდან 10-15 სტრიქონამდე. მას ახასიათებს კონკრეტულობა, მონაცემების საკმარისი სისრულე გადმოცემის ლაკონურობასთან ერთად. იგი განკუთვნილია მიმოხილვისათვის ერთი თვალის გადავლებით.

რეფერატი-ანოტაცია. იგი გადმოსცემს მასალის შინაარსს შეკვეცილი ფორმით. იგი გადმოსცემს არა მარტო იმას, თუ რაზეა ლაპარაკი პირველწყაროში, არამედ კერძოდ რას შეეხება ის. იგი მოიცავს ერთ ნაბეჭდ ფურცელს (30-40 სტრიქონს) და მოითხოვს განზოგადოების უმაღლეს ხარისხს. მისი კომპოზიცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მიიჩნევს მისი შემდგენელი მკითხველისათვის ყველაზე არსებითად. გვაქვს ზოგადი და სპეციალიზირებული ანოტაციები. პირველს ვიყენებთ მაშინ, როცა არ ვიცით მკითხველის მომზადების დონე, მეორე კი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის. იგი ახასიათებს იმ თავებს, იმ გვერდებს, რომლებიც განეკუთვნება განსაზღვრულ თემას. დანარჩენი არ წარმოადგენს ინტერესის საგანს. მას აქვს უფრო საცნობარო, ვიდრე სარეკომენდაციო ხასიათი.

თემატურ ანოტაციას იყენებენ პრესის პუბლიკაციებისათვის, რომლებიც ახლოსაა თემატიკით. **მიმოხილვითი რეფერატი** შუალედური ფორმაა ანოტაციასა და შემაჯამებელ რეფერატს შორის. კომპლექსური ხასიათის მიმოხილვით რეფერატში გაერთიანებულია ინფორმაცია, რომელიც შეგროვილია სხვადასხვა ენებზე არსებულ მასალათა ანოტაციებში. იგი ხელსაყრელია სპეციალისტთა გათვითცნობიერებისათვის. იგი ახდენს სპეციალისტთა შრომისა და დროის ეკონომიას, რადგან რეფერენტი ახდენს ყველა საჭირო მასალის სისტემატიზაციას. გარდა რაოდენობრივი კრიტერიუმისა, ანოტაცია გამოირჩევა გადმოცემის

სქემატიზმით. საზღვარგარეთის პერიოდულ პრესაში არ არის მკვეთრი ზღვარი რეფერატს და ანოტაციას შორის.

რეფერატის ენა. იგი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ინფორმაციულობით, ინფორმაციის კონდენსირებული გადმოცემით. საჭიროა იმ სიტყვების გამოყენება, რომელთაც აქვს დიდი სემიოტიკური დატვირთვა. [(მაგ: სწავლული/ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი), ან (მასობრივი განადგურების იარაღი: ატომი, ნეიტრონის ბომბი, მომწამლავი ნივთიერება)]. ფართო გამოყენება აქვს პერიფრაზირებას, რაც ნიშნავს ერთი სიტყვით გრძელი წინადადების გადმოცემას. უნდა გამოვიყენოთ ის ტერმინოლოგია, რაც მიღებულია ჩვენთან: ქვეყნის დასახელება ოფიციალური სახით, გეოგრაფიული ადგილის დასახელება „მსოფლიო ატლასის“ უახლესი გამოცემის შესაბამისად. ფორმები, მარკები, მანქანათა მოდელების დასახელება ტრანსკრიფციით, შემოკლების გარეშე. უნდა გამოვიყენოთ ის შემოკლებანი, რაც მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში. უნდა ჭარბობდეს სუბსტანტივაცია, არსებითი სახელების სიჭარბე, სუსტი სემანტიკის ზმნები; უნდა ვერიდოთ ერთი და იგივე აზრის გამეორებას. ციტატები მაშინ გამოვიყენოთ, როცა ისინი გამოხატავენ მთავარ აზრს, არ უნდა გამოვიყენოთ ავტორის სტილი, არც ის გამოთქმები, რომლებიც მის სუბიექტურ თვალსაზრისს გადმოცემენ. მაგალითად: საჭიროა, დასაწინაა, რომ, სამწუხაროდ. სინტაქსი ერთფეროვანი უნდა იყოს. ვიყენებთ ერთგვაროვანი წევრებისგან შემდგარ წინადადებებს, პარალელურ კონსტრუქციებს, რომლებიც აგებულია ერთი და იმავე გრამატიკული მოდელის მიხედვით; ჭარბობს აღწერა, გრამატიკულ დროთა ერთფეროვნება (ან აწმყო დრო ან წარსული). ენა უნდა იყოს ინტელექტუალური, უკიდურესად კონცენტრირებული და გრამატიკულად სტანდარტული.

რეფერატის სტრუქტურა. რეფერირება შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ბიბლიოგრაფიული აღწერა, რეფერატის ტექსტი და დამატებითი ცნობები.

ტექსტის ინტერპრეტაცია თარგმანის თეორიაში

თარგმანის თეორია, როგორც დისციპლინა, ორიენტირებულია ადეკვატური თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრინციპების დებულებებზე. ტექსტის ინტერპრეტაცია კი ტექსტის თავისუფალი წაკითხვაა და, ამდენად, ის შესაძლოა, ადეკვატური თარგმანის პირდაპირი უარყოფაც კი იყოს. ადეკვატური თარგმანის წინაპირობა დედნის სწორი ასახვაა, ამის მიღწევის ერთადერთი გზა ტექსტისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებაა. მაგრამ თარგმნის პროცესში, არცთუ იშვიათად, ტექსტი მთარგმნელის მიერ აღიქმება სუბიექტურად, რაც ინტერპრეტაციის საფუძველი ხდება. ასეთ შემთხვევაში ხდება დედნის სრული იგნორირება და იქმნება დამოუკიდებელი, თითქმის ორიგინალური თხზულება. ინტერპრეტაციის წინა საფეხური ტექსტის გაგებაა, შემდეგ კი ხდება შემეცნებითი ტექსტის სუბიექტურად გარდაქმნა. ეს ზოგჯერ ნაწარმოების იდეის შეცვლაში გამოიხატება, ზოგჯერ ნაწარმოების სახეობრივი მასალის ცვლაში, ზოგჯერ სტილის შეცვლაში და სხვა. მხატვრული თარგმანის, როგორც შემეცნებითი ამოცანის, გადაჭრა მოითხოვს ავტორის სტილის, ეროვნული სპეციფიკის, ისტორიულ-ლიტერატურული ანარეკლის, დროისა და ადგილის შტრიხების, ფრაზეოლოგიური ერთეულების,

დიალექტიზმების, ეროვნული ლექსთაწყობის თავისებურებების, კერძოდ, რიტმის, ინტონაციის პოეტური ეკვიმეტრიის, ალიტერაციის, ასონანსის და სხვათა ადეკვატურად გადმოცემას. მაგრამ თარგმანში საგნობრივი სამყაროს ავტორისეული ხედვით ასახვაა მთავარი. ტექსტის ინტერპრეტაციის დროს ყოველივე ეს უარყოფილია. ინტერპრეტაცია ზედმიწევნით პიროვნულია და მთარგმნელის მხატვრულ პოზიციასზე დამოკიდებული. ტექსტის ინტერპრეტაცია ფაქტია ისტორიულ-ლიტერატურული ეპოქის ყველა საფეხურზე და მას გარკვეული მხარდაჭერაც ჰქონია. უფრო მეტიც, ის ზოგჯერ პირდაპირი შედეგი იყო საზოგადოებრივი ელიტის მოთხოვნისა (მაგ: თარგმანი ფრანგული კლასიციზმის ეპოქაში). ორიგინალის ტექსტთან მისვლის ასეთი გზა თარგმანის თეორიაში დაგმობილია, რადგან აქ უკიდურესობა არ გამოირიცხება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თარგმანი თავის დანიშნულებას არ უპასუხებს. თარგმანის ისტორიაში ტექსტის ინტერპრეტაციის უამრავი შემთხვევაა, რომელიც ყოველთვის სადაო იყო, მაგრამ მაინც ყოველთვის არსებობდა. ზოგი მთარგმნელი პირდაპირ თვლიდა, რომ დედნის ტექსტისადმი მთარგმნელის დაქვემდებარება მთარგმნელის დისკრიმინაცია იყო. ერთი მათგანი პირდაპირ აცხადებს, თარგმნის პროცესში არ დავემორჩილები შექსპირს, რადგან ეს ჩემი დამცირებაა; მე მას წავიკითხავ და ვთარგმნი ისე, როგორც მომესურვებაო. სხვათაშორის, დედნისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა გარკვეულწილად თარგმანის თეორიის შექმნა. საჭირო გახდა იმის გარკვევა, როგორი უნდა იყოს მისაღები თარგმანი. აქ თარგმანის თეორიამ შეძლო სწორი კრიტერიუმების გამომუშავება, რადგან ის ჩამოყალიბების პროცესში ეყრდნობოდა ისტორიაში არსებულ მაღალკვალიფიციურ თარგმანებს. ასეთი თარგმანების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გარკვეული ესთეტიკური პოზიციის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედება მთარგმნელის პრაქტიკულ მუშაობას. თუმცა დასამალი არაა ის, რომ ყველა მთარგმნელი ყურსაც არ იბერტყავს ასეთ კრიტიკულ შემახილზე, მაგრამ ამგვარი შენიშვნებით ისტორიულად თანდათან ჩამოყალიბდა მეცნიერულ-ლიტერატურული აზრი ადეკვატურ თარგმანთან დაკავშირებით. ტექსტის ინტერპრეტაცია, როგორც დედნის უკიდურესად სუბიექტური აღქმა, როგორც ითქვა არსებობდა თითქმის ყველა ეპოქაში, მაგრამ დონეების მიხედვით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული იყო. ამას, პირველ რიგში, განსაზღვრავდა სათარგმნი ტექსტის რაგვარობას. მხატვრული ტექსტის გარდა, რომელიც გარკვეულ სირთულეებს ქმნის თარგმნის პროცესში, არსებობს პუბლიცისტური და მეცნიერული ტექსტი. ზოგ შემთხვევაში ამ უკანასკნელთაც (მაგ: პოლიტიკურ-პუბლიცისტური ტექსტი) კი თავისუფლად თარგმნიდნენ, თუმცა ამის საჭიროება რაიმე მიზეზით განსაკუთრებით არ ყოფილა. ჩვენ შემთხვევაში საკითხი ეხება მხატვრულ თარგმანს, რომელიც როგორც სირთულით, ისევე ლიტერატურული მნიშვნელობითაც განსაკუთრებულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ თარგმანში შეუძლებელია მხატვრული კომპონენტების სრულად წარმოსახვა, რომელთაგან ზოგი უცილობელ შეცლას ექვემდებარება, ყველა თარგმანი გარკვეული ინტერპრეტაციაა. დამახინჯება, თუ ის ტექტის არასწორ გაგებასთან არის კავშირში, ინტერპრეტაცია ვერ იქნება. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ პოეტური ხატის ერთი ვარიანტი გვაქვს დედანში და მეორე, განსხვავებული ვარიანტი თარგმანში, მაშინ ეს უკვე მთარგმნელის თვითნებობაა და შედეგიც სახეზეა.

ისტორიას რომ გავყვით, მთარგმნელებს დედნის წინაშე დიდი ცოდვა აქვთ ჩადენილი, მაგრამ ისტორია უცოდველ თარგმანებსაც ბევრს იცნობს. ინტერპრეტაცია პარალელური ტექსტის თავისუფალი წარმოქმნაა, სადაც თარგმანსა და დედანს შორის ნამდვილად არსებობს მეტოქეობა. ინტერპრეტაცია ყველა შემთხვევაში ტექსტის დამახინჯებაა. არის თუ არა ინტერპრეტირებული ტექსტი მისაღები? თარგმანი ტექსტის შემოქმედებითი ასახვაა. თარგმანის პროცესის შემოქმედებითობა მხატვრული ტექსტის სწორი გაგება და მისი შესაბამისად წარმოსახვაა. შემეცნებითი ტექსტის ინტერპრეტაცია, როგორც პასტერნაკი ამბობს, დედნის წარმოსახვაა, მისგან მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით. მრავალ მხატვრულ ტექსტს, როგორც წესი, ზოგჯერ აქვს ქვეტექსტი, რომელიც თარგმანში, თეორიაში მიღებული აზრის მიხედვით, ქვეტექსტადვე უნდა დარჩეს. თუმცა ზოგჯერ მთარგმნელის მიერ ხდება ქვეტექსტის აზრობრივ-შინაარსობრივი გახსნა. ამ დროს ტექსტის სუბიექტური წაკითხვის ალბათობა მაღალია, რაც ინტერპრეტაციისაკენ მიმავალი გზაა.

ტექსტის ინტერპრეტაციის დონეები სხვადასხვა ეპოქაში, კერძოდ, შუა საუკუნეებში (ბიბლიის თარგმნა), აღორძინების ხანაში, ფრანგული კლასიციზმისა და განმანათლებლობის დროს, რომანტიკოსებთან, რეალისტებთან და მოდერნისტებთან სრულიად სხვადასხვა იყო. ამ მხრივ, ისტორიულად საინტერესო ეტაპებს ქმნის ქართული ლიტერატურა. განსხვავებულია ბიბლიურ და მამათა ცხოვრების ტექსტებთან ექვთიმე ათონელის, გიორგი ათონელისა და ეფრემ მცირის მიმართება. უფრო მოგვიანებით, იოანე პეტრიწის სკოლის ერთგვარი სქოლასტიციზმია ბერძნულ დედანთან მიმართებაში, ჩვენი ისტორიის კლასიკურ ხანაში „ვისრამიანის“ ქართული თავისუფალი თარგმანი, „შაჰნამეს“ მიბამვა-ვერსიები ქართულ ენაზე, აკალი წერეთლის თავისუფალი ინტერპრეტაცია კრილოვის იგავებისა და სხვა.

ტექსტის ინტერპრეტაცია ერთ-ერთი არსებითი პრობლემაა თანამედროვე თარგმანის თეორიაში. იგი სერიოზული ლიტერატურული კამათის საგანიცაა, რაც სრულიად არაა გასაკვირი, რადგან დღეს უკვე არსებობს თეორიული დებულება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს კარგი თარგმანი და რა გზები არსებობს მის მისაღწევად.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ქართული პოეზია ინტენსიურად ითარგმნება რუსულ ენაზე. გამოდის ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიები, ითარგმნება ცალკეული ცოცხალი კლასიკოსი, მათ შორის სიმონ ჩიქოვანიც. ჩიქოვანი ძალიან ახლოს იყო პასტერნაკთან და მრავალ გამოჩენილ რუს პოეტთან. ჩიქოვანის პოეზია ინტელექტუალური პოეზიაა, რომლის თარგმნა შედარებით იოლია, ვიდრე სხვა ქართველი კლასიკოსისა. ჩიქოვანი გაეცნო რა თარგმანში თავის პოეზიას სერიოზული პრეტენზია გაუჩნდა მისი ლექსების თარგმანების მიმართ, რაც დაუფარავად გამოხატა წერილში მთარგმნელებისადმი: “თუ ასე მთარგმნით, გთხოვთ, საერთოს არ მთარგმნოთ”. საქმე იმაში იყო, რომ ჩიქოვანის ლექსების თარგმანებში გაჩნდა სიტყვები “Шашлик, вина, бурдюк, кинджал” და სხვა, რაც ხსენებულ იქნა კი არ არის ორიგინალში. თვით ჩიქოვანი საერთოდ კატეგორიული წინააღმდეგი იყო პოეზიაში კავკასიური ეგზოტიკის გამოხატვისა. მთარგმნელებმა საკუთარი სურვილისა და შეხედულების მიხედვით

გადაამდერეს ჩიქოვანის ლექსები, მიუმატეს მათ კავკასიური ეგზოტიკის ზოგი ნიუანსი და ისე წარუდგინეს რუს მკითხველს, რამაც ქართველი პოეტის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ინტერპრეტაცია სრული უარის თქმაა იმ რეალობაზე, რომელიც დედანშია გამოხატული, ამიტომაცაა ის თეორიულ შრომებში დაგმობილი. არსებობს ინტერპრეტაციის როგორც შეგნებული ნაბიჯი მთარგმნელისა და არის ტექსტის არასწორად გაგების შედეგად მიღებული ლაფსუსი, მაგრამ სავალალო.

ზანგი პოეტის როუზის ლექსის “Черная Мария”-ს თარგმანში ისეთი ვითარებაა დახატული, თითქოს Черная Мария შავი მზეთუნახავია და განსაკუთრებული ვნებიანობით უყვარს რომელიღაც ზანგ ყმაწვილს. არადა დედნის მიხედვით Черная Мария ციხის ავტომობილია, რომლითაც ტუსარები გადაჰყავთ. ასეთი აბსურდი შეიძლება მოყვეს ტექსტის არასწორ გაგებას. უკრაინელი პოეტის პავლო ტიჩინას ერთ თხზულებაში გაჯავრებული პანი უყვირის მოსამსახურეს “Гоните, его, гоните прочь”. Гоните არა ყოველთვის, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში ნიშნავს женить. ასე გაიგო ის მთარგმნელმა და დაწერა კიდევ женить, его, женить. სიტყვის მნიშვნელობა კი ტექსტში არის “გააგდეთ ის, გააძვევთ”.

მეორე უკრაინელ პოეტს ვლადიმერ სოსიურას ერთ ლექსში აქვს ასეთი სტრიქონი: “На рози дзвенюв трамвай”. Рози -ს საწყისი ფორმა არის Роз”, რომელიც მიცემით ბრუნვაში იქნება рози, რაც ნიშნავს “კუთხეში, მოსახვევში”. მთარგმნელმა კი рози გაიგო როგორც ვარდები და ასეც დაწერა: “По розам звенить трамвай”.

უფრო უცნაურ ნიმუშებსაც იცნობს თარგმანის ისტორია. ამერიკელმა პოეტმა და მთარგმნელმა მერიენ გელდიმ ჩეხოვის სიკვდილიდან 10 წლის შემდეგ თარგმნა მისი თხზულებები და თარგმანებით ერთბაშად იძია შური იმ რუს მთარგმნელზე, რომელთაც ოდესმე დაუმახინჯებიათ ამერიკული ტექსტი თარგმანის დროს. ჩეხოვი ერთ თავის მოთხრობაში ასახელებს რუს პოეტს “ბატიუშკოვს”, რომელიც თარგმანში იქცა მართლმადიდებელ მღვდლად (Батюшка), გენერალი ჟომინი (ჟომინი) იქცა გერმანიად, დობროლიუბოვი – წმინდა Дбролюбка-დ, “гной” - гения-დ, გოგოლი ამერიკელი მთარგმნელისთვის, რომლის “Собака Каштанко” გადაიქცა «Каштановое дерево»-დ. აქ საკითხავია, ვერ გაიგო მთარგმნელმა, თუ ასე წაიკითხა? (შეგნებულად თუ სეუგნებლად ამას მნიშვნელობა არ აქვს). ორივე შემთხვევაში ეს არის ჩეხოვის, როგორც ხელოვანის განადგურება. რეალურად, “ჩეხოვი სტილისტურად უაღრესად დახვეწილი, ლაკონური აზრის მწერალია, რომელიც ევროპელებმა უყოყმანოდ დაასახელეს პირველ იმპრესიონისტ მწერლად. ასეთი თარგმანებით ილახება დედნის ავტორის, როგორც ხელოვანის, ავტორიტეტი. ძალიან ბევრი მწერალია თარგმანის ისტორიაში, რომელიც ცდილობს კლასიკოსიც კი თავის თარგზე გადმოიღოს და ისე დაიმსგავსოს, რომ ორიგინალის ავტორი შეიძლება ვეღარ იცნო”. ჰომეროსის “ილიადა” თარგმნეს ინგლისელმა პოეტებმა: ჩებმენმა, ჰოუპმა და კაუპერმა. ამ თარგმანებით ინგლისურად სამი განსხვავებული “ილიადა” გამოვიდა, დამსგავსებული თავად მთარგმნელებს: კაუპერთან ჰომეროსი მსრალი და ლაკონურია, ჩებმენტან – მაღალფარდოვანი, ჰოუპთან – ბრტყელ-ბრტყელი და გაბღენძილი.

ასევე დაემართა თარგმანში ინგლისელ პერსი ბისი შელის და ამერიკელ უოლტ უიტმენს, რომელიც შეასრულა რუსული სიმბოლისტური ჯგუფის გამოჩენილმა

ხელოვანმა ალ. ბალმონტმა. მისეულ თარგმანებს კატეგორიულად დაეტყო მთარგმნელის მსოფლმხედველობისა და პოეტური მანერის ანაბეჭდი. აქ საუბარია არა შეცდომებზე, არამედ მთელ სისტემაზე შეცდომებისა, რაც შელის, როგორც პოეტური სიტყვის ოსტატის ფიზიონომიას სავსებით ცვლის. მაგალითად: შელი წერს “звучи”, ბალმონტი თარგმნის “живое сочетание звуков”. შელი წერს “звезда”, ბალმონტი უფარდებს “яркие звезды”. აქ ეპითეტი “яркие” სრულიად ზედმეტია, ის თავისთავად იგულისხმება, რადგან სხვაგვარი ვარსკვლავი ჩვენ უბრალოდ არ ვიცით. შელი წერს “печаль”, ბალმონტი თარგმნის “томительные муки”. შელი ახსენებს “молния”, ბალმონტი ამ ერთ სიტყვას უფარდებს სამსტრიქონიან სტროფს. ასე შეიძლება გავაგრძელოთ დაუსრულებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელი თავის შეხედულებას, პოეტიკას, სტილს თავს ახვევს სათარგმნ ავტორს. აქედან გამომდინარე, ცნობიერი მკითხველი ამ თარგმანებში ბალმონტს უფრო დაინახავს ვიდრე შელის, ან შელის წარმოიდგენს როგორც მოდერნისტს მაშინ, როცა შელი მსოფლიოში აღიარებული ინგლისელი პოეტი რომანტიკოსია. დედნისადმი ასეთი დამოკიდებულება ინტერპრეტაციაა, რომელსაც სხვაგვარად მთარგმნელის თვითნებობა ეწოდება. ინტერპრეტაციის მომქმედი დანაშაულს ჩადის, რადგან ცვლის დედნის ავტორის მსოფლმხედველობას, წერის მანერას, და საერთოს სტილს; შედეგად მკითხველი იღებს არა ნამდვილ ავტორს, არამედ ცუდად გადამღერებულ გრძნობებს. მაგრამ ვინც დედანში არ იცნობს შელის მისთვის ეს შეიძლება მისაღები იყოს. თარგმანის თეორია იმიტომ არსებობს, რომ მთარგმნელმა მკითხველი არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში. ბალმონტი უნიჭიერესი პოეტი იყო, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მისი, როგორც პოეტის, ინდივიდუალური ხმა, რომ შეუძლებელი იყო სხვა პოეტის ინდივიდუალობას დაქვემდებარებოდა.

ბალმონტისეულ თარგმანებში უარესი დაემართა ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის პოეზიას. უიტმენი ნათელი აზროვნების პოეტია, რეალისტი. მან ლიტერატურაში ბალმონტის მოსვლამდე გამოუცხადა ომი ჩახუჭუწებულ რიტორიკას, მუსიკას ლექსში და საერთოდ იმ პოეტურ სტილს, რაც დაამკვიდრეს ლიტერატურაში მოდერნისტებმა. ბალმონტმა სცადა ამერიკელი პოეტი ექცია თავის თანამოაზრედ და თანამომემედ პოეზიაში. ბალმონტისა და უიტმენის მსოფლალქმა სრულიად განსხვავებულია, ამიტომაც ბალმონტს ხელი არ უნდა მოეკიდა უიტმენის პოეზიის თარგმანისათვის, მაგრამ რაკი დაიწყო მისი თარგმნა, მთლიანად მოირგო მისი პოეტური პალიტრა და უიტმენი ფაქტობრივად ბალმონტად აქცია. ბალმონტი არ აძლევს უიტმენს თარგმანში ილაპარაკოს ჩვეულებრივი ენით და თარგმნის პროცესში მის სადა, თუმცა ერთგვარად უხეს სიტყვიერ მასალას ცვლის არქაული, საეკლესიო სლავური ლექსიკით. უიტმენი უარს ამბობს რითმაზე, ბალმონტი კატეგორიულად რითმავს ყველა სტროფს. უიტმენს ძალიან უყვარს იასამანი (ლილაკ - лайлак), მთარგმნელმა ლაილაკი გაიგო როგორც лилию და შექმნა ბოტანიკაში უცნობი ჯიში, лилия растущая диким кустарником. ჩამოთვლილი ნიმუშები და უამრავი სხვა, რასაც ადგილი აქვს თარგმანში, არის არა ერთეული შეცდომა, არამედ შეგნებული უგულვებელყოფა დედნისა. ბალმონტის თარგმანი ბალმონტის ორიგინალური ლექსია, მოქცეული მისი მსოფლმხედველობის ჩარჩოებში და არავითარი კავშირი არ აქვს დედანთან. ეს მანკიერი ინტერპრეტაცია, სრული დამახინჯებაა დედნისა. ამიტომ ცნობილმა მთარგმნელმა და

თეორეტიკოსმა კორნეი ჩუკოვსკიმ ბალმონტის თარგმნის შედეგად მიღებულ ტექსტს შელმონტი უწოდა. ინტერპრეტაცია აზრისა და სიტყვის შეცვლით არ გამოიხატება მხოლოდ. ცნობილმა რუსმა პოეტმა და ასევე ცნობილმა მთარგმნელმა ჟუკოვსკიმ ჰომეროსის “ოდისეის” თარგმანში შეიტანა ბევრი მორალისტური ელემენტი, სენტიმენტალობა და გარკვეულად ქრისტიანული გაგება, რაც სრულიად უცნობია წარმართი ჰომეროსისთვის. თარგმანის ზოგიერთ პასაჟში იგრძნობა რომანტიკული აზროვნება, რაც ასევე სრულიად არაა ნიშანდობლივი “ოდისეისთვის”.

ზოგჯერ დედნის ფალსიფიკაცია ხდება პოლიტიკური ან პარტიული ვნებების ზემოქმედების საფუძველზე. უკიდურეს შემთხვევაში საქმე მიდის ტექსტის უკიდურეს დამახინჯებამდე. 1934 წელს პარიზში დაიდგა შექსპირის “კორიოლონი”. მთარგმნელია ფრანგი ნაციონალისტი რენე ლუი პიაშო. მთარგმნელმა, გარდა იმისა, რომ ბევრი რამ დამახინჯა, კორიოლონს მიაწერა იდეალისტი რეაქციონერი დიქტატორის თვისებები, რომელიც ტრაგიკულად იღუპება დემოკრატისთან უთანაბრო ბრძოლაში. ასეთი თარგმანის წყალობით შექსპირის პიესა ფრანგული რეაქციის საბრძოლო დროშად იქცა. მტკიცე დიქტატორულ ხელისუფლებაზე ოცნება საზოგადოებისა, რომელიც “წითელი საშიშროებითაა” მონუსხული, პოულობს სრულ გამოხატულებას შექსპირის მოდერნიზებულ თარგმანში. პიესის ეს ვარიანტი გაგებული იქნა როგორც პამფლეტი თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაზე საფრანგეთში. ამიტომ პირველი დადგმის დროსვე საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო. სპექტაკლის დროს პარტერი (სადაც ბურჟუაზია იჯდა) ტაშს უკრავდა, გალიორკიდან კი გამაყრუებელი სტვენა ისმოდა. დამნაშავე, ცხადია, მთარგმნელი იყო, რომელმაც პიესა გარკვეული პოლიტიკური მოტივებით თარგმნა. დამახინჯება შეგნებულად მოხდა, რასაც მთარგმნელი არც მალავდა.

ამავე პიესის რუსი მთარგმნელი დრეჟინინი შედარებით კეთილსინდისიერი იყო დედანთან მიმართებაში და ცდილობდა მაქსიმალურად ზუსტი ყოფილიყო. მაგრამ იმისგან, რაც თარგმანში მოხდა, რამაც აღაფრთოვანა დემოკრატის მტრები, შორს არც დრეჟინინი წავიდა. მან ქვეცნობიერად იგივე გააკეთა, რაც შეგნებულად მოიმოქმედა პიაშომ. პიესა მეორედ ითარგმნა 1858 წელს, როცა რუსეთი უკვე გაყოფილი იყო რევოლუციონერ-დემოკრატებად და ლიბერალ აზნაურებად, რომლებიც რაზნოჩინელებსა და ნიჰილისტებს ებრძოდნენ. ამიტომ ის სალანძღავი სიტყვები, რაც კოლიოლანის მიერ პლებეების წინააღმდეგ არის წარმოთქმული, შეიგრძნობოდა როგორც ახალგაზრდა დემოკრატის მხილება. შექსპირის დახმარებით დრუჟინინმა ანგარიში გაუსწორა ჩერნიშევსკისა და მის მომხრეებს. ტურგენევი და ბოტკინი მიესალმნენ ამ თარგმანს, როგორც პოლიტიკურ გამოსვლას და ტაში დაუკრეს.

რუსეთშიც და საფრანგეთშიც “კორიოლონის” თარგმანი წარმოადგენდა რეაქციული იდეის პროპაგანდას, ორივე მთარგმნელი ცდილობდა პიესისათვის მიეცა ანტიდემოკრატიული აზრი, იმისგან დამოუკიდებლად, ესწრაფოდნენ თუ არა ისინი ზუსტად აესახათ დედანი, თუ შეგნებულად ამახინჯებდნენ მას. აქვე შეიძლება ისევ გავიხსენოთ ცნობილი მთარგმნელი ჟუკოვსკი, რომელსაც პუშკინმა “თარგმნის გენიოსი” უწოდა. ჟუკოვსკიმ სხვა ხალხის მელოდიის, სიუჟეტებისა და

სახეების დახმარებით დაიმკვიდრა ლიტერატურაში შესანიშნავი მთარგმნელის სახელი, მაგრამ იყო კი ის ზუსტი მთარგმნელი?

შემოქმედებითი თარგმანი

ხშირად დაისმის საკითხი, თარგმანი გნოსეოლოგიის სფეროა თუ ინტუიციის? დედნის შემეცნება მისი აზრობრივი შინაარსის რაციონალური გაგებაა. ინტუიცია ირაციონალურია და იმას წვდება, რაც გონებას არ შეუძლია. იყო დრო, როდესაც გონებას ყოვლისშემძლეობას მიაწერდნენ და ყველაფრის კრიტერიუმად მიიჩნევდნენ. რაციონალიზმი ფრანგულმა განმანათლებლურმა ფილოსოფიამ დაამკვიდრა აზროვნებაში (რუსო, დიდრო, მონტესკიე და სხვები). მაგრამ რაციონალიზმის წარმოშობილმა რომანტიზმმა ფაქტობრივად დაამხო რაციონალიზმი და მის შემცვლელად აზროვნებაში (უფრო კი მხატვრულ აზროვნებაში) ინსტინქტი და ინტუიცია მიიჩნია. ინტუიცია იქ ჩნდება, სადაც გონების შესაძლებლობა იწურება, იმის იქით არის ირაციონალური, ის, რაც გონებისთვის მიუწვდომელია. რომანტიკოსებისათვის ინტუიცია ადამიანის სულში ღვთაებრივი ძალის გამოვლენა იყო, რომლითაც შესაძლებელია სულის დაფარული ფენომენების გამომზეურება. ინტუიციას ფართო ასპარეზი დაუთმეს მხატვრულ აზროვნებაში მოდერნისტებმა და იგი ფაქტობრივად რეალობის შემეცნების ერთადერთ გზად ჩათვალეს. თარგმნის პროცესში, რაკი მთარგმნელის წინ დევს გარკვეული მოცემულობა, როგორც განსაზღვრული მხატვრული მთელი, უფრო მუშაობს რაციონალიზმი, ვიდრე ინტუიცია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ისიც აუცილებელია. ინტუიცია უფრო მხატვრულ ნაწარმოებებში არსებული ქვეტექსტების გახსნისას შეიძლება გამოვიყენოთ, თუ, რა თქმა უნდა, ამ გზას დავადგებით.

საზოგადოდ კი ქვეტექსტი უცვლელი უნდა დარჩეს თარგმანში, რადგან მისი ლიტერატურული გაშიფვრა ნიშნავს მივიღოთ ნაირნაირი ვარიანტები და ინტერპრეტაციები. თარგმანში ყველაფერი ობიექტური გაგების საფუძველზე წყდება, მაგრამ მთარგმნელის მიერ კარგი თარგმანის შექმნის მექანიზმები უცნობია. ოღონდ ერთია ცხადი: თარგმანი არ არის მექანიკური გადატანა დედნის კომპონენტებისა, ის შემეცნებაა, ხოლო სადაც შემეცნებაა, იქ სწორი გზა შემოქმედებითი გარდასახვაა.

რა განსხვავებაა დედნის შემოქმედებით აღქმასა და ინტერპრეტაციას შორის. შემოქმედებითი მიდგომა არის დედნის მართებული ასახვა, რომლის დროსაც არ ირღვევა არაფერი, გარდა იმისა, რაც ობიექტურად შეიძლება მოხდეს ენათა განსხვავებულობის გამო. შემოქმედებითობა ნიშნავს დედნის სწორი გაგების შემდეგ მის გარდასახვას იმგვარად, რომ თარგმანი ახდენდეს იგივე შტაბეჭდილებას, რასაც დედანი. გარდასახვის პროცესში დედნის მხატვრულ ყველა კომპონენტს უნდა მოუვნახოთ ეკვივალენტი, რაც ხდება კიდევ. აქედან გამომდინარე, მხოლოდ შემოქმედებითი თარგმანი არის დედნის ობიექტური ასახვა. ასეთი თარგმანი მთარგმნელის სუბიექტივიზმს არ გამოიციხავს, ოღონდ აქ სუბიექტურობა მთარგმნელის გარდასახვის უნარშია საძიებელი. მას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს განსხვავებულობა ორიგინალსა და თარგმანს შორის.

შემოქმედებითი თარგმანის შექმნის სხვადასხვა თეორიული საშუალება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ამის მიღწევა შესაძლებელია, შემოქმედებითი თარგმანი ყოველთვის მაინც არ არის ადეკვატური. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ მთარგმნელის ნიჭზე, არამედ დედნისადმი მისი პასუხისმგებლობის ხარისხზე. მაგრამ, ამის მიუხედავად, დღეს დედნის შემოქმედებითად ასახვა წარმოადგენს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გამართლებულ გზას.

რაც შეეხება ინტერპრეტაციას, როგორც ითქვა, ის სუბიექტური დამოკიდებულებაა დედნისა, ოღონდ სხვადასხვა დონეზე. ვინ მიმართავს ინტერპრეტაციას? ამას ვერ გახედავს ვერც საშუალო ნიჭისა და ვერც უნიჭო მთარგმნელი, მათ ამის თავხედობა არ ეყოფათ. ინტერპრეტაციას მიმართავს ნიჭიერი მთარგმნელი-ხელოვანი, თუმცა, ცხადია, არა ყველა და არა ყველა შემთხვევაში. ისტორია უამრავ ისეთ ნიჭიერ მთარგმნელს იცნობს, რომელიც ვალდებულად თვლის დედნის შემქმნელი ავტორისადმი პატივისცემით დამოკიდებულებას, რასაც მიყვავართ კვალიფიციური თარგმანის შექმნამდე, რითაც მკითხველი და, მით უმეტეს, ქართველი მკითხველი დიდად განებივრებული არ არის.

რა ვალდებულება აქვს მთარგმნელს, როგორც ხელოვანს? მის წინ დევს სხვაენოვანი ტექსტი (ნაწარმოები), რომელიც მან უნდა წარმოქმნას ხელახლა თავის მშობლიურ ენაზე. ტექსტში, ბუნებრივია, ფიქსირდება ავტორის გრძნობები და მსოფლგაგება, მაგრამ ეს ავტორი ხომ არის შემოფარგლული რაღაც ფიზიკური თუ სულიერი გარემოთი. ეს გარემო, ეს რეალობა პოულობს თუ არა შესაფერის ანარეკლს მხატვრულ თხზულებაში? დავუშვათ, რომ ეს არის ფილოსოფიური (განყენებულ თემაზე შექმნილი პოეზია), პატრიოტული ან სიყვარულზე შექმნილი პოეზია, რომელშიც გარემოს ანარეკლი უთუოდ მოხვდება. მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს თუ არა ეს გარემო, ანუ ეთნოგრაფიული ინფორმაცია ან ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხისთვის დამახასიათებელი ეროვნული შტრიხები? ამის გათვალისწინების გარეშე კარგი თარგმანი არ შედგება. ეს ითხოვს იმ სამყაროს შესწავლას, სადაც შეიქმნა დედანი. ყოველივე ამაზე და მრავალ სხვა თავისებურებაზე უარის თქმა არის ორიგინალთან თავისუფალი მისვლა, რასაც ვუწოდებთ ინტერპრეტაციას. როგორია მისი ერთი სახეთაგანი პრაქტიკულად: საბჭოური პერიოდის ქართულ პოეზიას ბევრი რუსი მთარგმნელი ჰყავდა – ნიჭიერიც და ნაკლებ ნიჭიერიც. ითარგმნებოდა ცოცხალი ქართული კლასიკა და რიგითი პოეტებიც. ამ თარგმანებში არის უამრავი შემთხვევა, როცა ორიგინალის ავტორის მიერ რომელიმე ყოფით მოვლენაზე შექმნილ პოეტურ მოდეულ უპირისპირდება მთარგმნელისეული მოდელი, რომელშიც სრულიად განსხვავებული აზრია გატარებული. აქ ახსნა ერთია: მთარგმნელს არ სჯერა ან არ მიაჩნია მართებულად ორიგინალის ავტორის შეხედულება და მას წარმოსახავს ისე, როგორც ის თვლის სწორად. შედეგი ისაა, რომ თარგმანი სხვაა, ორიგინალი – სხვა. ასეთ თარგმანებში პოეტური სახეების შეცვლაც ჩვეულებრივი ამბავია. ესეც ერთი გზა ინტერპრეტაციისა, რაც ობიექტურად მიუღებელია.

თარგმანის ისტორიაში ზოგჯერ ასეთ ფაქტებსაც ვხვდებით: მთარგმნელი არ არღვევს ორიგინალის არც იდეას, არც ფორმას, ყველა კომპონენტი თარგმანში თავის

ადგილზეა, მაგრამ პოეტურ ექსტაზში შეჭრილი მთარგმნელი, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ სათარგმნი თხზულება მოსწონს იდეურად, თავისი ფანტაზიით უმატებს ახალ სტროფებს, ზოგჯერ განუსაზღვრალად.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ასეთი შემთხვევა: XIX საუკუნის ბოლოს უკრაინაში, კერძოდ ლვოვში, ქართული პოეზიის თარგმანები ინტენსიურად იბეჭდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტს თარგმნიდნენ ილია ჭავჭავაძის პოეზიას. მისი ლექსების თარგმანებიდან ყველაზე ვრცელი “გუთნის დედის” თარგმანია (მთარგმნელი: კონონექტო). დედანი რვა სტროფია, თარგმანი – ჩვიდმეტი, ე.ი. ორჯერ მეტი. საქმე ისაა, რომ დედნის არც იდეაა დარღვეული, არც შინაარსი, არც სიტყვიერი მასალაა შეცვლილი. უბრალოდ მთარგმნელს მოეწონა მწვავე სოციალისტური პრობლემის შემცველი ლექსი და მის მოტივზე გააგრძელა ახალი სტროფები. არის თუ არა ეს ინტერპრეტაცია და მისაღებია თუ არა ასეთი თარგმანი? აქ კითხვა ასეც დავსვათ. თუ დედანში ეს სოციალური პრობლემა ამოწურულია იდეურად, მაშინ რატომ ამატებს მთარგმნელი სტროფებს. ილიას ლექსი აზრობრივად შეკრულია და სათქმელიც ამოწურულია. მთარგმნელის მიერ დამატებული სტროფები მაღალ პოეტურობითაც რომ გამოირჩეოდნენ, სულ ერთია, ასეთი დამატება მოსაწონი ვერ იქნება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დამატებული სტროფები დედნის იდეის გარეთ დგანან. დედანი კომპაქტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სათქმელი ამოწურულია. მაშინ რატომღა ამატებს მთარგმნელი სტროფებს? თარგმანში ამ გზით იდეა თემატურად შეიძლება გაშალო, მაგრამ თვით იდეა ორიგინალში დასრულებულია. ამიტომ ასეთი გავრცობა, რა თქმა უნდა, ვნებს დედანს და ის დაუშვებლად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, თუ დამატებული სტროფები პოეტური იდეის სრულყოფისთვის არაფერს შეიცავენ და მხოლოდ მთარგმნელის სურვილს აკმაყოფილებენ. მეორეც, ასეთი თარგმანი მკითხველს წარუდგება არა როგორც მთარგმნელის შემოქმედება, არამედ როგორც ორიგინალის ავტორის ნააზრევი.

ინტერპრეტაცია ხელს უწყობს ორიგინალის ზედმეტად გაუცხოებას მთარგმნელის ენაზე. თარგმანში პოეტური თხრობის ენობრივად ბუნებრიობისაკენ სწრაფვა საზოგადოდ კარგი ტონის ნიშანის, თუმცა ამ თვალსაზრისით მთარგმნელის მოჭარბებულ გატაცებას შეიძლება არ მოჰყვეს უცხო გარემოს თავისებურებათა დაკარგვა. ამიტომ თარგმნილი ტექსტის ზედმეტად გაეროვნულება არაა მისაღები. თარგმანში უცხო ტონალობაც უნდა ისმოდეს, რომ მკითხველმა იგრძნოს, რომ ეს სხვა სამყაროა. შემოქმედებითად შესრულებული თარგმანის ავტორი ორიგინალის შემქმნელის გვერდითაც შეიძლება დააყენოს ისტორიამ. “ვისრამიანი”, მართალია, თარგმანია, მაგრამ იმდენად ქართულია (ამდენადვე სპარსულიცაა), რომ ორიგინალური თხზულების დონეზე განიცდება. მთარგმნელმა ზნეობრივი კრიტერიუმები შეცვალა და გარკვეულად ქრისტიანული ზნეობის ჩარჩოებში მოაქცია დედნის ავტორის აზროვნება, მაგრამ ის ცეცხლოვანი ვნება, რაც ყოველივეს წარმართავს პოემაში, ქართულ თარგმანშიც დარჩა. ამიტომ აქ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა შეცვალა მთარგმნელმა მხატვრულად. თუ აქ ვერაფერს ვიპოვნით ხელშესახებს, მაშინ ჩნდება ახალი კითხვა: რაში მდგომარეობს ამ ტიპის თარგმანში ინტერპრეტაცია. კონკრეტულად მოხდა “ვისრამიანის” დედნის ქართულ გარემოსთან გარკვეულად შეგუება. ქართულ

თარგმანში მან განიცადა იდეოლოგიურ-მორალისტური ხასიათის ცვლილებები და დედანი ქართულ ცნობიერებასთან (რეალობასთან) შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. არის კი ეს სწორი გზა? დედნის ხიბლს ავტორის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო ქმნის. აქედან გამომდინარე, თარგმანში უნდა განმეორდეს დედნის რეალობა. ამდენად, ნებისმიერი ცვლილება, რაც არ არის დაკავშირებული დედნისა და სათარგმნი ენის გამოხატვის სპეციფიკურ თავისებურებებთან, არის დარღვევა და მას გამართლება არ მოეძებნება.

ტექსტის ინტერპრეტაცია უფრო მოსალოდნელია და ისტორიულადაც ფაქტია პოეტურ ჟანრში, რამდენადაც პოეზიისთვის ნიშანდობლივი კომპონენტები (რიტმი, ინტონაცია, რითმა, მეტრი და სხვა) მოქცეულია ეროვნული ლექსთაწყობის კანონების მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებში. პოეზიას მწყობრი რიტმი ახასიათებს, ამიტომ პოეზიის თარგმნა ბევრად რთულია, ვიდრე პროზისა. საქმე ისაა, რომ პოეზიის მთარგმნელმა უნდა მონახოს შესატყვისი საზომი სათარგმნელი ტექსტისათვის, დაიცვას სიტყვათქმნადობის კანონზომიერება, პოეტური თხრობისთვის აუცილებელი მრავალი თავისებურება, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ორიგინალის ავტორის პოეტური აზროვნება სწორად აისახოს ახალ ენაზე. დიდ სირთულეს ქმნის ისიც, რომ პოეზიაში მთავარია არა ის, რას ამბობ, არამედ ის, როგორ ამბობ? მთარგმნელს უწევს დედნის ავტორთან გაჯიბრება პოეტური თქმის ხელოვნებაში. ეს ურთულესი ბარიერია მთარგმნელისთვის, რასაც ყველა ვერ უძლავდება და მიდის თავისუფალი გარდასახვის გზით.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი პოეტი ალექსანდრე მეჟიროვი გალაკტიონის პოეზიის სათარგმნელად. რამდენიმე თვე ცხოვრობდა თბილისში და ალბათ სწავლობდა ტაბიძის პოეზიას. ერთ დღეს პოეტმა დაურეკა ცნობილ ქართველ პროფესორს (რომელმაც ეს ამბავი პრესაში გამოიტანა) და განუცხადა, გალაკტიონის მთარგმნელად არ გამოვდგები და მოსკოვში ვბრუნდებიო. მეჟიროვი ძალიან ორიგინალური პოეტი იყო და ვფიქრობ გალაკტიონს ყველა მის რუს მთარგმნელზე უკეთ თარგმნიდა, მაგრამ უარი თქვა, რადგან გალაკტიონის თარგმნა ქართველ კლასიკოსთან ერთგვარი შეჯიბრი იქნებოდა. მთარგმნელი პატიოსნად მოიქცა, რადგან ეს შეჯიბრი მისი გარდაუვალი მარცხით დასრულდებოდა. ეს ფაქტი პოეზიის თარგმნის სირთულეა და გალაკტიონის პოეზიის თარგმნის ორმაგ ისრთულეზე მიუთითებს, მაგრამ არიან მთარგმნელები, რომლებიც გალაკტიონის თარგმნაზე უარს არ იტყვიან და ისე დაამახინჯებენ, რომ თვალსაც არ დაახამხამებენ. ასეთი მთარგმნელები, თუნდაც ისინი დახელოვნებული პოეტები იყვნენ, რამე განსაკუთრებულს ვერ შექმნიან.

პოეზიის თარგმანში ერთი ძირეული საკითხთაგანია პოეტური ნაწარმოების მეტრული შესაბამისობა თარგმანში, ვინაიდან პოეზიის თარგმნის ისტორია ნათელყოფს, რომ დედნის პოეტური საზომის გამეორება ახალ ენაზე შედეგს არ იძლევა. ამიტომ მისი ძიება ზოგჯერ სერიოზულ პრობლემად იქცევა, რაც მთარგმნელს მეტი თავისუფლებისაკენ უბიძგებს თარგმანის პროცესში. სწორედ ესაა ერთერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ინტერპრეტაცია პოეზიაში უფრო მეტია, ვიდრე პროზაში. პოეზია უკიდურესად ეროვნული ფენომენია. ის საუკუნეთა მანძილზე იქმნება, იხვეწება და მკვეთრად გამორცეულ ელფერს იძენს. თარგმნის დროს სირთულეს ქმნის ისიც, რომ ენებს დამოუკიდებელი ლექსთაწყობის

სისტემები აქვთ, გამორჩეული რიტმითა და ინტონაციით. ლექსთაწყობა ზოგ ენაში სილაბურია (ემყარება მარცვალთა თანაბარ განაწილებას), ზოგში სილაბურ-ტონური (ემყარება მარცვალთა რაოდენობის თანაბრობასა და მახვილიან მარცვალთა განაწილებას). ეროვნულ ლექსთაწყობაში ბევრი რამ დამოკიდებულია სიტყვათა სიგრძესა დაჟღერადობაზე. ინგლისურ ენაში, მაგალითად, ძალიან ბევრი ერთმარცვლიანი სიტყვაა, ამდენად ინგლისურ პოეზიაში სტრიქონი იტევს უფრო მეტ სიტყვას, ვიდრე, ვთქვათ, ქართული სტრიქონი. ამასთან ინგლისურ ლექსში იამბური პერტამეტრი, რომელი საზომითაც არის შექმნილი შექსპირის დრამები, დარბაისლური ჟღერადობისაა. ქართული ათმარცვლიანი ლექსი ინგლისურის ჟღერადობას, უფრო სწორად, დარბაისლურ ჟღერადობას, ვერ ქმნის. რაც შეეხება მაჩაბლისეულ თარგმანში გამოყენებულ თოთხმეტმარცვლიან ლექსს, საზომს (დიდ ბესიკური), ის პირობითია და უფრო ათმარცვლიანი დედნის აზრობროვ შინაარსს გადმოსცემს, ვიდრე ლექსის რიტმულ-ინტონაციურ თავისებურებებს.

პოეტური საზომები, მათთვის ნიშანდობლივი რიტმით, ყველა ენას თავისი აქვს; მათი შესაბამისობა თარგმანში, თუ, რა თქმა უნდა, არ იმეორებ საზომს, თითქმის სტიქიურია. თუმცა ინგლისურ ათმარცვლიან სტრიქონს, როგორც ჩანს ათმარცვლიანი ქართული საზომი ვერც აზრობრივად და ვერც რიტმულად ვერ გადმოსცემს. რიტმი აქვს პროზასაც, მაგრამ ლექსის რიტმი ზუსტი და მკაფიაა. ამიტომ ზოგჯერ საზომის გამეორებაც შეიძლება და რიტმისაც (უფრო მეტად მაშინ, თუ ენები ერთ საერთო სისტემაში შედიან), მაგრამ ეს არ გამოხატავს იმას, რაც ორიგინალშია (აქ შეიძლება საუბარი ქართული პოეზიის უკრაინულად თარგმნის დროს გამოყენებულ შესატყვის საზომებზე).

პოეზიის პირობითობა (მეტრი, რიტმი, ინტონაცია დასხვა) პოეზიაში ან არ არის ან მცირეა. ამიტომ თარგმანის თეორიაში დასკვნები ძირითადად პროზის თარგმანებს ეყრდნობა. ცხადია, რაც პოეზიამ უნდა ასახოს თარგმანში, იგივე ევალეება პროზის მთარგმნელსაც, ოღონდ პროზის თარგმანს ის განსაკუთრებული სირთულე არ ახლავს, რაც პოეზიის თარგმანს. მაგრამ პროზა უფრო მასშტაბურად წარმოსახავს რეალობას, რომელშიც შედის ეროვნული გარემო ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეალიებით, დიალექტური ფორმები. ყოველივეს ასახვა მთარგმნელის განსაკუთრებულ შრომას მოითხოვს. ამბობენ, რომ არის რაღაც საიდუმლოება სათარგმნ ტექსტში, რომლის მიხვედრის შემთხვევაში მთარგმნელი დგება სწორ გზაზე. ესაა დედნის ავტორის წერის მანერის შეგრძნება, მისი მხატვრული სტილის შემეცნება. ამას ზოგი სტილისტური გასაღების პოვნას უწოდებს. მაგრამ კლასიკოსთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა სტილი ერთიანი არ არის ყველა თხზულებისთვის. მაგ: მიიჩნევენ, რომ სტენდალის “წითელი და შავი” დაწერილია წყვეტილი ნერვული ენით, “ბირმის სავანეში” კი ის არ გაურბის თავის ძირითად მანერას, ხოლო “იტალიური ფერწერის ისტორიაში” ცდილობს დაიცვას გამართული რიტმული თხრობა. პროსპერ მერიმეს ირონიული მსოფლმხედველობა ზუსტად აისახება მის სტილში. ერაზ როტერდამელის “სისულელის ქება” დაწერილია რიტორიკული მეტყველებით, რაც ტიპიურია მისი ავტორის პესიმისტური კულტურისთვის. აქედან გამოდის, რომ მთარგმნელი უნდა გაეცნოს არა მხოლოდ ზოგადად მწერლის სტილს, არამედ ცალკეულ ნაწარმოებში წერით მანერას და თავისი შრომა ამ სფეროს დაუქვემდებაროს.

პროზაში წინადადება შედგება სინტაგმებისაგან, რომელთა აზრობრივი გაერთიანება ქმნის მას. ეს პროცესი თარგმანსაც ახასიათებს, ოღონდ მისი სპეციფიკა ისაა, რომ მექანიკურად კი არ იმეორებს ტექსტს, არამედ ცდილობს თავის მშობლიურ ენაში გამოხატვის საშუალებათა მიხედვით შეინარჩუნოს დედნის ეროვნული თავისებურებები. თუ მთარგმნელი შემოქმედებითად ასახავს დედანს, მაშინ თარგმანში ჩნდება დედნის ანალოგიური რიტმი და ინტონაცია. ასეთ შემთხვევაში კალკირება გამორიცხულია. კალკირება მთარგმნელის დედნის ენაზე აზროვნების შედეგია, არადა მთარგმნელი უნდა აზროვნებდეს თავისი მშობლიური ენის კანონების მიხედვით. კალკირების ალბათობა საკმაოდ იზრდება დედანში გატარებული აზრის სიტყვასიტყვით გადმოცემის შემთხვევაში (მაგ. საქმის კურსში არ ვარ – Не в курсе дела). “ჰამლეტის” მონოლოგიდან ”Бить или не бить” მაჩაბელმა ასე თარგმნა: “ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი ეს არის”. სავსებით სწორია, რომ მან არ გაიმეორა რუსული და მართებულადაც. მაგმა მის წინა პერიოდის თარგმანში მთარგმნელი რუსულ კალკას ვერ გაექცა (Бить или не бить – “ვიყო არ ვიყო, აბა რა ვიკითხავ”).

თარგმანში თუ ტექსტის სინტაქსური წყობა არ ეთანხმება მთარგმნელის მშობლიური ენის ბუნებას, თარგმანი ვერ იქნება შემოქმედების ნაყოფი. მთარგმნელმა, პირველ ყოვლისა, თავისი ენა უნდა იცოდეს; თუ ის არ ფლობს კარგად თავის მშობლიურ ენას, ის ვერ შეძლებს კარგი თარგმანის შექმნას. ხოლო თუ თავის ენას კარგად ფლობს, ის აიცილებს თავიდან კალკირებას, რადგან ნებისმიერ კულტურულ ენას აქვს გამოხატვის საკმაოდ ფართო მასშტაბები, რომელიც მხატვრულ აზრს ბუნებრივ ეროვნულ ფორმას მისცემს. კალკირება დიდი “ცოდვაა” ენისათვის, რადგან ის თუ გახშირდა პრესაში, თარგმანში, ნელნელა შეიპარება ორიგინალური თხზულების ენაში და მისი განდევნა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნება. მაგ: “იგი მასზე ან მასში იყო შეყვარებული”. ეს სამწუხაროდ გადადის სასაუბრო მეტყველებაში. ან კიდევ:

კალკა სწორი შესატყვისი

1. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული \ მე ღრმად მწამდა
2. დარწმუნებული ხართ იმ ფაქტში, რაც მიაჩნებოდა? \ გჯერათ კი, რაც მიაჩნებოდა?
3. დოქტორი აზადი მოპასუხესთან წინ შეჩერდა \ მოპასუხის წინ
4. ინჟინრები უმუშევრობაზე იყვნენ განწირულნი \ უმუშევრობისათვის

ჩამოთვლილი მაგალითები და მრავალი უარესი ნიმუში იმას კი არ ნიშნავს, რომ მთარგმნელს თვალი გაექცა და შეცდომა ამიტომ დაუშვა. ეს არაპროფესიონალიზმის შედეგია. კარგი მთარგმნელი ასეთ კუროზს არ დაუშვებს. ინტერპრეტაციის გამო ყოველთვის შეიძლება დავა, მაგრამ ციტირებულ ნიმუშებზე მთარგმნელი ვერ შემოგედავება, რადგან აშკარაა აქ დარღვევა. კუროზები თარგმანში სერიოზულად დამაფიქრებელია, რადგან მისი თუნდაც გაპარვა თარგმანში დიდად ვნებს ორიგინალის ავტორის, როგორც ხელოვანის ავტორიტეტს. ის, ვინც მშობლიურ ენას გულისტკივილით ევლება თავს, კუროზიცა დანაშაულია მისთვის. ამასთან კუროზი არასწორი გაგების კი არა, მშობლიური ენის არ ცოდნის შედეგია.

კარგ მთარგმნელს დედნის ავტორთან გაჯიბრების სურვილი ყოველთვის უჩნდება, მაგრამ ეს ჯიბრი ავტორის პატივისცემას არ გულისხმობს. ჩვენი

ლიტერატურიდან კონკრეტულად შეგვიძლია ვისაუბროთ ბარათაშვილის “მერანის” თარგმანებთან დაკავშირებით. “მერანი” ის თხზულებაა, რომელიც კომუნისტური ყოფის 70 წლის მანძილზე ყოველთვის არნახულ ინტერესს იწვევდა რუს მთარგმნელთა შორის. დღეისათვის არსებობს “მერანის” 75 რუსული დაბეჭდილი თარგმანი და დაახლოებით ამდენივე-დაუბეჭდავი. რუსი პოეტებისათვის ბარათაშვილის ეს მსოფლიო შედევრი ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა. მაგრამ ეს ჯიბრი არ გასცილება დედნის სიტყვიერ ჩარჩოებს. ასეთია “მერანის” ლოზინსკისეული თარგმანი, რომელიც ყველაზე ახლოსაა დედანთან და ყველა უფრო სრულყოფილია პოეტურად. მეორე, მაგრამ უკიდურესი გზა “მერანის” წაკითხვისა ეკუთვნის პასტერნაკს. მან დაარღვია დედნის საზომი თარგმანში, შეცვალა პოეტური სახეები და საერთოდ ყველაფერი რისი შეცვლაც შეიძლებოდა, ოღონდ დარჩა რომანტიკული ესთეტიკის ფარგლებში. საერთოდ მთარგმნელი დედნის რეალობას უნდა ხედავდეს ისე, როგორც ავტორი. მაგრამ თუ ხედავს ისე, როგორც პირადად მას ესმის, ერთი ნაბიჯიღა რჩება თვითნებობამდე. თვითნებობა ტარგმანში დედნის ავტორის აზრის გაუთვალისწინებლობაა. რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ეს? თუ მთარგმნელს არ სჯერა ორიგინალის ავტორისა, ამა თუ იმ მოვლენაზე მსჯელობის, ან მხატვრული სახის ან მხატვრული ლოგიკის გარშემო; ასეთ დროს ის მიმართავს ღია ინტერპრეტაციას. ეს ერთი. მეორე: როცა დედანში გამოხატვის ფორმა გავლენას ახდენს მთარგმნელზე. ორიგინალის შტაბეჭდილება მთარგმნელში იწვევს ახალ პოეტურ ასოციაციებს და მისი ფანტაზიით შექმნილი ლექსი, რომელსაც ზოგჯერ არასწორად უწოდებენ თარგმანს, აგებულია ამ ასოციაციებზე. გარდა ამისა, ზოგჯერ მთარგმნელს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი ორიგინალის ავტორზე უკეთესად თქვას სათქმელი. ესეც ხდება ინტერპრეტაციის მიზეზი. ზოგი მთარგმნელი ავტორს უსწორებს კიდევ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, კლასიკოსის თხზულების არც გასწორება დაარც მიმატება-გამოკლება შეიძლება. თუმცა, სამწუხაროდ, ერთიც ხდება და მეორეც. დიკენსის რომან “დევიდ კოპერფილდის” ქართულ თარგმანს 300-მდე გვერდი აკლია, რუსულ თარგმანს-ცოტა მეტი. ამას არ განიცდის ქართველი მკითხველი, რადგან თხზულებას ორიგინალში არ იცნობს. მისთვის ეს რომანი ისეთია, როგორც თარგმანშია. შეიძლება თუ არა მთარგმნელის გამართლება? ის ვერ დაასაბუთებს შემოკლების მიზეზს. კლასიკოსი არაფერს ქმნის ისეთს, ინტერესს რომ არ იწვევდეს. ამიტომ მისი არც შემოკლება შეიძლება დაარც გავრცობა. ანტიდიკენსს მთარგმნელი არ ქმნის, ვერც იმას იტყვის, რაც აკლია, ნაკლებ საინტერესოა. დავუშვათ, რომ რომანი რუსულიდან ითარგმნა (სინამდვილეში ასეა) და მთარგმნელს დამოუკიდებლად არაფერი გაუკეთებია, რუსულიდან პატიოსნად გადმოიღო და აქა-იქ რაღაც შეცვალა. რუს მთარგმნელს რაში დაჭირდა შემოკლება? ზოგჯერ ხდება ტექსტის ადაპტირება, მაგრამ ეს საზოგადოებისთვის ყოველთვის ცნობილია. ამ თარგმანზე ამას ვერ ვიტყვით. ზოგჯერ ხდება, რომ მთარგმნელს მოსწონს და გამომცემელი დავობს, მაგრამ ასეთი მხოლოდ წვრილმანებს ეხება. მაშინ, რა დავარქვათ ამას? ყოველ შემთხვევაში ეს ინტერპრეტაცია არაა, ეს კლასიკოსისა და იმ ლიტერატურის უპატივცემულობაა, საიდანაც ითარგმნება ნაწარმოები.